# ქართული ენის

# სამეტყველო ფუნქციები

(კითხვა; წერა)

# საკითხავი

**READER**

თბილისი

2012

მასალა განკუთვნილია არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის.
საკითხავზე მუშაობდნენ: შალვა ტაბატაძე, ნათია გორგაძე, ელენე ჯაჯანიძე.

კონცეფციის ავტორი, შემდგენელი და მთავარი რედაქტორი
**კახა გაბუნია**

© გამომცემლობა „საიმედო“

# I ნაწილი

# შინაარსი


თემა 1 - ქართული ანბანი . . . . . 5

გაკვეთილი 1-2. . . . . 5

გაკვეთილი 3 . . . . . 18

თემა 2 – მარცვალი . . . . . 25

გაკვეთილი 4 . . . . . 25

თემა 3 - მარტივი კითხვები: ვინ ხარ? სად ცხოვრობ?
რომელი ქალაქიდან/სოფლიდან ხარ? რამდენი წლის ხარ? . . . . . 32

გაკვეთილი 5 . . . . . 32

თემა 4 - ადგილი, მიმართულება . . . . . 41

გაკვეთილი 6 . . . . . 41

თემა 5 - ოჯახისა და საკუთარი თავის შესახებ . . . . . 57

გაკვეთილი 7 . . . . . 57

თემა 6 - რიცხვითი სახელები, ზომა-წონის ერთეულები,
ფულის ერთეულები . . . . . 75

გაკვეთილი 8 . . . . . 75

შუალედური ტესტირება . . . . . 86

გაკვეთილი 9 . . . . . 86

თემა 7 - წელიწადის დროები, თვე, კვირა, დღე, საათი . . . . . 94

გაკვეთილი 10 . . . . . 94

თემა 8 - ადამიანის სხეული; ფერები . . . . . 111

გაკვეთილი 11 . . . . . 111

თემა 9 - ჩემი სოფელი; ქალაქი; ტრანსპორტი . . . . . 124

გაკვეთილი 12 . . . . . 124

თემა 10 - წერილის შედგენა . . . . . 142

გაკვეთილი 13 . . . . . 142

თემა 11 – საქართველო . . . . . 159

გაკვეთილი 14-15 . . . . . 159

დანართი . . . . . 180

# თემა 1
# ქართული ანბანი

*გაკვეთილი 1-2*

1. ქართული ანბანი:

| | | |
|---|---|---|
| ა | მ | ღ |
| ბ | ნ | ყ |
| გ | ო | შ |
| დ | პ | ჩ |
| ე | ჟ | ც |
| ვ | რ | ძ |
| ზ | ს | წ |
| თ | ტ | ჭ |
| ი | უ | ხ |
| კ | ფ | ჯ |
| ლ | ქ | ჰ |

2. კარგად დააკვირდით წერის მიმართულებას და გამოწერეთ ასოები:















ა _____

ბ _____

გ _____

დ _____

ე _____

ვ _____

ზ _____

თ _____

ი _____

კ _____

ლ _____

3. წაიკითხეთ და ივარჯიშეთ სიტყვების გამოწერაში:

დედა  გია  თითი  ლიკა  დათვი  თბილი  ზაზა

_____

_____

_____

_____

_____

4. ხაზი გაუსვით ხმოვნებს.

დიდი  დედა  ზაზა  თითი  გედი  კაბა  დეზი  ლიზა

5. შეარჩიეთ ბ, გ, დ ბგერების შემცველი სიტყვები და ამოიწერეთ.

დათვი  ბელი  გედი  გაზეთი  დედა  კაბა

ბ _____

გ _____

დ _____

6. შეარჩიეთ ვ, ზ, თ ბგერების შემცველი სიტყვები და ამოიწერეთ.

ათი  დევი  ზაზა  თითი  ვაშლი  ზურა

ვ _____

ზ _____

თ _____

7. შეარჩიეთ კ, ლ ბგერების შემცველი სიტყვები და ამოიწერეთ.

ბელი  კაბა  კაცი  ლია

კ _____

ლ _____

8. დააკვირდით წერის მიმართულებას და გამოწერეთ ასოები:









მ _____

ნ _____

ო _____

პ _____

ჟ _____

რ _____

ს _____

ტ _____

უ _____

ფ _____

ქ _____

**9. წაიკითხეთ და ივარჯიშეთ სიტყვების გამოწერაში:**

| | |
|---|---|
| ტვირთი | ქვაბი |
| ჟანგი | სტაფილო |
| ქაფი | მელია |
| ქუდი | სორო |
| ფასი | მელიას სორო |
| უთო | სალარო |
| სასტუმრო | პლანეტა |
| ნომერი | პანდა |
| სასტუმროს ნომერი | ფქვილი |
| ობი | მამა |

| | |
|---|---|
| დედა | ბატი |
| გოგო | დათვი |
| თითი | ბარგი |
| კოკა | თბილი |

_____

_____

_____

_____

_____

_____

**10. ხაზი გაუსვით ხმოვნებს.**

საქართველო ბურთი ლომი ყური

**11. შეარჩიეთ მ, ნ, პ ბგერების შემცველი სიტყვები და ამოიწერეთ.**

ფანქარი პატარა ქანები სასტუმრო პანდა მამა

**მ** _____

**ნ** _____

**პ** _____

**12. შეარჩიეთ უ, რ, ს ბგერების შემცველი სიტყვები და ამოიწერეთ.**

ქანები ფასი ტვირთი ნომერი სტაფილო ეჟვანი

**უ** _____

**რ** _____

**ს** _____

**13. შეარჩიეთ ტ, ფ, ქ ბგერების შემცველი სიტყვები და ამოიწერეთ.**

ქუდი ფასი სასტუმრო პლანეტა აქვს ფერი

**ტ** _____

**ფ** _____

**ქ** _____

**14. წაიკითხეთ და შემდეგ დაწერეთ:**

აი საქართველო.

ეს საქართველოა.

აი თბილისი.

ეს თბილისია.

თბილისი საქართველოს დედაქალაქია.

აი ფანქარი

ეს ფანქარია.

ეს პატარა ფანქარია, ის დიდი ფანქარია.

აი ჟირაფი.

ეს ჟირაფია.

აი ბევრი ჟირაფი.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

**15. დააკვირდით წერის მიმართულებას და გამოწერეთ ასოები:**

**ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ხ, ჯ, ჰ**







ღ _____

ყ _____

შ _____

ჩ _____

ც _____

ძ _____

წ _____

ჭ _____

ხ _____

ჯ _____

ჰ _____

16. წაიკითხეთ და ივარჯიშეთ სიტყვების გამოწერაში:

| | |
|---|---|
| შვილი | ჩვენი |
| ყვავილი | ძაღლი |
| შველი | ჩანჩქერი |
| ყეფს | ძველი |
| ღორი | ცა |
| ცხენი | ჭარხალი |

| | |
|---|---|
| წითელი | ჰაერი |
| სახლი | ჯოხი |
| ჭრიჭინა | ჰყავს |
| წევს | უჯრა |
| ჯარი | ჰამაკი |

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

**17. გავიხსენოთ, როგორ იწერება ხმოვნები: ა ე ი ო უ... ჩასვით ხმოვნები ისე, რომ მიიღოთ სიტყვა:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ძ | რ | | ხ | |

| | | | |
|---|---|---|---|
| კ | ა | | ა |

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩ | | ტ | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | რ | | მ | ი |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კ | | ლ | | მ | |

| | | |
|---|---|---|
| | თ | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ხ | | რ | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რ | ვ | | | ლ | |

**18. ხაზი გაუსვით ხმოვნებს და ამოიწერეთ სიტყვები.**

| |
|---|
| ის რკო ~~რძე~~ სხვა კი |
| რუ დღე ფხა ხბო ყრუ |

| ა | ე | ი | ო | უ |
|---|---|---|---|---|
| _____ | რძე | _____ | _____ | _____ |
| _____ | _____ | _____ | _____ | _____ |

19. შეარჩიეთ ბ, გ, დ, მ ბგერების შემცველი სიტყვები და ამოიწერეთ.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ~~ბარი~~ | და | გირი | აბი | ომი |
| გაზი | დედა | მამა | | |

| გ | ბ | დ | მ |
|---|---|---|---|
| ბარი | _____ | _____ | _____ |
| _____ | _____ | _____ | _____ |

20. მოძებნეთ კ, ჭ, ტ, ვ თანხმოვნების შემცველი სიტყვები და ამოიწერეთ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტყე | ჭა | ვაზი | კანი | ტოტი | კუ | ვაშლი |
| დევი | ჭორი | ტანი | ჭერი | კარი | | |

კ _____

ჭ _____

ტ _____

ვ _____

21. შეარჩიეთ ფ, თ, ქ, ღ, ზ ბგერების შემცველი სიტყვები და ამოიწერეთ.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ღორი | ფაფა | ქილა | ზარი | თხა | ფერი | ღარი | კუზი |
| ზომა | თივა | ფული | ღილი | ოქრო | რქა | თოვლი | |

ფ _____

თ _____

ქ _____

ღ _____

ზ _____

22. შეარჩიეთ ლ, ნ, პ, რ, ს ბგერების შემცველი სიტყვები და შეავსეთ ცხრილი.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ლომი | ქორი | სამი | ნელა | პომადა |
| რძე | სიმი | ლამი | ნოე | პოზა |

| ლ | ნ | პ | რ | ს |
|---|---|---|---|---|
| _____ | _____ | _____ | _____ | _____ |
| _____ | _____ | _____ | _____ | _____ |

23. ჩაწერეთ სათანადო ასო (ჯ, ჩ, ყ, ჭ, ც) გამოტოვებულ უჯრაში:

| | | | |
|---|---|---|---|
| | ა | რ | ი |

| | | | |
|---|---|---|---|
| ხ | ა | | ო |

| | | |
|---|---|---|
| | ი | ა |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ვ | ე | ლ | ი |

| | | |
|---|---|---|
| ტ | | ე |

| | | | |
|---|---|---|---|
| | ო | მ | ი |

| | | | |
|---|---|---|---|
| | ი | ტ | ი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ვ | ა | ვ | ი |

24. ივარჯიშეთ ტექსტების კითხვაში:

აი აზერბაიჯანელი.

აი ქართველი და აზერბაიჯანელი.

აი სომეხი.

აი სომეხი, ქართველი და აზერბაიჯანელი.

ეს გვირილაა.

გვირილა ყვავილია.

გვირილა ლამაზი ყვავილია.

ეს შველია.

აი ცხენი.

ეს თეთრი ცხენია.

ცხენი ჭიხვინებს.

ეს ჭრიჭინაა.

ჭრიჭინა ჭრიჭინებს.

ეს ჭარხალია.
ჭარხალი წითელია.
აი ძაღლი.
ეს ძაღლი ყეფს.
ეს ჩვენი სახლია.
ჩვენი სახლი ლამაზია.
ეს დიდი ჯოხია.
ეს ჩანჩქერია.
ეს ჩანჩქერი დიდია.
აი ჯოხი.
ეს ჰამაკია.
მარო ჰამაკში წევს.

* * *

ეს თაგვია.
ეს მაგიდაა.
ეს გემია.
აქ  გულია.
ეს გზაა.
აქ წიგნია.
ეს კარგი წიგნია.

* * *

ეს კატოს კაბაა.
ის აკაკის კალამია.
ეს კატოს კომპიუტერია.
ეს აკაკის სკოლაა.
ის კატოს სკოლაა.
ეს კატოს კლასია.
ის აკაკის კლასია.
ეს კატოს სკამია.
ის აკაკის სკამია.
კატო კითხულობს.
აკაკი კითხულობს.

* * *

ქარია.
ქარი ქრის.
აქ მანქანაა
ეს მანქანა ტაქსია.

აქ ქალია.
ეს ქალი ქეთია.
ქეთი დირექტორია.
ეს ქეთის ქუდია.
ეს ქეთის ქოლგაა.
ქეთი თქვენი სკოლის დირექტორია.
ქეთი მანქანას აჩერებს.
ქარი ქრის.

* * *

ქარიანი ამინდია. ქარი ქრის, ქარბუქია. გარეთ ცივა. გოგას ეზოში გოგრა აქვს დათესილი. გოგრას ქარი არ უყვარს. გოგრა გაფუჭდება... გოგას გოგრა ქარში იბუზება. გოგა დედას სთხოვს, გოგრას ქურქი ჩააცვას. დედა იცინის...
კარზე კაკუნია. კარზე აკაკი დააკაკუნებს. აკაკი საქათმიდან მოდის. აკაკის შესცივდა. აკაკი ამბობს, რომ ქათამი საქათმეში იქექება. ქათამსაც სცივა.

* * *

მე გიული ვარ. ჩემი გვარია გოგია. მე გოგო ვარ. მე სკოლაში დავდივარ. სკოლაში ბევრი გაკვეთილი გვიტარდება. გუშინ 4 გაკვეთილი გვქონდა.ზოგჯერ 5 გაკვეთილი გვაქვს. დღეს 4 გაკვეთილი გვაქვს. ხვალ 5 გაკვეთილი გვექნება. ზეგ 5 გაკვეთილი გვექნება. ახლა გაზაფხულია. გარეთ კარგი ამინდია. გარეთ არ გრილა. მე სულ გარეთ მინდა. გუშინ სკოლაში ფეხით წავედი. სახლიდან გვიან გამოვედი. თურმე საათი გაჩერდა.
გზაში მეგი დეიდა შემხვდა. მეგი დეიდა გამყიდველია. ის კარგი ქალია. მეგი დეიდა სულ გვიღიმის.
- გიული, მგონი სკოლაში აგვიანებ. საათი გაჩერდა? - გამიღიმა მეგი დეიდამ.
- გვიანია? საათი გაჩერდა? მგონი გაკვეთილზე მაგვიანდება!
გზაში ძალიან ცხელა მე გავრბივარ. დავიღალე. გავრბივარ. გაკვეთილზე ვაგვიანებ. გული მიცემს.
გია მასწავლებელი მაგიდასთან ზის.
- გამარჯობათ, გია მასწავლებელო!
- გამარჯობა, გიული. შემოდი, დაგაგვიანდა - ამბობს გია მასწავლებელი.
- როგორ დამაგვიანდა! - ვამბობ მე.
გაკვეთილი გადის. გული აღარ მიცემს. მალე მეორე გაკვეთილია. წიგნი გადავშალე. რა კარგია გია მასწავლებელი! მე დამაგვიანდა. საათი გაჩერდა. გია მასწავლებელი არ გაბრაზდა. როგორ დამაგვიანდა! მორჩა, გვიან აღარ გამოვალ!

* * *

ზამთარია. თოვს. ეზო თოვლით გადათეთრდა. თებერვალია. თებერვალში სულ თოვს. გარეთ სულ ცივა! თეო და თათო ოთახში არიან.

- თეო, გცივა?

- არა, თათო! - მოუთათუნა თათომ თათი თეოს.

ოთახში თბილა. თაგუნიებმა თვალები მინაბეს. ზამთარში და სითბოში თეოს და თათოს სულ ეძინებათ.

თეო თვითმფრინავშია. თეო ნათესავებთან მიდის. მეხუთე წელია, არ უნახავს თეოს ნათესავები. თიბო, ბათო და მათო მოუთმენლად ელიან ნათესავს. თაგუნიები საათებს ითვლიან. მალე უნდა ჩამოვიდეს თეო. თვითმფრინავი ოთხზე ჩამოდის. ახლა თერთმეტია. თითქოს საათი გაჩერდა.

აი, თეო ჩამოფრინდა. აი, ნათესავებთანაა სტუმრად. მეხუთე წელია, არ უნახავს ნათესავები. თიბო, ბათო და მათო თეატრში ცხოვრობენ. თიბომ, ბათომ და მათომ მისამართი ბარათში მიუთითეს. მათ ბინა თეატრის თავზე აქვთ. ნათესავები თეოს ეფერებიან.

- თეო, ხომ არ გცივა?

- არა, თიბო - მოუთათუნა თეომ თათი თიბოს.

- თეო, ერთი თვე ხომ დარჩები?

- მერე თათო?

თიბომ, ბათომ და მათომ თეოს თეატრი დაათვალიერებინეს. თეოს მოუნდა თეატრში მთავარი როლის თამაში.

თეო თეატრში მიიღეს. თეო თეატრში მთავარ როლს თამაშობს. ტაშია, თაგუნიებს ძალიან მოსწონთ თეოს თამაში.

თეომ თვალი გაახილა. თათოს თათი მის თავზე ედო და ეძინა. თეოს გაეღიმა. „მართლა წავალ ჩემს თბილ ნათესავებთან“, - თავის თავს ეუბნება თეო.

**1. ივარჯიშეთ ქართულისთვის სპეციფიკური ბგერების გამოწერაში:**

ჯ _____

ღ _____

ყ _____

ძ _____

ტ _____

ჭ _____

**2. წაიკითხეთ სიტყვები და ივარჯიშეთ მათს გამოწერაში:**

ღორი _____

ცელი _____

წელი _____

ჩირი _____

ჭირი _____

წრე _____

ჰიმნი _____

ჰამაკი _____

ღრუ _____

ყრუ _____

ყელი _____

ჯვარი _____

ყაყაჩო _____

ყვითელი _____

ყანჩა _____

წყალი _____

3. მიაქციეთ ყურადღება და არ აგერიოთ ერთმანეთში ხ - ს, შ - ფ, ყ -ვ, ჭ - ჯ ასოები.

ხელი _____

სელი _____

შიში _____

წიწილა _____

ყელი _____

ველი _____

ჭური _____

ჯური _____

4. მოძებნეთ შ, ჩ, ც, ძ, წ თანხმოვნების შემცველი სიტყვები და ამოიწერეთ.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ვაშლი | წამი | ჩირი | ცომი | ძალა |
| ცილა | ძილი | წუწუნი | ჩემი | შავი |

შ _____

ჩ _____

ც _____

ძ _____

წ _____

5. შეარჩიეთ ჟ, ხ, ჯ, ჰ ბგერების შემცველი სიტყვები და შეავსეთ ცხრილი.

| | | | |
|---|---|---|---|
| ეჟვანი | ჯარი | ხარი | ჟოლო |
| ჯამი | ჰაერი | ხილი | ჰამაკი |

| ჟ | ხ | ჯ | ჰ |
|---|---|---|---|
| _____ | _____ | _____ | _____ |
| _____ | _____ | _____ | _____ |

6. შეარჩიეთ ყ ბგერის შემცველი სიტყვები და ამოიწერეთ.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კაცი | ~~ტყე~~ | ჯარი | ყელი | კუდი | ყვავი |
| ყველი | თოვლი | ყური | ბარი | ყანა | |

~~ტყე~~ _____

_____

7. მოძებნეთ ისეთი სიტყვები, რომლებშიც ერთი და იგივე ასოებია გამოყენებული და დააწყვილეთ:

ქარი ტორი ქირა

ფლავი ტრიო ვაფლი

_____ _____ _____

_____ _____ _____

8. დაალაგეთ ასოები ისე, რომ მიიღოთ სიტყვა:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბ | თ | რ | ი | უ | |
| ი | ო | მ | ლ | | |
| ა | ი | ლ | ი | წ | წ |
| ტ | ჩ | ი | ი | | |
| რ | ხ | ო | ძ | ა | |
| ბ | ბ | ო | ო | | |
| ე | ე | ლ | პ | ა | პ |
| ვ | ე | რ | ი | ლ | უ |
| მ | ე | ი | რ | ი | |
| ე | ი | ბ | მ | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |

**9. ივარჯიშეთ კითხვაში:**

დღეს ოთხშაბათია. ხვალ ხუთშაბათი. ხვალ ხუთი გაკვეთილი აქვთ სკოლაში ბავშვებს. სკოლაში ხან ხუთი გაკვეთილი აქვთ, ხან ოთხი. ხვალ ნახატი უნდა დახატონ ხატვის გაკვეთილზე: „ადამიანის სხეული“. ხვალ მეხუთე გაკვეთილია ხატვა.

- სხვადასხვა ადამიანს სხვადასხვანაირი სხეული აქვს. სხვადასხვა ადამიანს ერთნაირი სხეულის ნაწილები აქვს, - მოუთხრობს ხათუნა კლასელებს და ნახატს ხატავს:

- აი თავი დავხატე, ახლა სახე, ახლა თმები,ხვეული და ხშირი თმები, ახლა ყელი, ყელში - ხახა, ყელში ხორხი, ხახა და ხორხია, თუმცა ნახატზე არ ჩანს. ახლა სახე. სახეზე კი ცხვირი, პირი, თვალი, ტუჩი, წარბი და წამწამებია.

ახლა ტანი. ტანთან ერთად ორი ხელი, ხერხემალი, ტანზე ხალი, ხალი - დიდი თუ პატარა? ხან დიდი და ხან პატარა... ტანზე მხრებიც, მხრები - დიდი თუ პატარა? ახლა დიდ მხრებს დავუხატავ, სხეულს დიდი მხრები ახლავს. ახოვანი მხრები მეტად ხიბლავს ხალხსაც. ახლა თითი: ხელის თითი, თითზე ფრჩხილი, ფრჩხილი გრძელია. თუმცა მოკლე ფრჩხილიც ხშირი არის.

ტანის ქვევით ორი ფეხი, თითო ფეხზე ხუთი თითი, თითო თითზე თითო ფრჩხილი.

ხატავს ნახატს მხიარულად ხათუნა და ხმამაღლა ხუმრობას აგრძელებს. ხატვას ხანდახან ხუმრობა უხდება. ხათუნა ხანდახან თანაკლასელების სახეებსაც გადახედავს და აგრძელებს ხატვას.

* * *

ხათუნას ყელი სტკივა, ახველებს. ვახო ექიმი მოდის. ვახო ექიმი ხათუნას ყელს უსინჯავს, მერე ხელს ხელზე ადებს, სიცხეს უზომავს, ხახაში იხედება, ხორხს უსინჯავს. ხუთ წამალს უწერს. ბევრ ხილს უნიშნავს. ხათუნას ხალისიანი ამხანაგი მიხო ხილით, ხორცით და ხაბიზგინით სავსე ხურჯინით მოდის. თაკო სახალხო აფთიაქში ყელისა და ყურის წამლებს ყიდულობს ხათუნასთვის. ხვალ ხათუნა ხალისიანი იქნება. ხახა ხილის და ხურმა მსხლის ნახარშით ურჩება. ხათუნა და მიხო ხვალ სკოლის ხიდთან ხელახლა იმხიარულებენ ერთად.

* * *

შაში უძველესი თამაშია. ეგვიპტეში ფარაონის აკლდამაში შაშის დაფა და შაშის ფიგურები აღმოაჩინეს. შაშს შავი და თეთრი ფიგურებით თამაშობენ. შაშის დაფაც შავი და თეთრი უჯრებისგან შედგება. შაში შეიძლება ითამაშო 100 ან 64 უჯრიან დაფაზე. შაშს მსოფლიოში ყველგან თამაშობენ. საერთაშორისო შაში საფრანგეთში შეიმუშავეს. შემდეგ საფრანგეთში შემუშავებული შაში მთელ მსოფლიოში გავრცელდა.

შიო ყოველ შაბათს სახლში შაშს თამაშობს. ამ შაბათსაც შაშის თამაში აქვს შიოს. შიო შალვას ეთამაშება შაშს. შიო შაშში სკოლის ჩემპიონია. სკოლაში შარშან ყველა

დაამარცხა, ფინალში შალვას აჯობა. ამ შაბათსაც შალვას ეთამაშება სახლში. შიოს ეშინია შემთხვევით შალვამ არ დაამარცხოს.

შიო შავი ფიგურებით თამაშობს. შალვა თეთრი ფიგურებით თამაშობს. შიოსა და შალვას შორის შაშში ანგარიში შიოს სასარგებლოდაა. შიოს შიში აქვს, შალვამ ანგარიში ამ თამაშის შემდეგ არ შეცვალოს. შიშის გამო შიო ფრთხილად თამაშობს.

შიოს შიში შაშის თამაშისას ბოლომდე შერჩა. შიშის გამო შალვასთან თამაშიც წააგო. შიოსა და შალვას შორის ანგარიში გათანაბრდა. შიო და შალვა შუა კვირაში, ოთხშაბათს ან ხუთშაბათს ისევ ითამაშებენ შაშს სკოლაში. შიოს შეუძლია ანგარიში ისევ შეცვალოს.

* * *

ეს რა წიგნია?- ეკითხება თათა თათიას.

ეს მწვანე წიგნია, - პასუხობს თათია.

„მწვანე წიგნი?“- კითხულობს თათა თათიას მწვანე წიგნზე.

მწვანე წიგნი რა არის?

მწვანე წიგნი არის წიგნი მცენარეებზე.

სკოლაში სწავლობ მწვანე წიგნით?

არა, მასწავლებელმა მწვანე წიგნიდან „წყლის და მარწყვის“ წაკითხვა გვთხოვა.

აა, სამი წლის წინ მეც ვისწავლე „წყალი და მარწყვი“ მწვანე წიგნიდან.

მოგეწონა?

კი, მომეწონა, სწრაფად წავიკითხე და რამდენიმე წუთში წითელ მარწყვზე წერაც დავიწყე.

მეც მომეწონება, გუშინწინ მწვანე წიგნიდან ნაძვის მწვანე წიწვის შესახებ ვისწავლე. სწავლის მერე მეც დავწერე მწვანე წიწვზე. მასწავლებელს მოეწონა ჩემი ნაწერი. „სასწაულია, ყოჩაღი მოსწავლე ხარ“, დამიწერა მასწავლებელმა ნაწერზე საწერი კალმით.

ერთი წამით, რომელი საათია?

ათის ათი წუთია.

მართლა? წავედი სწრაფად, ათ წუთში სახლში უნდა ვიყო. გუშინწინ ბებია ჩამოვიდა სოფლიდან. ადრე წვება და მინდა მივუსწრო დაძინებამდე.

* * *

გაზაფხულდა. მიწა გათბა. ბალახი გამწვანდა. ყანებსა და მინდვრებში ურემი აჭრიალდა. ჩიტები აჭიკჭიკდნენ. ბარტყები აჭყლოპინდნენ. ქათმები აკაკანდნენ. იხვები აჭიჭყინდნენ. გოჭები აჭყივლდნენ. ჭიები მიწიდან ამოვიდნენ.

ჭრიჭინა ვაკაჭი მინდორში ცხოვრობს. ჭრიჭინებს და ჭრიჭინებს ვაკაჭი. ჭრიჭინით მთელ მინდორს ყურები გამოუჭედა. მაგრამ უყვართ ჭკვიანი ვაკაჭი მეზობლებს. ვაკაჭის ბევრჯერ ჭირში ხელი გაუმართავს ნაირჭამიებისთვის. თვითონაც ბევრი ჭირი და ლხინი უნახავს. ბევრი გაჭირვება გამოუვლია.

- ვაკაჭი, როგორ არის საქმე?

ვაკაჭიმ თვალები მოჭუტა. მზის სხივები თვალებში უჭყიტინებს. ვინ არის ნეტავ? უუჰ, ბეჭო ყოფილა, მეზობელი. ჭარხლის ფოთოლზე გაჭიმულა და მზეს უფიცხებს ბეჭებს.

- კარგად, ბეჭო, კარგად! დათბა და გამითბა ბებერი ბეჭები.

- ბეჭო გაიკრიჭა და გვერდი იცვალა. თვალებიც მიხუჭა. ჭარხლის ფოთოლზეა გაჭიმული. უუუჰ, დიდი კვაჭია ეს ბეჭო! ჭიქა წყალს არ მოგაწოდებს! თვითონ თუ რამე დასჭირდაააა...

- ვაკაჭიმ თვალები მოჭუტა და აჭრიჭინდა. ჭრი-ჭრი, ჭრი-ჭრი - თვალები აქვს მოჭუტული ვაკაჭის.

დაბერდა ვაკაჭი. ბევრი ჭირი და ლხინი უნახავს. ბევრი გაჭირვება გამოუვლია. მაგრამ ვაკაჭი არ გაჭინჭყლდა. ვაკაჭი ჭკვიანია და კეთილი. ვაკაჭის თავზე ჭერი აქვს და საჭმელი არ აკლია. ნაირჭამიები პატივს სცემენ. აი, გაზაფხულდა. მიწა გათბა. ბალახი გამწვანდა. ყანებში და მინდვრებში ურემი აჭრიალდა. ჩიტები აჭიკჭიკდნენ. ბარტყები აჭყლოპინდნენ. ქათმები აკაკანდნენ. იხვები აჭიჭყინდნენ. გოჭები აჭყივლდნენ. ჭიები მიწიდან ამოვიდნენ. მეტი არაფერი უნდა ვაკაჭის.

* * *

ციცი, იცი რა?

ვიცი!

არაფერიც არ იცი!

ვიცი, როგორ არ ვიცი. ცხრა სექტემბერს, ოც საათზე, კონცერტზე მივდივართ.

საიდან იცი ეს ცხელ-ცხელი ამბები?

ცოტნეს ცოლმა ცუცამ მითხრა. ცუცამ სულ ცხელ-ცხელი ამბები იცის.

ცუცა სად ცხოვრობს?

მეცამეტე სართულზე, მარცხნივ ცხოვრობს.

არ ვიცოდი, რა ცუდია, რომ არც ვიცნობ, ალბათ ცოტა ხანია, რაც მეცამეტე სართულზე ცხოვრობს.

კი, ცოტა ხანია, მანამდე მეცხრამეტე ცხოვრობდა, მაინც უნდა იცნობდე.

კონცერტზე რას ჩაიცვამ?

ცხრაში ცოტა ცუდი ამინდია, ცოტა ცივა, მითუმეტეს, ოც საათზე, ამიტომ თბილად ჩავიცვამ, ცხვირი რომ არ გამეყინოს, შესვენებაზე ცხელ ყავასაც დავლევ.

თმებს არ დაივარცხნი?

აუცილებლად, თმებსაც დავივარცხნი, ახალ ფეხსაცმელსა და ტანსაცმელსაც შევიძენ და დავარცხნილი და გალამაზებული დავესწრები კონცერტს.

მეც, მეც დავივარცხნი, მეც შევიძენ ახალ ტანსაცმელს და ფეხსაცმელს. საოცარი კონცერტი იქნება და ჩვენც საოცარ ფორმაში ვიქნებით, - აგრძელებენ საუბარს ციცი და ციცო.

* * *

ძიძია ძალიან პატარა გოგოა. ძიძიას ძილი არ უყვარს. ძიძიას ძიძა ყოველთვის ძლივს აძინებს. ძიძია ძიძას დაძინებისას ძალიან აწვალებს. ძიძიას ძიძა მთელს ძალას ძიძიას დაძინებას ახმარს. ძიძიას დაძინებისგან დაუძლურებული ძიძა ძალიან მალე თვითონაც იძინებს.

ძიძია და ძიძა ძალიან წვალობდნენ დიდხანს. ძიძას ძიძიას ძმა დაეხმარა. ძიძიას ძმა ცხრა წლისაა. ძიძიას ძმას ძალიან უყვარს მულტფილმი „ძროხა და ძაღლი“.

ძიძიას ძმა ძალიან ხშირად ეძებს მულტფილმებს ტელევიზორში. ერთხელ ძალიან დიდი ხნის ძებნის შემდეგ „ძროხა და ძაღლის“ მულტფილმი მოძებნა. მულტფილმში ძროხა ძალიან სასაცილოა. ძროხა ძალიან ბევრ ბალახს ძოვს. ძროხას ძალიან ბევრი ბალახის ძოვისგან რძით გაძეძგილი ჯიქანი და ტანი აქვს. რძით გაძეძგილ ჯიქანს ძროხა ძლივს მიათრევს. დამძიმებული ძროხა ძლივს ინძრევა.

ძროხის გარდა, მულტფილმში მეორე გმირია - ძაღლი. ძაღლი ძალიან გამხდარია, მხოლოდ ძვალი და ტყავია დარჩენილი. ძაღლს მხოლოდ ძვლებს აჭმევენ. დაუძლურებული ძაღლი საჭმლისთვის სოფელში დაძუნძულებს. ერთხელაც, ძლიერ დამშეული ძაღლი ღობის ბოძებსა და ძელებს შორის ძეწნაზე მიბმულ ძროხას მიუახლოვდა. ძაღლი ძროხას დაედევნა. ძროხამ სქელი ძაფით დაწნული ბაწარი გაწყვიტა, ძელი და ბოძი მოგლიჯა და გაიქცა. რძით გაძეძგილ ჯიქანს ძლივს მიათრევდა ძროხა, ძაღლი მისდევდა და ყეფდა. ძროხისა და ძაღლის ამ ბრძოლის ამბავზე ყოველთვის იძინებდა ძიძია. დაძინების წინ ძიძიას ძიძა „ძროხისა და ძაღლის“ მულტფილმს ურთავდა. ძროხისა და ძაღლის ბრძოლით მოხიბლული ძიძია მხიარულად და ხალისიანად იძინებდა.

# თემა 2

## მარცვალი

*გაკვეთილი 4*

**1. წავიკითხოთ მარცვლები:**

ბა ბე ბი ბო ბუ
გა გე გი გო გუ
და დე დი დო დუ
ვა ვე ვი ვო ვუ
ზა ზე ზი ზო ზუ
თა თე თი თო თუ
კა კე კი კო კუ
ლა ლე ლი ლო ლუ
მა მე მი მო მუ
ნა ნე ნი ნო ნუ
პა პე პი პო პუ
ჟა ჟე ჟი ჟო ჟუ
რა რე რი რო რუ

სა სე სი სო სუ
ტა ტე ტი ტო ტუ
ფა ფე ფი ფო ფუ
ღა ღე ღი ღო ღუ
ყა ყე ყი ყო ყუ
ცა ცეც ცი ცო ცუ
ძა ძე ძი ძო ძუ
წა წე წი წო წუ
ჭა ჭე ჭი ჭო ჭუ
ხა ხე ხი ხო ხუ
ჯა ჯე ჯი ჯო ჯუ
ჰა ჰე ჰი ჰო ჰუ

**2. წავიკითხოთ სიტყვები დახურული მარცვლებით (დახურულია მარცვალი, რომელიც ორივე მხრიდან თანხმოვნებითაა შემოსაზღვრული):**

ძუნ–წი, აძ–ვრა, ცეც–ხლი, ცრემ–ლი, ჩან-თა, დას-ჯა, ზაფ-ხუ-ლი, ვეფ-ხვი, გა-ზაფ-ხუ-ლი, ბღა-ვის, ფიფ-ქი, ჩვიდ-მე-ტი, სტუ-დენ-ტი, სწავ-ლობს, მოს-წავ-ლე, ბუშ-ტი, ძაღ-ლი, კარ-გი, ვაშ-ლი, თაგ-ვი, თევ-ზი, თეთ-რი, თეფ-ში, თოვ-ლი, კიტ-რი, კოვ-ზი, წიგ-ნი, ბევ-რი, მარ-ტი, პალ-ტო, ლურ-ჯი, ჩან-გა-ლი, დე-კემ-ბე-რი, დი-რექ-ტო-რი, პა-რას-კე-ვი

**3. მოცემული წესების მიხედვით დავმარცვლოთ სიტყვები:**

***მარცვალში აუცილებლად არის ხმოვანი:*** კა-ცი, დე-და, ბავ-შვი, წიგ-ნი...
***თუ ხმოვანს მოსდევს ორი ან მეტი თანხმოვანი, პირველი თანხმოვანი პირველ მარცვალს ეკუთვნის, დანარჩენი – მეორეს:*** წიგ-ნი, ბავ-შვი.
***თუ სიტყვა ხმოვნით იწყება, ის ცალკე მარცვალს ქმნის***: ა-თა-სი, ო-რა-სი.

*თუ ორი ხმოვანია სიტყვაში, წინ კი თანხმოვანია, პირველი ხმოვანი წინა მარცვალს ეკუთვნის, მეორე კი – ცალკე მარცვალს ქმნის:* ა-და-მი-ა-ნი, ბი-ჭი-ა

| | | |
|---|---|---|
| ვარდი | კომბოსტო | იშვიათად |
| ალი | მადლობა | კარტოფილი |
| ია | მანქანა | მანდარინი |
| მარტი | მილოცვა | სექტემბერი |
| პალტო | მოსმენა | ოქტომბერი |
| ლურჯი | ორმოცი | ნოემბერი |
| ჩანგალი | სასმელი | მისამართი |
| ევროპა | შარვალი | მეთექვსმეტე |
| ზამთარი | კონცერტი | ორშაბათი |
| აგვისტო | კორპუსი | ოცდაათი |
| ადვილი | ჭარხალი | სამშაბათი |
| ამინდი | ფანქარი | ხუთშაბათი |
| ანბანი | პასპორტი | პარასკევი |
| აპრილი | პირდაპირ | ფაკულტეტი |
| აცვია | პირველი | სამზარეულო |
| თეატრი | სომხეთი | სამოცდაათი |
| ბერძენი | სომხური | ოთხმოცდაათი |
| ბოსტანი | გამარჯობა | უნივერსიტეტი |
| ბადრიჯანი | გაკვეთილი | აზერბაიჯანელი |
| გუშინწინ | დეკემბერი | აზერბაიჯანული |
| აკეთებს | დირექტორი | კომპიუტერი |
| ივლისი | ავტობუსი | აეროპორტი |
| ივნისი | თებერვალი | |
| თორმეტი | იანვარი | |

**4. მოცემული მარცვლებისგან შეადგინეთ სიტყვები:**

| | | |
|---|---|---|
| ბ ი | კ ო | |
| მ ა | ტ ყ ი | |
| ს ა ხ | ჭ ი | |
| ს ო | ლ ი | |
| ბ ა რ | მ ა | |

5. შეაერთეთ მარცვლები ისე, რომ მიიღოთ სიტყვა:

| | | |
|---|---|---|
| დ ე | გ ო | |
| გ ო | ლ ი | |
| ს ა ხ | თ ი | |
| ბ უ რ | დ ა | |

6. მოცემული მარცვლებისგან ააგეთ სიტყვები:

ფინ- სა- ხე- ძრო- წი- - ხა- წი- პა- ტა- ლა- რა- წყა- წყა-
ლი- ძა- ლი- ან- ცი- ვი- ფან- წა- ლი- მა- ჯა- ღა- ლი- მწა- ნი-
რე- ბავ- შვი- რო - პა- ტა- ლი- რა- ვე- გრძე- ზაფ- ხუ- ლი- ლი- საჭ-
მე- ვა- ლი- ღო- ე- რი- ჯა- რა- ლი- ნი- ცხო- ხმა- მა- ლი- ჰა-
თბი-

7. წაიკითხეთ და დაწერეთ დამარცვლით:

ყაყაჩო. ყაყაჩო ყვავილია. ყაყაჩო ძალიან ლამაზი ყვავილია.
პეპელა. პეპელა ლამაზია. ჭრელი პეპელა ძალიან ლამაზია.
პური. პური გემრიელია. ცხელი პური ძალიან გემრიელია.
ქერა. ქერა თმა. ტასოს ქერა თმა აქვს.
ღორი. დიდი ღორი. ეს ძალიან დიდი ღორია.
თითი. ათი თითი. ადამიანს ათი თითი აქვს.
ათასი. ათასი გვერდი. წიგნში ათასი გვერდია.
ტატო. ტატო ბიჭია. ტატო ძალიან კარგი ბიჭია.
ტასო. ტასო გოგოა. ტასო ძალიან კარგი გოგოა.
პაპა. პაპა მოხუცია. პეტრე პაპა ძალიან მოხუცია.
ჯოხი. გრძელი ჯოხი. ჯაბამ გრძელი ჯოხი შორს გადააგდო.
ტურა. ტურა ცხოველია. ტურა გარეული ცხოველია.
ქუდი. დიდი ქუდი. ეს ქუდი ძალიან დიდია.
ძროხა. ძროხა ცხოველია. ძროხა შინაური ცხოველია.
ბაყაყი. ბაყაყი მწვანეა. ბაყაყი წყალში ყიყინებს.
ქარი. ძლიერი ქარი. დღეს ძლიერი ქარია.
ღომი. ღომი გემრიელია. ეს ღომი ცხელია.
ფეხი. ფეხი სტკივა. პეტრე პაპას ფეხი სტკივა.
ღონიერი. ღონიერი კაცი. ტატოს მამა ძალიან ღონიერია.

ყანა. დიდი ყანა. ზურაბს დიდი ყანა აქვს.

პირი. დიდი პირი. ბავშვმა დიდი პირი დააღო.

ჭრიჭინა. ჭრიჭინა პატარაა. ზაფხულში ჭრიჭინა ჭრიჭინებს.

ჯაბა. ჯაბა ბიჭია. ჯაბა ძალიან ღონიერი ბიჭია.

თასი. აი თასი. თასში ღვინო ასხია.

ოფოფი. ოფოფი ფრინველია. ოფოფს ფერადი ბუმბული აქვს.

ჰავა. თბილი ჰავა. საქართველოში თბილი ჰავაა.

ჟუჟუნა. ჟუჟუნა ქალია. ჟუჟუნა ქალის სახელია.

წიწილა. პატარა წიწილა. პატარა წიწილა ძალიან წივის.

წამალი. მწარე წამალი. ბავშვმა მწარე წითელი წამალი დალია.

ჭამს. ბევრს ჭამს. დიდი ღორი ბევრ საჭმელს ჭამს.

ჰაერი. კარგი ჰაერი. მთაში კარგი ჰაერია.

ფანჯარა. ფართო ფანჯარა. ჯაბამ ფინჯანი ფანჯრიდან გადააგდო.

ხელი. დიდი ხელები. ხათუნას დიდი ხელები აქვს.

ხმა. მაღალი ხმა. ხათუნას ხმამაღლა ლაპარაკი უყვარს.

ფაფა. ფაფა გემრიელია. ბავშვს გემრიელი ფაფა აჭამეს.

**8. წაიკითხეთ მოცემული წინადადებები და დამარცვლეთ სიტყვები:**

მე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვსწავლობ. ჩემი ოჯახი სოფელში ცხოვრობს. მე ახლა თბილისში ვარ. თბილისი საქართველოს დედაქალაქია. მე საქართველოს მოქალაქე ვარ. ჩემი მშობლიური ენა აზერბაიჯანულია / სომხურია. მე ვსწავლობ ქართულ ენას.

**9. ივარჯიშეთ ნაცნობი სიტყვების დამარცვლაში (დავალება შეასრულეთ სამუშაო რვეულში):**

**10. ივარჯიშეთ ტექსტების კითხვაში (დამარცვლეთ სიტყვები):**

**სასწავლო ნივთები**

აი ფანქარი.

ეს ფანქარია.

ეს ფანქარი გრძელია.

აი ფანქარი. ესეც ფანქარია.

ეს ფანქარი გრძელი არ არის, ეს ფანქარი მოკლეა.

აი სახაზავი. ეს სახაზავია.

ეს სახაზავი გრძელია.

ეს სახაზავი გრძელი არ არის ეს სახაზავი მოკლეა.

აი წიგნი. ეს წიგნია.
ეს წიგნი დიდია.
აი წიგნი. ესეც წიგნია.
ეს წიგნი დიდი არ არის.
ეს წიგნი პატარაა.

აი რვეული. ეს რვეულია.
ეს რვეული სქელია.
აი რვეული. ესეც რვეულია.
ეს რვეული სქელი არ არის, ეს რვეული თხელია.

აი ჩანთა. ეს ჩანთაა.
ეს ჩანთა მძიმეა.
აი ჩანთა. ესეც ჩანთაა.
ეს ჩანთა მძიმე არ არის, ეს ჩანთა მსუბუქია.

ეს ფანქარი გრძელია.
ეს ფანქარი მოკლეა.
ეს წიგნი დიდია.
ეს წიგნი პატარაა.
ეს რვეული სქელია
ეს რვეული თხელია.
ეს ჩანთა მძიმეა.
ეს ჩანთა მსუბუქია.

*ცირა ქიტიაშვილი*

**ფიფქები**

ვითვლი და ვითვლი, ვითვლი და ვითვლი,
ცვივა და ცვივა ზეციდან ფიფქი...
ასე პაწაწა და ლამაზები,
პეპელას ფრთაზე უფრო ნაზები,
მოგზაურები შორი გზისანი,
შვილობილები მაღალ ცისანი
მოფარფატებენ, მოიჩქარიან,
იქნება ჩვენთან მოუხარიათ ?
ერთურთს არ ჰგვანან, არა სრულიად,
ყველა ზღაპრული სასწაულია.

რა კარგები ხართ! - ვეჩურჩულები
- თოვლით ამივსეთ ხელისგულები.
ასე ქათქათა, ასე ჩუმები...

## წელიწადის დროები

წელიწადს ოთხი დრო აქვს: გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი.
გაზაფხული ლამაზია. გაზაფხულზე ბევრი ყვავილია.
ჯერ ია და ენძელა ამოდიან. მერე ტიტა და ვარდი ამოდიან.
ზაფხული ცხელია. მზე ანათებს. ცა ლურჯია.
შემოდგომა ჭრელია. ფოთლები ფერად–ფერადია.
შემოდგომა გრილია. შემოდგომაზე მოსავალს იღებენ.
ზამთარში თოვს. ზამთარი ცივია.
ბავშვები გუნდაობენ. ბავშვები ციგაობენ.
წელიწადის ყველა დრო მშვენიერია.

## მომღერალი ჩიტი

იყო ერთი ჩიტი. ის ბევრს მღეროდა. ყველა იყო ბედნიერი. მეფემ დაინახა პატარა ჩიტი.
მან უთხრა ჩიტს: „მოდი და იცხოვრე აქ, ლამაზ გალიაში."
„იმღერე, პატარა ჩიტო!" - თქვა მეფემ.
გალიაში ჩასმული პატარა ჩიტი არ მღეროდა. ის ძალიან მოწყენილი იყო.
შემდეგ მეფემ უთხრა: „აი, საკვები შენთვის, ახლა მაინც იმღერე!"
პატარა ჩიტი მაინც არ მღეროდა. ის კვლავ მოწყენილი იყო.
მეფემაც ძალიან მოიწყინა.
შემდეგ მეფემ გაუშვა ჩიტი: „წადი პატარა ჩიტუნია, წადი!"
ჩიტი გაფრინდა მაღლა და მაღლა... ჩიტი ძალიან გახარებული იყო. მან კვლავ დაიწყო
სიმღერა. ყველა ბედნიერი იყო. მეფეც ასევე ძალიან ბედნიერი იყო.

*ე. უშინსკი*

## თალგამი

პაპამ თალგამი დარგო. თალგამი დიდზე დიდი გაიზარდა.
დაიწყო პაპამ ამოღება.
სწია, სწია - ვერ ამოსწია.
საშველად ბებოს დაუძახა.
ბებო მოეჭიდა პაპას, პაპა თალგამს. სწიეს, სწიეს, ვერ ამოსწიეს.
ბებომ გოგონას დაუძახა.

გოგონა მოეჭიდა ბებოს, ბებო პაპას, პაპა თალგამს. სწიეს, სწიეს, ვერ ამოსწიეს.

გოგონამ მურას დაუძახა.

მურა მოეჭიდა გოგონას, გოგონა ბებიას, ბებია პაპას, პაპა თალგამს. სწიეს, სწიეს, ვერ ამოსწიეს.

მურამ კატას დაუძახა.

კატა მოეჭიდა მურას, მურა მოეჭიდა გოგონას, გოგონა მოეჭიდა ბებოს, ბებია მოეჭიდა პაპას, პაპა მოეჭიდა თალგამს. სწიეს, სწიეს, ვერ ამოსწიეს.

კატამ თაგვს დაუძახა.

თაგვი მოეჭიდა კატას, კატა მოეჭიდა მურას, მურა მოეჭიდა გოგონას, გოგონა მოეჭიდა ბებოს, ბებო მოეჭიდა პაპას, პაპა მოეჭიდა თალგამს. სწიეს, სწიეს და თალგამი ამოიღეს!

## ფეხბურთი

მე ვთამაშობ ფეხბურთს. მე ვთამაშობ მინდორზე.

მე ვთამაშობ ჩემს მეგობრებთან ერთად.

ჩვენ ვთამაშობთ ფეხბურთს ბაღში. ჩვენ ვთამაშობთ ჩვენს მშობლებთან ერთად.

მე ვთამაშობ ფეხბურთს. მე ვთამაშობ სკოლაში. მე ვთამაშობ ჩემს მეგობრებთან ერთად.

ჩვენ ვთამაშობთ პარკში. ჩვენ ვთამაშობთ ფეხბურთს ჩვენს ბებიასთან და ბაბუასთან ერთად.

მე ვთამაშობ ფეხბურთს. მე ვთამაშობ ბიჭებთან ერთად.

მე ვთამაშობ ფეხბურთს. მე ვთამაშობ სანაპიროზე. მე ვთამაშობ ჩემს დეიდასთან და ბიძასთან ერთად.

მე ვთამაშობ ფეხბურთს საფეხბურთო კლუბში. მე ვთამაშობ გუნდში.

ჩვენ ყველას შეგვიძლია ფეხბურთის თამაში.

# თემა 3

## მარტივი კითხვები: ვინ ხარ? სად ცხოვრობ? რომელი ქალაქიდან/სოფლიდან ხარ? რამდენი წლის ხარ?

*გაკვეთილი 5*

**1. წაიკითხეთ დიალოგები:**

- ვინ ხარ?
- მე მასწავლებელი ვარ.
- თქვენ ვინ ხართ?
- მე არქიტექტორი ვარ. ის ვინ არის?
- ის დირექტორია.
- ჩვენ ლექტორები ვართ. თქვენ ვინ ხართ?
- ჩვენ სტუდენტები ვართ. ისინი ვინ არიან?
- ისინი მოსწავლეები არიან.

- მე ამირან გოგოლაძე ვარ. თქვენ?
- მე ვლადიმერ სმირნოვი ვარ. ის ვინ არის?
- ის არის ალი ისკანდეროვი.

- თქვენ ვინ ხართ?
- მე ვარ სალომე.
- თქვენ მასწავლებელი ხართ?
- დიახ, მე მასწავლებელი ვარ.

**2. მესამე პირში გადაიყვანეთ მოცემული დიალოგი და დაწერეთ.**

**ნიმუში:** *ის მასწავლებელია; ის არქიტექტორია. ის დირექტორია. ისინი სტუდენტები არიან. ისინი მოსწავლეები არიან... (გააგრძელეთ...)*

**3. წაიკითხეთ ტექსტი:**

* * *

- მე ნანა  მიქავა ვარ. ვცხოვრობ თბილისში. მე სტუდენტი ვარ. ვსწავლობ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე, პირველ კურსზე. მე 17 წლის ვარ. ეროვნებით ვარ ქართველი, ვცხოვრობ საქართველოში, ვარ საქართველოს მოქალაქე.

- მაია მანუკიანი 18 წლის არის. ის უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე სწავლობს, მესამე კურსზე. მაია თბილისში ცხოვრობს, ავლაბარში. ის არის საქართველოს მოქალაქე.
- ალი ალიევი 19 წლის არის. ის ტექნიკურ უნივერსიტეტში სწავლობს, მეორე კურსზე. ცხოვრობს ბოლნისში. ალი  არის საქართველოს მოქალაქე.

**4. წაკითხულის მიხედვით, წერილობით უპასუხეთ კითხვებს:**

ვინ არის ნანა მიქავა?

_____

სად ცხოვრობს?

_____

სად სწავლობს?

_____

რამდენი წლისაა?

_____

ვინ არის მაია მანუკიანი?

_____

სად ცხოვრობს?

_____

სად სწავლობს?

_____

რამდენი წლისაა?

_____

ვინ არის ალი ალიევი?

_____

სად ცხოვრობს?

_____

სად სწავლობს?

_____

რამდენი წლისაა?

_____

**5. წაიკითხეთ ტექსტი:**

- შენ ჯავახიშვილის *უნივერსიტეტში* სწავლობ?
- არა, ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტში არ ვსწავლობ, მე ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტში ვსწავლობ.
- ისტორიის *ფაკულტეტზე* სწავლობ?
- არა, ისტორიის ფაკულტეტზე არ ვსწავლობ, მე იურიდიულ ფაკულტეტზე ვსწავლობ.
- ის ვინ არის?
- ის არის ალეკო მარგიანი?
- სად სწავლობს?
- არ სწავლობს, მუშაობს. ის 26 წლის არის და სკოლაში მუშაობს.

**6. უპასუხეთ კითხვებს წერილობით:**

<u>ნიმუში</u>: მე ვარ არმენ მანუკიანი... მე ვცხოვრობ ახალქალაქის რაიონის სოფელ კუმურდოში...

***შენ ვინ ხარ?***

_____

_____

***სად ცხოვრობ?***

_____

_____

***სად სწავლობ?***

_____

_____

***სად მუშაობ?***

_____

_____

**7. სწორი ფორმები დატოვეთ, არასწორი – გადახაზეთ.**

| | |
|---|---|
| ის ჩემი მეგობარი ხარ. | ჩვენ შენი მეგობრები ხართ. |
| მე შენი მეგობარი არის. | ის ჩემი მეგობარი ვარ. |
| თქვენ ჩემი მეგობრები არიან. | ისინი ჩემი მეგობრები ხართ. |
| მე შენი მეგობარი ხარ. | ის ჩემი მეგობარი არის. |
| შენ ჩემი მეგობარი ვარ. | მე შენი მეგობარი ვარ. |
| შენ ჩემი მეგობარი ხარ. | ჩვენ შენი მეგობრები ვართ. |
| ჩვენ შენი მეგობრები ვარ. | თქვენ ჩემი მეგობრები ვართ. |
| ჩვენ შენი მეგობრები არიან. | შენ ჩემი მეგობარი არის. |
| თქვენ ჩემი მეგობრები ხართ. | ისინი ჩემი მეგობრები არიან. |
| ის ჩვენი მეგობარია. | ის თქვენი მეგობარი ხარ. |

**8. შეადგინეთ წინადადებები *მე, შენ, ის, ჩვენ, თქვენ* ნაცვალსახელების გამოყენებით:**

_____

_____

_____

_____

_____

**9. წაიკითხეთ დიალოგები და შემდეგ თქვენ თვითონ დაწერეთ დიალოგი მოცემული ფორმების გამოყენებით:**

- ვინ ხარ?
- მე გიორგი ვარ.
- თქვენ ვინ ხართ?
- მე მასწავლებელი ვარ. ის ვინ არის?
- ის ჩემი მეგობარია.
- ჩვენ მეგობრები ვართ. თქვენ ვინ ხართ?
- ჩვენ სტუდენტები ვართ.
- სად სწავლობთ?
- ჩვენ უნივერსიტეტში ვსწავლობთ.
- ისინი ვინ არიან?
- ისინი ფეხბურთელები არიან.

- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____

**10. დაწერეთ თანაკლასელის, მასწავლებლის, მეგობრის შესახებ (ვინ არის? სად ცხოვრობს? სად სწავლობს / სად მუშაობს?**

(ინდივიდუალური მუშაობა; მონაწილეობას იღებს მთელი ჯგუფი).

**11. წაიკითხეთ ტექსტი და გაეცით პასუხი შეკითხვებს:**

**უცნაური შენობები**

გუშინ დედას მეგობრები მოვიდნენ სტუმრად. ერთმა სტუმარმა - ანამ - დიდი სურათებიანი წიგნი მაჩუქა.

- იმედია, მოგეწონება! - მითხრა ანამ.

- ძალიან დიდი მადლობა! - ვუპასუხე მე.

ოთახში გავიქეცი. წიგნს ვკითხულობ. წიგნში უცნაური შენობებია.

აი, ჩემი საყვარელი შენობები:

**კალათის შენობა**

ეს კალათის შენობა ძალიან მომეწონა. ის ამერიკაშია. ეს შენობა კალათს ჰგავს.

**ბიბლიოთეკა**

ბიბლიოთეკის შენობაც ძალიან მომეწონა. ასეთ შენობაში ბევრს ვიკითხავდი. ნეტავ ბევრი ადამიანი დადის აქ?

**დაღუნული სახლი**

დაღუნული სახლიც ძალიან მომეწონა. ამ სახლს დაღუნული ხაზები აქვს. ამ სახლში მაღაზიებია.

**მოცეკვავე შენობა**

მოცეკვავე სახლიც ძალიან მომეწონა. ის ქალაქშია. ის ყველას ძალიან მოსწონს.

**როიალის სახლი**

როიალის სახლიც ძალიან მომეწონა.

როიალის სახლი შუშისაა.

**შენ რომელი შენობა მოგეწონა? რატომ?**

**კითხვები:**

1. ვინ მომიტანა წიგნი?

_____

2. რომელი შენობაა შუშის?

_____

3. სად არის მაღაზიები?

_____

4. რატომ დადიან ბიბლიოთეკაში?

_____

5. როგორია ყველა შენობა?

_____

_____

6. რომელი შენობა მოგეწონა? რატომ მოგეწონა?

_____

_____

**12. ივარჯიშეთ კითხვაში:**

**ჩემი მეგობრები**

ეს არის ლუკა.
ლუკა ჩემი მეგობარია. ის კეთილია.
ეს არის ლიკა.
ლიკაც ჩემი მეგობარია. ის ლამაზია.
ეს არის თიკა.
თიკაც ჩემი მეგობარია. ის კეთილიც არის და ლამაზიც.
მე, ლუკა, ლიკა და თიკა მეგობრები ვართ.

## ჩემი მეგობარი

მე მყავს მეგობარი.
ჩემი მეგობარი ცხოვრობს რუსთავში.
ჩემი მეგობარი  გოგონაა.
მას ჰქვია მარიამი.
მარიამი კარგი გოგოა.
მარიამს  უყვარს კითხვა.
მარიამი კარგი მკითხველია.
მან კარგად იცის მათემატიკაც.
მათემატიკა  მისი საყვარელი საგანია.
მარიამი  ჭკვიანი გოგოა.
მე მიყვარს მარიამთან საუბარი.
ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ.
მე მიყვარს მარიამთან  ერთად სეირნობა.
ჩვენ ერთად ხშირად ვსეირნობთ.
მარიამი ჩემი საუკეთესო მეგობარია.

## ჩვენი კლასი

ზურა ჩემი კლასელია. მას აქვს მოკლე თმა.
ლია ჩემი კლასელია.  მას აქვს ჭორფლები.
ნანა ჩემი კლასელია.  მას აქვს ყავისფერი თვალები.
არტური ჩემი კლასელია.  მას აქვს წითელი თმა.
ბილურა ჩემი კლასელია.  მას აქვს საყურეები.
ანა ჩემი კლასელია.  მას აქვს ცისფერი თვალები.
ზოჰრა ჩვენს კლასშია.  მას აქვს გრძელი თმა.
ეს ჩემი კლასია!

## საუკეთესო ქვიშის სასახლე

ჩვენ წავედით სანაპიროზე.
ჩვენ გავაკეთეთ ქვიშის სასახლე.
- ჩემი უფრო ლამაზია! - თქვა მარიმ.
- არა, ჩემია უფრო ლამაზი, - თქვა ნიკამ.
- მე უფრო ბევრი ქვიშისგან ავაშენე სასახლე. ის უფრო დიდია, - თქვა  მარიმ.
- მე უფრო ბევრი ნიჟარისგან ავაშენე ჩემი სასახლე, - თქვა ნიკამ.
- მე ვამატე და ვამატე ქვიშა ჩემს სასახლეს. ის ახლა კიდევ უფრო დიდია, - თქვა მარიმ.

- მე კიდევ ქვები და წყალმცენარეები დავამატე ჩემს სასახლეს. ის ახლა უფრო ლამაზია! - თქვა ნიკამ. - ჩემი მაინც საუკეთესოა!

უცებ ზღვის ტალღამ გადაუარა ქვიშის სასახლეებს და დაანგრია ნიკას სასახლე.

ნიკა დანაღვლიანდა.

- ახლა ჩემი ქვიშის სასახლე ერთადერთია და ყველაზე ლამაზი! - თქვა გახარებულმა მარიმ.

## საჩუქარი ბავშვისთვის

ორშაბათს დედა წავიდა საავადმყოფოში. ჩემთან ბებია და ბაბუა დარჩნენ.

სამშაბათს დედას ეყოლა ბავშვი. მამამ დედას ყვავილების თაიგული მიართვა საავადმყოფოში.

ოთხშაბათს მე წავედი ბავშვისა და დედას სანახავად. მე დედას საჩუქარი მივუტანე.

ხუთშაბათს მე წავედი საავადმყოფოში ბებიასთან ერთად, შოკოლადი წავუღე დედას.

პარასკევს მე ბაბუასთან ერთად წავედი საავადმყოფოში. ბაბუამ ბავშვი აატირა.

შაბათს ჩვენ ყველა ერთად წავედით ბავშვის სანახავად. ბებიამ პატარას საჩუქრად პატარა ფეხსაცმელი მიუტანა.

კვირას დედა და პატარა სახლში დაბრუნდნენ.

ოჰ, რა საჩუქარია ჩემთვის! რა ლამაზი მაისურია!... მადლობა, პატარავ!

## საცურაო აუზი

დღეს ძალიან ცხელა. მე მცხელა. მე ძალიან მცხელა.

რა გავაკეთო?

მე შემიძლია წავიდე საცურაოდ. მე შემიძლია წავიდე აუზზე საცურაოდ.

საცურაო აუზი დიდია. მე ვიცი ცურვა. მე კარგად ვცურავ. შემიძლია ვიცურაო დიდ აუზში.

ჯერ მე უნდა დავრეკო. ტელეფონით უნდა დავრეკო. ნეტავ ღიაა აუზი? სად არის ტელეფონი?

ირეკება! ირეკება!

„გისმენთ! "

„საცურაო აუზია?"

„დიახ. რა გნებავთ?"

„აუზი ღიაა?"

„დიახ."

„შეიძლება საცურაოდ მოსვლა?"

„დიახ, შეიძლება."

„გმადლობთ!"

„არაფრის, ნახვამდის!"

რა კარგია! აუზი ღიაა! ახლავე მივდივარ. ახლა გავგრილდები!

# თემა 4

## ადგილი, მიმართულება

*გაკვეთილი 6*

1. ეს გლობუსია. იცით რომელიმე ქვეყნის ქართული სახელწოდება? ჩამოთვალეთ:

2. რა ჰქვია იმ ქვეყანას, სადაც თქვენ ცხოვრობთ (თქვენს ენაზე, ქართულად)?




3. ამ სიტყვების გამოყენებით აღწერეთ კავკასიის ქვეყნები – საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი - ერთმანეთის მიმართ რა მდებარეობა აქვთ.

4. აღწერეთ თქვენი სოფელი. გამოიყენეთ სიტყვები: აღმოსავლეთით, ჩრდილოეთით, სამხრეთით, დასავლეთით (წერითი დავალება).

5. წაიკითხეთ დიალოგი:

- გამარჯობათ!
- გამარჯობათ!
- აბაშიძის ქუჩა სად არის, *ახლოსაა* თუ *შორს*?
- შორს არაა, ახლოსაა, ფეხით მიხვალთ.
- როგორ *მივიდე* იქ?
- *მიბრძანდით პირდაპირ*, შემდეგ *მარჯვნივ*. იქ პატარა ბაღია, ბაღის *ზემოთ*, *მარცხენა მხარეს* იწყება ეს ქუჩა.
- გმადლობთ!
- არაფრის!
- თუ შეიძლება, ისიც *მითხარით*, რომელი საათია?
- *სიამოვნებით*. ახლა ხუთის ოცი წუთია.
- გმადლობთ, კარგად ბრძანდებოდეთ!
- კარგად ბრძანდებოდეთ!




6. გავიმეოროთ:




7. გაიმეორეთ და დაიმახსოვრეთ ახალი ანტონიმები:

| | | |
|---|---|---|
| ძველი | – | ახალი |
| ვიწრო | – | განიერი |
| ახლოს | – | შორს |
| ზემოთ | – | ქვემოთ |
| მარჯვნივ | – | მარცხნივ |

**8. გაეცანით გეგმას:**




**9. ამ გეგმის მიხედვით:**

I. როგორ მიხვალთ სახლიდან სადგურამდე?

II. როგორ მიხვალთ სახლიდან სკოლამდე?

III. როგორ მიხვალთ სკოლიდან საავადმყოფომდე?

IV. როგორ მიხვალთ სკოლიდან უნივერსიტეტამდე?

გამოიყენეთ სიტყვები:

| | |
|---|---|
| *მარჯვნივ* | *დაღმართი* |
| *მარცხნივ* | *პირდაპირ* |
| *წინ* | *მოსახვევი* |
| *უკან* | *აღმართი* |

*კუთხე (კუთხეში)*

**10. დააკვირდით სქემას. გივი იმყოფება პუნქტში. იგი უნდა მივიდეს შოთასთან პუნქტში. შოთა უხსნის გივის მარშრუტს. გამოიყენეთ ყუთში ჩაყრილი სიტყვები და შეავსეთ ტექსტში გამოტოვებული ადგილები:**

პირდაპირ შესახვევში სახლთან მიხვალ თეატრს ივლი ისევ გაჩერებას
მიადგები ქუჩაზე განაგრძე მიწისქვეშა დაინახავ გადასასვლელთან
მარცხნივ გზაჯვარედინზე ავტობუსის მარჯვნივ გადაკვეთ გადახვალ
ფილარმონიას თეატრთან გაივლი პატარა გაუხვევ

ა. მიდი მიწისქვეშა ———————————— (56), გადადი პუშკინის ———————————— (57), გააგრძელე გზა, გასცდები ———————————— (58), გაუხვიე მარჯვნივ და იარე ———————————— (59). გასცდები სასტუმროს და ———————————— (60) გზა უნივერსიტეტამდე. უნივერსიტეტთან ———————————— (61) ქუჩაზე, გაუხვევ ———————————— (62) გაჩერებასთან და ———————————— (63) შოთას სახლს.

ბ. მიდი ———————————— (64) გადასასვლელთან, გადადი პუშკინის ქუჩაზე, მოუხვიე ———————————— (65) მარჯვნივ, გაჰყევი ამ ქუჩას, ———————————— (66) სუპერმარკეტს და გაუხვიე ———————————— (67). გაიარე შაუმიანის ქუჩა, გასცდები ———————————— (68) და შეუხვევ პირველივე ———————————— (69) მარჯვნივ. მერე შეუხვევ ———————————— მარცხნივ (70), გადაკვეთ ———————————— (71) ქუჩას, ———————————— (72) მარჯვნივ და ———————————— (73) ავტობუსის ..... (74). გაუხვევ მარჯვნივ და ———————————— (75) შოთას .... (76).



**11. წაიკითხეთ წერილი:**

**დავით ზედგინიძის წერილი**

I.

გამარჯობა, შვილო, როგორ ხარ? დედა როგორ არის? შენი ძმა ხომ არ ცელქობს?

ლია, ქუთაისში ვედარ ჩამოვაღწიე. ბათუმიდან პირდაპირ სამტრედიაში ჩავედი, როგორც შენ მთხოვე, შენი მეგობრისთვის საჩუქრის გადასაცემად. კარგი ვქენი, რომ ჩავედი. მამამისი ავად იყო და მიწა ჰქონდათ გასათოხნი. არ მეუბნებოდა, მაგრამ როცა გავიგე, ვუთხარი, დაგეხმარებით-მეთქი. გვიანობამდე ვიმუშავეთ და ღამე იქ დარჩენა მომიწია. სამშაბათს კი ზუგდიდში წავედი სემინარზე. ხომ იცი, 16 ივნისს იწყება სემინარი და დილის 9 საათზე იქ ჩასვლას ვერ მოვასწრებდი. ღამე ზუგდიდში, ჩემს ძმასთან დავრჩები.

II.

სემინარზე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა მინისტრის მოადგილემ. სულ იმ დღეს ექვსი გამომსვლელი იყო. ძალიან კარგი მოხსენება ჰქონდა დმანისის პირველი საჯარო სკოლის დირექტორს – ზაურ ხალილოვს. მისი მოხსენება ყველას მოეწონა. სახლში რომ დავბრუნდები, აუცილებლად ვიფიქრებ ჩვენს სკოლაში მანდატურების შემოყვანაზე. პირველი სესია 2 საათამდე გაგრძელდა.

მეორე სესია სადილის შემდეგ დაიწყო. სამ საათზე პირველი მოხსენება წაიკითხა ჩვენმა დირექტორმა. მის მოხსენებას დავესწარი, მერე კი ქალაქში გავედი: საქმე მქონდა ბიძაშენთან – გიორგისთან. დედას ვერ ვუყიდე სულგუნი, ვედარ მოვასწარი. ბოდიში გადაეცი ჩემგან.

III.

ახლა ჩემს ძმასთან ვზივარ კომპიუტერთან და წერილს გწერ. უკვე 7 საათია. ხვალ კიდევ ორი მოხსენება იქნება, მერე კი გერმანელი პროფესორი წაგვიკითხავს ლექციას. სადილის მერე ფილმს გვაჩვენებენ, ბოლოს კი – სამინისტროს მიერ გამოცემული წიგნების პრეზენტაციაა. სემინარი ექვს საათზე დასრულდება, ამიტომ ხვალ ვერ მოვასწრებ წამოსვლას: ერთი ღამით კიდევ დავრჩები ჩემს ძმასთან და ხვალ დილას დავბრუნდები სახლში.

აბა, წესიერად მოიქეცით შენ და ლევანი, დედა არ გააბრაზოთ!

**12. ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტის პირველი მონაკვეთი და უპასუხეთ კითხვებს:**

1. ვინ არის ლია დავითისთვის?
   - ა. ცოლი
   - ბ. შვილი
   - გ. და
   - დ. მეგობარი.

2. ვინ ცხოვრობს ქუთაისში?
   - ა. ლიას მეგობარი
   - ბ. დავითის ძმა
   - გ. დავითის ოჯახი
   - დ. არავინ.

3. დავითი არის:
   - ა. მკაცრი ადამიანი
   - ბ. კეთილი კაცი
   - გ. გამოცდილი მიწის მუშა
   - დ. მატყუარა.

4. მიწის თოხნა დაიწყეს:
   - ა. ორშაბათს
   - ბ. სამშაბათს
   - გ. ოთხშაბათს
   - დ. კვირას.

5. დავითმა მიწის თოხნა დაიწყო:
   - ა. საკუთარი სურვილით
   - ბ. ლიას დავალებით
   - გ. ლიას მეგობრის თხოვნით
   - დ. ლიას მეგობრის მამის თხოვნით.

6. რომელ რიცხვში ჩავიდა დავითი ლიას მეგობართან:
   - ა. 13-ში
   - ბ. 14-ში
   - გ. 15-ში
   - დ. 16-ში.

7. ტექსტის მიხედვით, რა დღე იყო 14 მაისი:

ა. ორშაბათი

ბ. სამშაბათი

გ. ოთხშაბათი

დ. კვირა.

**13. ახლა მთლიანად წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ შემდეგ შეკითხვებს:**

ვისი მოხსენება იყო ყველაზე საინტერესო დავით ზედგინიძისთვის?

_____

_____

რის გაკეთებას აპირებს დავით ზედგინიძე სახლში დაბრუნებისას?

_____

_____

რას შეჰპირდა დავით ზედგინიძე ცოლს? შეუსრულა თუ ვერა სურვილი?

_____

_____

**14. კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი. დაალაგეთ ქრონოლოგიური თანამიმდევრობით, რა რის მერე მოხდა:**

ა) სადილი რესტორანში

ბ) ზუგდიდში ჩასვლა

გ) დმანისის პირველი საჯარო სკოლის დირექტორის მოხსენება

დ) სამტრედიაში ჩასვლა

ე) დავითის ზუგდიდში გასვლა

ვ) სემინარის დაწყება

ზ) მინისტრის მოადგილის გამოსვლა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |

15. **გაარკვიეთ, ქვემოთ მოცემული ინფორმაციებიდან რომელია სწორი და რომელი – მცდარი. არგუმენტად (დასამტკიცებლად) მოიყვანეთ წინადადება ტექსტიდან (იხილეთ ნიმუში).**

| | **ინფორმაცია** | **სწორია** | **მცდარია** |
|---|---|---|---|
| **ნიმუში** | სემინარი მთავრდება 17 ივნისს.<br>***ხომ იცი, 16 ივნისს იწყება სემინარი. . . ხვალ კიდევ ორი მოხსენება იქნება*** | | |
| 1 | დავით ზედგინიძეს ჰყავს 2 შვილი.<br>_____<br>_____ | | |
| 2 | დავით ზედგინიძე 18 ივნისს დაბრუნდება სახლში.<br>_____<br>_____ | | |
| 3 | დავით ზედგინიძემ მეუღლეს შეუსრულა დანაპირები.<br>_____<br>_____ | | |

16. **გაარკვიეთ, ქვემოთ მოყვანილი წინადადებებიდან რომელი გამოხატავს ფაქტს და რომელი – ვარაუდს. მონიშნეთ + -ით.**

| | **ვარაუდი** | **ფაქტი** |
|---|---|---|
| ხალილოვის გამოსვლა ყველას მოეწონა. | | |
| დავითმა გადაწყვიტა, სახლში ჩასვლისთანავე შეიყვანოს მანდატურები სკოლაში | | |
| ლიას მეგობრის ოჯახს ყანა ჰქონდა გასათოხნი | | |
| დავითმა მეუღლისთვის სულგუნის ყიდვა ვერ მოახერხა | | |
| დავითს იმედი აქვს, რომ მისი შვილები კარგად მოიქცევიან | | |
| სემინარი 6 საათზე დამთავრდება | | |

**17. ივარჯიშეთ კითხვაში:**

## ნიუტონის ვაშლი

ვაშლებს ძირითადად კომპოტის ან ნამცხვრისთვის იყენებენ. მაგრამ არსებობს ერთადერთი და განუმეორებელი ვაშლიც, ჯადოსნური ვაშლი. ასეთი ჯადოსნური ვაშლები თითქმის ყველა ზღაპარშია.

ვაშლი, რომელზედაც მოგითხრობთ, სულაც არ არის ჯადოსნური. . .

პატარა ინგლისურ სოფელ ვულსდორფში, წითელ სახლში, ბატონ ნიუტონს შეეძინა ვაჟი ისააკი. ბიჭი სუსტი და ავადმყოფი იყო. მშობლებმა ძლივს გადაარჩინეს.

ოჯახს ძლიერი, ღონიერი ვაჟკაცი სჭირდებოდა. ის ოჯახს ცხვრების მწყემსვასა და ყანის დამუშავებაში უნდა დახმარებოდა. ისააკი კი სულ წიგნებს კითხულობდა.

– სკოლაში უნდა გავგზავნოთ, – თქვა ბიძია იაკობმა.

ასეც მოხდა. ისააკი სკოლაში საოცარ წარმატებებს აღწევდა. ოცდაორი წლისა ის ისევ სუსტი და ავადმყოფი იყო. სამაგიეროდ, ყველაფერი იცოდა.

ერთხელ, არდადეგებზე, სახლში წავიდა დასასვენებლად. იგი ვაშლის ხის ქვეშ წამოწვა. სწორედ ამ დროს ხიდან ვაშლი ჩამოვარდა და ცხვირზე დაეცა.

– ცოტა იქით ვერ ჩამოვარდებოდი? – წამოიძახა ნიუტონმა. მერე უცებ მიხვდა: ყველაფერი ვარდება უმოკლესი მანძილის გავლით. ეს იყო დიდი აღმოჩენა – ნიუტონმა დედამიწის მიზიდულობის კანონი აღმოაჩინა. იგი ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მეცნიერი გახდა. სუსტმა და ავადმყოფმა 88 წელი იცოცხლა.

ძალიან კარგია, როცა ვაშლმა იცის, რომელ ცხვირს უნდა დაეცეს.

**ანა დისკოჩილოვა**

## ფუტკრები საშოვარზე

**იაკობ გოგებაშვილის მიხედვით**

გაზაფხულის მზემ თოვლი სულ გააქრო. ბუნება იღვიძებდა. მცენარეებს ნორჩი, მწვანე ყლორტები უჩნდებოდა, ხეების ტოტებზე კოკრები და ფოთლები იშლებოდა.

ნათელმა, თბილმა მზემ ფუტკრებიც გამოაღვიძა. გამოძვრნენ სკებიდან და ზუზუნით გაფრინდნენ ვაშლის ხესთან:

– ვაშლის ხევ, საწყალი ფუტკრებისთვის არაფერი გაქვს? მთელი ზამთარი ვშიმშილობდით, ძალიან გვშია!

– ჯერ არა, – უპასუხა მათ ვაშლის ხემ, – ჩემი ყვავილები ჯერ კიდევ კოკრებშია დამალული.

ფუტკრები ბალთან მიფრინდნენ:

– საყვარელო ბალო, ფუტკრებისთვის ყვავილი ხომ არ გექნება?

– ხვალ იკითხეთ, – დაიშრიალა ბალმა, – დღეს არც ერთი ყვავილი არა მაქვს გაშლილი.

ფუტკრები ტიტასთან წავიდნენ, მაგრამ ის სურნელსაც მოკლებული იყო და ტკბილ წვენსაც.

დაღონებული, დამშეული ფუტკრები შინ დაბრუნებას აპირებდნენ, მაგრამ ამ დროს ბუჩქის ქვეშ ნაზი ყვავილი დაინახეს. ეს ია იყო. იამ ფუტკრებს გადაუშალა თავისი ყვავილი, რომელიც საამურ სურნელს აფრქვევდა და ტკბილი წვენით იყო სავსე.

სვეს, ჭამეს ჩვენმა ფუტკრებმა და გახარებულები დაბრუნდნენ სახლში.

## არიადნეს ძაფი
## (წიგნიდან "დიოგენეს კასრი")

ძველად ქალაქ ათენში მეფობდა ძალიან ფიცხი მეფე, სახელად ეგეოსი. მას უყვარდა სპორტული თამაშები და შეჯიბრებები, მაგრამ ბრაზდებოდა, თუ მის სპორტსმენს ვინმე აჯობებდა.

ერთ დღეს მეფემ სიბრაზე ვერ შეიკავა და გამარჯვებული სპორტსმენი მოკლა. ეს გამარჯვებული კუნძულ კრეტის მეფის, მინოსის უმცროსი ვაჟიშვილი იყო. ამის შემდეგ ქალაქი ათენი თავისი მეფის სიფიცხის გამო ძვირ საფასურს უხდიდა კრეტის მეფეს: ყოველ ცხრა წელიწადში ერთხელ შავიალქნიან გემს შვიდი ჭაბუკი და შვიდი ულამაზესი ქალიშვილი მიჰყავდა კუნძულ კრეტაზე, რათა ისინი კაციჭამია მინოტავრისთვის შეეწირათ. მეფე მინოსს მინოტავრი კრეტის ლაბირინთში ჰყავდა დამწყვდეული.

ერთხელ ამორჩეულ ახალგაზრდებთან ერთად წასვლა უფლისწულმა თეზევსმაც გადაწყვიტა. მამამისი, ფიცხი მეფე, წინააღმდეგი იყო, მაგრამ თეზევსი სხვებთან ერთად მაინც ავიდა გემზე.

შავიალქნიანი გემი კუნძულ კრეტას მიუახლოვდა. ნაპირზე ყველა კრეტელი შეიკრიბა განწირულების სანახავად. მათ შორის მეფის ქალიშვილი არიადნეც იყო. დანაღვლიანებულ ვაჟებსა და ქალწულებს შორის მხოლოდ ერთი ჭაბუკი მოაბიჯებდა თავაწეული. ეს იყო თეზევსი. არიადნეს იგი დანახვისთანავე შეუყვარდა.

განწირულები ლაბირინთში უნდა შეეყვანათ მინოტავრთან. არიადნე გამოიპარა თავისი სასახლიდან და თეზევსს ორი რამ მიუტანა: ხმალი, რათა თეზევსს კაციჭამია მოეკლა და ძაფის გორგალი, რათა ლაბირინთის დერეფნებში არ დაკარგულიყო და უკან დასაბრუნებელი გზა ეპოვა.

არიადნეს ხმლის დახმარებით თეზევსმა დაამარცხა მინოტავრი, ხოლო მისი გორგლის მეშვეობით თეზევსმა და დანარჩენებმა ადვილად იპოვეს ლაბირინთიდან გამოსასვლელი გზა და გემზე დაბრუნდნენ.

ყველა გადარჩა. მათ მეფის ქალიშვილი არიადნეც თან წამოიყვანეს.

დღეს არიადნეს ძაფი ნიშნავს საიმედო გზის გამკვლევს რთულ სიტუაციაში.

**ანა დისკოჩილოვას მოთხრობის მიხედვით**

## მზე

მზე ყველაზე კაშკაშა, მწველი და ყველაზე დიდი ვარსკვლავია მზის სისტემაში. იცით მზის სისტემა რა არის? ეს არის სივრცე კოსმოსში, სადაც ერთად არიან პლანეტები და მზე. მათგან მზე ყველაზე დიდია და ყველაზე მძიმე.

როდესმე გიცდიათ შუადღეს, როცა მზე ყველაზე ძალიან აცხუნებს მისთვის შეგეხედათ? ალბათ არც თქვენ გამოგივიდათ. მეც ყოველთვის მეხუჭებოდა თვალები ამ დროს. ეს იმიტომ ხდება, რომ მზეს ძალიან დიდი სინათლე აქვს და თვალებს ჭრის მისი ძლიერი შუქი.

ის იმდენად მხურვალე და მწველია, რომ მთვარისაგან განსხვავებით მასზე გაფრენა და დაკვირვება შეუძლებელია. ამიტომ მეცნიერები ცდილობენ, მას სპეციალურ ლაბორატორიებში დააკვირდნენ, სპეციალური ხელსაწყოებით. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენგან მზე ძალიან შორსაა, ჩვენ მაინც ბევრი რამე ვიცით მის შესახებ.

მზე რომ არ იყოს, დედამიწაზე ძალიან ეციებოდა, ისე ეციებოდა, რომ სიცოცხლეც კი შეუძლებელი გახდებოდა. მზე დედამიწასთან ყველა სხვა ვარსკვლავზე ახლოს არის და ამიტომაც ჩანს ის უფრო დიდი და გვათბობს ასე კარგად. დედამიწა მზეს გარშემო უვლის და ამ ბრუნვის დროს იცვლება სწორედ წელიწადის დროები, დღე და ღამე.

მზე ძალიან გვიყვარს დედამიწაზე მაცხოვრებლებს. მზის გამოჩენას სიხარულით ვხვდებით. მზე იმიტომ გვიყვარს, რომ მის გარეშე ჩვენი პლანეტა გაიყინებოდა, არც ჩვენ ვიქნებოდით, არც ცხოველები და მცენარეები იარსებებდნენ. ის დიდ გავლენას ახდენს კლიმატზეც და, თქვენ წარმოიდგინეთ, მზის არსებობაზე დამოკიდებულია ელექტროტექნიკის მუშაობაც. რომ არ არსებობდეს მზის ენერგია, არასოდეს გვექნებოდა რადიო ან ტელევიზორი.

როგორ ახერხებს მზე,ხ ელი შეუწყოს დედამიწაზე სიცოცხლის არსებობას?

თურმე მზის შუაგულში ხდება დიდი აფეთქებები. ამის შემდეგ ჩნდება ძლიერი სითბო და ენერგია, რომელიც მზის ზედაპირზე გამოდის და შემდეგ დედამიწამდეც აღწევს.

ეს აფეთქებები არასოდეს არ წყდება, რათა მზის ენერგია არ შეწყდეს.

ალბათ გინახავთ დილით მზის ამოსვლა, ხოლო საღამოთი - მზის ჩასვლა. სწორედ ამ დაკვირვების შემდეგ დაერქვათ მხარეებსაც აღმოსავლეთი, ანუ საიდანაც მზე ამოდის და დასავლეთი, საითაც მზე ჩადის. სინამდვილეში მზე არც ამოდის და არც ჩადის... ის დედამიწის ირგვლივ საერთოდ არ ბრუნავს. მზე რომ დედამიწას ოდნავ მაინც მოუახლოვდეს, მისი ერთი მხარე სულ დაიწვება, მეორე კი გაიყინება.,, ყველაფერი პირიქითაა: დედამიწა თვითონ ბრუნავს მზის გარშემო, თუმცა ამას ჩვენ ვერ ვამჩნევთ.

## მთვარე

მთვარე ციური სხეულია, ისევე, როგორც ვარსკვლავები და პლანეტები. მთვარე დედამიწის მეგობარია და მის თანამგზავრს უწოდებენ მეცნიერები. დედამიწა როცა ბრუნავს, მთვარეც მასთან ერთად ბრუნავს მის გარშემო. დედამიწიდან ძირითადად ღამითაა შესაძლებელი მთვარის დანახვა, თუმცა, ხანდახან დღისითაც ჩანს.

მთვარე სხვადასხვა ზომისა და ფორმის მოჩანს დედამიწიდან. საინტერესოა, რატომაა ასე? ან როგორ ანათებს იგი ღამით, როდესაც ამბობენ, რომ მთვარე ყველაზე ბნელი და ცივი ციური სხეულია?

მთვარეს მართლაც არ შეუძლია ნათება, იგი ცივია და ბნელი. ის, რაც ღამით ანათებს, მზიდან არეკლილი შუქია. თუმცა ეს ისე ცოტაა, რომ ყოველ ღამეც კი არ შეუძლია მას კარგად გაანათოს.

როგორც ვიცით, მთვარე დედამიწის გარშემო ბრუნავს და ჩვენ მხოლოდ მისი ერთი მხარის დანახვა შეგვიძლია. მეორე მხარე ბნელია და დედამიწიდან ვერ დავინახავთ. მაგრამ, როდესაც ხელოვნური თანამგზავრები გამოიგონეს მეცნიერებმა, მათ შეძლეს ფრენის დროს მთვარის მეორე მხარისათვის სურათის გადაღება და დღეს უკვე ვიცით, როგორ გამოიყურება ეს მხარე.

როგორ ფიქრობთ, რატომ იცვლება მთვარის ფორმა ყოველ ღამით? რატომაა ის ხან მრგვალი, ხანაც რკალისებური, ხანაც ნახევრადწრიული? თურმე მზე არა მხოლოდ დედამიწას, მთვარესაც ანათებს და რომელ ნაწილსაც მზის შუქი მოხვდება, ჩვენც იმ ნაწილს ვხედავთ.

მთვარე ძალიან აინტერესებთ დედამიწაზე მცხოვრებლებს, განსაკუთრებით მეცნიერებს. მასზე გამგზავრებაც კი შესაძლებელი გახადეს, იმისთვის, რომ უფრო კარგად დაეთვალიერებინათ მთვარე ახლოდან. მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ აქ არც წყალია და არც სასიცოცხლო სივრცე (ატმოსფერო). აქ სიცოცხლე არ არის, მხოლოდ კლდოვანი ზედაპირია.

პირველი ხელოვნური ხომალდი, რომელიც მთვარეზე გაფრინდა იყო „აპოლო 11“ ამერიკიდან. იგი მთვარეზე დაჯდა 1969 წელს, ხოლო ამ ხომალდის ეკიპაჟის მეთაური იყო ნილ არმსტრონგი. „აპოლოს“ ჯგუფის წევრებმა მთვარე კარგად დაათვალიერეს და სხვადასხვა მასალები საკვლევად დედამიწაზე ჩამოიტანეს.

მეცნიერებს ძალიან აინტერესებდათ, როგორ გაჩნდა მთვარე და დიდხანს ამ კითხვაზე პასუხი ვერ მიიღეს. პასუხი დანამდვილებით არც დღეს ვიცით, მაგრამ არსებობს ერთი გავრცელებული აზრი მთვარის გაჩენის შესახებ;

ადრე, ძალიან ადრე, როცა დედამიწა გაჩნდა, მას დაეჯახა უზარმაზარი ასტეროიდი, პლანეტის მსგავსი სხეული. ეს შეჯახება ისეთი ძლიერი იყო, რომ დედამიწა ნაწილებად დაიშალა და კოსმოსში გაიფანტა. კოსმოსში არსებობს ძალიან უცნაური მიზიდულობის

ძალა, რომელსაც გრავიტაციის ძალა ეწოდება და ეს ნაწილები მისი საშუალებით ისევ ერთად მოგროვდა. თუმცა ყველა ნაწილი ერთ მრგვალ პლანეტად ვეღარ შეიკრა. ერთ-ერთი მათგანი დედამიწის გარეთ დარჩა და სწორედ ეს არის მთვარე, რომელიც ამის შემდეგ დედამიწას „დაუმეგობრდა“ და გვერდიდან აღარ შორდება. ამ მიზეზით მას დედამიწის თანამგზავრიც უწოდეს.

## პლანეტები

მზის, მთვარის და ვარსკვლავების გარდა, კოსმოსში პლანეტებიცაა. კოსმოსი ის სამყაროა, რომელშიც არის ყველაფერი: ციური სხეულებიც და პლანეტებიც, მათ შორის - დედამიწაც. კოსმოსი სივრცეა, რომელიც არასოდეს სრულდება.

პლანეტებიც კოსმოსის მობინადრეები არიან. პლანეტა ქართულად იცით, რას ნიშნავს? მოხეტიალეს. პლანეტას მართლაც შეუძლია მოძრაობა, აქვს თავისი ორბიტა და მოძრაობს მის ირგვლივ. სწორედ ამის გამო დაარქვეს მოხეტიალე. პლანეტები მზესთან ახლოს მდებარეობენ და ამიტომაც მათზე მეცნიერები ამბობენ, რომ პლანეტები მზის სისტემაში ცხოვრობენო. მზის სისტემაში სულ ცხრა პლანეტა აღმოაჩინეს მეცნიერებმა. მოდით, სათითაოდ გავიცნოთ ისინი და ვნახოთ, რა ხდება პლანეტებზე.

1. მერკური - ეს პლანეტა მზესთან ყველაზე ახლოს მდებარეობს. მისი დანახვა დედამიწიდანაც შეიძლება დილით ან შებინდებისას. მერკური მეცნიერებმა კარგად ვერ დაათვალიერეს და შეისწავლეს, რადგან მასთან მხოლოდ ერთმა კოსმოსურმა ხომალდმა მიაღწია. მათ ჩამოიტანეს დედამიწაზე ამბავი, რომ მერკურის ზედაპირზე არის დიდი ღრმულები და ფიქრობენ, რომ ეს მეტეორების დაცემის გამო გაჩნდა. თურმე მერკური ძალიან ჰგავს მთვარეს და სწრაფად მოძრაობს. პლანეტაზე არ არის წყალი, იქ არც ქარი იცის. მერკურზე დღისით ძალიან ცხელა და ღამით კი ყველაფერი იყინება. ამიტომ მასზე სიცოცხლეც არაა.

2. ვენერა - ვენერას დედამიწის დაიკოს ეძახიან, იმის გამო, რომ ის ძალიან ჰგავს დედამიწას. ვენერა დედამიწას სხვა პლანეტებზე მეტად უახლოვდება ხოლმე მოძრაობის დროს. მერკურისგან განსხვავებით ვენერა სულ ცხელია და მასზე ყოველთვის ქარი ქრის. რამდენიმე კოსმოსური ხომალდი მიუახლოვდა ვენერას იმისთვის, რომ კარგად დაეთვალიერებინათ იგი, მაგრამ მალევე მოშორდნენ. ერთი კოსმოსური ხომალდი დაიწვა კიდეც, ვენერას დიდი სიმხურვალის გამო.

3. დედამიწა - დედამიწა ის პლანეტაა, რომელზეც ჩვენ ვცხოვრობთ. ის ერთადერთი პლანეტაა, სადაც სიცოცხლეა შესაძლებელი. დედამიწაზე წყალიცაა და ხმელეთიც. ხმელეთს მოძრაობა შეუძლია, თუმცა ამას ჩვენ ვერ ვხედავთ და ვერ ვგრძნობთ. მაგრამ ვგრძნობთ მიწისძვრებს. თურმე მიწისძვრის დროს დედამიწის ფორმა იცვლება. ამბობენ, ადრე ამერიკის და აფრიკის კონტინენტი შეერთებული იყო და მერე დაშორდნენ ერთმანეთსო. ახლაც შეიძლება ორი კონტინენტი ერთმანეთს მიუახლოვდეს და შეერთდეს. დედამიწაზე სიცოცხლე იმიტომაა, რომ ჩვენ გვაქვს მზის სითბო, სინათლე, წყალი და ჰაერი.

4. მარსი - მარსი დედამიწიდან მოწითალო ფერის ჩანს და მას „წითელ პლანეტასაც“ უწოდებენ. მარსზე ძალიან ბევრი ვულკანია და მისი ზედაპირი ძალიან მთაგორიანია, რადგან ვულკანის ამოფრქვევების შედეგად მთები ჩნდება მასზე. მეცნიერებმა მარსზე ნახეს დამშრალი მდინარეები და ფიქრობენ, რომ ადრე მარსზე წყალი იყო. ეს პლანეტა ძალიან აინტერესებთ ასტროლოგებს. ამის გამო 2040 წლისათვის ამერიკელებმა დაგეგმეს, რომ მარსზე პირველი ადამიანი გაუშვან.

5. ნეპტუნი - მოლურჯო ფერის პლანეტაა, დედამიწიდან საკმაოდ მოშორებულია. ნეპტუნი ცივი პლანეტაა, მასზე არც სინათლეა და არც სითბო. ნეპტუნი მეცნიერებმა კარგად ვერ შეისწავლეს. მის ახლოს მხოლოდ ერთმა კოსმოსურმა ხომალდმა “ვოიაჟერ 2“-მა ჩაიფრინა. თუმცა დაგეგმილია ნეპტუნზე სხვა ხომალდების გაგზავნაც.

6. ურანი - ურანს გაზის გიგანტსაც უწოდებენ, რადგან მისი ძირითადი შემადგენლობა აირია. იგი საკმაოდ დიდი ზომისაა და მზის სისტემაში გიგანტი პლანეტების რიგშია. ისევე, როგორც ნეპტუნს, ურანსაც არ ვიცნობთ კარგად, თუმცა ამ პლანეტაზე კოსმოსური ხომალდის გაგზავნა ჯერ დაგეგმილიც არ არის.

7. სატურნი - სატურნი სურათებზე ყოველთვის დიდი რგოლით არის აღბეჭდილი. თურმე ეს რგოლი ყინულები და წვრილი ქვების ნატეხები ყოფილა. მიზიდულობის ძალით ეს ნატეხები აქეთ-იქით არ ცვივა და სატურნს გარს აკრავს. სატურნს თანამგზავრებიც ჰყავს, მარტო არ მოძრაობს თავისი ორბიტის გარშემო. ყველა პლანეტაზე მეტი თანამგზავრი მას ჰყავს, სულ - 18. ერთი თანამგზავრი იმხელაა, რომ პლანეტა მერკურს უტოლდება.

8. ურანი - ურანი თავისი აგებულებით ძალიან ჰგავს ნეპტუნს, ისიც ძირითადად აირებისგან შედგება და, ნეპტუნის მსგავსად, ბნელი და ცივია. ამ პლანეტაზე სიცოცხლე არ არსებობს. პლანეტას გარს ცხრა რგოლი აქვს შემოვლებული.

9. პლუტონი - მეცხრე პლანეტად პლუტონი ითვლება. მაგრამ 2006 წლის შემდეგ იგი ამოიღეს პლანეტების რიცხვიდან. ადრე პლუტონი უფრო დიდი ეგონათ, მაგრამ დაკვირვებების შემდეგ აღმოჩნდა, რომ პლუტონი პატარაა. მას ჯუჯა პლანეტაც კი უწოდეს და მზის სისტემის პლანეტებს აღარ მიაკუთვნებენ. ახლა მხოლოდ ჯუჯა პლანეტების ჯგუფს ეკუთვნის. პლუტონი ყველაზე გვიან აღმოაჩინეს - 1930 წელს და მას უცნაური პლანეტაც კი დაარქვეს. სხვა პლანეტებისგან განსხვავებით, პლუტონი მხოლოდ თავის ორბიტაზე არ მოძრაობდა, დანარჩენი პლანეტების ორბიტაზეც ხვდებოდა ხოლმე. ამიტომ იგი განსხვავებული და უცნაური პლანეტაა.

***ბოლოსიტყვაობა***

პლანეტები ძალიან საინტერესო ციური სხეულებია, ისინი ბოლომდე შესწავლილი არაა. ინფორმაციის მოპოვებაც ძალიან რთულია, რადგან ზოგიერთ პლანეტასთან ახლოს მისვლასაც კი ვერ ახერხებენ მეცნიერები. პლანეტებს დედამიწიდანაც აკვირდებიან და სწავლობენ, იმისთვის, რომ ჩვენ უფრო მეტი ვიცოდეთ მათ შესახებ.

# ვარსკვლავები

## შესავალი

ღამით ალბათ გინახავთ ვარსკვლავებით მოჭედილი ცა. ვარსკვლავების დათვლაც ხომ გიცდიათ? მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ დათვალეთ ალბათ...ცაში იმდენი ვარსკვლავია, რომ მათ ვერასოდეს დაითვლი, ისინი ყველანი არც კი ჩანან.

ვარსკვლავი, როგორსაც ჩვენ ვუყურებთ დედამიწიდან სინამდვილეში ასეთი არაა, ბევრად უფრო დიდია და უფრო სხვანაირად გამოიყურება იგი კოსმოსში.

ვარსკვლავის აღწერა

ვარსკვლავი ქიმიური ნაწილაკებისაგან შედგება. იგი ძირითადად წყალბადის ატომებისაგან შედგება.

წყალბადის ატომი ქიმიური ნაწილაკია და იგი სულ მოძრაობს. ასეთ მოძრაობას რეაქცია ჰქვია. როცა ვარსკვლავი იბადება, ნაწილაკები მაშინვე იწყებენ მოქმედებას, ამას ისინი განუწყვეტლად აგრძელებენ. ამ დროს ვარსკვლავს ასაკი ემატება, ის ნელ-ნელა ბერდება. რაც უფრო დიდი და მძიმეა ვარსკვლავი, მით უფრო მალე დაბერდება იგი. დაბერების შემდეგ, ვარსკვლავი კვდება და ეს პატარა ნაწილაკები ახალ ვარსკვლავად გადაიქცევიან. ანუ, ერთი ვარსკვლავის სიკვდილი ხელს უწყობს მეორის დაბადებას. იგი უკვალოდ არასოდეს არ ქრება.

ვარსკვლავებს თავიანთი ფერი გააჩნიათ: ზოგი წითელია, ზოგი მოლურჯო, ზოგი კი ყვითლად ან თეთრად კაშკაშებს. ეს იმიტომ ხდება, რომ მათ სხვადასხვა ტემპერატურა აქვთ. ყველაზე გახურებული რომელიცაა, ის მოთეთრო-მოლურჯოდ ანათებს, ყველაზე ნაკლებად მხურვალე ვარსკვლავი კი - წითლად. ყველაზე ცხელი ვარსკვლავის ტემპერატურა 30 000 გრადუს-ცელსიუსია.

## ფაქტები ვარსკვლავების შესახებ

არსებობენ დიდი და პატარა ვარსკვლავები. თქვენ იცოდით, რომ მზეც ვარსკვლავია? ალბათ ფიქრობთ, რომ ის კოსმოსში ყველაზე დიდი ვარსკვლავია, მაგრამ ასე არაა. მზე თურმე საშუალო სიდიდის ვარსკვლავია. მასზე ბევრად დიდი ვარსკვლავებიც არსებობენ და ბევრად უფრო პატარებიც.

არსებობს წყვილი და მარტოხელა ვარსკვლავები. მაგალითად, მზე მარტოხელა ვარსკვლავია, მაგრამ ვარსკვლავების უმრავლესობა დაწყვილებულია. კოსმოსში განსაკუთრებული ძალაა, რომელსაც მეცნიერები გრავიტაციის ძალას ეძახიან და მისი საშუალებით ორი ვარსკვლავი მაგნიტივით იზიდავს ერთმანეთს, ერთს მეორესთან აკავშირებს.

ვარსკვლავები დედამიწიდან უმოძრაოები ჩანან. ჩვენ გვგონია, რომ ისინი ყოველთვის ერთ ადგილზე არიან გაჩერებულები. სინამდვილეში ვარსკვლავები ძალიან სწრაფად

მოძრაობენ და აქეთ-იქით დაქრიან. ჩვენგან ისინი ისე ჩანან, თითქოს ფოტოაპარატით სურათი გადაუღეს და ცაზე გააკრესო. ეს იმიტომ ხდება, რომ ისინი ძალიან შორს არიან დედამიწიდან, ამის გამო ცეცხლოვან წერტილებს ჰგვანან და ვერც მათ მოძრაობას ვეღარ ვამჩნევთ.

ვარსკვლავებზე დაკვირვება ძალიან საინტერესოა და მას მეცნიერები ხშირად აკვირდებიან. ამ მეცნიერებს ასტროლოგები ჰქვიათ. ისინი არა მხოლოდ ვარსკვლავებს, არამედ პლანეტებსა და მთვარესაც აკვირდებიან. მზე, ვარსკვლავები, პლანეტები და მთვარე ერთ სივრცეში, კოსმოსში მდებარეობენ და ამიტომ მათ ყველას ერთად ასტროლოგები სწავლობენ.

**ბოლოსიტყვაობა**

ვარსკვლავების შესახებ უამრავი წიგნია დაწერილი და კიდევ ბევრი საინტერესო წიგნი დაიწერება. ძალიან საინტერესოა ვარსკვლავების ცხოვრება და მათ შესახებ კიდევ ბევრი საინტერესო ფაქტი არსებობს.

წიგნების წაკითხვის გარდა, თქვენ შეგიძლიათ ღამე, მოწმენდილ ცაზე დააკვირდეთ ვარსკვლავებს და წარმოიდგინოთ, რომ თქვენ ჯერ კიდევ პატარა, მაგრამ მომავალში ცნობილი ასტროლოგები ხართ! თუ რაიმე ახალ ვარსკვლავს შენიშნავთ, შეგიძლიათ იგი თქვენს ვარსკვლავად ჩათვალოთ და სახელიც შეურჩიოთ.

# თემა 5

## ოჯახისა და საკუთარი თავის შესახებ

*გაკვეთილი 7*

1. გაეცანით სქემას, ამოიწერეთ უცნობი სიტყვები ლექსიკონში და თარგმნეთ.




2. წაიკითხეთ და დაიმახსოვრეთ:

ნათესავი
ქმარი
ცოლი
ბიცოლა
ძმისშვილი
დისშვილი
ბიძაშვილი
დეიდაშვილი
მამიდაშვილი

3. ამოიწერეთ უცნობი სიტყვები, თარგმნეთ და შეიტანეთ ლექსიკონში.

**4. წაიკითხეთ ტექსტი:**

## ცოლ-ქმრის ნათესავები

ვაჟიშვილის ცოლს რძალი ჰქვია, ხოლო ქალიშვილის ქმარს ჰქვია სიძე.

ქმრის ძმას ცოლისთვის ჰქვია მაზლი, დას კი – მული. დედაჩემს ერთი მაზლი და ერთი მული ჰყავს. დედაჩემის მაზლი ჩემი ბიძაა, ხოლო დედაჩემის მული ჩემი მამიდაა. ბიძაჩემის ცოლი და დედაჩემი რძლები არიან, ანუ მაზლის ცოლებს ერთმანეთისთვის რძლები ჰქვიათ.

ცოლის ძმას ქმრისთვის ჰქვია ცოლისძმა, დას კი – ცოლისდა. მამაჩემს ჰყავს ერთი ცოლისძმა და ერთი ცოლისდა. დების ქმრებს ერთმანეთისთვის ჰქვიათ ქვისლები. მამაჩემს ქვისლი ჰყავს, იგი დეიდაჩემის ქმარია.

ქმრის დედას ცოლისთვის ჰქვია დედამთილი, ხოლო მამას – მამამთილი. დედაჩემის დედამთილი და მამამთილი ჩემი ბებია და პაპაა.

ცოლის დედას ქმრისთვის ჰქვია სიდედრი, ხოლო მამას – სიმამრი. მამაჩემის სიდედრი და სიმამრი ჩემთვის ბებია და პაპაა.

**5. გაეცანით სქემას, ამოიწერეთ უცნობი სიტყვები ლექსიკონში და თარგმნეთ.**




**6. ამოიწერეთ უცნობი სიტყვები და შეიტანეთ ლექსიკონში.**

**7. უპასუხეთ კითხვებს:**

რა ჰქვია ცოლის დედას? - _____

რა ჰქვია ქმრის მამას? - _____

რა ჰქვია ქმრის დას? - _____

რა ჰქვია ქმრის ძმას? - _____

რა ჰქვია ცოლის დას? - _____

რა ჰქვია ცოლის ძმას? - _____

რა ჰქვია ქალიშვილის ქმარს? - _____

რა ჰქვია ვაჟიშვილის ცოლს? - _____

რა ჰქვიათ ცოლს და ქმარს ერთად? - _____

**8. წაიკითხეთ დიალოგი:**

* * *

– სად ცხოვრობენ შენი ბაბუა და ბებია?

– ისინი სოფელში ცხოვრობენ.

– მართლა? რა კარგია!

– ჰო, ჩემი მაზლი და მულიც იქ ცხოვრობენ.

– თქვენი რძალი სად ცხოვრობს?

– ისიც სოფელში ცხოვრობს.

**9. უპასუხეთ კითხვებს:**

სად ცხოვრობენ შენი ბაბუა და ბებია?

_____

შენი მაზლი სად ცხოვრობს?

_____

შენი მული სად ცხოვრობს?

_____

სად ცხოვრობს შენი რძალი?

_____

**10. წაიკითხეთ დიალოგები და თქვენ თავად შეადგინეთ მსგავსი დიალოგი:**

– _____

– _____

– _____

– _____

– _____

– _____

– _____

– _____

– _____

– _____

**11. წაიკითხეთ ტექსტი:**

მე  ქეთევანი ვარ. ჩემი გვარია იაძე. ჩემი ოჯახი თბილისში ცხოვრობს. მე ახლა ბათუმში ვარ, თბილისიდან ბათუმში ჩამოვედი. ამ ქალაქში ვსწავლობ.
ჩემი ოჯახი დიდია. მე მყავს დედა, მამა, ორი ძმა და ერთი და.
ჩემი ბებია და ბაბუა სოფელში ცხოვრობენ. ჩემი ძმები პატარები არიან. ჩემი და დიდია. მას ერთი შვილი ჰყავს. ის ჩემი დისშვილია. მას ილია ჰქვია.
მამაჩემს ერთი და ჰყავს და ერთი ძმა. მამაჩემის და ჩემი მამიდაა. მამიდას ორი შვილი ჰყავს: მაია და ლუკა. ისინი ჩემი მამიდაშვილები არიან.
მამაჩემის ძმა ჩემი ბიძაა. მისი ცოლი ჩემი ბიცოლაა. ჩემს ბიძას და ბიცოლას  ორი შვილი ჰყავს: მათე და თამარი. ისინი ჩემი ბიძაშვილები არიან.
ჩემს ბებიასა და ბაბუას სამი შვილი, რვა შვილიშვილი და ერთი შვილთაშვილი ჰყავთ.
დედას  და და ძმა ჰყავს. მისი და ჩემი დეიდაა. მე ერთი დეიდაშვილი მყავს, ის ძალიან პატარაა. ჩემს ბიძას ცოლი არ ჰყავს. ის უცოლოა.
დედაჩემის დედა და მამა ქუთაისში ცხოვრობენ. ჩემს ბებიასა და ბაბუას სამი შვილი და ხუთი შვილიშვილი ჰყავთ.
ჩემი ოჯახი ძალიან დიდია.

**12. წერილობით უპასუხეთ კითხვებს:**

რა გვარია ქეთევანი?

_____

სად ცხოვრობს ქეთევანის ოჯახი?

_____

ახლა სად არის ქეთევანი?

_____

დიდია ქეთევანის ოჯახი? ჩამოთვალეთ მისი ოჯახის წევრები.

_____

სად ცხოვრობენ ქეთევანის ბებია და ბაბუა?

_____

რამდენი და ჰყავს ქეთევანის მამას?

_____

რა ჰქვია ქეთევანის დისშვილს?

_____

რამდენი მამიდაშვილი ჰყავს ქეთევანს?

_____

რამდენი ბიძაშვილი ჰყავს ქეთევანს?

_____

რამხელაა ქეთევანის დეიდაშვილი?

_____

სად ცხოვრობენ ქეთევანის დედის მშობლები?

_____

რამდენი შვილი და რამდენი შვილიშვილი ჰყავთ ქეთევანის ბებიასა და ბაბუას?

_____

**13. აღწერეთ თქვენი ოჯახი:**

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

**14. წაიკითხეთ ტექსტი და იმუშავეთ მასწავლებელთან ერთად:**

**შენ შეგიძლია დახატო საკუთარი თავი**

შენ შეგიძლია დახატო საკუთარი თავი. ასეთ ნახატს ავტოპორტრეტი ეწოდება. ხატვისათვის შენ დაგჭირდება:
სარკე

შავი ფანქარი
ფურცელი
ფერადი სადებავები.
რა ფერები დაგჭირდება?
გააჩნია, რა ფერები გიყვარს. კიდევ გააჩნია, გააჩნია, რა ფერის თმები გაქვს, გააჩნია, რა ფერის თვალები გაქვს.

*შევუდგეთ საქმეს!*

1. ჩაიხედე სარკეში.
2. დახატე დიდი წრე.
3. გაუსვი წრეს შუაში ხაზი, ისე რომ ორ ტოლ ნაწილად გაყო.

რა მიიღე?

*ორი ნახევარწრე.*

4. დახატე თვალები  თითოეულ ნახევარწრეში.
5. დახატე ტუჩები გავლებული ხაზის გასწვრივ.
6. დახატე ცხვირი გავლებული ხაზის გასწვრივ.

რა მიიღე?
*სახე*

**15. იმუშავეთ ინდივიდუალურად:**

ა. დახატეთ ორი პატარა ნახევარწრე დიდ ნახევარწრეზე.
ბ. დახატეთ ორი პატარა რკალი თვალებს ზემოთ.
გ. დააკვირდით თქვენს თმას.
დ. მოკლე თმა გაქვთ? გრძელი თმა გაქვთ? ხვეული თმა გაქვთ? სწორი თმა გაქვთ? ყავისფერი თმა გაქვთ? ყვითელი თმა გაქვთ? წითელი თმა გაქვთ? შავი თმა გაქვთ? - დახატეთ, როგორი თმაც გაქვთ.
ე. ახლა გააფერადეთ ნახატი. გააფერადეთ თმა. გააფერადეთ  თვალები. გააფერადეთ ტუჩები. გააფერადეთ ლოყები.

*ახლა თქვენ გაქვთ თქვენი ავტოპორტრეტი!*

**16. ჩამოთვალეთ თანმიმდევრობით, ხატვისთვის რა დაგჭირდებათ:**

_____

_____

**17. ჩამოთვალეთ, რა ფერები დაგჭირდებათ გასაფერადებლად:**

_____

_____

**18. ახლა დაწერეთ, როგორ დახატეთ ავტოპორტრეტი.**

_____

_____

_____

_____

_____

**19. ივარჯიშეთ კითხვაში:**

**ჰობი**

მე ვცხოვრობ სოფელში. ვსწავლობ სოფლის სკოლაში.
კვირაში 5 დღე ვსწავლობ. შაბათ-კვირას ვისვენებ.
თავისუფალ დროს ვეხმარები მშობლებს სოფლის საქმეებში, ვკითხულობ საინტერესო წიგნებს, დავდივარ მეგობრებთან ერთად ლაშქრობებში.
განსაკუთრებით მიყვარს ფოტოგრაფიაზე წიგნების კითხვა.

ცოტა ხნის წინ მამამ დაბადების დღეზე ფოტოაპარატი მაჩუქა.

ახლა უკვე შემიძლია ბევრ ადამიანს ვაჩვენო ის ლამაზი ადგილები, რომლებსაც მე ვნახულობ ლაშქრობებში სიარულის დროს.

ფოტოგრაფია ჩემი ჰობია. სურათებს ვუღებ ცხოველებს, ფრინველებს, ადამიანებს.
განსაკუთრებით მიყვარს ბუნების პეიზაჟების გადაღება.

წინა კვირას ვიყავი დმანისში.

ვნახე დმანისის ნაქალაქარი.

დავათვალიერე უძველესი ქალაქის ნანგრევები.

ვნახე დმანისის გათხრებისას აღმოჩენილი უძველესი ადამიანის სხეულის ნაწილები.

„დმანისი პირველი ევროპელების სამშობლოა“, - ამბობენ მეცნიერები.

პირველ ევროპელებს ზეზვა და მზია დაარქვეს.
მათი ნახვა შესაძლებელია დმანისის მუზეუმში.

## ლადო

დღეს ლადოს დაბადების დღეა.

მთელ ოჯახს სახლში აქვს წვეულება, ისინი აღნიშნავენ ლადოს დაბადების დღეს.

დედამ დიდი ტორტი გამოაცხო. ტორტი ბნელ ოთახში შემოიტანეს. მასზე 10 სანთელი ანთია, ლადო 10 წლის გახდა.

ყველა მღერის: „გილოცავ დაბადების დღეს!“

ლადო  უბერავს სულს ანთებულ სანთლებს და აქრობს. შემდეგ კი  ის ხსნის თავის საჩუქრებს.

დედამ და მამამ ლადოს ველოსიპედი აჩუქეს.

პატარა დამ ლადოს სათამაშო აჩუქა.

ბიძამ ლადოს  აჩუქა ფეხბურთელის ფორმა.

ბებიამ და ბაბუამ ლადოს აჩუქეს 50 ლარი!

„დიდი მადლობა!“ – ეუბნება ლადო ყველას ხმამაღლა.

ლადო გახარებულია. მას ყველა საჩუქარი მოსწონს.

მაგრამ ყველაზე მეტად უხარია 50 ლარი.

მას შეუძლია, წავიდეს მაღაზიაში. მას შეუძლია იყიდოს ის, რაც მას სურს!

„დედა, შეგვიძლია ახლავე წავიდეთ მაღაზიაში?“  – კითხულობს ლადო.

დედამ გაიღიმა: „ლადო, შენი სტუმრები ჯერ ისევ აქ არიან. მაღაზიაში ხვალ წაგიყვან!“

იმ ღამით ლადოს დაესიზმრა ყველაფერი ის, რისი ყიდვაც სურდა 50 ლარით.

ალბათ ვიყიდი ვიდეო თამაშებს!

ალბათ ვიყიდი გიტარას!

ალბათ ვიყიდი კამერას!

ალბათ ვიყიდი ზურგჩანთას!

დილას დედამ წაიყვანა ლადო და მისი პატარა და მაღაზიაში.

„მეც მიყიდი რამეს?“ – ჰკითხა ლადოს დამ.

„ალბათ,“ – უპასუხა ლადომ. მან დაათვალიერა მაღაზია.

უჰ!

გიტარა ღირს 50 ლარზე მეტი.

ვიდეოთამაშები ღირს 50 ლარზე მეტი.

კამერა ღირს 50 ლარზე მეტი.

ზურგჩანთა ღირს 12 ლარი.

ლადომ  იყიდა ზურგჩანთა.

მან უყიდა თავის პატარა დას სამაჯური.

მან უყიდა დედას სუვენირი.

„ძალიან კარგი ბიჭი ხარ,“ ლადოს უთხრა დედამ.

## იმედის თვალი

**ფრაგმენტი რევაზ ინანიშვილის**
**მოთხრობიდან „დარეჯანი“**

იყო ერთი ღარიბი დედა-შვილი. მოქსოვდა დედა ჭრელ წინდებს, წაიღებდა შვილი ქალაქში, გაჰყიდიდა ბაზარში, იყიდიდა პურს და ცხოვრობდნენ ასე.

მიდის ერთხელ ბიჭი ქალაქში, წინდები მიაქვს, გაიხედავს და დაინახავს: ქალაქელი ბიჭები ლეკვს მიათრევენ თოკით, უნდა დაახრჩონ. გადაუდგება წინ ბიჭი, – მაგ ლეკვს ნუ დაახრჩობთ და აი, წინდები, ამ წინდებს მოგცემთო. მისცა წინდები, გამოართვა ლეკვი და წამოიყვანა სახლში.

– რად გინდა ეს ლეკვი, შვილო! – შეწუხდა ბიჭის დედა, მაგრამ რა უნდა ექნა, მოქსოვა ისევ წინდები. მიდის ბიჭი ქალაქში, მიდის, გაიხედა და რას ხედავს: კატის კნუტს მიათრევენ ქალაქელი ბიჭები, ისიც უნდა დაახრჩონ. გადაუდგება წინ ბიჭი, – მაგ კნუტს ნუ დაახრჩობთ და აი, წინდები, ამ წინდებს მოგცემთო.

მისცა წინდები, გამოართვა კნუტი და წაიყვანა სახლში.

– კნუტი გვაკლდა, შვილო?! – ამაზეც შეწუხდა ბიჭის დედა, მაგრამ რაღა უნდა ექნა, მოქსოვა ისევ წინდები. წაიღო ბიჭმა ქალაქში, მიდის, გაიხედა და ახლა რას ხედავს კიდევ: გველის წიწილი დაუჭერიათ ქალაქის ბიჭებს, უნდა მოკლან. გადაუდგება წინ ბიჭი, – მაგ გველის წიწილს ნუ მოკლავთ და აი, წინდები, ამ წინდებს მოგცემთო. მისცა წინდები, აიყვანა ის წიწილიც და წამოიყვანა სახლში.

გზაზე, მარტო რომ დარჩნენ, ხმა ამოიღო გველის წიწილმა, ადამიანის ენაზე ეუბნება: მიმიყვანე ამა და ამ გამოქვაბულში, ჩემს დედ-მამასთან, დიდ სიმდიდრეს მოგცემენ, მაგრამ არაფერი აიღო ერთი პატარა ძვირფასი თვალის მეტიო.

მიიყვანა ბიჭმა წიწილი გამოქვაბულში. გამოცურდა ორი დიდი გველი, დაინახეს დაკარგული შვილი, გაუხარდათ. წაიყვანეს ბიჭი, შეიყვანეს გამოქვაბულში, შესთავაზეს ოქრო თუ ვერცხლი, ბრილიანტი თუ მარგალიტი, მაგრამ ბიჭმა არაფერი აიღო. მაშინ გამოიღო დედა გველმა პირიდან ძვირფასი თვალი და მისცა. ბიჭმა ის თვალი კი გამოართვა. წამოვიდა და წამოიღო სახლში.

ეს იმედის თვალი იყო. ვისაც ეს თვალი ჰქონდა, ყველგან და ყველაფერში იმარჯვებდა. ამით ააშენა ბიჭმა სახლები, ამით იშოვა ბევრი ფული, შეირთო ლამაზი ცოლი. ცხოვრობდა ბედნიერად – ისიც, დედამისიც, ცოლიც, კატაც და ძაღლიც.

ჩამოიარა ერთხელ ერთმა ეშმაკმა ვაჭარმა, ჩამოატარა უცხო და ლამაზი საქონელი. ბიჭი სახლში არ იყო. გამოვიდა იმისი ცოლი, რაღაცების ყიდვა უნდა, მაგრამ ფული ხელზე არ აქვს. ვაჭარი ეუბნება, პატარა ძვირფასი თვალი რომ გაქვთ ამა და ამ ადგილას, მომეცი და აირჩიე, რაც ძალიან გინდაო. არ იცის ქალმა, რა ძვირფასი თვალია, ქმარს არა აქვს

ნათქვამი, გამოუტანა და მისცა, აირჩია ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და იყიდა.... წავიდა ვაჭარი, დაიკარგა.

დაბრუნდა სახლში ბიჭი, გაიგო, რაც ცოლმა საქმე ქნა და დაჯდა, დადონდა. დაიწყო ცოლმა საყვედურები და ტირილი. ბიჭმა კი წაიყვანა კატა და ძაღლი და წავიდა იმ ვაჭრის საძებნელად. სად უნდა მოძებნოს? ბევრი იარა, ქვეყანა შემოიარა და ბოლოს მაინც მიაგნო ვაჭრის კვალს, გაჰყვა, ზღვას მიადგა. დიდი, სწორი ზღვაა, იმ ზღვაში კუნძულია, იმ კუნძულზე სასახლეა ასული, ვაჭარი იმ სასახლეში ცხოვრობს. დგანან და უყურებენ კატა, ძაღლი და ბიჭი. რა უნდა ქნან! კატამ უთხრა ბიჭს: – მე ცურვა არ ვიცი, ძაღლმა შემისვას, გამიყვანოს კუნძულზე და მერე მე ვიცი და ჩემმა კატობამაო. შეისვა ძაღლმა კატა, შეცურა ზღვაში, იცურა, იცურა და გაიყვანა კუნძულზე. დღისით არაფერი შეიძლებოდა. ერთ ქვას ამოეფარნენ და დაღამებას დაუცადეს. კარგად რომ დაღამდა, შუაღამე გახდა, გადაძვრა კატა სასახლეში, ვაჭარს ის იმედის თვალი ენის ქვეშ ედო და ისე ეძინა, დაიჭირა კატამ თაგვი, ამოუვლო კუდი საძმრეში, მივიდა, მიუტანა ვაჭარს ცხვირთან და შეუჩუჩხუნა თაგვის კუდით ნესტოში. დააცემინა ვაჭარს, წამოუვარდა ის თვალი, დასტაცა კატამ პირი და ჰკრა ფხაჭი, წამოიღო.

ძაღლი გარეთ უცდიდა, ატყდა, – გინდა თუ არა, თვალი მე მომეცი, მე უნდა წამოვიღოო. ბევრი ეუარა, ბევრი ეხვეწა კატა, – წყალში რამეს დაინახავ, დაჰყეფავ და გაგივარდებაო, მაგრამ ძაღლი არ მოეშვა და ბოლოს მაინც მისცა. შეისვა ძაღლმა კატა, მოდიან, მოცურავენ ზღვაში, გაუარათ წინ ერთმა დიდმა ნათელთევზამ, დაავიწყდა ძაღლს, პირში რომ იმედის თვალი ედო, დაავიწყდა კატის გაფრთხილებაც, დაჰყეფა, გადმოუვარდა ის თვალი და წავიდა ძირ-ძირ...

კინაღამ თვალები ამოსჩიჩქნა ძაღლს კატამ, მაგრამ ამით საქმეს რაღა ეშველებოდა. შემოიწყო თავზე ხელები იმედგადაწურულმა ბიჭმა და გამობრუნდა უკან, გამოჰყვა დამნაშავე ძაღლიც, მოჰყვება შორიახლოს, სულ თავჩაღუნული, კატა კი ზღვის ნაპირას დარჩა და იყო იქ.

მეთევზეები რომ თევზს გამოშიგნავდნენ, ის სულ იმ შიგნეულში იქექებოდა, დაბერდა, მთლად გაილია ჯაფით და ბოლოს მაინც იპოვნა დაკარგული თვალი. წამოიღო გახარებულმა და მოუტანა იმედგადაწურულ პატრონს.

ცხოვრობდნენ იმ დღიდან ისევ ბედნიერად – ბიჭიც, დედამისიც, ბიჭის ცოლიც და მისი კატაც და ძაღლიც.

# ცნობილი პირველი ქალბატონები

**რას საქმიანობს პირველი ლედი?**

შეერთებული შტატების პირველი ლედი არის პრეზიდენტის მეუღლე. პირველი ლედის სამუშაო არ არის ჩვეულებრივი. ისინი არ იღებენ ანაზღაურებას. მათ ხშირად ნახულობს ხალხი. ეს მათ აძლევს საშუალებას, ესაუბრონ ამერიკელებს ის საქმეებსა და პროექტებზე, რომლებისაც მათ სჯერათ. წლების წინ პირველი ქალბატონები მთელი ძალისხმევით მუშაობდნენ, რომ ღარიბებს დახმარებოდნენ, გაეუმჯობესებინათ მათი გარემო, სკოლები და ბიბლიოთეკები და ამით ისინი უფრო კარგს ხდიდნენ ათასობით ბავშვის ცხოვრებას.

ზოგიერთი პირველი ლედი უფრო ცნობილია, ვიდრე სხვები. ბევრი ცნობილი პირველი ლედი უფრო მეტად აქტიური და გამოკვეთილია, ვიდრე დანარჩენები.

ეს წიგნი არის სამ ყველაზე გავლენიან პირველ ლედიზე. თქვენ შეხვდებით ელეონორ რუზველტს, ჟაკლინ კენედის და ჰილარი როდამ კლინტონს.

**თქვენ ეს იცოდით?**

როდესაც ჯორჯ ვაშინგტონი იყო პრეზიდენტი, ხალხმა არ იცოდა, რა დაეძახათ მისი მეუღლის - მარტასთვის. ერთ დღესაც შეკრებილი ხალხი შეხვდა მარტა ვაშინგტონს ყვირილით: „დღეგრძელი იყოს ლედი ვაშინგტონი!“ ამის შემდეგ დაიწყო ტერმინ პირველი ლედის გამოყენება. ის ლექსიკონს დაემატა 1934 წელს.

**ელეონორ რუზველტი**

პრეზიდენტი: ფრანკლინ რუზველტი
არჩევის წელი: 1932
თეთრ სახლში ყოფნის პერიოდი:1933-1945
პირველი ლედის გამონათქვამი: „არავის შეუძლია თავი გაგრძნობინოს დამორჩილებულად შენი ნებართვის გარეშე“.

ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი პირველი ლედი იყო ელეონორ რუზველტი. მისი მეუღლე, ფრანკლინ რუზველტი, ამერიკის პრეზიდენტი იყო ქვეყნისთვის მძიმე პერიოდში. ისინი თეთრ სახლში გადავიდნენ 1930-იანი წლების „დიდი დეპრესიის“ დროს, როდესაც ბევრი ადამიანი უმუშევარი იყო.

ისინი დარჩნენ 40-იანი წლების შუა პერიოდამდე, როდესაც შეერთებული შტატები ჩაბმული იყო მეორე მსოფლიო ომში.

**სიმღერა ვაშინგტონში**

1939 წელს დაგეგმეს, რომ ცნობილ მომღერალ მერიან ანდერსონს ემღერა ვაშინგტონის კონსტიტუციის დარბაზში. თუმცა ჯგუფმა, რომელსაც უწოდებდნენ "ამერიკის რევოლუციის ქალიშვილებს", აუკრძალა მას ამ დარბაზში სიმღერა. ამის მიზეზი იყო ის, რომ მერიან ანდერსონი  აფროამერიკელი გახლდათ. ელეონორ რუზველტმა პროტესტის ნიშნად დატოვა ჯგუფი ასეთი დისკრიმინაციის გამოვლენის შემდეგ. ამ ფაქტის შემდეგ მან მოიწვია ანდერსონი, რათა ემღერა ლინკოლნის მემორიალთან, რაც 75.000 ადამიანმა ნახა. მილიონზე მეტმა კი მოუსმინა ანდერსონის ულამაზეს ხმას რადიოთი.

ელეონორი მთელი ცხოვრება  მუშაობდა, მიუხედავად იმისა, რომ ის მდიდარი მშობლების შვილი იყო. ის მუშაობდა რეპორტიორად, ასევე იყო ქველმოქმედი, ეხმარებოდა იმ ხალხს, ვისაც ეს სჭირდებოდა. ის იყო პრეზიდენტის მეუღლეებიდან პირველი, რომელმაც იმოგზაურა მთელი მსოფლიოს გარშემო. ის თავის გამოცდილებას უზიარებდა პრეზიდენტ რუზველტს და უყვებოდა იმ გაჭირვების შესახებ, რომელსაც ხალხი იტანდა.

ის ეწვია ჯარიკაცებს ინგლისსა  და  წყნარი ოკეანის სამხრეთით მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. შეხვდა ათასობით დაჭრილ ჯარისკაცს და ესაუბრა მათ, როდესაც ისინი მკურნალობდნენ.

ელეონორ რუზველტი იყო პრეზიდენტის მეუღლეებიდან პირველი, რომელიც მთელი გულმოდგინებით ჩაება პოლიტიკურ ცხოვრებაში. მიუხედავად იმისა, რომ ის ჩართული იყო მსოფლიო პოლიტიკაში, იგი მაინც ცნობილია მსოფლიოს პირველი ლედის სახელით. 1945 წელს მისი მეუღლე გარდაიცვალა პოლიომიელიტი, რომლითაც იგი მთელი პრეზიდენტობის მანძილზე იტანჯებოდა.

**ჟაკლინ კენედი**

პრეზიდენტი: ჯონ კენედი

არჩევის წელი: 1960

თეთრ სახლში ყოფნის წლები:1961-1963

პირველი ლედის გამონათქვამი: „არსებობს ბევრი პატარა გზა, რომლითაც შეგიძლია გააფართოო შენი შვილის სამყარო. წიგნების სიყვარული მათ შორის საუკეთესო გზაა".

ჟაკლინ კენედი გაიზარდა ნიუ-იორკში. მას უყვარდა ცხენები და მთელი ცხოვრების განმავლობაში თავისუფალ დროს ცხენზე ამხედრებული ატარებდა. მან დაამთავრა ვასარის კოლეჯი, მუშაობდა ვაშინგტონის გაზეთის ფოტოგრაფად. ჟაკი 1952 წელს შეხვდა ახალგაზრდა კაცს ჯონ  - "ჯეკ" კენედის. მან უთხრა ჟაკლინს, რომ ის აუცილებლად გახდებოდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი. ერთი წლის შემდეგ  ჯეკი აშშ-ს სენატორი გახდა. ისინი დაქორწინდნენ 1953 წელს. კენედი პრეზიდენტად აირჩიეს 1960 წელს.

კენედების ოჯახი გადავიდა თეთრ სახლში თავიანთი ორი ბავშვით, ქეროლაინით, რომელიც იყო 3 წლის და ჯონით, რომელიც ჯერ კიდევ ჩვილი იყო.

როდესაც ჯაკლინ კენედი იყო პირველი ლედი, მან მოიპატიჟა მთელი ამერიკა თეთრი სახლის სანახავად. ტელეკომპანია „სიბიესის“ ოპერატორთა ჯგუფი დაჰყვებოდა ჟაკი კენედის 1962 წლის პერსონალური ტურის დროს.

ის ცდილობდა, თეთრი სახლი გარდაექმნა მუზეუმად და მისი მდიდარი ისტორია ეჩვენებინა ყველასთვის. პირველი ლედი ხელს უწყობდა ხელოვნების ისეთი დარგების განვითარებას, როგორიცაა მხატვრობა და ცეკვა. ამერიკელებს შეუყვარდათ ჟაკი კენედი მისი სტილის, მოდურობისა და გრაციოზული მანერების გამო.

1963 წელს პრეზიდენტი კენედი მოკლეს. ჟაკლინის მხნეობამ ტრაგედიის დროს მთელი მსოფლიო აღტაცებაში მოიყვანა. 1978 წლიდან 1994 წლამდე, კიბოთი გარდაცვალებამდე, ყოფილი პირველი ლედი ცხოვრობდა და მუშაობდა ნიუ-იორკ სითიში.

**ჰილარი როდამ კლინტონი**

პრეზიდენტი: უილიამ ჯეფერსონ კლინტონი

არჩევის წელი: 1992

თეთრ სახლში ყოფნის წლები: 1993-2000

ჰილარი კლინტონის გამონათქვამი: „დემოკრატია არ შეიძლება იყოს ნამდვილი, თუ იქ ქალის ხმა არ ისმის“.

ჰილარი როდამი სწავლობდა იელის უნივერსიტეტის იურიდიულ სკოლაში, როცა ის შეხვდა იურისტ სტუდენტს ბილ კლინტონს. იურიდიული სასწავლებლის დასრულების შემდეგ ისინი დაქორწინდნენ და გადავიდნენ არკანზასში, „პატარა კლდეში“. ჰილარი კლინტონი მუშაობდა ადვოკატად და ამავე დროს ასწავლიდა არკანზასის იურიდიულ სკოლაში. ბილ კლინტონიც სამართალს ასწავლიდა, ხოლო მოგვიანებით იგი აირჩიეს არკანზასის გუბერნატორად. 12 წლის განმავლობაში ჰილარი იყო არკანზასის პირველი ლედი.

როგორც ამერიკის პირველი ლედი, ჰილარი მუშაობდა ყველა ამერიკელის ჯანმრთელობის დაცვისათვის. ის გამოდიოდა მოხსენებებით, თუ რა მნიშვნელოვანი იყო ბავშვებისათვის იმუნიტეტი. ის რიცხავდა ფულს ჯანდაცვის პროექტებში.

პრეზიდენტმა შესთავაზა ჰილარი კლინტონს, ეხელმძღვანელა ძლიერი ეროვნული ჯანდაცვის რეფორმისათვის. და ის იყო პრეზიდენტის მეუღლეებიდან პირველი, რომელიც წარმოადგენდა ოფიციალურ სამთავრობო პოზიციას მისი ქმრის პრეზიდენტობის დროს.

ბევრი ადამიანი მიიჩნევს, რომ მისი პირველ ლედიდ ყოფნის პერიოდი იყო უფრო მეტად გავლენიანი, ვიდრე სხვა დანარჩენების. მან შექმნა თავისი ქმრის პოლიტიკის მონახაზები და არასოდეს მუშაობდა სცენის უკან, როგორც სხვა პირველი ქალბატონები.

2000 წელს ჰილარი როდამ კლინტონი აირჩიეს ნიუ-იორკიდან ამერიკის შეერთებული შტატების სენატორად. ის იყო პრეზიდენტის მეუღლეებიდან პირველი, რომელიც აირჩიეს აშშ-ის სენატში.

2009 წელს ჰილარი კლინტონი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი. იგი არის პრეზიდენტის მეუღლეებიდან პირველი, რომელსაც ეკავა ასეთი მაღალი თანამდებობა.

## ჩვენი ეზო

თბილისის ამ პატარა ეზოში ბევრი ოჯახი ცხოვრობს. ბავშვებიც ბევრნი არიან. ისინი ხშირად თამაშობენ ეზოში, დარბიან, ხუმრობენ, ერთობიან.

ბავშვებს ძალიან უყვართ ერთმანეთი, მეგობრობენ, ერთმანეთს ეხმარებიან, მაგრამ ზოგჯერ ჩხუბობენ კიდეც.

ნიკა მეგობრებს შორის ყველაზე პატარაა, მას ეზოში უფროსები ყოველთვის ეფერებიან, ათამამებენ, ყველა სურვილს უსრულებენ.

ნიკა კეთილი ბავშვია, მასაც ძალიან უყვარს ყველა, კარგი ხასიათი აქვს, მაგრამ ამდენმა ზოგჯერ, როცა ცუდ ხასიათზე იყო, ტყუილად უბრაზდებოდა სხვებს და უმიზეზოდ იწყებდა ტირილს.

ასეთ დროს უფროსი ბავშვები ეფერებოდნენ ხოლმე და ყველა სურვილს უსრულებდნენ. ნიკამ ჭირვეულობას უმატა. ბავშვები მიხვდნენ, რომ სხვაგვარად უნდა მოქცეულიყვნენ. ამის შემდეგ მის ტირილს ღარ აქცევდნენ ყურადღებას.

ნიკას ეს არ მოეწონა, გაიბუტა. შემდეგ მიხვდა, რომ არაფერი გამოუვიდოდა და შეწყვიტა ჭირვეულობა.

ნიკას და, მარიამი, მუდამ მხიარულ ხასიათზეა, სულ მღერის, იცინის, მეგობრებთან ერთობა. მარტო ერთხელ გაბრაზდა, როცა ბურთი დაუმალეს ეზოში, მაგრამ მაშინაც მალე მოვიდა ხასიათზე.

მარიამს არ შეუძლია ვინმეზე გაბრაზება.

ლუკა სერიოზული და დინჯი ბავშვია, მას წყნარი ხასიათი აქვს. ის ბევრს ფიქრობს და ცოტას ლაპარაკობს, უფროსი ადამიანივით იქცევა. ლუკა ხშირად ბრაზობს მარიამზე. ის ამბობს, რომ მხოლოდ სულელი ადამიანები იცინიან მუდამ, მხოლოდ ისინი არიან სულ კარგ ხასიათზე. მარიამს სულაც არ სწყინს ლუკას ნათქვამი, პირიქით, გულიანად იცინის ხოლმე, როცა ნიკა მასზე ლაპარაკობს.

უცნაურია, მაგრამ ლუკას მარიამის გარეშე თამაში მაინც არ უყვარს. ის სულ მარიამს ეძებს ან ელოდება, მარიამი ეზოში რომ გამოდის, მაშინ იწყებს თამაშს.

მარიამმაც იცის, რომ ლუკას კარგი ხასიათი აქვს და მასაც ძალიან უყვარს ის. მარიამი ლუკას ბუზღუნას ეძახის.

აი, სალომე კი მართლა საოცარი ხასიათის ბავშვია. ის იშვიათად გამოდის ეზოში, რადგან ბევრს მეცადინეობს. ის პატარა პიანისტია და დღეში ცხრა საათი მაინც ზის ფორტეპიანოსთან. იშვიათად თუ გამოვა ხოლმე ეზოში. ის ძალიან აქტიურია, მაშინვე ერთვება თამაშში და სულ მალე ყველა იმას აკეთებს, რასაც სალომე გადაწყვეტს. ერთი სიტყვით, სალომე ლიდერია.

უფროსები ამბობენ, რომ სალომეს განსაკუთრებული უნარი აქვს ყველაფრის მოწესრიგებისა და გალამაზებისა.

გიორგიც ამ ეზოში ცხოვრობს, ის დიდი ჩხუბისთავია. ყოველთვის ეძებს მიზეზს, რომ სხვას რამე დააბრალოს და და დაიწყოს ჩხუბი. როცა სალომე ეზოშია, მაშინ გიორგი ვერ ახერხებს ჩხუბის დაწყებას, რატომღაც წყნარადაა და ცდილობს, სხვებთან ერთად ითამაშოს.

თეკლა ბუტიაა, ყველაფერზე იბუტება. ხუმრობის გაგებაც კი უჭირს.

თეკლა თვითონ მოდის ხოლმე ხასიათზე, მალე ავიწყდება ყველაფერი და ისევ ბავშვებისკენ გარბის.

ნინოს ეზოში დიდ შემრიგებელს ეძახიან. მას შეუძლია, რომ გაბუტული ბავშვები შეარიგოს. ეს, მართლაც, საოცარი უნარია.

ეზო პატარაა და როცა ბავშვები ბურთით თამაშობენ,ზოგჯერ ბურთი მაიკო დეიდას ფანჯარას ხვდება და ფანჯარა ტყდება. მაიკო დეიდა პირველ სართულზე ცხოვრობს. ის ბრაზდება და მკაცრი ხმით ამბობს: რამდენჯერ უნდა ვუთხრა, რომ სხვაგან ითამაშონ, ამ ბავშვებს მოსმენაც არ შეუძლიათ!

მაიკო დეიდა მალე მშვიდდება ხოლმე.

აი, ასეთი მხიარულია ეს ეზო.

თბილისის ამ პატარა ეზოში ბევრი ადამიანი ცხოვრობს. ყველა სხვადასხვაგვარი ხასიათისაა, მაგრამ, რაც მთავარია, მათ ერთმანეთი ძალიან უყვართ.

## ზურა და ლელა ბებოსთან და ბაბუსთან

ზურა და ლელა სოფელში ბებიასთან და ბაბუასთან გადავიდნენ. თავდაპირველად ცოტა მოიწყინეს პატარებმა. ახალი გარემო, ახალი სკოლა, ახალი მასწავლებლები, ახალი მეგობრები. ყველაფერი ახალი და უჩვეულო.

ლელას და ზურას განსაკუთრებით უყვართ ბებოსთან ერთად მეზობლებთან სიარული. მეზობლებთან ძალიან ბევრ ახალ ამბავს იგებენ. განსაკუთრებით სულ ახლოს მცხოვრები ცისანა ბებოსთან სტუმრობა მოეწონათ.

ცისანა ბებო ასაკიანი ქალია. ის მარტო ცხოვრობს. შვილიც ჰყავს ცისანა ბებოს და შვილიშვილიც, მაგრამ ისინი სხვაგან ცხოვრობენ. ცისანა ბებო ძორითადად საქმეს მარტო აკეთებს. ის ყველაზე ადრე ხნავს მიწას. ყანაც სულ მოვლილი აქვს. ამბობენ, სოფელში ყველაზე კარგი ყანა ცისანა ბებოს აქვსო.

ბოსტანიც საუკეთესო აქვს ცისანა ბებოს. უამრავი სახეობის ბოსტნეულია ბოსტანში, ქინძი, ოხრახუშო, ნიახური, კამა. სტაფილო, ბოლოკი, კიტრი და პომიდორი. მოკლედ, როგორც იტყვიან რაც გინდა სულო და გულო.

ლელას და ზურას განსაკუთრებით ცისანა ბებოს ხეხილის ბაღი უყვართ. ხეხილი ყველას აქვს სოფელში, მაგრამ ყველას ცისანა ბებოს საადრეო მსხალი იზიდავს. ის ყველაზე ადრე ისხამს მსხალს, ყველა ბავშვი ცდილობს საადრეო მსხალი დააგემოვნოს. ცისანა ბებოც ყველას გულით ეპატიჟება...

ზურას კიდევ ერთი მიზეზის გამო უყვარს ცისანა ბებოსთან სტუმრობა. ყოველი მისვლისას ქათმები კვერცხს დებენ. კაკანს დაიწყებს თუ არა ქათამი, ზურა საბუდართან მიდის და კვერცხს იღებს. კვერცხის ამოღება განსაკუთრებით ხიბლავს ზურას.

ლელას სხვა მიზეზიც აქვს ცისანა ბებოსთან სტუმრობისთვის. ზუსტად მის სახლთან ჩერდება სოფლის ავტობუსი. ავტობუსი კვირაში ორ დღეს დადის. ვინც ვერ მიჰყვება, ავტობუსის მძღოლს აბარებს პურს, ფქვილს, შაქარს და სხვადასხვა სურსათს. დაბარებულ ნივთებს მძღოლი ცისანა ბებოსთან ტოვებს. საღამოს ყველა თავის ნივთს მოაკითხავს და წაიღებს. მთელი ეს პროცესი ძალიან მოსწონს ლელას. თან ყველაფრის საქმის კურსშია: ვინ რა დააბარა ავტობუსს. ვის რა მოუტანა ავტობუსმა და ა.შ. ცისანა ბებოს არ ეშლება, ვისი რაა. ასე ეხმარება მეზობლებს უკვე ოცდაათი წელია.

ზუსტად ოცდაათი წლისაა სოფლის ავტობუსიც. ძალიან ძველია, მაგრამ სოფელს მაინც კარგ საქმეს უკეთებს. ავტობუსის მგზავრებს აღარ აშინებთ ავტობუსში რყევა, არც გადავარდნის ეშინიათ. ისინი მიჩვეულები არიან. აი სტუმრები კი შეშინებული და გაოცებული რჩებიან.

ზურას და ლელასაც ახსოვთ თავიანთი პირველი მგზავრობა ამ ავტობუსით. წვიმიანი დღე იყო. ზურას და ლელას ძალიან გაუკვირდათ, როცა ბებომ ავტობუსში ქოლგა გაშალა. რა ექნა ბებოს, ავტობუსშიც წვიმდა... ზურამ და ლელამ ბევრი იცინეს იმ დღეს. ავტობუსის დანახვაზე ყოველთვის ეს ამბავი ახსენდებათ...

## ზაფხულის არდადეგები

ზურა და ლელა მიეჩვივნენ ბებოსთან და ბაბუსთან სოფელში ცხოვრებას. ბავშვებს უკვე ჰგონიათ სულ აქ ცხოვრობდნენ. ერთადერთი დედა და მამა ენატრებათ ძალიან. არა მარტო დედა და მამა, პაკოც ძალიან ენატრებათ, ჩიკო და ფეფოც სულ ახსენდებათ...

ამასობაში გაზაფხულიც მიილია. დადგა ზაფხული. ზურას და ლელას სკოლაში არდადეგები დაეწყოთ. ზურას და ლელას სოფელი განსაკუთრებით ლამაზი ზაფხულშია. სოფელს უამრავი ადამიანი სტუმრობს. სოფელში სტუმრებს მოაგარაკეებს ეძახიან. სოფელი სააგარაკოდ მართლაც რომ შესანიშნავია. ჰაერი და წყალი საუცხოოა, სოფლის მდინარე ხომ ნამდვილი ფუფუნებაა ზაფხულში.

წელს ზურას და ლელას ოჯახს ესტუმრნენ ნათესავები: თამთა და ლალი. ორივე გოგონა, ისინი ზურაზე და ლელაზე უფროსები არიან. ლალი ცხრა წლისაა, თამთა კი თერთმეტის.

ლელა და ლალი კარგად შეეწყვნენ ერთმანეთს. მუდამ ერთად არიან, ერთად თამაშობენ, ერთმანეთთან საუბრობენ, ერთად დადიან წყაროზე, მდინარეზე, კლუბში, მოედანზე. ზურა დიდად ვერ შეეწყო გოგოებს. ის მათთან ვერ თამაშობს. ძირითადად თანაკლასელებთან მიდის სტუმრად, ან პირიქით – ისინი სტუმრობენ ზურას. რაც შეეხება თამთას, მან ცოტა მოიწყინა, ვერც ლელასთან გამონახა საერთო ენა, ვერც ზურას ეთამაშა, თავის დაზეც გაბრაზებულია, ის ხომ სულ ლელასთან ერთად თამაშობს, ძალიან მოიწყინა თამთამ, ცოტა აგრესიულიც კი გახდა...

თამთა განსაკუთრებით აგრესიული ლალის მიმართ გახდა. ხშირად აწყენინებდა დაიკოს, დასცინოდა. ლალი უხმოდ იტანდა დაიკოს ასეთ საქციელს. მხოლოდ მარტო დარჩენილი ყრიდა ცრემლებს და ვერ ხვდებოდა თამთას ასეთი აგრესიის მიზეზებს. ლელას ძალიან ეცოდებოდა ლალი, მაგრამ თამთასაც ვერაფერს ეუბნებოდა. თამთა სულ ეფერებოდა ლელას, ამიტომ ლელას თამთას წყენინებაც არ უნდოდა.

ლელას ბებია ადვილად მიხვდა ლალის მოწყენილობის მიზეზს. აკვირდებოდა ბავშვებს და ერთ დღეს თამთას საყვედურიც უთხრა დაიკოს მიმართ აგრესიის გამო. თამთა ამ ამბავმა უფრო გააღიზიანა. უფრო აგრესიული გახდა ლალის მიმართ, რადგან ეგონა, რომ ბებიას ყველაფერი ლალიმ უამბო.

ლალი, თავის მხრივ, ცდილობდა თამთას გულის მოგებას, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. თამთას მოსაწონს ვერაფერს აკეთებდა.

ერთ დღეს თამთამ ლალის და ლელას უბრძანა მას გაჰყოლოდნენ: „გააკეთებთ რასაც მე გეტყვით“-უთხრა ბავშვებს თამთამ. ლალიმ ხმა ვერ ამოიღო, არ უნდოდა უარესად დაეძაბა დასთან ურთიერთობა, ლელა პატარა იყო, თან თამთა სულ ეფერებოდა, ამიტომ უსიტყვოდ შეასრულა უფროსის ბრძანება.

თამთა ბავშვებს სახლთან ახლოს მეზობლის ბოსტნისკენ გაუძღვა. ბოსტანში უამრავი შეყვითლებული კიტრი იყო. თამთამ უბრძანა ლალის და ლელას, რომ შეყვითლებული კიტრები მოეწყვიტათ და იქვე დაეტოვებინათ.

ლელამ ვერაფერი გაიგო, კიტრი უამრავი ჰქონდა ბებიას, რამდენიც უნდოდათ, იმდენი შეეძლოთ მოეკრიფათ თავიანთ ბოსტანში. სხვის ბოსტანში, მით უმეტეს, მეზობელი ცისანა ბებიას ბოსტანში, რატომ უნდა მოეკრიფათ და დაეყარათ, ვერ გაერკვია პატარას. ლელამ მაინც ვერაფერი უთხრა თამთას და ლალისთან ერთად შეასრულა მისი ბრძანება.

ამ დროს სახლიდან ცისანა ბებია გამოვიდა. „ჰაუ, ჰაუ“ იძახდა ცისანა ბებია და დაფეთებულ ქათმებს დასტრიალებდა გარშემო. ბოსტანში მყოფი ბავშვები ვერც კი შეამჩნია. . . მაგრამ ბავშვებმა რა იცოდნენ, ცისანა ბებიას ხმაზე გაიქცნენ ბოსტნიდან და ყანა-ყანა სირბილით მივიდნენ სახლამდე. სახლში მისულებმა აღმოაჩინეს, რომ ლალის მაისური დარჩა ბოსტანში. ახლა კი ყველა ყველაფერს გაიგებდა. . .

მართლაც, ზურას და ლელას ბებიამ შეიტყო ცისანა ბებიასაგან ბავშვების საქციელი. თამთას ძალიან შერცხვა ჩადენილის. ამიტომ სახლში მისვლა ვეღარ გაბედა. ლელამაც არ მიატოვა თამთა და მასთან დარჩა. ლალი მივიდა მხოლოდ სახლში და მთელი დღე ელოდა, როდის დაბრუნდებოდნენ ლელა და თამთა...

ლელა და თამთა მთელი დღე ყანაში იმალებოდნენ. დაღამდა, შიათ და ეშინიათ ბავშვებს, მაგრამ სახლში დაბრუნებასაც ვერ ბედავენ. ქარიც ამოვარდა, სიმინდის ფოთლებმა შრიალი დაიწყეს. ძალიან შეეშინდათ გოგოებს, ერთმანეთს ჩაეხუტნენ.

ბებია მთელი დღე ეძებდა გოგოებს. ბოლოსდაბოლოს, ბებომ შუაღამისას ბავშვები ჩაძინებულები იპოვა ყანაში. დილით თამთას და ლელას საწოლში გაეღვიძათ. ახლად გაღვიძებულებს ბებომ რძე და ცხელ-ცხელა ხაჭაპური დაახვედრა და სოკოზე ტყეში წაყვანას დაჰპირდა.

თამთა მიხვდა, რომ ბებომ ყველაფერი იცოდა, მაგრამ არაფერი უთხრა.

„ბებო, შეიძლება, ჩვენი ბოსტნიდან შეყვითლებული კიტრები ცისანა ბებიას წავუღო?“- დაეკითხა თამთა ბებოს.

„კი შვილო, როგორ არ შეიძლება, ძალიან გაეხარდება ცისანა ბებოს შენი მირთმეული ყვითელი კიტრები, სათესლედ გამოიყენებს და თავის ბოსტანში დათესავს“.

თამთამ და ლელამ ერთი კალათი გაავსეს კიტრით და ცისანა ბებიას მიართვეს. ცისანა ბებიამ ძალიან გაიხარა, დიდი მადლობა უთხრა ბავშვებს და კარგადაც გაუმასპინძლდა.

ლელა ბოლომდე გაკვირვებული იყო. ვერ გაეგო ვერაფერი: გაიგეს უფროსებმა? რატომ არავინ საყვედურობდა... თამთა ყველაფერს მიხვდა. იმ დღის მერე თამთა ძალიან კეთილი და მოსიყვარულე გახდა, მთელი დღე ლალისთან და ლელასთან ერთად თამაშობდა. ცისანა ბებიასაც ყოველდღე სტუმრობდნენ. . .

# თემა 6

## რიცხვითი სახელები, ზომა-წონის ერთეულები, ფულის ერთეულები

*გაკვეთილი 8*

**1. გაეცანით რიცხვით სახელებს 0-დან 10-მდე, ამოიწერეთ ლექსიკონში და თარგმნეთ.**

0 - ნული

| | |
|---|---|
| 1 – ერთი | 6 - ექვსი |
| 2 – ორი | 7 - შვიდი |
| 3 – სამი | 8 - რვა |
| 4 – ოთხი | 9 - ცხრა |
| 5 – ხუთი | 10 – ათი |

**2. წაიკითხეთ და დაიმახსოვრეთ:**

თვის პირველი დღე ასე აღინიშნება:
დანარჩენი დღეები კი ჩვეულებრივ:

2, 3, 4, 16. 25 . . . იანვარი.

ასევე ითქმის:

**პირველი საათია**

| | | |
|---|---|---|
| ნახევარი | 1 / 2 | ერთი მეორედი |
| მესამედი | 1 / 3 | ერთი მესამედი |
| მეოთხედი | 1 / 4 | ერთი მეოთხედი. |

მეხუთედი (1 / 5), მეექვსედი (1 / 6), მეთხუთმეტედი (1 / 15),
მეოცედი (1 / 20)...

მაგრამ:
ოცდამეერთედი (1 / 21), ოცდამეხუთედი (1 / 25),
ოცდამეცხრედი (1 / 29), ოცდამეათედი (1 / 30).

3. რამდენლარიანი ბანკნოტებია გამოსახული სურათებზე? მიუწერეთ.

_____ _____

_____ _____

4. შემოხაზეთ სწორი ფორმები:

| | | | |
|---|---|---|---|
| თრვამეტი | თერთმეტი | ცამეტი | ათოთხმეტი |
| შვიდმეტი | ჩვიდმეტი | სამმეტი | თოთხმეტი |

5. წაიკითხეთ და დაიმახსოვრეთ ახალი სიტყვები და ფრაზები:

რა ღირს?

ძვირია / იაფია.

ინებეთ ხურდა!

რამდენი გაქვს ხელფასი?

ფულის გადახურდავება.

**6. წაიკითხეთ დიალოგი:**

– რა არის ფულის ერთეული საქართველოში?
– ლარი.
– სომხეთში რა არის?
– დრამი.
– რუსეთში?
– რუბლი.
– ამერიკაში?
– დოლარი.
– აზერბაიჯანში?
– მანათი.
– გერმანიაში?
– ევრო.
– ინგლისში?
– სტერლინგი.

**7. წაიკითხეთ და დაიმახსოვრეთ:**

– რამდენი გრამია ერთ კილოგრამში?
– ერთ კილოგრამში არის ათასი გრამი.
– რამდენი კილოა (კილოგრამია) ერთ ცენტნერში?
– ცენტნერში არის ასი კილო (კილოგრამი).
– რამდენი კილოა ტონაში?
– ტონაში არის ათასი კილო (კილოგრამი)
– რამდენი მილიმეტრია ერთ სანტიმეტრში?
– ერთ სანტიმეტრში არის ათი მილიმეტრი.
– რამდენი სანტიმეტრია მეტრში?
– მეტრში არის ასი სანტიმეტრი.
– რამდენი მეტრია კილომეტრში?
– კილომეტრში არის ათასი მეტრი.
– რამდენია თქვენი სიმაღლე?

ჩემი სიმაღლე არის (ჩემი სიმაღლეა):

– მეტრი და ოთხმოცდაოთხი სანტიმეტრი.
– რამდენ კილოს (კილოგრამს) იწონით?
– მე ვიწონი:
– ოთხმოც კილოს // კილოგრამს.

**8. წაიკითხეთ დიალოგები ახალი სიტყვების გამოყენებით:**

* * *

– რამდენი კილოა ეს საზამთრო?
– შვიდი?
– თქვენი სასწორი ზუსტია?
– დიახ, ბატონო.
– აბა, ვნახოთ. ექვსი კილო და შვიდასი გრამი ყოფილა.
– ბოდიში. ინებეთ სამასი გრამის ხურდა.

* * *

– რამდენია თქვენი სიმაღლე?
– ჩემი სიმაღლე არის:
– მეტრი და ოთხმოცდაოთხი სანტიმეტრი

* * *

– იცი, რამხელაა ყველაზე დიდი კაბა მსოფლიოში?
– არ ვიცი.
– ოცდაათი მეტრი და ორმოცდარვა სანტიმეტრი.
– მართლა?
– ჰო. წონით, იცი, რამდენს იწონის?
– რამდენს?
– ოთხას ორმოცდაცამეტ კილოსა და ექვსას გრამს.
– მერე ვის ჩააცვეს ეგ კაბა?
– თავისუფლების ქანდაკებას ამერიკაში.
– აჰა, გასაგებია.

**9. ამოიწერეთ ახალი სიტყვები და ფრაზები.**

**10. შეადგინეთ დიალოგები (5-6 დიალოგი) ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით (წერითი დავალება).**

**11. წაიკითხეთ ტექსტი და გადმოეცით მოკლე შინაარსი (წერითი დავალება).**

* * *

მეგობრები შაბათ-კვირას ლაშქრობებზე დავდივართ ხოლმე. იმ დღეს მცხეთაში მივდიოდით. დილით ადრე ავდექი, ხელ-პირი დავიბანე და მაღაზიაში ჩავედი. ვიყიდე პური, ერთი კილო ძეხვი, კილო-ნახევარი სოსისი, ნახევარი კილო შაქარი, ორი სამასგრამიანი პაშტეტი, ორასი გრამი ყავა, სამასი გრამი ჩაი, ორი ცალი ლიტრ-ნახევრიანი ლიმონათი;

ხილიც ავიღე: ორი კილო ვაშლი, ორი კილო ატამი. წინა დღეს ნაყიდი მქონდა სამი კილო სამწვადე ხორცი, – ეგეც გამოვიღე მაცივრიდან. ჩემი მეგობრებიც კარგად იყვნენ მომზადებულები. ღამე ბუნებაში გავატარეთ. *მინდორზე* კოცონი დავანთეთ, მწვადები ავაშიშხინეთ, კარგად ვიქეიფეთ.

**12. დაწერეთ სიტყვებით:**

22-45-98 77-34-85 32-12-15 3-14-98 39-75-20

37-15-85 8-99 90-57-61 8-77-33-73-11 8-99 18-02-39 23-15-20

37-01-05 25-85-65 32-85-63

_____

_____

_____

**13. რა ღირს?**

_____

_____

_____

**14. წერილობით უპასუხეთ კითხვებს:**

*რომელი წელია ახლა?*

_____

როდისაა თქვენი დაბადების დღე?

_____

*რომელ წელს დაიბადეთ?*

_____

*დაასახელეთ თქვენი ერთ-ერთი მეგობრის დაბადების წელი.*

_____

*დაასახელეთ თქვენი ოჯახის წევრების დაბადების წლები.*

_____

**15. რიცხვები დაწერეთ სიტყვიერად:**

1 იანვარი ——————————————————————

21-ე საუკუნე ——————————————————————

1 / 3 ——————————————————————

1985 წ. 1. 01. ——————————————————————

1006 წელი ——————————————————————

1 / 2 ——————————————————————

**16. დაუსვით სწორი კითხვა:**

მეცხრე ——————————————————

მეშვიდედი ——————————————————

მეოცე ——————————————————

ორმოცდაათი ——————————————————

ნახევარი ——————————————————

პირველი ——————————————————

ორას ოცდამეშვიდედი ——————————————————

**17. ისრებით დააკავშირეთ ერთმანეთთან:**

| | |
|---|---|
| რამდენი? | პირველი |
| რომელი? | ხვალ |
| როდის? | ხუთი |

**18. ივარჯიშეთ კითხვაში:**

**შოკოლადი**

შოკოლადი ყველასთვის საყვარელი ტკბილეულია. ის ინდიელთა ტომებმა, აცტეკებმა გამოიგონეს. შოკოლადი კაკაოს მარცვლებისგან მზადდება. კაკაოს მარცვლებს კაკაოს ხიდან კრეფენ. თავდაპირველად შოკოლადი სასმელად გამოიყენებოდა: კაკაოს მოხალულ მარცვლებს ინდიელები ფქვავდნენ და წყალს ურევდნენ, შემდეგ წითელ წიწაკას უმატებდნენ. ამ ნარევს ისინი „ღმერთების სასმელს“ ეძახდნენ.

მოგვიანებით დაიწყეს შოკოლადში შაქრის, ვანილის, თაფლისა და დარიჩინის შერევა. შოკოლადის შესახებ ევროპაში პირველად ესპანელებმა შეიტყვეს. ესპანეთის სამეფო კარი

ამ ინფორმაციას საიდუმლოდ ინახავდა. ამ საიდუმლოს გაცემისათვის კი ადამიანებს სიკვდილით სჯიდნენ. შემდეგ შოკოლადი ფართოდ გავრცელდა. შოკოლადის უამრავი სახეობა გამოიგონეს: მწარე შოკოლადი, შავი შოკოლადი, ტკბილ-მწარე შოკოლადი, რძის შოკოლადი, თეთრი შოკოლადი...

დიდი ხნის განმავლობაში შოკოლადს მხოლოდ მდიდრები მიირთმევდნენ. ის საკმაოდ ძვირი ღირდა. მოგვიანებით, როცა კაკაო და შაქარი გაიაფდა, შოკოლადის ფასმაც დაიკლო. მისი ყიდვა ღარიბებმაც შეძლეს.

შოკოლადს მრავალი სასარგებლო თვისება აქვს: ის აუმჯობესებს განწყობას, ადამიანებს ენერგიით ავსებს. ძველად კი შოკოლადს ხველის, გაციებისა და ინფექციის საწინააღმდეგოდაც იღებდნენ.

საუკეთესო გემოსა და თვისებების გამო შოკოლადი დღესაც გამორჩეული სასუსნავია.

## მაღაზიაში

ხვალ მეგობრობის დღეა. მეგობრებმა მეგობრობის დღის აღნიშვნა გადაწყვიტეს. თოკო, პაკო და თაკო მაღაზიაში მიდიან წვეულებისთვის სურსათის საყიდლად. მაღაზიას აქვს ოთხი სექცია:

„ხორცი“
„ხილ-ბოსტნეული”
„ტკბილეული”
„სასმელი“:

„სასმელის“ სექციაში იყიდება ლიმონათი, კოკა-კოლა, წვენი, წყალი, ბორჯომი, ცივი ჩაი, ლუდი, ღვინო, არაყი, შამპანური, ვისკი, კონიაკი.

„ხილ-ბოსტნეულის“ სექციაში იყიდება ვაშლი, მსხალი, საზამთრო, ბანანი, მანდარინი, ფორთოხალი, ყურძენი კარტოფილი, კიტრი, პომიდორი, სტაფილო, კომბოსტო, ჭარხალი, ნიორი, მწვანილი.

„ტკბილეულის“ სექციაში იყიდება კანფეტი, შოკოლადი, ნამცხვარი, ვაფლი, ნაყინი, გოზინაყი, ჰალვა.

„ხორცის“ სექციაში იყიდება ქათმის ხორცი, საქონლის ხორცი, ღორის ხორცი და თევზეული.

პაკომ წვეულებისთვის შეიძინა ლიმონათი, კოკა-კოლა, წვენი. თაკომ წვეულებისთვის შეიძინა ვაშლი, მსხალი, საზამთრო, ბანანი, კარტოფილი, კიტრი, პომიდორი, სტაფილო, კომბოსტო, მწვანილი. თოკომ წვეულებისთვის შეიძინა კანფეტი, შოკოლადი, ნამცხვარი, ნაყინი. ძროხის, ქათმის და ღორის ხორცი თოკოს და თაკოს დედა-მამამ შეიძინეს ბავშვების წვეულებისთვის.

- მგონი, ყველაფერი ვიყიდეთ, ხვალ კარგი წვეულება გვექნება, კარგ დროს გავატარებთ, - ამბობენ თაკო, პაკო და თოკო და მოუთმენლად ელიან ხვალინდელ წვეულებას.

## ტანსაცმლის ბაზრობაზე

დღეს კვირაა. თოკოს და თაკოს მშობლები ისვენებენ.

- ვაკო, ახალი ამბავი გაიგე, თბილისში მოლი გაუხსნიათ! - ეუბნება ვიკა მეუღლეს.
- მოლი რა არის? - კითხულობენ ერთხმად ტყუპები.
- მოლი დიდი სავაჭრო ცენტრია. ამ სავაჭრო ცენტრში ბევრი ტანსაცმლის მაღაზიაა, - პასუხობს მშვიდად ვაკო ბავშვებს.
- არ ვიცოდი მოლი თუ გახსნეს, თუ გინდა ბავშვებიც წავიყვანოთ და წავიდეთ მოლში.
- კი, წავიყვანოთ ბავშვებიც, ახალი ტანსაცმელიც სჭირდებათ და ფეხსაცმელიც, - ეთანხმება ვიკა ქმარს.

ახალი მოლი მართლაც ძალიან კარგი აღმოჩნდა. უამრავი მაღაზია, კაფეები, რესტორნები, გასართობი ადგილები. ხალხიც უამრავი ტრიალებდა, მანქანაც უამრავი იყო. სად გაეჩერებინათ მანქანები, აღარ იცოდნენ.

მოლის წინა მხარეს სულ ქალების მაღაზიები იყო. მოლის უკანა მხარეს – სულ მამაკაცების მაღაზიები. ქალისა და მამაკაცის მაღაზიებს შორის სულ ბავშვების მაღაზიები იყო.

ბავშვები და მშობლები ბავშვების მაღაზიაში შევიდნენ.

- ხომ არ დაგეხმაროთ? - შემოეგებათ გოგონა მაღაზიაში შესვლისას.
- კი, თუ შეიძლება, რვა წლის ბავშვებისთვის გვინდა ტანსაცმლის შერჩევა, - უპასუხა ვაკომ.
- ძალიან კარგი, ოდნავ წინ წადით და იქ გოგონების კაბებია.
- ბიჭის შარვლები სად არის? - არ ისვენებს თოკო.
- ბიჭის შარვლები უფრო წინაა. შარვლები კაბებსა და ქურთუკებს, ჯემპრებსა და პიჯაკებს შორისაა.
- ძალიან კარგი, ჯერ კაბებს ვიყიდით, შემდეგ შარვლებს, შემდეგ ქურთუკებს, ჯემპრებსა და პიჯაკებს, - პასუხობს გახარებული თაკო.

მშობლებმა უამრავი ტანსაცმელი უყიდეს თოკოს და თაკოს.

- ფეხსაცმელები დაგვრჩა საყიდელი, ფეხსაცმელების მაღაზია ქალების ტანსაცმლის მაღაზიის უკან, კაცების მაღაზიის წინ და ბავშვების ტანსაცმლის მაღაზიის გვერდით იყო. სხვა დროს წამოვიდეთ და ფეხსაცმელებიც ვუყიდოთ ტყუპებს, - შეთანხმდნენ მშობლები.

## ნაყინის სახლი

არცთუ დიდი ხნის წინათ ბოლონიაში, ზედ მთავარ მოედანზე, ნაყინის სახლი ააშენეს. ვინ იცის, საიდან აღარ მოგროვდნენ იმ მოედანზე ყმაწვილები, ყველაზე მივარდნილი მხარეებიდანაც კი ჩამოვიდნენ: გავიგეთ, გემრიელი სახლი აუშენებიათ და იქნებ ცოტა მაინც გაგვალოკინონო.

ნაყინის სახლს მარმელადის სახურავი ჰქონდა, საკვამურებიდან კვამლის მაგივრად გათქვეფილი ნაღები ამოდიოდა, ბუხრები კი სულ ერთიანად დაშაქრული ხილისგან იყო გაკეთებული. დანარჩენი ყველაფერი ნაყინისა იყო — კარებიც, კედლებიც, ავეჯიც.

ერთი პატარა ბიჭი ლამის ზედ აეკრა სასადილო მაგიდას. იმდენი ულოკა ოთხივე ფეხი, მაგიდამ ვეღარ გაუძლო და თავზე დაემხო თავის თეფშებიანად და ლამბაქებიანად. მერე სულ შოკოლადიანი ნაყინის თეფშები და ლამბაქები ეწყო იმ მაგიდაზე! თანაც უგემრიელესი შოკოლადის ნაყინისა!

ერთხელ ნაყინის სახლთან ქალაქის ყარაულმა ჩაიარა და დაინახა – ერთი ფანჯარა თანდათან დნებოდა. ფანჯარას მინები მარწყვის ნაყინისა ჰქონდა და იმიტომაც იყო, ვარდისფრად რომ მოწურწურებდა.

— არიქა! — ყვირილი ატეხა ყარაულმა. — მალე!

ყველანი ერთბაშად მისცვივდნენ შემდნარ სახლს და დაიწყეს ლოკვა. აი, პირის ჩატკბარუნება იქ იყო!

— დედაშვილობამ, სავარძელი მაინც გამომიტანეთ! — საბრალოდ იხვეწებოდა ერთი დედაბერი, რომელსაც იმდენ ხალხში თავგზა აბნეოდა. — ნუ მაწყენინებთ მოხუც ადამიანს! ბევრს არა გთხოვთ, სავარძელი მინახეთ რამე, იქნებ სახელურებიანიც იყოს!

ერთი გულკეთილი მეხანძრე მართლაც შევარდა სახლში და დედაბერს კრემითა და შოკოლადით მორთული ნაყინის სავარძელი გამოუტანა. უნდა გენახათ, რა დღეში ჩავარდა საცოდავი, აღარ იცოდა, რა ექნა სიხარულით! მაშინვე სწორედ სახელურებიდან დაიწყო! მოკლედ, ნამდვილი დღეობა გაიმართა! თუმცა, მუცელიც კი არავის ასტკივებია...

ამ ამბავს ახლაც ჰყვებიან.

თუ ბავშვი ატყდა, დედას ან მამას ჩააცივდა, გინდა თუ არა, ნაყინი მეორედაც უნდა მიყიდოო, მშობლებს გული მოსდით და უჯავრდებიან:

— კიდევ რა გინდა! ბოლონიელებისა არ იყოს, იქნებ ნაყინის სახლიც ამაშენებინო!

# პარაშუტი

## შესავალი

ფრენაზე ოდესმე გიოცნებია? შეიძლება არ გიოცნებია, მაგრამ დაგსიზმრებია. სიზმარში წარმოგიდგენია, როგორ ეშვები ციდან მშვიდად, ნელ-ნელა. ეს სასიამოვნო გრძნობა უნდა იყოს.

სიმაღლიდან დაშვება პარაშუტით არის შესაძლებელი. პარაშუტი დიდი ქოლგაა, რომელიც ჰაერის წინააღმდეგობას ქმნის. ამ ქოლგას სხვადასხვა მიზნისთვის იყენებენ. მისი ძირითადი ფუნქცია მაინც ადამიანის სიცოცხლის შენარჩუნებაა. მას საჰაერო ავარიის დროს იყენებენ. პარაშუტი სამხედრო საქმეშიც გამოიყენება. ზოგიერთისთვის ის სპორტის სახეობა და ცხოვრების სტილია. შეიძლება კიდევაც გაგიგია სპორტის ეს სახეობა - პარაშუტიზმი. თუმცა, სჯობს, ყველაფერი თავიდან დავიწყოთ.

## პირველი პარაშუტები

გსმენია რაიმე ლეონარდო და ვინჩის შესახებ? გინახავს რომელიმე მისი ნახატი? მაგალითად, „მონა-ლიზა“. გაგიგია რაიმე მისი გამოგონებების შესახებ? ლეონარდო და ვინჩი ჯერ კიდევ მე-16 საუკუნეში მუშაობდა  სამეცნიერო და საინჟინრო გამოგონებებზე. მის ნახაზებს შორის ვხვდებით პირველი საფრენი აპარატისა და სხვადასხვა საბრძოლო იარაღის ესკიზებს. ასევე, ლეონარდოს სახელს უკავშირდება მაკრატლის, ველოსიპედის, ჰაერის ტუმბოს გამოგონება.

პარაშუტის პირველი ჩანახატიც ლეონარდოს ეკუთვნის. მან პარაშუტის ჩანახატი 1514 წელს გააკეთა საკუთარ რვეულში.  ლეონარდოს მიერ ჩახატული პარაშუტის ზომები და მუშაობის პრინციპი ბევრად არ განსხვავდება ახლანდელისგან.

ჯერ კიდევ მრავალი საუკუნის წინ ადამიანები ცდილობდნენ, რომ მაღალი სიმაღლიდან ნელ-ნელა დაშვებულიყვნენ. ამისთვის ბევრი ქოლგის მსგავს  ხელსაწყოს იყენებდა. ხშირად ამ გაბედული ადამიანების სურვილები ცუდად მთავრდებოდა. ზოგი იღუპებოდა კიდევაც. ფრენის სურვილი და ქოლგის ფორმის ხელსაწყო საკმარისი არაა, რომ ნელ-ნელა დავეშვათ მიწაზე. ჰაერის წინააღმდეგობის პრინციპი, რომელსაც ლეონარდომ მიაგნო, პარაშუტის მთავარი საიდუმლოებაა.

პარაშუტის შემდეგი ესკიზი კიდევ ერთ იტალიელს, ფაუსტო ვერანციოს ეკუთვნის. მან 1595 წელს აღწერა  პარაშუტი. აღწერის მიხედვით, ამ პარაშუტს მართლაც უნდა ემუშავა.

პირველი პარაშუტი ფრანგმა კაცმა - ლევანმა მე-17 საუკუნის დასაწყისში გამოსცადა. ლევანი პატიმარი იყო. მან საკუთარი ზეწრებისა და სქელი თასმებისგან ქოლგის ტიპის ხელსაწყო შეკერა. ამ ხელსაწყოს საშუალებით პატიმარი ციხის ფანჯრიდან გადმოფრინდა. იგი გადარჩა და გაიქცა.

მეორე მსგავსი შემთხვევა 1777 წელს მოხდა. ფრანგი დუმიე ასევე პატიმარი იყო. ის სიკვდილით უნდა დაესაჯათ. თუმცა მისმა გაკეთებულმა „მფრინავმა საწვიმარმა“ დიდი

ინტერესი გამოიწვია. მას უფლება მისცეს, კოშკის წვერიდან „მფრინავი საწვიმრის“ საშუალებით გადმოფრენილიყო. პატიმარი ცოცხალი დაეშვა მიწაზე. მამაც პატიმარს სიცოცხლე აჩუქეს.

შემდეგი პარაშუტი ასევე ფრანგს - ლენორმანს ეკუთვნის. მან 1783 წელს პარაშუტი გააკეთა. ლენორმანის პარაშუტის დანიშნულება იყო ხანძრისგან თავის დაღწევა. მისი პარაშუტით ცეცხლმოკიდებული სახლიდან გადმოხტომა შეიძლებოდა.

მორიგი პარაშუტის მგზავრი ძაღლი გახლდათ. მისმა ფრანგმა პატრონმა ძაღლი პარაშუტით საჰაერო ბურთიდან გადმოაგდო. ძაღლი მშვიდად დაეშვა მიწაზე. ძაღლის პატრონი ამტკიცებდა, რომ თვითონაც გადმოხდა პარაშუტით. პარტონს ფეხი მართლა ჰქონდა მოტეხილი. ოღონდ მართლა პარაშუტიდან გადმოხტა თუ არა, ზუსტად არავინ იცოდა.

შემდეგი მამაცი პარაშუტისტი - ფრანგი გარნერი იყო. მან პარაშუტიდან ხტომის ჩვენებაც კი მოაწყო. ჩვენება 1797 წელს შედგა პარიზში. გარნერის პარაშუტი მტკიცე, თეთრი ქსოვილისგან იყო გაკეთებული და ქოლგასავით მრგვალი იყო. ამ პარაშუტის საშუალებით ფრანგი 600 მეტრზე მეტი სიმაღლიდან ჩამოფრინდა. ამხელა სიმაღლიდან დაშვება იმ დროის სენსაცია გახდა. გარნერი ჩვენებებს სხვა ქვეყნებშიც აწყობდა. იგი პოპულარული გახდა.

დროთა განმავლობაში პარაშუტი კიდევ უფრო განვითარდა. 1834 წელს კიდევ ერთმა მეცნიერმა - კონინგმა პარაშუტის ფორმა ოდნავ შეცვალა. ახალი ფორმის პარაშუტის მართვა უფრო ადვილი უნდა ყოფილიყო. თუმცა მეცნიერის ცდა ცუდად დამთავრდა. იგი საკუთარი პარაშუტით გადმოხტა და დაიღუპა. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ კონინგის მოსაზრება სწორი იყო. მისი დაწყებული საქმე სხვა მეცნიერმა - ლალანდმა გააგრძელა. მან ტრადიციულ პარაშუტს ჰაერის გამოსასვლელი ხვრელი დაუმატა. ეს სისტემა უფრო გამართული იყო. იგი ახლაც გამოიყენება პარაშუტების შექმნისას.

1912 წელს ამერიკელი კაპიტანი ბერისი თვითმფრინავიდან გადმოხტა პარაშუტით. მისი პარაშუტი დროულად გაიხსნა და კაპიტანიც მშვიდობიანად დაეშვა მიწაზე.

შემდეგი მამაცი პარაშუტისტი ქალი იყო. მას ჯორჯია ტომპსონი ერქვა. ის პირველი ქალი იყო, რომელიც თვითმფრინავიდან პარაშუტით დაეშვა 1913 წელს.

პარაშუტების განვითარებას კიდევ ბევრი დრო დასჭირდა. მისი ზომა, წონა, გასახსნელი სისტემა დიდხანს მაინც არ იყო საუკეთესო. თუმცა პარაშუტის პოპულარობა არ ნელდებოდა. ბევრი მეცნიერი და ინჟინერი მუშაობდა პარაშუტების გაუმჯობესებისათვის. თანდათან პარაშუტები გამოიყენეს სამხედრო მიზნებისთვისაც.

1951 წელს გაიმართა პირველი მსოფლიო ჩემპიონატი პარაშუტებში. დღეისათვის ეს სპორტი ძალიან პოპულარულია. საპარაშუტო სპორტს პარაშუტიზმი ჰქვია. იგი რამდენიმე კატეგორიისგან შედგება. დაშვების სიზუსტე, აკრობატიკა, ჯგუფური დაშვება - ამ სპორტის კატეგორიებია.

**თანამედროვე პარაშუტები**

თანამედროვე პარაშუტები თავიანთი ფორმით, ზომით და დანიშნულებით ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდებიან. მათი სისტემა ბევრად უსაფრთხოა. თანამედროვე პარაშუტების უდიდეს ნაწილს სათადარიგო სისტემაც გააჩნია. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ძირითადი პარაშუტი დროულად არ გაიხსნა, მაშინ სათადარიგო სისტემა იწყებს მუშაობას და იცავს ადამიანს ძლიერი ვარდნისგან. თანამედროვე პარაშუტები მიმართულებასაც აკონტროლებენ დამხმარე ფრთების საშუალებით. პარაშუტების გამოყენება დღითიდღე უფრო და უფრო მეტად იზრდება. მას სახლებიდან, ხიდებიდან გადმოსახტომად იყენებენ. ბევრ დაწესებულებაში პარაშუტი უსაფრთხოების სისტემის ნაწილია.

ბოლოსიტყვაობა

როგორ ფიქრობ, საშიშია პარაშუტიდან გადმოხტომა? თუ უფრო საინტერესოა? მთავარი ისაა, რომ პარაშუტით გადმოხტომას ცოდნა უნდა. საკუთარი პარაშუტის გამოგონება არ უნდა სცადო. ის უკვე არსებობს. პარაშუტით გადმოხტომა საქართველოშიც შეიძლება. მე ერთხელ გადმოვხტი კიდეც.

# შუალედური ტესტირება

*გაკვეთილი 9*

## დელფინი

ზღვის ბინადართა შორის დელფინი ყველაზე ჭკვიანი ცხოველია. იგი ოცდაათ წლამდე ცოცხლობს. დელფინი ნაცრისფერი და ლურჯი ფერისაა. იგი რძით კვებავს თავის ნაშიერებს, თვითონ კი პატარ-პატარა თევზებით იკვებება.

დელფინებს ძალიან უყვართ თამაში. დელფინები კონტაქტს ადვილად ამყარებენ.

დელფინი თვინიერი და გონიერი არსებაა, რის გამოც ადამიანი მას ადვილად წვრთნის. თუ დელფინმა შეამჩნია, რომ ადამიანი წყალში იძირება, აუცილებლად ეხმარება მას.

დელფინები სხვადასხვა ბგერას გამოსცემენ, თითქოს ერთმანეთს ელაპარაკებიანო. მათ დაახლოებით 14 000 სხვადასხვა სიგნალის გამოცემა შეუძლიათ. ამ სიგნალებით დელფინები თავიანთ ემოციებს გამოხატავენ. დელფინებს ხანდახან ადამიანის მიერ წარმოთქმული სიტყვების გამეორება შეუძლიათ. დელფინები "საუბარს" პატარა დელფინებს ასწავლიან.

### ახალი სიტყვები:

**ბინადარი** – ბინად ვისაც აქვს ის ადგილი; მაცხოვრებელი;
**ნაშიერი** – შვილი (ცხოველებზე ითქმის);
**იკვებება** – ჭამს;
**თვინიერი** – წყნარი, მშვიდი, დამჯერი;
**გონიერი** – ჭკვიანი;
**წვრთნის (გაწვრთნა)** – ასწავლის (ცხოველებზე ითქმის);
**იძირება (ჩაძირვა)** – წყალში, სიღრმეში სიმძიმით ჩადის;
**გამოსცემენ** – (აქ:) ბგერებს უშვებენ;
**სიგნალი** – ნიშანი, რომლითაც სხვას რამეს აგებინებ;
**წარმოთქმული (წარმოთქმა)** – თქმა; ხალხის წინაშე ნათქვამი (ხალხის წინაშე გამოსვლა)

## შემოხაზეთ სწორი პასუხები:

**1. სად ბინადრობს დელფინი?**

ა. დელფინი მთის ბინადარია.

ბ. დელფინი ზღვის ბინადარია.

გ. დელფინი დაბლობის ბინადარია.

დ. დელფინი ცის ბინადარია.

**2. რამდენ ხანს ცოცხლობს დელფინი?**

ა. დელფინი ორმოცდაათ წლამდე ცოცხლობს.

ბ. დელფინი ოცდაათ წლამდე ცოცხლობს.

გ. დელფინი ოც წლამდე ცოცხლობს.

დ. დელფინი ორმოც წლამდე ცოცხლობს.

**3. რით იკვებება დელფინი?**

ა. დელფინი რძით იკვებება.

ბ. დელფინი რძით კვებავს თავის ნაშიერებს.

გ. დელფინი პატარ-პატარა თევზებით იკვებება.

დ. დელფინი საერთოდ არ იკვებება.

**4. რა უყვარს დელფინს?**

ა. დელფინს ძალიან უყვარს პატარ-პატარა თევზები.

ბ. დელფინს ძალიან უყვარს თავისი ნაშიერები.

გ. დელფინს ძალიან უყვარს კონტაქტის დამყარება.

დ. დელფინს ძალიან უყვარს თამაში.

**5. როგორი არსებაა დელფინი?**

ა. დელფინი ეჭვიანი არსებაა.

ბ. დელფინი ემოციური არსებაა.

გ. დელფინებს სიგნალების გამოცემა შეუძლიათ.

დ. დელფინი თვინიერი და გონიერი არსებაა.

**6. ადამიანი დელფინს ადვილად წვრთნის . . .**

ა. რადგან წყალში თუ იძირება, დელფინი ეხმარება მას.

ბ. რადგან იგი სხვადასხვა ბგერებს გადმოსცემს.

გ. რადგან დელფინი თვინიერი და გონიერი არსებაა.

დ. რადგან მას ძალიან უყვარს თამაში.

**7. დელფინები სხვადასხვა ბგერას გადმოსცემენ:**

ა. თითქოს ემოციებს გამოხატავენ.

ბ. თითქოს ერთმანეთს ელაპარაკებიან.

გ. თითქოს ადამიანის წარმოთქმულ სიტყვებს იმეორებენ.

დ. თითქოს ბავშვებს ესაუბრებიან.

**8. ვის ასწავლიან დელფინები "საუბარს"?**

ა. დელფინები "საუბარს" ადამიანებს ასწავლიან.

ბ. დელფინები "საუბარს" ერთმანეთს ასწავლიან.

გ. დელფინები "საუბარს" ზღვის ბინადრებს ასწავლიან.

დ. დელფინები "საუბარს" პატარა დელფინებს ასწავლიან.

**9. შეავსეთ გამოტოვებული ასოები და მარცვლები**

ა. დელ--ინი გო--იერი და თვინიერი ა--სებაა.

ბ. ადამიან– დელფი–ს ადვილა-- --ვრთნის.

გ. მათ ადა–იანის წარ–ოთ–მული სი--ყვების გა–ეო--ება შეუძლი--თ.

დ. დე--ფინები კონ–აქტ- ადვილად ამ--არებენ.

**10. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები**

ა. ზღვის ბინადართა ———————— დელფინი ყველაზე ჭკვიანი ცხოველია.

ბ. დელფინი ნაცრისფერი და ლურჯი ———————— .

გ. იგი რძით ———————— თავის ნაშიერებს.

დ. დელფინები სხვადასხვა ბგერას ———————— .

**11. შეავსეთ ცხრილი**

| **დელფინი არის ...** | **დელფინი აკეთებს ...** |
|---|---|
| დელფინი ნაცრისფერი და ლურჯი ფერისაა ..... | დელფინებს ძალიან უყვართ თამაში ..... |

**12. ჩაწერეთ ინფორმაცია”**

| |
|---|
| რას უკეთებს დელფინი თავის ნაშიერებს/პატარა დელფინებს? |
| რას უკეთებს დელფინი ადამიანს? |

**13. გამოხატეთ სხვა სიტყვით ან სიტყვებით:**

საუბარი ----------

ნაშიერი ----------

კვება ----------

წარმოთქმული ----------

**14. დაალაგეთ ტექსტი ლოგიკური თანმიმდევრობით (ჩაწერეთ წრეებში რიგითი ნომრები):**

საბჭოს წევრი,

პროფ. /თამაზ ალფაიძე/

_____

ახალციხის უნივერსიტეტის რექტორს

ბ-ნ თედო პაპუაშვილს

_____

მოგახსენებთ, რომ უკვე მეხუთე წელია, ვარ ახალციხის უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს წევრი. ვფიქრობ, რომ მიუხედავად არაერთი პროექტის განხორციელებისა, საბჭოს მუშაობაში შეინიშნება გარკვეული ხარვეზები.

_____

17.07.2012

ამავე უნივერსიტეტის პროფესორის
თამაზ ალფაიძის

ამისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია რომ ხდებოდეს საბჭოს წევრთა სისტემატური შეხვედრები; გარდა ამისა, სასურველია, გაიზარდოს საბჭოს წევრთა რაოდენობა.

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

კერძოდ, გვიანდება შემოსული პუბლიკაციების განხილვა, წიგნების რეცენზირება და უნივერსიტეტის გამომცემლობისათვის მათი დროულად გადაცემა. ბუნებრივია, ეს გამოწვეულია მთელი რიგი ობიექტური მიზეზებით, რომელთა გამოსწორებაც აუცილებელია.

**15. წარმოიდგინეთ, რომ გაგაგზავნეს მივლინებაში უცხოეთში ორ თქვენს თანამშრომელთან ერთად. მისწერეთ წერილი თქვენი ოჯახის წევრს (მეუღლეს, დედას, შვილს...); მოუყევით, სად ხართ, ვისთან ერთად, როგორი ამინდია, რას აკეთებთ დილას, შუადღისას, საღამოთი; მოიფიქრეთ, რას გააკეთებდით, თქვენი ოჯახის წევრებთან ერთად რომ იმყოფებოდეთ იქ.**

სიტყვების მინიმალური რაოდენობა – 50.

16. გადაიყვანეთ ტექსტი მესამე პირში (წარმოიდგინეთ, რომ ამას თედო და თამარი წერენ).

რთული კლიმატური პირობების გამო იძულებულნი გავხდით, მივლინება შეგვეწყვიტა ერთი კვირით ადრე. აღნიშნული მიზეზის გამო სამივლინებო თანხის ნაწილი აუთვისებელი დაგვრჩა, რასაც ვაბრუნებთ ფაკულტეტის სამივლინებო ხარჯების ფონდში. იმედია, ფაკულტეტი გაითვალისწინებს შექმნილ სიტუაციას და პრობლემები არ შეიქმნება.

*თედო და თამარი რთული კლიმატური პირობების გამო.....* _____

_____

_____

_____

_____

_____

17. მართებულია თუ არა მოყვანილი თეზისი? პასუხი დაასაბუთეთ არგუმენტებით. შეგიძლიათ გამოიყენოთ სიტყვები და ფრაზები: სოციალური პრობლემები; სიღატაკე; უმუშევრობა; მედიკამენტები, პირველი დახმარება, სახელმწიფო პროგრამები; თანასწორობა; ბიუჯეტი...

სამედიცინო მკურნალობა სახელმწიფოში უნდა იყოს უფასო.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

18. შეადგინეთ ორი სატელეფონო დიალოგი: პირველი თქვენს მეგობართან, მეორე – თქვენს ლექტორთან;

თემა: გუშინ ავად გახდით.

I.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

II.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

# თემა 7

## წელიწადის დროები, თვე, კვირა, დღე, საათი

*გაკვეთილი 10*

**1. ყურადღებით მოვისმინოთ და დავიმახსოვროთ:**

ზამთრის თვეებია:

**დეკემბერი, იანვარი, თებერვალი.**

გაზაფხულის თვეებია:

**მარტი, აპრილი, მაისი.**

ზაფხულის თვეებია:

**ივნისი, ივლისი, აგვისტო.**

შემოდგომის თვეებია:

**სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი -**

ზამთარში *ცივა.*

ზაფხულში *ცხელა.*

გაზაფხულზე *თბილა.*

შემოდგომაზე *გრილა.*

ზამთარში მოკლე *დღეები* და გრძელი *ღამეებია.*

ზაფხულში დღეები გრძელია, ღამეები კი – მოკლე.

**2. დაიმახსოვრეთ:**




**3. წაიკითხეთ დიალოგები:**

* * *

– რომელია *წელიწადის* ყველაზე *ლამაზი* დრო?

– მე მგონი, გაზაფხული.

– მე ზაფხული უფრო მიყვარს.

– გეთანხმები, ზაფხულიც ლამაზია.

– ზაფხულში ზღვაზე დავდივარ.

– მეც.

– ზამთარში ბაკურიანია *კარგი.*

– ზამთარში მე გუდაურში დავდიოდი.

– *წელს* სად წახვალ?

– ჯერ არ ვიცი.

– ისე, შემოდგომა მაინც *ულამაზესია.*

– ასეა, ყველა დრო ლამაზია.

* * *

– ზაფხულში *სათევზაოდ* წავალ.

– რომელ თვეში?

– ივნისში.

– გიყვარს თევზაობა?

– ძალიან მიყვარს *ანკესით* თევზაობა.

– ჩემს ძმასაც უყვარს.

* * *

– რამდენი დროა წელიწადში?

– წელიწადში არის ოთხი დრო; გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი.

– რომელია ყველაზე ლამაზი დრო?

– ყველა დრო ლამაზია. მე გაზაფხული უფრო მიყვარს.

– რომელია წელიწადის ყველაზე
ცხელი დრო?

– წელიწადის ყველაზე ცხელი
დროა ზაფხული.

– ყველაზე ცივი დრო?

– ყველაზე ცივი დრო ზამთარია.

– გაზაფხული და შემოდგომა?

– გაზაფხული და შემოდგომა ზომიერია, არც ძალიან ცივა და არც ძალიან ცხელა.

* * *

– ახალი წელი როდის დგება?

– ზამთარში.

– რომელ თვეში?

– იანვარში, პირველი იანვარი ახალი წლის
პირველი დღეა.

– ძალიან ცივა ამ დროს?

– დიახ, ხშირად თოვლიც მოდის.

**4. ამოიწერეთ ახალი სიტყვები და ფრაზები; განმარტეთ.**

**5. წაიკითხეთ ანდაზა და თქვენი სიტყვებით გადმოეცით მისი შინაარსი:**

ანდაზა: **ზაფხულში მოწეული ზამთარში გამოგადგებაო.**

_____

_____

_____

_____

**6. წაიკითხეთ ტექსტი:**

თორმეტი თვე ერთი *წელია*. 365 დღე ერთი წელია. *წელიწადში* ორმოცდარვა კვირაა. თვეში ოცდაათი ან ოცდათერთმეტი დღეა. თებერვალში ხან ოცდარვა დღეა, ხან – ოცდაცხრა დღე.




7 დღე – 1 კვირა | 4 კვირა – 1 თვე | 3 თვე – 1 კვარტალი | 12 თვე – 1 წელიწადი

**7. გაეცანით სქემას:**




**8. ამოიწერეთ თქვენს ლექსიკონში ახალი სიტყვები და განმარტეთ (თარგმნეთ)**

9. ჩამოთვალეთ კვირის დღეები.

_____ _____ _____

_____ _____ _____

_____

10. გაეცანით სქემას:




11. დღე-ღამეში შემდეგი მონაკვეთებია:




12. ცარიელი ადგილები შეავსეთ სათანადო სიტყვებით:






## 13. წაიკითხეთ დიალოგები და ამოიწერეთ უცნობი სიტყვები

– როგორი ამინდია დღეს?
– ცუდი ამინდია = ავდარია
– კარგი ამინდია = დარია
– ღრუბლიანი ამინდია = მოღრუბლულია
– ყინავს
– ცრის
– ქუხს
– ელავს
– წვიმს (წვიმა მოდის)
  – თოვს (თოვლი მოდის)
  – წვიმდა (წვიმა მოდიოდა)
  – თოვდა (თოვლი მოდიოდა)
  – ქარი ქროდა
  – იწვიმა (წვიმა მოვიდა)
  – მოთოვა (თოვლი მოვიდა)
  – როგორი ამინდი იქნება ხვალ?

  ხვალ:

  – იწვიმებს (წვიმა იქნება // წვიმა წამოვა)
  – ქარი იქნება = ქარი ამოვარდება

ქარი ქრის
ქარი ამოვარდა
ქარი ჩადგა
წვიმამ გადაიღო

* * *

– *როგორი* ამინდი იქნება ხვალ?
– ქარიანი.
– საიდან იცით?
– სინოპტიკოსებმა თქვეს.
– სად თქვეს?
– რადიოში.
– როგორ არ მიყვარს ეს ქარი!
– ქარი არავის არ უყვარს!

* * *

– საიდან ამოდის მზე?

– აღმოსავლეთიდან.

– *საით* ჩადის?

– დასავლეთით.

– რომელი ქარი უბერავს?

– ჩრდილოეთის.

– სად მიფრინავენ ფრინველები გამოსაზამთრებლად?

– სამხრეთში.

* * *

– მშვენიერი ამინდია!

– დიახ, მზიანი დღეა.

– სასეირნოდ მინდა წასვლა.

– საღამოს შეიძლება გაწვიმდეს.

– ქოლგას წავიღებ.

* * *

– ჩინებული ამინდია!

– დიახ, ნამდვილად კარგი ამინდია.

– როგორ გგონია, შეიცვლება?

– შეიძლება. მარტში ხშირად იცვლება ამინდი.

– რამდენი გრადუსია დღეს ტემპერატურა?

– თექვსმეტი გრადუსი სითბოა.

– საკმაოდ თბილა.

– გუშინაც მზიანი ამინდი იყო საღამომდე.

– ჰო, საღამოს გაფუჭდა - აცივდა.

– საღამოს ქარმა დაუბერა, მერე კი კოკისპირული წვიმა წამოვიდა.

– მაგრამ მალე ქარიც ჩადგა და წვიმამაც გადაიღო.

– არ მიყვარს ასეთი არეული ამინდები. აი, დღესაც არ ვიცი, რა ჩავიცვა.

**14. წაიკითხეთ ანდაზა და თქვენი სიტყვებით განმარტეთ:**

ანდაზა: **ქარის მოტანილს ისევ ქარი წაიღებსო.**

_____

_____

**15. ივარჯიშეთ კითხვაში:**

## წყალდიდობა

**შესავალი**

შხაპუნა წვიმის წამოსვლა ყველას უხარია ზაფხულის ცხელ დღეებში, ზამთარშიც სიხარულით ვხვდებით ხოლმე თოვლის პირველ ფიფქებს.

ორივე მოვლენა ძალიან ლამაზია და მხიარული, როცა ცოტა ხნით გრძელდება. მერე ისინი მალევე გვბეზრდება, იმიტომ, რომ შხაპუნა წვიმა მომაბეზრებელ ავდრად შეიძლება იქცეს, ქათქათა თოვლის ფანტელები კი დიდთოვლობად გადაიქცეს. საბოლოო ჯამში, ორივე მოვლენა შეიძლება წყალდიდობად იქცეს, რაც ძალიან საშიში მოვლენაა ადამიანებისთვის.

როცა ძალიან დიდხანს, გადაუღებლად წვიმს, ქუჩებში წყალი გროვდება, ადამიანები გარეთ გასვლას ვეღარ ახერხებენ, ყველაფერი სველია და ჭუჭყიანი. იმ ადგილებში კი, სადაც მდინარეებია, წყალდიდობა უფრო ხშირად ხდება, მდინარე ნაპირებიდან გადმოდის და ახლომახლო ყველაფერს ფარავს.

**რატომ ხდება წყალდიდობები?**

წყალდიდობაც ბუნების ისეთივე მოვლენაა, როგორიც წვიმა ან თოვლი. უფრო მეტიც – წყალდიდობას სწორედ ეს ორი, თითქოს უწყინარი მოვლენა იწვევს.

წყალდიდობა წლის ყოველ დროს არ ხდება. იგი უფრო ხშირად მოსალოდნელია გაზაფხულზე, როცა თოვლი დნება და წყლის დონე იმატებს. აგრეთვე ზაფხულზე, როდესაც ხშირი და ძლიერი წვიმებია.

წყალდიდობების დროს ხშირად იტბორება სახლები, შავდებიან ადამიანებიც, ეკარგებათ ნივთები,იღუპებიან შინაური და გარეული პირუტყვები.

წყალდიდობაც ყველა ერთნაირი სიძლიერის არ არის, ზოგი უმნიშვნელოა და მას ფიზიკური ზარალი არ მოაქვს, ასეთი წყალდიდობები დიდხანს არც გრძელდება ხოლმე.

მაგრამ ზოგჯერ ისეთი ძლიერი და ხანგრძლივია წყალდიდობა, რომ ადამიანები თვითონ ვერ უმკლავდებიან მას. ასეთი შემთხვევებისთვის ყველა ქვეყანაში და მათ შორის ჩვენთანაც არსებობს სამაშველო სამსახური. აქ მუშაობენ ადამიანები, რომლებიც ასეთი ბუნებრივი სტიქიების დროს ხალხს ეხმარებიან, გადაჰყავთ ისინი უფრო დაცულ ადგილას, ცდილობენ გადაარჩინონ მათი ქონება და ა.შ.

ამ მოვლენის შეჩერება თუმცა არავის შეუძლია, მაგრამ მისგან თავის დაცვა და გაფრთხილება კი შესაძლებელია.

# ქარიშხალი

## შესავალი

ძალიან მიყვარს, როცა ნიავია. ამ დროს გრილა, ხეზე ფოთლები მსუბუქად ირხევა და დღეც სასიამოვნოა, განსაკუთრებით ზაფხულში. ნიავზე ძლიერი ქარია. ქარში გარეთ სიარული სასიამოვნო უკვე აღარაა. ქარი ძალიან ძლიერია, თუ გაბრაზდა, ხეების მოთხრაც კი შეუძლია, სახლიდან სახურავიც კი შეუძლია მოაძროს და შორს გადააგდოს...

თქვენ ყოფილხართ ქარში გარეთ? მაშინ გეცოდინებათ, როგორ ძლიერად უბერავს ქარი, თითქოს შენი აყვანაც კი შეუძლია მიწიდან და შორს გადაფრენა.

თუ ქარს იცნობთ, მაშინ ადვილი წარმოსადგენია, როგორ იქნება ქარიშხალი, ის უძლიერესი ქარია, ყველაზე ძლიერი ქარების ძალები რომ გააერთიანოთ, აი, ისეთი ძალა აქვს ქარიშხალს! საინტერესოა, როგორ ჩნდება ქარიშხალი, ან წლის რა დროსაა ის ყველაზე ხშირად?

ქარიშხალი

ქარიშხლის წარმოქმნა

ქარიშხალი წარმოიქმნება ხმელეთზეც და წყალზეც. წყალზე და წყლის ნაპირებზე ქარიშხლის წარმოქმნა ბევრად უფრო ადვილად ხდება და უფრო დიდხანს გრძელდება.

ქარი ჰაერის მასების გადაადგილების შედეგად წარმოიშვება, რაც უფრო ძლიერი და სწრაფია მათი გადაადგილება, მით უფრო ძლიერი და ხმაურიანია ქარი. შეიძლება რამდენიმე ერთად შეკრულმა ჰაერის მასამ მოიყაროს თავი და ამით დაიწყოს ქარიშხალი. ის თავიდანვე ისეთი ძლიერი არაა, როგორც ბოლოს ხდება; ნელ-ნელა ჰაერის მასების მოძრაობის სისწრაფე იზრდება და ქარიშხალსაც ძალა ემატება.

## ქარიშხლის გავრცელების ზონები

მეცნიერები დააკვირდნენ ქარიშხალს და დაადგინეს ის ადგილები, სადაც უფრო ხშირია ქარიშხლები. მათ 7 ასეთი ადგილი გამოყვეს:

1. წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, სადაც ყველაზე ძლიერი ქარიშხლის სახეობა – ტაიფუნია გავრცელებული. ქარიშხლები ყველაზე ხშირია ჩინეთში, სამხრეთ კორეაში, იაპონიასა და ინდონეზიის ერთ ნაწილში.

2. წყნარი ოკეანის ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარე: აქ ძირითადად ცენტრალური ამერიკის ქვეყნები მდებარეობს და ქარიშხლის მეორე ძლიერი სახეობა ჩნდება.ამ ქარიშხალს ჰურიკანი ჰქვია.

3. ატლანტიკის ოკეანის ჩრდილო ნაწილი: ეს ის მხარეა, სადაც ჰურიკანი „გორდონი“ ბობოქრობს; ის ყველაზე ძლიერი ქარიშხალია და ყველაფერს ანადგურებს.

4. ჩრდილო ინდოეთის ოკეანე; აქ ციკლონია გავრცელებული და ის ყველაზე მეტად ინდოეთს, ტაილანდს, შრი-ლანკასა და პაკისტანს ემუქრება.

5. წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთი მხარე: ამ მხარეში ქარიშხლები ძირითადად ავსტრალიას აზიანებს, შედარებით ნაკლებად – ახალ ზელანდიას.

6. ინდოეთის ოკეანის სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარე: ქარიშხლების გავრცელების ზონა ძირითადად ამ მხარეში ეხება დასავლეთ ავსტრალიას და ინდონეზიის ნაწილს; აქ ქარიშხლები „ვილი-ვილის“ სახელითაა ცნობილი და მას ქარიშხლის ერთ–ერთ სახეობად მიჩნევენ.

7. ინდოეთის ოკეანის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი: ამ მხარის ქვეყნებში, როგორიცაა კენია, მადაგასკარი, მოზამბიკი – გავრცელებულია ძალიან ძლიერი ციკლონები.

მეცნიერები დაინტერესებულები არიან ქარიშხლების შესახებ ინფორმაციის გაგებით და მას სპეციალურ სადგურში იკვლევენ, რომელსაც მეტეოროლოგიური სადგური ეწოდება.

**ბოლოსიტყვაობა**

როგორც ვნახეთ, ქარიშხლის ბევრი სახეობაა და მათ თავიანთი სახელებიც კი აქვთ. ეს ძალიან საშიში და ძლიერი ბუნებრივი მოვლენაა, რომელსაც ადამიანები ხშირად კატასტროფამდე მიჰყავს. საბედნიეროდ, ჩვენს ქვეყანაში ასეთი ძლიერი ქარიშხლები არაა გავრცელებული, მათგან ჩვენ კავკასიონის მაღალი მთები გვიცავს.

## მყინვარები და აისბერგები

**შესავალი**

მყინვარიც და აისბერგიც ორივე ყინულის დიდი მასაა, მაგრამ ისინი მდებარეობის მიხედვით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. მყინვარები ხმელეთზე გვხვდება, ხოლო აისბერგები - წყლის ქვეშ, ოკეანეებში. მათი წარმოქმნა ძალიან საინტერესო პროცესია და დიდი დრო სჭირდება. მყინვარი აგრეთვე ითვლება მტკნარი წყლის ყველაზე დიდ საბადოდ. მხარე, სადაც არის მყინვარი, მდიდარია სასარგებლო წყაროს წყლებით, რომლებშიც მარილის რაოდენობა მინიმალურია. ასეთი წყლები სასმელი წყლებია.

აისბერგებიც დიდი რაოდენობით შეიცავენ მტკნარ წყლებს. ისინი მყინვარს მოწყვეტილი ნაწილებია, რომლებიც შემდეგ წყალში დაცურავენ.

**მყინვარების წარმოქმნა**

მყინვარის გაჩენას ძალიან დიდი დრო და ძალიან დაბალი ტემპერატურა სჭირდება. მყინვარი ხომ ერთად დაგროვებული თოვლია. ძალიან დიდხანს უნდა ითოვოს, ტემპერატურა კი სულ დაბლა და დაბლა მიდიოდეს, რომ მყინვარები გაჩნდეს. ნელ-ნელა, დროთა განმავლობაში ეს მყინვარები ლღვებიან. მაგრამ მათ შეუძლიათ ტემპერატურის შენარჩუნებაც. როცა მყინვარს მზე აცხუნებს, ის იწყებს თბობას, მაგრამ, ამავე დროს, მზის სხივების 90%-ს ირეკლავს და უკან აბრუნებს. ხოლო დანარჩენი ათი პროცენტი მას ნელ-ნელა ათბობს, რის შედეგადაც წარმოიქმნება მტკნარი წყლები. მზის სხივების არეკვლა მყინვარისთვის თავდაცვის იარაღია და მას სრულიად გაქრობა აღარ ემუქრება.

**აისბერგის წარმოქმნა**

აისბერგი მყინვარის ნაწილია. აისბერგი ჩამოტყდება მყინვარს და მერე თავისთვის დაცურავს წყალში. ყველაზე ხშირად აისბერგებს ვხვდებით ანტარქტიდასა და გრენლანდიაზე. ყველაზე დიდი აისბერგები ანტარქტიდის ახლოს დაცურავენ.

აისბერგები ძირითადად თეთრი ფერისაა, მაგრამ იშვიათად ლურჯი და მწვანე აისბერგებიც არსებობენ. რატომ აქვს აისბერგს ასეთი განსხვავებული ფერი, ჯერ უცნობია და ეს მეცნიერებს არ გამოუკვლევიათ.

როგორც უკვე ვთქვით, აისბერგები დაცურავენ ოკეანეში, ეს იმის გამო ხდება, რომ ისინი ნელ-ნელა დნებიან. მაგრამ არსებობენ ისეთებიც, რომლებიც ერთ ადგილზე დიდხანს ჩერდებიან და აღარ იძვრიან. ასეთ აისბერგს ყინულის კუნძულს ეძახიან. მაგალითად, ასეთი ყინულის კუნძულია ანტარქტიდაზე და მას პობედა ჰქვია. როდესაც ტემპერატურა აიწევს და ეს კუნძული გალღობას დაიწყებს, იგი ამოძრავდება.

მყინვარიც და აისბერგიც ერთი და იმავე ნივთიერებისაგან შედგება და ორივე სასარგებლოა ადამიანებისათვის. მაგრამ აისბერგი ამავე დროს ძალიან საშიშიცაა. თუ მას წყალში მოცურავე გემი დაეჯახა, გემი იღუპება. აისბერგის მხოლოდ მცირე ნაწილი ჩანს წყლის ზედაპირზე, დიდი ნაწილი კი წყლის ქვეშაა. გემზე შეიძლება ეს ვერ შენიშნონ და შეეჯახონ. ამიტომ იმ ადგილებში, სადაც აისბერგებია, გემებისთვის მოძრაობა საშიშია.

**ბოლოსიტყვაობა**

ყველა ადამიანს, რა თქმა უნდა, არ აქვს საშუალება, რეალურად ნახოს მყინვარი ან აისბერგი. მაგალითად, მეც არ მინახავს არც ერთი, თუმცა, ძალიან მაინტერესებს. ძალიან ბევრი დოკუმენტური და მხატვრული ფილმი არსებობს აისბერგებისა და მყინვარების შესახებ. ისინი საინტერესოდ გადმოგვცემენ მომხდარ ფაქტებს, მათ შესახებ მეცნიერების კვლევებს და ასე შემდეგ. თქვენ შეგიძლიათ ასე უფრო მეტი გაიგოთ ამ ბუნებრივი მოვლენების შესახებ.

## გინესის რეკორდების წიგნი (ისტორია)

გინესის რეკორდების წიგნის შექმნის იდეა გაჩნდა 1951 წელს ვექსფორდში, ირლანდიაში და იგი ეკუთვნის გინესის ლუდის ქარხნის დირექტორს სერ ჰიუ ბივერს. ბივერი გახდა კამათის მონაწილე, თუ რომელი ევროპული ფრინველი იყო ყველზე სწრაფი და ამ კითხვაზე პასუხი ვერც ერთ ენციკლოპედიაში ვერ იპოვა. მან აღმოაჩინა, რომ არ არსებობს ისეთი წიგნი, რომელიც ასეთი განსაკუთრებული სახის ინფორმაციას მიაწოდებდა ადამიანებს. მან გადაწყვიტა ასეთი წიგნის შექმნა და დაიწყო რეალური ფაქტების შეგროვება. სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი „გინესის რეკორდების წიგნს“.

1954 წელს უკვე ლონდონში დააარსეს ძმებმა მაკვრაითერებმა სტატისტიკური

სააგენტო, სადაც ისინი აგროვებდნენ არაჩვეულებრივ ფაქტებს. 1955 წლის 27 აგვისტოს პირველად გამოიცა გინესის რეკორდების წიგნი და იგი მალევე გახდა ბრიტანული ბესტსელერი.

ცნობილია, რომ გინესის რეკორდების წიგნის 400 მილიონი ეგზემპლარია გაყიდული მისი პირველი გამოცემიდან დღემდე და იგი დღესაც ითვლება ყველაზე დიდი რაოდენობით გაყიდულ წიგნად. გინესის რეკორდების წიგნი ითარგმნა 37 ენაზე, ხოლო მისი პირველი გამოცემა შედგებოდა 197 გვერდისაგან.

გინესის რეკორდების წიგნში მოთხრობილია იმ ადამიანებზე, რომლებსაც აქვთ განსაკუთრებული თვისებები, ან შეუძლიათ ისეთი რაიმეს გაკეთება, რაც სხვებს არ გამოსდით...

მაგალითად, გინესის რეკორდების წიგნში შესულია ყველაზე სწრაფი მორბენალი ლასტებით, გერმანელი მარენ ცოკნერი, რომელმაც ასი მეტრი მანძილი 22,35 წამში დაფარა.

აგრეთვე გინესის წიგნი მოგვითხრობს იმ ადამიანის შესახებ, რომელსაც აქვს მსოფლიოში ყველაზე გრძელი ცხვირი. ეს ადამიანია თურქი მეჰმედ უზურეკი. მისი ცხვირის სიგრძეა 8,8 სანტიმეტრი შუბლიდან ნესტოებამდე.

ასეთი საინტერესო ამბები უხვადაა გინესის რეკორდების წიგნში. საინტერესოა, როგორ შეიძლება მოხვდეს ადამიანი ამ წიგნში? ან ვინ აფასებს ამ ფაქტებს?

გინესის რეკორდების წიგნის ძირითადი ორგანიზაცია და გამომცემლობა მდებარეობს ინგლისში, ლონდონში. თითოეული კანდიდატი აგზავნის წერილს ამ ორგანიზაციაში ინგლისურ ენაზე. ასევე, ინგლისურ ენაზე უნდა შეავსოს კანდიდატმა ფორმულარი, რომელიც განთავსებულია გინესის რეკორდების წიგნის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. საიტზე დარეგისტრირების შემდეგ ექვსიდან რვა კვირის განმავლობაში მოსალოდნელია თქვენს განცხადებაზე პასუხი ლონდონიდან. განცხადების გაკეთება აბსოლუტურად უფასოა, მაგრამ თუ ვინმეს სურს ექვს კვირაზე ადრე მიიღოს პასუხი (დაჩქარებული პასუხი), მაშინ მან უნდა გადაიხადოს ამისათვის 400 ბრიტანული ფუნტი. აღსანიშნავია, რომ რეკორდის დამყარების შესახებ ინფორმაციის დაჩქარებულ თუ დროულ დამუშავებას შინაარსობრივ მხარეზე არავითარი გავლენა არ აქვს. კანდიდატს დადებითი და უარყოფითი პასუხის შესახებ ეცნობება წერილობით.

## გაზაფხული

დღე დეკემბრიდანვე მატულობს; ცხრა მარტს დღე ღამეს უსწორდება და გაზაფხული ამ რიცხვიდან იწყება. ამ დროიდან მზე უფრო და უფრო გვიახლოვდება, სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ მაღლა-მაღლა მოდის, უფრო ადრე ამოდის და გვიან ჩადის, ამიტომ დღე დიდდება, ღამე კი თანდათან პატარავდება. რამდენიც დრო გადის, მზეც უფრო აცხუნებს და თავის სხივებს უფრო ინტენსიურად გზავნის. ამიტომ ქვეყანა თანდათან თბება. თოვლი მინდორსა და მთებში დნება, ყინული წყალში თხელდება, ტყდება და წყალს მიაქვს. მდინარეები საშინლად დიდდებიან; რუებში წყალი აღარ ეტევა: ნაპირებზე გადმოდის და

გარშემო მინდვრებს რწყავს. მდინარეებში გასვლა ძნელი ხდება. რომელ მდინარეშიც პატარა ბიჭები კვლავ ფეხით გადადიოდნენ, ახლა ურმითაც ვეღარ გადიან. ზოგიერთ მთის ღელეში, სადაც მზე ვერ უდგება, თოვლი გაზაფხულის სითბოს ჯერ კიდევ უძალიანდება, მაგრამ ტყუილად: ბრწყინვალე მზე ამ თოვლს მალე აქცევს წყლად და ადიდებულ მდინარეში გაგზავნის.

გაზაფხული ყველგან ერთს დროს არ იწყება. სამხრეთისკენ მდებარე ქვეყნებში უფრო ადრე დადგება ხოლმე. რომელი ქვეყანაც ჩრდილოეთისკენ არის, ის უფრო გვიან მოდის ხოლმე გაზაფხული. მაგალითად, აპრილში ჩვენში მინდვრები მწვანითა და ყვავილებით არის მოფენილი, რუსეთში კი ამ დროს ჯერ ისევ თოვლია; თებერვალში ჩვენში ისევ ზამთარია, სპარსეთში კი ამ დროს უკვე გაზაფხულია.

გაზაფხულის სითბომ მთელი დედამიწა გააღვიძა. დადნა თუ არა თოვლი .ველზე, მაშინვე მწვანე ბალახმა თავი ამოყო. ნათესმა მინდორმა დაიწყო საამური ბიბინი მწვანე ხავერდივით. აქა-იქ ადრეული ყვავილებიც გაიშალა. გაზაფხულის სითბომ ხეებიც ზამთრის ძილისგან გამოაფხიზლა: ჯერ კოკორი გამოიტანა ხეებმა, მერე თეთრი ყვავილები გადაიშალა და ბოლოს ხშირი ფოთლებით შეიმოსა. დიდგულა, ცაცხვი, მურყანი, მუხა, ნეკერჩხალი ერთმანეთის მიყოლებით საამურად იშლება და იფოთლება. ჭალა, სადაც ზამთარში კაცის თვალს არაფერი დაემალებოდა, სრულიად იბურება, ისე, რომ შიგ არაფერი ჩანს. მინდორი შეღერებული ბალახით აივსო; მრავალი ყვავილი გაიშალა.

ზამთარში ბუნება ყოველთვის ერთგვარია: კაცი სულ ერთსა და იმავე თოვლს ან ტიტველ მიწას ხედავს; გაზაფხულზე კი ყოველ დღე ახალ-ახალი რამე ჩნდება: აქ მტრედისფერმა თაგვისყურამ თავი ამოყო, იქ ზამბახი გაიშალა და გარშემო საამური სუნი მოჰფინა; აქ მწვანეში ელვარება დაიწყო მარწყვის პატარა, თეთრმა ყვავილმა, რომელიც გაზაფხულის ბოლოს დაწითლდება და გემრიელ ხილად გადაიქცევა. ბალი, ვაშლი, მსხალი, ნუში, ატამი იმოსება ზოგი თეთრი და ზოგი თეთრ-წითელი ყვავილებით.

გაზაფხულს თან მრავალი ფრინველი მოსდევს. აგერ, რაღაცამ მაღლა ცაში დილით ზარივით სიმღერა შემოსძახა: ეტყობა, ტოროლა მოსულა. ცოტა ხნის შემდეგ მარდი და კეთილი მერცხლებიც გვეწვევიან. შროშანი, მოლაღური, მწყერი, გუგული ერთმანეთს მოჰყვებიან... მინდორი, ტყე და ჭალა სხვადასხვა ფრინველით ივსება. მათი გალობა და ჭიკჭიკი, ჭყივილი და სტვენა ბუნებას აღვიძებს. წეროები, გარეული ბატები და იხვები, მაღლა ჰაერში დამწკრივებულები, ჩრდილოეთისკენ მიდიან. ბულბულიც მალე გააბედნიერებს ჩვენს ქვეყანას თავისი მოსვლით და ჭალას სანატრელ სიმღერებს უმღერებს. ზოგიერთი მოსული ფრინველი ჩვენთან არ ჩერდება, ჩრდილოეთისკენ მიდიან: მაგალითად, წეროები და გარეული ბატები. უმეტესობა კი მთელ ზაფხულს ჩვენთან რჩება, ბუდის კეთებას იწყებენ: დაფრინავენ, ჭყივიან, აგროვებენ ხის ხმელს ტოტებს, ჩალას, ხავსს, ბუმბულს და თავის მომავალ შვილებს ბინას უკეთებენ. ჭიანჭველები, ჭრელი პეპლები, უშნო ბუზანკლები ბევრნი ჩნდებიან. კაცის შემაწუხებელი კოღო, ქინქლა და სხვა მფრინავი და მცოცავი მწერები, რომელთა ხსენებაც არსად იყო ზამთარში, გაზაფხულზე ათასობით მოეფინებიან ხოლმე მიწას და ჰაერს. ფუტკარი, რომელმაც მთელი ზამთარი თბილ სკაში,

ძილში გაატარა, გაზაფხულზე ფხიზლდება. თავის სანთლის ოთახიდან გამოდის, ბზუილით მიფრინავს ყვავილებისკენ და იქ ტკბილს წვენს აგროვებს თაფლის გასაკეთებლად.

გაზაფხულზე მზემ ნადირებიც გააღვიძა: დათვმა, ზღარბმა, ციყვმა და სხვებმა ბუნაგებს, ხის ფუღუროებს თავი დაანებეს და ტყე-ჭალას მოედვნენ. ადამიანი ნადირს იშვიათად ხედავს და ამიტომ არ იცის, თუ მათ როგორ უხარიათ გაზაფხულის დადგომა. მაგრამ შინაურ საქონელს ყველა ამჩნევს სიხარულსა და სიამოვნებას. ეს საცოდავები მთელ ზამთარს ბოსელში ტყვეებივით იყვნენ გამომწყვდეულები; იქ თბილოდათ და საჭმელიც საკმაოდ ჰქონდათ, მაგრამ მოშორებულები იყვნენ მაცოცხლებელ მზის შუქს, წმინდა ჰაერსა და თავისუფალს მოძრაობას. მწვანე და ნოყიერი ბალახის მაგივრად მთელ ზამთარს ხმელი თივით, ფუჩეჩით და ბზით იკვებებოდნენ. მოვიდა გაზაფხული და ასეთი შეზღუდული ცხოვრებიდან შინაური საქონელი გამოიხსნა. ამიტომ დიდი სიხარული აქვთ. ბოსლიდან გამოშვების შემდეგ თავიანთ სიამოვნებას კუნტრუშით იჩენენ. ისინიც კი დახტიან, რომლებიც ზამთარმა ისე გაახდუნა, სიარულის დროს ფეხები ეხლართებათ სისუსტის გამო.

ეს დრო ადამიანისათვისაც ძალიან სასიამოვნოა. გაზაფხულის სითბო აფხიზლებს მას, სუფთა ჰაერი მთელ სხეულს სიცოცხლით უვსებს, მწვანე მინდორი, სურნელოვანი ყვავილებით დაფენილი, მის თვალს იტაცებს და დიდ კმაყოფილებას აგრძნობინებს; ფრინველების ჭიკჭიკი და მრავალგვარი გალობა მის ყურსა და სმენას ტკბილად შეაქცევს. ერთი სიტყვით, ამ დროს ბუნება სიამოვნებითაა სავსე. მაგრამ ვინც ბუნებასთან უფრო ახლოა, იმას ამგვარი სიამოვნებისთვის არ სცალია. გლეხებს მუშაობის დრო მოუვიდათ. გაზაფხულის მზე გარეთ სამუშაოდ იწვევს. მათაც არ ეზარებათ. ზამთარმა თითქმის სულ გამოულია პური, ქერი, სიმინდი, შვრია, ფეტვი, ბზე, თივა. მუშაობას უნდა შეუდგნენ, რომ მომავალი ზამთრისთვის უსაზრდოოდ არ დარჩნენ. ტყავები და ნაბდები, რომლებშიც მთელ ზამთარში გახვეულები იყვნენ, გლეხებმა მოიხსნეს და მეორე ზამთრისათვის შეინახეს. სამუშაოდ გაემზადნენ. ზოგი ურემს მართავს, ზოგი გუთანს აკეთებს, ზოგი ფარცხს წნავს. ზოგმა ვაზები ააყენა, გასხლა და სარები შეუდგა. გუთნებიც შეაბა; ხნავენ, ფარცხავენ და თესენ: სიმინდს, ქერს, ფეტვს, შვრიას, ლობიოს და სხვას. ბოსტნები დაბარეს, კვლები გააკეთეს და დათესეს: კარტოფილი, ხახვი, ცერცვი, კომბოსტო, ჭარხალი, სტაფილო და სხვა. ამ მუშაობაში მაისიც გავიდა. აქამდე თბილოდა, ახლა კი დაცხა; მაშასადამე, გაზაფხული დასრულდა და ზაფხული დადგა.

## ზამთარი

ზამთარში მზე თუმცა ანათებს ქვეყანას, მაგრამ ძალიან ნაკლებად ათბობს. ცაში მზე ძლიერ ცოტა ხანს რჩება, გვიან ამოდის, ადრე ჩადის; დღე ძალიან პატარაა, ღამე კი - დიდი. ამიტომ ზამთარში ცივა. ჩვენს საქართველოში ზამთარი გრძელი არ იცის, ბევრი-ბევრი, სამი თვე გასტანოს: დეკემბერი, იანვარი და თებერვალი. მაგრამ სხვა ქვეყნებში, რომლებიც ჩვენგან ჩრდილოეთითაა, ხანგრძლივი ზამთარი იცის. მაგალითად, რუსეთში ზამთარი ხუთ-

ექვს თვეს გასტანს ხოლმე და დიდი ყინვები იცის. ჩვენს ქვეყანაში ზამთრობით ზომიერად ცივა; ხან ისე გაივლის მთელი ზამთარი, რომ სულ ორი-სამჯერ ითოვებს, მაგრამ ამისთანა მშრალი ზამთარი მოსავლისთვის ცუდია. თოვლიანი ზამთარი სასარგებლოა; თოვლის ქვეშ უფრო თბილა, თოვლი მიწაში ჰაერის ყინვას არ უშვებს; ამიტომ როცა ნათესს ზევიდან თოვლი ადევს, უფრო თბილად, სადად ინახება და ზაფხულში კარგი მოსავალი მოდის. ცივ ზამთარში მდინარეები მთლად იყინება და ყინულზე გადი-გამოდიან კაცები. მინდორი ამ დროს სულ ტიტველაა და ზედ ცივი ქარი თავისუფლად დასეირნობს. ხეებს შემოდგომაზე ფოთლები სცვივა და ზამთარში გაშიშვლებული დგას. ტოტებზე, ფოთლების მაგივრად, თოვლი და ყინულის ლოლუები ჰკიდია. ტყეში მწვანედ მარტო ფიჭვი და ნაძვი მოჩანს.

ზამთარში ტყე და მინდორი დაობლებული დგას. მწერი ამ დროს სრულიად გამქრალია: არსად ჩანს ბუზი, კოდო, სხვადასხვა ჭიები. სად არიან? ზოგი დაიხოცა, მაგრამ მიწაში ჩაფლეს თავიანთი კვერცხები, რომელთაც გაზაფხულის მზე გამოჩეკს. ზოგი მიწაში ღრმად ჩაძვრა და იქ ცხოვრობს მთელ ზამთარს. ასე იქცევიან ჭიანჭველები და სხვა ამგვარი მწერები. ცოცხალ მწერებს მთელი ზამთარი სძინავთ და მხოლოდ მაშინ იღვიძებენ, როცა გაზაფხულის მზე მიადგებათ.

ფრინველების უმეტესობა ამ დროს თბილ ქვეყნებში ატარებს ცხოვრებას. ზოგი ფრინველი ჩვენთან არის დარჩენილი, მაგრამ ისინიც მყუდრო და თბილ ადგილებს ეძებენ და მინდორში იშვიათად გადიან. სიცივე და უსაჭმლობა სრულიად უკარგავს ჩვეულებრივ სიმხიარულესა და სიცელქეს. უდიდესი ნაწილი დაღონებული და ფრთებჩამოშვებულია. რადგანაც ფრინველები მინდორში საჭმელს ვერ შოულობენ, სოფლების ახლოს ჩერდებიან. კაჭკაჭები, ყვავები და ჩიტები საბძლებს ეტანებიან. რისთვის? იმისთვის, რომ საბძელში ბზეს პურის მარცვლებიც ურევია: ბზეს ქექავენ, მარცვლებს პოულობენ და იმით იკვებებიან. მაგრამ ძვირად უჯდებათ საჭმლის შოვნა: სოფლის ბიჭები საბძლის ბოლოს ბადეს უგებენ, კარებიდან უქშევენ და ბევრ ჩიტს იჭერენ. საცოდავი სანახავები არიან სიცივეში ჩიორები. სადღაა იმათი ზაფხულის ციბრუტივით ტრიალი, მარდი ხტუნვა, ცქვიტი ფრენა და მხიარულად ჟივილ-ხივილი. სიცივე ყველაფერს ავიწყებს, ჩიტები მობუზულები და მშივრები საბძლის სახურავზე სხედან და საცოდავი ხმით ჭყივიან. ვერ იქცევიან ჭკვიანურად, რომ სხვა ფრინველებს სამხრეთის ქვეყნებში არ გაჰყვებიან ხოლმე...

ცხოველების უმეტესობა ზამთარში ბუნაგებს, სოროებსა და ხის ფუღუროებს მოსძებნის ხოლმე. აქ ისინი დიდი სიცივის დროს ხანგრძლივ ძილს ეძლევიან; მაგალითად, ზღარბი, დათვი, ვირთაგვა და სხვები. ციყვი კი ზამთარს ბევრს არას ეპუება და თავის მოძრავს ცხოვრებას არც სიცივეში იშლის. ზაფხულში ბლომად შეაგროვა კაკალი, ზამთარში ხის ფუღუროში ზის, მხიარულად ამტვრევს და შეექცევა. შინაური პირუტყვები ამ დროს თბილ ბოსლებში უბიათ. ცხენები, კამეჩები, ხარები, ძროხები და ცხვრები სიცივისა და შიმშილისაგან დაიხოცებოდნენ, ზამთარში  რომ გარეთ ცხოვრობდნენ. მინდვრის ნადირი კი დიდ წუხილშია. სიცივე და შიმშილი ჩააშხამებს ხოლმე ზაფხულში ტკბილად გატარებულ დროს. შიმშილისაგან გაცოფებული მგელი მთელი დღე და ღამე მინდორში დარბის, მაგრამ ბევრს ვერაფერს შოულობს; მეცხვარეს ცხვარი მაგარ ბოსელში ყავს,

მეღორეს ღორი საღორეში უმწყვდევია, - თიკნისა და გოჭების ხორცს ვეღარ ჭამს; მთელი ღამე მინდორში დაწანწალებს, იქნებ გარეთ სადმე ცხენი ან შინაური პირუტყვი დარჩენილიყო. თუ გლეხს საქონელი როგორმე გარეთ დარჩა, იმედი აღარ უნდა ჰქონდეს: სადმე მშიერი მგელი შეჭამს! შიმშილი მგელს გაბედულებას ჰმატებს: ღამღამობით სოფელში შემოვარდება ხოლმე და ცდილობს, ან ღორი მოიტაცოს, ან ბატი. ამ დროს მგელი გლეხს ძალიან აზარალებს. გლეხიც სამაგიეროს უხდის: ბევრი მგელი იხოცება ადამიანის ხელით.

ზამთარში გლეხს იმდენი საქმე არ აქვს, რამდენიც სხვა დროს, მაგრამ უსაქმოდ არც ახლა რჩება. მოახლოვდება თუ არა, გლეხი ზამთრისთვის ემზადება ხოლმე. ზაფხულსა და შემოდგომაზე პური და ღვინო მოიმზადა, ახლა შეშაც უნდა მოიტანოს... თუ ჯერ თოვლი არ არის დადებული, გლეხი ურმით მიდის შეშაზე, თუ თოვლია, მაშინ შეშა მარხილით მოაქვს. დიდ წვალებას მოითხოვს შეშის მოტანა, მითუმეტეს, თუ ძალიან ცივა. ზოგჯერ გზაზე საწყალ გლეხს ქარბუქი დაეწევა და ძალიან აწვალებს: ან გაყინული მიდის სახლში, ან შეიძლება სულაც დაახრჩოს... ასეთი შემთხვევები ხშირია ცივ ქვეყნებში და ჩვენშიც კი მოხდება ხოლმე. ზამთარი დასვენების დროა მხოლოდ იმ გლეხებისთვის, რომლებსაც საკმაოდ აქვთ პურიც, ღვინოც, შეშაც და თბილ სახლშიც ცხოვრობენ. მაგრამ, საუბედუროდ, გლეხებში ამისთანა ბედნიერები ცოტანი არიან...

## გულაბი მსხალი

ზურა და ლელა ზაფხულის პერიოდში თითქმის ყოველდღე მდინარეზე დადიოდნენ. გზად მდინარისკენ, იქვე, სახლთან ახლოს, ბავშვებმა ერთი გულაბის ხე შენიშნეს, რომელიც ძალიან მოეწონათ. გულაბის ხე გზის პირას იყო. შეიძლება ითქვას, რომ ის უპატრონო იყო, უფრო სწორი იქნებოდა – გულაბი მთელი სოფლისა იყო, ვისაც გაეხარდებოდა, შეეძლო ჩაეტკბარუნებინა პირი მისი შეუდარებელი გემოთი.

გულაბი მსხლის ხე ძალიან მაღალი და ძველი იყო. ზაფხული ილეოდა და მსხალი ამ დროს ისხამდა მოსავალს. მსხლის ხე უკვე ვეღარ ისხამდა ბევრ მოსავალს. მხოლოდ ხის კენწეროში იყო ხოლმე რამდენიმე მსხალი. მსხლის სიმაღლისა და სიძველის გამო მასზე ვეღარავინ ავიდოდა მსხლის დასაკრეფად. ამიტომ დამწიფებული მსხალი ცვიოდა ცოტ-ცოტა და ნელ-ნელა.

ზურას და ლელას ძალიან უყვარდათ ეს გულაბი მსხალი. უამრავი მსხლის ხე ჰქონდათ ბებოს და ბაბუს, მაგრამ გულაბი განსაკუთრებით უყვარდათ პატარებს. ყოველ დილით ადგებოდნენ ბავშვები და მიირბენდნენ თავიანთი საყვარელი გულაბის ხესთან და მის ძირში ეძებდნენ ჩამოვარდნილ მსხალს. ხშირად ხელმოცარულები ბრუნდებოდნენ, რადგან გულაბს ცოტა მსხალი ესხა და ყოველთვის არ ვარდებოდა.

მიუხედავად ამისა, დღე არ გავიდოდა, ბავშვები გულაბთან არ მისულიყვნენ. მოათვალიერებდნენ მსხალს, თუ იპოვიდნენ, სადილისთვის წამოიღებდნენ და გემრიელად

მიირთმევდნენ, თუ ვერ იპოვნიდნენ – მაინც ძალიან სიამოვნებდათ მსხლის ძირას ყოფნა. მთელი დღის გატარება შეეძლოთ მსხალთან ზურას და ლელას.

მსხლის ქვეშ დასხდებოდნენ, ხან წიგნს კითხულობდნენ, ხან სხვადასხვა თამაშს თამაშობდნენ, ხან პატარა სუფრებსაც აწყობდნენ და მსხლის ძირას სადილობდნენ. ზურამ და ლელამ გულაბი მსხლის ეს სიყვარული სოფლის სხვა ბავშვებსაც გადასდეს. ზურასთან და ლელასთან ერთად უკვე უამრავი ბავშვი იკრიბებოდა გულაბი მსხლის ხესთან. გულაბი მსხლის ხე ბავშვების თავშეყრისა და გართობის ადგილი გახდა.

დილით მსხალთან მისვლას ვერავინ დაასწრებდა ზურას და ლელას. მსხლიდან ჩამოვარდნილი გულაბი აუცილებლად მათ უნდა დაესაკუთრებინათ. გულაბი მსხლის ხე ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული საყვარელი ადგილი იყო ბავშვებისთვის. სოფელში მსხლის ხეს უკვე ზურას და ლელას გულაბი შეარქვეს, ყველა ასე მოიხსენიებდა გულაბის ხეს.

გულაბის ხეც ხარობდა ბავშვების სტუმრობით. თითქოს გრძნობდა გულაბი: ბავშვების სტუმრობისას თითქოს ტოტებს უფრო გადაშლიდა, რომ ჩრდილი არ მოკლებოდა პატარებს. თითქოს სიო განზრახ ამოვარდებოდა და სასიამოვნო შრიალს იწყებდა გულაბის ხე. ალბათ, ფიქრობდა, სიგრილე და სასიამოვნო ჰაერი ჰქონოდათ მის ჩრდილში მყოფ ბავშვებს, რომ მზეს არ შეეწუხებინა და რაც შეიძლება დიდხანს გაჩერებულიყვნენ მსხლის ქვეშ. ბავშვებიც, თითქოს გრძნობდნენ გულაბის სიყვარულს და მთელი დღის იქ გატარება უნდოდათ. მშობლებს ან ბებია-ბაბუას რომ არ მოეკითხათ, არც გაახსენდებოდათ სახლი, საჭმელი ან სასმელი, დაღამებამდე გაჩერდებოდნენ გულაბი მსხლის ქვეშ.

ერთ დილასაც, როგორც ყოველთვის, ადრიანად გაიღვიძეს ბავშვებმა

- გულაბი მსხლის ჩამოვარდნის ხმა გავიგე, მე მგონი რამდენიმე მსხალი ჩამოვარდა, წავიდეთ ჩვენს მსხალთან, მოვძებნოთ, არავინ დაგვასწროს! - ლოგინიდან დგება, ტანსაცმელს იცმევს ზურა და გაუჩერებლად ელაპარაკება ლელას.

ლელას ოდნავ ეზარება ადგომა, მაგრამ გულაბის სიყვარულით მაინც დგება. ისიც იცმევს ტანსაცმელს და გულაბისკენ გარბიან ბავშვები. დღესაც ყველას უნდა დაასწრონ, გულაბი მსხლის ხე ხომ „ზურას და ლელას გულაბია“.

სულმოუთქმელად მიირბინეს ზურამ და ლელამ გულაბთან. ერთი სული ჰქონდათ პატარებს, როდის იპოვნიდნენ ხიდან ჩამოცვენილ მსხალ და მიიტანდნენ სახლში. ადგილზე მისულებს უეცრად ელდა ეცათ. გულაბი მსხლის ხე აღარ დახვდათ... ზურას და ლელას თავდაპირველად ეგონათ, გზა ხომ არ შეგვეშალაო, მაგრამ ზუსტად ის ადგილი იყო, ყველაფერი იგივე, მხოლოდ გულაბის ხე აღარ იყო...

პატარებმა გულაბი მსხლის ადგილზე მხოლოდ კუნძი და ხის ნაფოტები დაინახეს. ვიღაცას „ზურას და ლელას“ გულაბი“ მოეჭრა...

იმ დღის მერე აღარასოდეს მისულან სტუმრად იმ ადგილზე ზურა და ლელა, რადგან იმ ადგილის დანახვა ცუდ ხასიათზე აყენებდა პატარებს. მიუხედავად ამისა, ყოველ გაღვიძებაზე გულაბის მსხლის ხესთან წასვლა უნდოდათ, თუმცა გაახსენდებოდათ, რომ ხე აღარ იყო და აღარც ხიდან ჩამოვარდნილი გულაბის მოძებნა შეიძლებოდა. ზურა და ლელა

დიდხანს ინახავდნენ მოჭრილ ხესთან ნაპოვნ ნაფოტებს. ნაფოტები პატარებს თავიანთ გულაბის ხეს ახსენებდა და მუდამ კარგ ხასიათზე აყენებდა.

# თემა 8

## ადამიანის სხეული; ფერები;

### წერის მოსამზადებელი ეტაპი:

### მარტივი კონსტრუქციების შედგენა; აღწერა

*გაკვეთილი 11*

1. დააკვირდით ნახატს:




2. წაიკითხეთ ტექსტები ყურადღებით:

### ადამიანის სხეულის ნაწილები

ადამიანის სხეული შემდეგი ნაწილებისგან შედგება:

თავი, ტანი და კიდურები.

თავის უკანა ნაწილს კეფა ჰქვია.

თავის წინა ნაწილი სახეა.

თავი ტანს უკავშირდება კისრით.

კისრის წინა მხარეს ყელი ეწოდება.

კისრის შემდეგ მოდის მხრები.

მხრებს ებმის ხელები.

ხელის მტევანზე ადამიანს ხუთი თითი აქვს.

ყველაზე მსხვილი ცერია, ყველაზე პატარა კი ნეკია.

თითები მთავრდება ფრჩხილებით.

სხეულის წინა მხარეს მკერდი ჰქვია, უკანას - ზურგი.

ადამიანს აქვს *ორი* ხელი და *ორი* ფეხი.

ხელები და ფეხები – კიდურებია.

ადამიანს აქვს ორი:

– თვალი
– ყური
– ხელი
– ფეხი

ადამიანს აქვს ერთი:

– თავი
– ცხვირი
– პირი

* * *

– რამდენი ფეხი აქვს ადამიანს?
– ადამიანს აქვს ორი ფეხი.
– რამდენი თვალი აქვს?
– ორი თვალი აქვს.
– ცხვირი?
– ცხვირი ერთი აქვს.
– რამდენი ფეხი აქვს ძაღლს?
– ძაღლს აქვს ოთხი ფეხი.

* * *

ეს ხელის თითებია. ჩვენ ორი ხელი გვაქვს: მარჯვენა და მარცხენა. თითო ხელზე ხუთი თითი გვაქვს: ცერა თითი, საჩვენებელი თითი, შუათითი, არათითი და ნეკა თითი. ცერი მოკლე და მსხვილი თითია. საჩვენებელი თითი ცერზე გრძელია. შუათითი ყველა თითზე გრძელია. ნეკა თითი ყველა თითზე პატარა და წვრილია. ცერს ორი სახსარი აქვს. ყველა სხვა თითს სამი სახსარი აქვს.

**3. ამოიწერეთ ახალი სიტყვები და ფრაზები. განმარტეთ.**

**4. წაიკითხეთ და დაიმახსოვრეთ:**

მე ნათელი ფერები მომწონს.
შავი მუქი ფერია.
თეთრი ღია ფერია.

– რა ფერისაა თოვლი?
– თოვლი თეთრია.
– რა ფერისაა შაქარი?
– შაქარიც თეთრია.
– კიდევ რა არის თეთრი?
– თეთრია ქაღალდი, ბამბა, რძე.
– რა ფერისაა ფოთლები ხეზე?

– ფოთლები გაზაფხულსა და ზაფხულში მწვანეა, შემოდგომაზე ზოგი ყვითელი ხდება, ზოგიც წითელი ფერისაა.

– ნაძვი მარადმწვანე მცენარეა. – შენ რომელი ფერები მოგწონს?

– მე მომწონს ვარდისფერი, იასამნისფერი, შავი და ყავისფერი.

**ცის-ფერი, ვარდის-ფერი, ყავის-ფერი**

**5. ამოიწერეთ ახალი სიტყვები და ფრაზები. განმარტეთ (მასწავლებელი ეხმარება მსმენელებს ლექსიკონით სარგებლობაში).**

**6. წაიკითხეთ დიალოგები:**

* * *

– ბავშვისთვის ბუშტების ყიდვა მინდა.

– რომელი ფერები გნებავთ?

– რა ფერები გაქვთ?

– არჩევანი დიდია; გვაქვს წითელი, ყვითელი, ლურჯი, შინდისფერი, მწვანე, წაბლისფერი, ნაცრისფერი, ცისფერი, იისფერი, მუქი ლურჯი, მუქი მწვანე, ღია წითელი და ღია ყვითელი ბუშტები.

– მომეცით ორი ლურჯი, სამი ყვითელი, სამი მუქი წითელი და ოთხი ღია ყვითელი ფერის ბუშტი.

– ინებეთ.

– გმადლობთ.

* * *

– უკაცრავად, თმის საღებავი მინდოდა.

– რა ფერის?

– ღია წაბლისფერი.

– ღია წაბლისფერი არა გვაქვს.

– მუქი ჩალისფერი?

– მუქი ჩალისფერიც გაგვითავდა. ბაცი შინდისფერი გვაქვს. მე მგონი, ძალიან მოგიხდებათ.

– მართლა?

– დიახ.

– კეთილი, მომეცით შინდისფერი.

* * *

– ეს შავი ძაღლი იმ კაცისაა?

– დიახ.

– რა ლამაზი ძაღლია!

– შარშან დიდ კონკურსში პირველ ადგილზე გავიდა..

– ჩემი მეგობრის ნაცრისფერი ძაღლი კი მეორე ადგილზე გავიდა!

* * *

– თოვლი რა ფერია?

– თოვლი თეთრია.

– ხის ფოთლები რა ფერია?

– ხის ფოთლები გაზაფხულსა და ზაფხულში მწვანეა, შემოდგომაზე კი ყვითლდება.

– შენ რა ფერის თვალები გაქვს?

– მე ცისფერი (შავი, ყავისფერი...). თვალები მაქვს.

**7. ამოიწერეთ ახალი სიტყვები და ფრაზები ლექსიკონში და განმარტეთ.**

**8. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით შეადგინეთ დიალოგები (წერითი დავალება)**

**9. წაიკითხეთ ტექსტი:**

* * *

ადამიანი თვალებით ხედავს. მხედველობა მას აძლევს ფერების გარჩევის საშუალებას. ბალახი მწვანეა, ცა ლურჯია, მელანი იისფერია, რძე თეთრია, სისხლი წითელია, – ამბობს ადამიანი და რომ არა თვალები, ფერებს ვერ გაარჩევდა; თუმცა არსებობენ ადამიანები, რომლებიც ფერებს საერთოდ ვერ არჩევენ. მათ დალტონიკებს ეძახიან.

ცხოველები ფერებს ვერ არჩევენ.

**10. უპასუხეთ კითხვებს:**

რით ხედავს ადამიანი?

_____

რა ფერისაა:

ბალახი? - _____

ცა? - _____

მელანი? - _____

რძე? - _____

სისხლი? - _____

ვის ეძახიან დალტონიკებს? - _____

რას ვერ არჩევენ ცხოველები? - _____

**11. წაიკითხეთ დიალოგი:**

* * *

– ცოლი თუ გყავს?

– დიახ, მყავს.

– რა ჰქვია?

– ნატო.

– რა ფერის თვალები აქვს ნატოს?

– ნატოს ცისფერი თვალები აქვს.

– თმები?

– თმები წაბლისფერი აქვს.

– შენ?

– მე მწვანე თვალები და შავი თმები მაქვს.

– ლამაზი კბილები აქვს ნატოს?

– დიახ, ნატოს ძალიან ლამაზი კბილები აქვს. – შენ რამდენი კბილი გაქვს?

– ყველა კბილი მაქვს.
– ჯანმრთელი კბილები გქონია.
– ჰო.
– მე კი ცუდად მაქვს საქმე. კარგი სტომატოლოგი ხომ არ გყავს?
– მყავს.
– სად მუშაობს?
– აგერ, ჭავჭავაძეზე აქვს კლინიკა.
– შენი სახელით მივალ.
– კეთილი.

**12. შეადგინეთ მსგავსი დიალოგები (ზეპირი დავალება).**

**13. წაიკითხეთ ტექსტი და გადმოეცით თქვენი სიტყვებით (ზეპირი დავალება):**

ადამიანს თავზე *თმა* აქვს. თმა შეიძლება იყოს *სწორი, ხვეული, ხუჭუჭი.* თმა ძირითადად შემდეგი ფერებისაა: *ქერა, შავი, მოწითალო, წითელი.* თმა შეიძლება იყოს *გრძელი, მოკლე, აჭრილი, შეჭრილი.* თეთრ თმას *ჭაღარა* ჰქვია.

*ზოგიერთი* კაცი *წვერ-ულვაშს* ატარებს, *ზოგს* კი მხოლოდ *ულვაში* აქვს. ულვაში შეიძლება იყოს პატარა ან დიდი. ზოგს *წვერი* ძალიან უხდება.
თვალები შეიძლება იყოს *ცისფერი, ლურჯი, მწვანე.*

სახის *ფერი* შეიძლება იყოს: *თეთრი, შავგვრემანი, შავი.* ზოგჯერ ადამიანი *გაფითრებულია.* ეს სახის *ბუნებრივი* ფერი არაა. გაფითრებული *ავადმყოფია, ჯანმრთელი* ადამიანი კარგად გამოიყურება.

**14. შეარჩიეთ საჭირო სიტყვები და ჩასვით მრავალწერტილის ნაცვლად:**

***თმა სწორი ხვეული ხუჭუჭი***
***ქერა, შავი, მოწითალო, წითელი.***
***გრძელი, მოკლე, აჭრილი, შეჭრილი***
***ჭაღარა წვერ-ულვაში ულვაში წვერი***
***ცისფერი, ლურჯი, მწვანე.***

ადამიანს თავზე . . . . . აქვს. თმა შეიძლება იყოს . . . . . .
. . . . . თმა ძირითადად შემდეგი ფერებისაა: . . . . . .
. . . . . თმა შეიძლება იყოს . . . . . .
თეთრ თმას . . . . . ჰქვია. *ზოგიერთი* კაცი . . . . . ატარებს,
*ზოგს* კი მხოლოდ . . . . . აქვს. ულვაში შეიძლება იყოს პატარა ან დიდი. ზოგს
. . . . . ძალიან უხდება. თვალები შეიძლება იყოს . . . . . .

**15. ჩასვით სათანადო სიტყვები გამოტოვებულ ადგილას:**

ეს ხელის თითებია. ჩვენ ორი . . . . . გვაქვს: მარჯვენა და მარცხენა. თითო ხელზე ხუთი . . . . . გვაქვს: . . . . . თითი, . . . . . თითი, . . . . . , . . . . . და . . . . . თითი. ცერი მოკლე და მსხვილი თითია. ცერს ორი . . . . . აქვს. ყველა სხვა თითს სამი . . . . . აქვს.

ადამიანს აქვს ორი:

. . . . . .

ადამიანს აქვს ერთი:

. . . . . .

**16. წაიკითხეთ ანდაზა და თქვენი სიტყვებით გადმოეცით მისი შინაარსი:**

ანდაზა: **ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო.**

_____

_____

_____

_____

**17. დაიმახსოვრეთ სინონიმები და ანტონიმები:**

| **სინონიმები:** | **ანტონიმები:** |
|---|---|
| ჰქვია – ეწოდება | მსხვილი – წვრილი |
| მთავრდება – სრულდება | ზედა – ქვედა. |
| სახე – კეფა | |

**18. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით შეადგინეთ თქვენი მეგობრის აღწერილობა (წერითი დავალება).**

**19. წაიკითხეთ ტექსტი:**

**იაკობ გოგებაშვილი**

## ჩხუბი ადამიანის სხეულის ნაწილებისა

*ერთხელ* ადამიანის *სხეულის* ნაწილებმა *ჩხუბი* დაიწყეს.

ფეხებმა *თქვეს*:

– აღარ გვინდა თქვენი *ტარება*. თქვენ *თვითონ იარეთ*!

ხელებმა *წამოიძახეს*:

– აღარ გვინდა ამდენი *მუშაობა* თქვენთვის! თქვენ თვითონ *იმუშავეთ*!

პირმა *წაიბუტბუტა*:

– აღარ მინდა თქვენთვის საჭმლის *ღეჭვა*! თქვენ თვითონ ჭამეთ!

თვალები *ამბობდნენ*:

– აღარ გვინდა თქვენი ამდენი *დარაჯობა*!

ყურებმაც *ხელი აიღეს სმენაზე*.

ასე წაიჩხუბნენ ადამიანის სხეულის ნაწილები და *შეწყვიტეს* ერთმანეთის *სამსახური*. მაგრამ სხეულის ყველა ნაწილი *დასუსტდა*, სხეული *გახდა* და *სიკვდილზე მიდგა*. მაშინ *მიხვდნენ* ნაწილები, რომ ჩხუბით ისინი ერთმანეთს *დაღუპავდნენ*. ისევ შერიგდნენ, დაიწყეს ერთმანეთის დახმარება

და სხეული ისევ საღი და ღონიერი შეიქნა.

**20. ამოიწერეთ ახალი სიტყვები და ფრაზები. განმარტეთ.**

**21. დაწერეთ მოკლე შინაარსი.**

**22. ივარჯიშეთ კითხვაში:**

### საღებავების კამათი

დალი თაყაძის მიხედვით

საღებავებს კამათი მოუვიდათ. ვერ შეთანხმდნენ, რომელი უფრო ლამაზი იყო. მივიდნენ ფუნჯთან, – ტყუილ-მართალი შენ გაგვირკვიეო.

– ჯერ თქვენ თქვით, – უთხრა მათ ფუნჯმა, – მე კი მოგისმენთ.

– მე ყანებს ყვითლად ვაფერადებ, – დაიწყო ყვითელმა საღებავმა.

წითელმა სიტყვა გააწყვეტინა:

– იმ ყანებს ყაყაჩო რომ წითლად გამოერევა, ხომ ლამაზია?

– წითელო, უჩემოდ რას გახდებოდი? – გაჯავრდა შავი საღებავი, – ყაყაჩოს ეშხს მე ვანიჭებ. მისი გული ხომ შავია.

– მე არაფერს წარმოვადგენ? – გაწიწმატდა მწვანე, – ყაყაჩო რა იქნებოდა, მისი ფოთლები რომ მწვანედ არ შემეღება.

– მე არაფერს მათქმევინებთ? – გაბრაზდა ლურჯი, – ერთი ცას ახედეთ, თქვენს ყანებს და ყაყაჩოებს რომ გადმოჰყურებს. ეს ცა ჩემი მოხატულია.

ფუნჯი მხატვართან მივიდა. სთხოვა, საღებავები შენ მოარიგეო. მხატვარმა დახატა ყვითლად მოელვარე ყანა. ყანაში - წითლად მოელვარე ყაყაჩოები... მინდვრის ყვავილებს ძალიან უხდებოდათ მწვანე ფოთლები და შავი გული. ყანას და ყაყაჩოებს ზემოდან ლურჯი ცა გადმოჰყურებდა.

საღებავებმა ნახეს სურათი და შერცხვათ. მიხვდნენ, რომ ერთად უფრო ლამაზები იყვნენ. გადაწყვიტეს, ამიერიდან მეგობრულად ეცხოვრათ.

## სპილო

სპილო უზარმაზარი ცხოველია, რომელიც აფრიკასა და აზიაში ცხოვრობს. თუმცა სპილოს ნახვა სხვა ქვეყნებშიც შეგიძლიათ. ჩვენთან, საქართველოშიც არის სპილო. ის ზოოპარკში ცხოვრობს. სპილოები სხვადასხვა ჯიშისა არიან. ჩვენ სპილოს სამ ჯიშს ვიცნობთ:

1. აფრიკული სავანის სპილო
2. აფრიკული ტყის სპილო
3. აზიური სპილო

აფრიკული სავანის სპილო დიდი ტანისაა, მისი ხორთუმი და ეშვები უფრო ძირსაა დაშვებული და მოღუნულია. ტყის სპილოს კი ეშვები უფრო სწორი აქვს და ზემოთაა მიმართული. აზიური სპილო ამ ორივესგან სიდიდით განსხვავდება. ის უფრო პატარაა, პატარა ყურები და ხორთუმი აქვს. სამივე ჯიშის სპილო საღამოობით უფრო აქტიურია, ვიდრე დღისით, დღის განმავლობაში სპილო ისვენებს ან სძინავს.

### სპილოების გამრავლება

სპილოებს ერთმანეთისთვის თავის მოწონების რიტუალები აქვთ. მდედრი სპილო ძალიან უკარებაა და მისთვის თავის მოწონება ძალიან რთულია. ამიტომ ძალიან ბევრნი არიან შეყვარებული მამრი სპილოები. სპილო ერთადერთი ცხოველია, რომელსაც ყველაზე მეტხანს ჰყავს თავისი პატარა მუცელში. მუცლად ყოფნის პერიოდი 22 თვე გრძელდება. დაბადებისას კი პატარა სპილო 100 კილოს მაინც იწონის.

პატარა სპილო როცა იბადება, მისი დედა სულ მასთანაა, უვლის და ზრუნავს მასზე, ძუძუს აჭმევს. ხანდახან სხვა მეგობარ სპილოებს ჩააბარებს ხოლმე, რომ თვითონ კარგად ჭამოს ბალახი. საღამოსთვის კი პატარა სპილოსთვის ბევრი რძე დააგროვოს. მამრი სპილო 12 წლამდე დედასთან არის, მერე კი ცალკე ცხოვრებას იწყებს. მდედრი კი სულ დედასთან ერთადაა.

**სპილოების ტრადიციები**

სპილოები ძალიან ტრადიციული ცხოველები არიან. თან ძალიან ჭკვიანები და ემოციურები არიან. ისინი ერთმანეთთან მეგობრობენ და ერთად დადიან. მდედრები სულ ჯოგში არიან, ერთად მიდიან საძოვრად, სასეირნოდ, ერთმანეთს უზიარებენ საკვებს და ა.შ. მამრი სპილოები კი, სანამ პატარები არიან, დედასთან ერთად ჯოგში ცხოვრობენ, მერე კი ცალკე გადიან და მარტო დაეხეტებიან. შვილებზეც მხოლოდ მდედრები ზრუნავენ და არა მამრები. სპილოები მიწისძვრისა და ცუნამის საფრთხესაც გრძნობენ და მაშინვე ერთმანეთს ატყობინებენ, შემდეგ კი ერთად გადადიან უსაფრთხო ადგილას.

სპილო 60-80 წლამდე ცხოვრობს. დაბერებისას კვდება. ცოტა ხნით ადრე ავად ხდება და წვება. ამ დროს მის მოსანახულებლად სხვა სპილოები მიდიან. მისი ჯოგის წევრები ძალიან დარდობენ მეგობრის ავადმყოფობას. როცა სპილო კვდება, მის სიკვდილს დანარჩენი სპილოები სიჩუმით პატივს სცემენ, მერე კი ასაფლავებენ. ორმოს თხრიან და ზემოდან მიწას და ბალახს აყრიან. სპილოს საფლავს ყველა პატივს სცემს: მას ჩუმად ჩაუვლიან ხოლმე გვერდით თავდახრილი სპილოები.

**გადაშენებული სპილოები**

ახლა სპილოს მხოლოდ სამი სახეობა არსებობს, მაგრამ ადრე ეს რაოდენობა გაცილებით დიდი იყო და სპილოს 40-მდე სახეობა არსებობდა. ისინი გამყინვარების პერიოდამდე ცხოვრობდნენ. კლიმატის ცვლილებას ვერ გაუძლეს და დაიღუპნენ. გადაშენებული სპილოს ერთ-ერთი სახეობაა მამონტი, რომელსაც ძალიან გრძელი ბეწვი ჰქონდა. თანამედროვე სპილოებს კი ბეწვი საერთოდ არ აქვთ. მამონტებს უფრო გრძელი ხორთუმები და გრძელი ეშვები ჰქონდათ, ვიდრე ახლანდელ სპილოებს. ერთი მამონტი დაახლოებით 12 ტონას იწონიდა. მამონტები ერთბაშად არ გადაშენებულან. მათგან ზოგიერთმა 1700 წლამდე გაძლო, შემდეგ კი ისინი აღარავის უნახავს.

**ცნობილი სპილოები**

სპილოები თავისთვის ცხოვრებას არჩევენ, მაგრამ როცა მათ ადამიანი იჭერს, სხვა გზა აღარ რჩებათ, ადამიანების გარემოცვაში უნდა იცხოვრონ. ორი სპილო განსაკუთრებით ცნობილი გახდა ადამიანების წყალობით. მათ სახელიც კი შეურჩია ხალხმა: ჯამბო და ტოპსი.

ჯამბო: ჯამბო აფრიკული სავანის სპილო იყო, რომელიც 1861 წელს დაიბადა სუდანში და ჯერ კიდევ ძალიან პატარა პარიზში წაიყვანეს. ცოტა ხანში ლონდონის ზოოპარკში გადაიყვანეს. ზოოპარკში ის ძალიან შეუყვარდათ. ბავშვები ჯამბოს სანახავად ხშირად მოდიოდნენ. ჯამბოსაც ძალიან უყვარდა ისინი და ხშირად ასეირნებდა კიდეც. ზოოპარკის დარაჯი ჯამბოს ხშირად ვისკის ასმევდა, რადგან თვლიდა, რომ სპილოს ჯანმრთელობისათვის ვისკი ძალიან სასარგებლო იყო.

მალე ჯამბო ამერიკაში გაყიდეს და როცა მისი წაყვანის დრო მოვიდა, ბავშვებმა ძალიან მოიწყინეს. ასი ათასმა ბავშვმა წერილი მისწერა ინგლისის დედოფალს და სთხოვა, სპილო ინგლისში დაეტოვებინა. მაგრამ თხოვნა არ შეუსრულდათ. ჯამბო მაინც წაიყვანეს ამერიკაში. ის იქ კიდევ უფრო ცნობილი გახდა. ყველა ძალიან ეფერებოდა, სანამ არ გარდაიცვალა. სპილოს მატარებელი დაეჯახა და მას შემდეგ ველარ გამოკეთდა. ჯამბო 24 წლის ასაკში დაიღუპა.

ტოპსი: ტოპსი ძალიან დიდი, ჭკვიანი სპილო იყო და ზოოპარკში ცხოვრობდა. ის ცნობილი თავისი სიკვდილით გახდა. ტოპსი ძალიან მკაცრად დასაჯეს. ერთ-ერთმა მეცნიერმა ტომას ედისონმა ცხოველების დასჯის განსხვავებული გზა მოიფიქრა. იგი დენის საშუალებით კლავდა იმ ცხოველებს, რომელიც რაიმეს დაუშავებდა ადამიანს. ტოპსიც მან მოკლა. ტოპსიმ სამი ადამიანი გათელა. ამ სამიდან ერთი იყო მისი მწვრთნელი, რომელმაც ტოპსის ანთებული სიგარეტი აჭამა, რომ მერე მისი ტანჯვისთვის ეყურებინა. ტოპსი ძალიან გამწარდა და მწვრთნელი მოკლა. ამის გამო დასაჯეს სწორედ. მას ჯერ მოწამლული სტაფილოები აჭამეს და შემდეგ ძლიერი დენის საშუალებით გამოასალმეს სიცოცხლეს.

**ბოლოსიტყვაობა**

სპილოები უწყინარი და დინჯი ცხოველები არიან, თუ მას არაფერს დაუშავებ, თვითონაც არაფერს გერჩის. მაგრამ სპილოს გაბრაზება საშიშიცაა, მან დანდობა აღარ იცის და შეიძლება ადამიანი მოკლას. საბედნიეროდ, ასეთი შემთხვევები იშვიათად ხდება. ძირითადად სპილოები ადამიანებთან მეგობრობენ.

## დრაკონი

**შესავალი**

ერთ უცნაურ ცხოველზე მინდა მოგიყვეთ. ეს ცხოველი უცნაური იმიტომ არის, რომ დანამდვილებით ვერ იტყვი, ის მართლა რეალურია თუ გამოგონილი, როგორც ზღაპრის გმირი. ცხოველია მეთქი - გეუბნებით, მაგრამ თქვენ შეიძლება ის ფრინველიც კი გეგონოთ და არც შეცდებით, რადგან ძალიან კარგად დაფრინავს. ამ ცხოველმა თუ ფრინველმა იმდენად კარგად იცის ცურვა და მიწაზე ხოხვაც, რომ ქვეწარმავალიც კი გეგონებათ. ძალიან უცნაურია, არა? ნუ დაიბნევით, ყველაფერს თანმიმდევრობით მოგიყვებით მასზე და ბოლოს თქვენ თვითონ გადაწყვიტეთ, ის ცხოველებს მიაკუთვნოთ, ფრინველებს თუ ქვეწარმავლებს.

**დრაკონის გარეგნობა**

ამ უცნაურ არსებას დრაკონი ჰქვია. ის რეალურად არავის უნახავს, თუმცა მითები და ლეგენდები მისი არსებობის შესახებ ბევრს გვიყვებიან. დრაკონი უზარმაზარი ცხოველია და

ყველა სხვა ცხოველისგან განსხვავდება. მისი სხეულის ნაწილები სხვადასხვა ცხოველის სხეულის ნაწილებია. მაგალითად, დრაკონს თავი აქლემისა აქვს, ყურები - ძროხის, რქები - ირმის, წელს ქვემოთ, უკანა ნაწილი ნიჟარას მოგაგონებთ. დრაკონს ტანზე თევზის ფარფლები აყრია, ფრთები არწივისა აქვს, თათები - ვეფხვის, თვალები კი - ეშმაკის...

აი, ასეთი უცნაური სხეულის აგებულება აქვს დრაკონს. სწორედ ამიტომ შეუძლია მას ფრენა, ცურვა, მიწაზე ხოხვა და, რაც ყველაზე მთავარია, პირიდან ცეცხლის გამოშვება.

ზოგი მითი ერთთავიანი დრაკონის შესახებ მოგვითხრობს: ამ მითებში დრაკონი ზუსტად ასეთია, როგორც აქ აღვწერეთ, მაგრამ ზოგიერთი დრაკონი მრავალთავიანია. ხან ოთხფეხიანი დრაკონია დახატული ძველ სურათებზე, ხანაც - ორფეხა.

ყველა ქვეყანაში დრაკონებზე სხვადასხვანაირი წარმოდგენა ჰქონდათ და ამიტომაც იყო მათი გარეგნობა ყველგან განსხვავებული.

**რითაა დრაკონი ძლიერი?**

როგორც უკვე გითხარით, დრაკონს ხოხვაც შეუძლია, ცურვაც და ფრენაც, მაგრამ ყველა სხვა ცხოველისგან განსხვავებით, მას ცეცხლის ამოფრქვევა შეუძლია. ცეცხლს პირიდან უშვებს. თურმე დრაკონის საყლაპავი მილი ძალიან გრძელი ყოფილა და ცეცხლის გამოშვების დროს ფართოვდება, ეს მას საშუალებას აძლევს, ძლიერი ცეცხლი გამოაფრქვიოს და ყველაფერი გადაწვას. ცეცხლით დრაკონი თავს იცავს და მტერს იგერიებს. თვითონ კი ცეცხლი ვერაფერს უშავებს.

**დრაკონი ზღაპრებსა და მითებში**

დრაკონი ზღაპრებსა და მითებში გამოყვანილია, როგორც დაუმარცხებელი, ძლევამოსილი ურჩხული. მისი ყველას ეშინია. ზღაპრებში დრაკონი ძალიან ბოროტია და ყველაფერს ანადგურებს და წვავს, ის ადამიანებსაც კი ჭამს. დრაკონი დიდი განძის მფლობელია ხოლმე. ის განძს ხალხს ართმევს და ითვისებს. მერე კი ამ განძს სხვები ახლოსაც ვეღარ ეკარებიან მისი შიშით. დრაკონის დამმარცხებლად ზღაპრებსა და მითებში ყოველთვის ერთი ჩვეულებრივი კაცი ჩნდება. ის ხდება ამ ზღაპრის გმირი, რადგან ამარცხებს დრაკონს. როგორ უნდა მოერიოს ჩვეულებრივი ადამიანი ასეთ ძლიერ ცხოველს? მე ვფიქრობ, ის მოხერხებით და ჭკუით სჯობნის მას და საბოლოოდ კლავს კიდეც. დრაკონის განძი ზღაპრის ბოლოს ხალხს რჩება.

**დრაკონი და რელიგია**

დრაკონი ისლამურ და ქრისტიანულ რელიგიაში ბოროტ ურჩხულად არის გამოყვანილი. რომელიც ამავე დროს არის უწმინდური, ხალხს მისი ეშინია. რელიგიურად დრაკონს ყოველთვის ღმერთის რჩეული ამარცხებს, ასეთ რჩეულს წმინდანს ეძახიან. წმინდანი დრაკონზე ძლიერია, რადგან მას ღვთის ძალა ეხმარება. დრაკონს ამარცხებს და ხალხს მისი შიშისგან ათავისუფლებს. რელიგიაში დრაკონს განძი არ აქვს. ის უფრო მეტად ისეთ

რაიმეს ფლობს, რომელიც ხალხს ცხოვრებისთვის, არსებობისთვის სჭირდება. მაგალითად, დრაკონი ცხოვრობს წყალთან და ხალხს ახლოს მისვლის უფლებას არ აძლევს.

ხალხი წყურვილით დაიხრჩობა, თუკი მათ არავინ უშველის. სწორედ ასეთი მშველელი არის ის წმინდა ადამიანი, რომელიც დრაკონს კლავს, წყალს ათავისუფლებს და ხალხს აძლევს.

**დრაკონი და ჰოროსკოპი**

დრაკონი ჰოროსკოპშიც გვხვდება. ჰოროსკოპი ზოგ ადამიანს ძალიან უყვარს და სჯერა კიდეც მისი. ეს არის წინასწარმეტყველება ასტროლოგიური ნიშნების მიხედვით. ყველა ადამიანს აქვს თავისი ჰოროსკოპის ნიშანი. ერთ-ერთი ნიშანია დრაკონიც. მაგალითად, ადამიანი შეიძლება იყოს დრაკონის წელში დაბადებული, ვირთხის წელში და ა.შ.

ამბობენ, დრაკონის ხასიათი ძალიან მოქმედებს იმ ადამიანზე, რომელიც დრაკონის წელშია დაბადებულიო. ჰორსკოპის მიხედვით, დრაკონი ბოროტი სულაც არ არის. ის, უბრალოდ, ძალიან ძლიერი ცხოველია, რომელიც ყველას სჯობნის. ჰოროსკოპი გვეუბნება, რომ დრაკონს სითბო და სიყვარული უნდა, ფულიც უყვარს და ხელგაშლილობაც. მაგრამ დრაკონი ძალიან ფეთქებადია და თუ გაბრაზდა, ყველაფერს ანადგურებს. ამიტომ მისი გაბრაზება არ შეიძლება.

**ბოლოსიტყვაობა**

როგორც ვნახეთ, დრაკონი სხვადასხვა ზღაპრებსა და მითებში განსხვავებულია, ჰოროსკოპი მასზე უფრო კარგ ამბებს გვიყვება, ვიდრე მითები. სინამდვილეში არავინ იცის, იგი როგორია. მთავარი ერთია, დრაკონს ყველა ქვეყანაში იცნობენ, ძალიან ბევრ წიგნსა და ნახატზე გვხვდება იგი. ეს ნიშნავს, რომ ის ძალიან საინტერესო არსებაა.

# თემა 9

## ჩემი სოფელი; ქალაქი; ტრანსპორტი

*გაკვეთილი 12*

**1. გამეორება: წაიკითხოთ ტექსტი (თემა – ჩემი სოფელი):**

* * *

მე და ჩემი მეგობარი გიორგი სოფელში ერთი კვირა დავრჩით. ჩვენ მთელი სოფელი და მისი *შემოგარენი დავათვალიერეთ.* სოფლიდან შორს მთა ჩანს. მთის მწვერვალზე *ზამთარ-ზაფხულ ყინულია.* სოფელში *სახნავ-სათესი* მიწა ცოტაა, ვენახი და ყანა დაბლობში აქვთ. სოფლის *ცენტრი* ვაკეა, თვითონ სოფელი კი მთაზეა, ზღვის დონიდან 900 მეტრზე. სოფლიდან ორ *კილომეტრში* დიდი მდინარე ჩამოდის. სოფელში რამდენიმე წყაროა. სოფელს ორ ნაწილად ჰყოფს პატარა ღელე, რომელიც მდინარეს *უერთდება.* ეს ღელე მდინარის ერთ-ერთი *შენაკადია.* ღელე *ღრმა ხევში* მიდის და მდინარის *ვიწრო ხეობას* ერთვის. მდინარეც და ღელეც მთიდან *ეშვება* და ზოგ ადგილას რამდენიმე ჩანჩქერია. მდინარეზე უფრო დიდი ჩანჩქერებია. ჩვენ ღელეშიც ვიყავით და მდინარეზეც, ჩანჩქერები ვნახეთ. გიორგის ძალიან მოეწონა ჩვენი სოფლის *ბუნება.*

ჩემს სოფელს და მეორე სოფელს მდინარე *ჰყოფს.* ამ მდინარეზე ორი ხიდია. სოფლის ზემოთ *ტყეა.* ტყის ზემოთ კი *კლდეებია.* მე და ჩემი მეგობარი ტყეშიც ვიყავით.

ზამთარ-ზაფხულ = სულ, მუდამ.

სულ, მუდამ – **სინონიმებია**;
სინონიმებია აგრეთვე: უერთდება – ერთვის

**2. ტექსტებიდან ამოვიწეროთ ახალი სიტყვები და ფრაზები. ჩავიწეროთ ლექსიკონში და განვმარტოთ.**

**3. დავჯგუფდეთ და თითოეულმა ჯგუფმა მოამზადოს თემა წაკითხული ტექსტის გამოყენებით (წერითი დავალება).**

**4. წაიკითხოთ ტექსტი ჯგუფებში:**

## ტრანსპორტი

ტრანსპორტი გადაადგილების საშუალებაა. დიდ ქალაქებში სხვადასხვა სახის ტრანსპორტს გადაჰყავს მგზავრები: ავტობუსს, ტროლეიბუსს, ტრამვაის, სამარშრუტო ტაქსებს; ბევრ ქალაქში არის მიწისქვეშა ტრანსპორტი – მეტრო.

* * *

ავტობუსი თბილისი-სენაკი გავა 15 წუთში.
ავტობუსი თბილისი-ვალე დგას მე-5 ბაქანზე.
ავტობუსი თბილისი-წალკა გავა 20 წუთში.
მატარებელი №553 – თბილისი – ერევანი დგას პირველ ლიანდაგზე.

**5. წავიკითხოთ დიალოგები:**

* * *

– რა მარშრუტით მიდის ეს ტროლეიბუსი?
– ეს ავტობუსი ქალაქის ცენტრს გაივლის?
– სად არის ტრამვაის (ავტობუსის, ტროლეიბუსის, ტაქსის) გაჩერება?
– აი ტრამვაის (ავტობუსის, ტროლეიბუსის, ტაქსის) გაჩერება.
– რა ღირს სამგზავრო ბილეთი?
– გააჩერეთ (გამიჩერეთ) თუ შეიძლება!
– რა ჰქვია მეტროს ამ სადგურს?
– როგორ მოგწონთ ჩვენი მეტრო?

* * *

– დღეს ქალაქის დათვალიერებას ვაპირებ, მაგრამ *მეშინია*, რომ დავიკარგები.
– დიდი ქალაქი *გაშინებს*? ნუ *გეშინია*, მე გამოგყვები მეგზურად.
– მართლა? როგორ *მიხარია*! საიდან დავიწყოთ?
– ცენტრიდან.
– ცენტრამდე როგორ მივიდეთ?
– შეგვიძლია მივიდეთ მეტროთი (ავტობუსით, ტროლეიბუსით, სამარშრუტო ტაქსით, ტრამვაით).
– ტრამვაითაც შეიძლება წასვლა?
– როგორ არა, მაგრამ დიდხანს მოგვიხდება მგზავრობა. ტრამვაი შორიდან უვლის, მეტრო კი ჩქარა მიგვიყვანს.
– კეთილი, მეტროთი წავიდეთ. დიდხანს მოგვიწევს ლოდინი?

– ორი-სამი წუთი. აგერ მატარებელიც. წავედით!

– რამდენი ხალხია!

– აქ ადგილი თავისუფალია, დაბრძანდით!

– რომელ გაჩერებაზე უნდა ჩავიდეთ?

– მესამეზე.

– აი, მოვედით. ბოდიში, თუ შეიძლება, გაგვატარეთ!

**6. ახალი სიტყვები და ფრაზები ამოიწერეთ.**

**7. თითოეულმა მსმენელმა შეადგინოს მცირე ტექსტი: „როგორ და რით ვმგზავროობ ქალაქში“ (წერითი დავალება).**

**8. დაიმახსოვრეთ ანტონიმები:**

| | | |
|---|---|---|
| ძველი | – | ახალი |
| ვიწრო | – | განიერი |
| ახლოს | – | შორს |
| ზემოთ | – | ქვემოთ |
| მარჯვნივ | – | მარცხნივ |

**9. „ავარია“ - ბანერზე მუშაობა**

**ბანერზე წარმოდგენილია ნახატი „ავარია“. აღწერეთ ნახატი.**

*(ნახატის აღწერა – წერილობით).*

**10. გაეცანით აბრას:**

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის**
**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**11. ნახეთ აფიშა:**

**2003 წლის 28 აპრილს**
**თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის**
**ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი**
**გთავაზობთ:**

**ზაქარია ფალიაშვილი**

**აბესალომ და ეთერი**
**ოპერა ოთხ მოქმედებად**

**12. შეადარეთ ერთმანეთს. რა ინფორმაციას გადმოგვცემს აბრა და რას – აფიშა?**

**13. შეადგინეთ აბრისა და აფიშის თითო-თითო ნიმუში (სურვილისამებრ – გააფორმეთ).**

**14. ივარჯიშეთ კითხვაში:**

## დიდი ქალაქის ხმაური

მე მქვია ლუკა.

მე ვცხოვრობ დიდ ქალაქში.

მე ვცხოვრობ ხმაურიან ქუჩაზე.

დღისით და ღამით განუწყვეტლივ მოძრაობენ მანქანები.

მოძრაობენ ავტობუსები.

მოძრაობენ სატვირთო მანქანები.

ხალხი ვერ გრძნობს ხმაურს დღის განმავლობაში,

მაგრამ ღამით ხმაური შეუძლებელს ხდის დაძინებას.

ჩემს ქუჩაზე ხალხს ჰყავს ცხოველებიც ჰყავს.

ხალხი საღამოობით  თავიანთ შინაურ ცხოველებს ეზოში ასეირნებს.

არიან კატები.  არიან ძაღლები.

ძაღლები იწვევენ დიდ ხმაურს.

ჩემთვის ძაღლი იგივეა, რაც სატვირთო მანქანა.

ძაღლი ისეთია, როგორიც მანქანა.

ძაღლი ისეთია, როგორიც ავტობუსი.

ყველა მათგანი იწვევს დიდ ხმაურს!

ერთ-ერთი ძაღლი ყველაზე ხმამაღლა ყეფს. მისი სახელია სიმბა. სიმბა ბატონი გიორგის ძაღლია.

„ძალიან ცუდი ძაღლია. გვიან ღამემდე არ მაძინებს!“ – ამბობს ბატონი ირაკლი, რომელიც ბატონი გიორგის კარის მეზობელია. „გიორგიმ უნდა გაუშვას სახლიდან!“ – ამბობს ბატონი ირაკლი. ეს ნათქვამი აგიჟებს ბატონ გიორგის. „ფანჯრები არ უნდა იყოს ღია, როცა გძინავს!“ – ეუბნება ბატონი გიორგი ბატონ ირაკლის.

„შენ უნდა შეიყვანო ღამით შენი ძაღლი სახლში!“ – ყვირის ბატონი ირაკლი.

ორი მეზობელი სიმბას გამო თითქმის ყოველდღე ჩხუბობს.

მე მგონი, ეს სასაცილოა.

ჩემთვის სიმბა ისეთივე ცუდია, როგორიც ეს ხმაურიანი მანქანები.

ის ისეთივე ცუდია, როგორიც ავტობუსები.

ის ისეთივე ცუდია, როგორიც სატვირთო ავტომობილები.

სწორედ ასეთია დიდ ქალაქში ცხოვრება. იქ ყოველთვის ძალიან დიდი ხმაურია.

# რომი

## შესავალი

იცი, რა ჰქვია იტალიის დედაქალაქს? დიახ, ეს რომია. რომი ტურისტების საყვარელი ქალაქია. რომს ბევრ სხვადასხვა სახელს ეძახიან. მარადიული ქალაქი , წმინდა ქალაქი , კაცობრიობის ისტორიის სიმბოლო და სხვა.

რომი ძალიან ლამაზი ქალაქია. ის ძალიან დიდი და ძველია. ის ერთ-ერთი ყველაზე ძველი ქალაქია მსოფლიოში. რომი ჩვენს წელთაღრიცხვამდე 753 წელს დაარსდა.

რომი თავისი ისტორიით, კულტურითა და ღირსშესანიშნაობებით არის ცნობილი. ის მსოფლიოს ულამაზესი ქალაქების სიაში შედის. მას ქალაქ-მუზეუმსაც უწოდებენ. რომში წელიწადში 4 მილიონზე მეტი ტურისტი ჩადის. ეს დაახლოებით საქართველოში მცხოვრები ადამიანების რაოდენობაა.

## რომის დაარსების ისტორია

რომთან დაკავშირებით ბევრი საინტერესო ლეგენდა არსებობს. ერთ-ერთი ლეგენდის თანახმად, ქალაქი რომი ტყუპმა ძმებმა - რომულუსმა და რემუსმა დააარსეს. ახალშობილი ტყუპები ბიძამ ჩასვა კალათაში და ტყის პირას დატოვა. ბიძას უნდოდა, რომ მეფის ტახტი და ძალაუფლება ხელში ჩაეგდო. მას ხელს ძმისშვილები უშლიდნენ. ტყუპი ძმები ტახტის მემკვიდრეები იყვნენ. ბიძამ ჩვილები ასე სასტიკად მოიშორა თავიდან.

ტყის პირას ჩვილები მგელმა იპოვა. მან ბავშვები არ შეჭამა. მგელმა ბავშვები ძუძუთი გამოკვება. ის კოდალასთან ერთად უვლიდა და ზრდიდა ტყუპ ძმებს. ცოტა ხანში ტყუპები მწყემსმა იპოვა და თავისთან წაიყვანა. ბავშვებს მწყემსი და მისი ცოლი უვლიდნენ. მოგვიანებით მწყემსს ბავშვების გაზრდაში სხვა ადამიანებიც დაეხმარნენ. ეს ადამიანები უკმაყოფილონი იყვნენ ბავშვების ბიძის მეფობით. თვითმარქვია მეფე უსამართლო და სასტიკი იყო.

ბიჭები ლამაზები, ღონივრები და გონივრები გაიზარდნენ. განსაკუთრებით რომულუსი გამოირჩეოდა. ძმებმა გარშემო ბევრი ადამიანი შემოიკრიბეს. ტყუპებმა ბიძას ბრძოლა გამოუცხადეს და მოკლეს. გამარჯვებულმა ტყუპებმა ახალი ქალაქის აშენება გადაწყვიტეს. ასე დაარსდა რომი. რომის შენების დროს ძმებს შორის ჩხუბი მოხდა. ამ ჩხუბში რომულუსმა რემუსი მოკლა.

რომი ძალიან სწრაფად იზრდებოდა და ვითარდებოდა. ის ჯერ რომის სამეფოს დედაქალაქი იყო. მოგვიანებით რომის რესპუბლიკის დედაქალაქიც გახდა. ბოლოს იგი რომის იმპერიის ცენტრი გახდა. საუკუნეების განმავლობაში რომი მსოფლიოს ცენტრი იყო. მას მსოფლიოს დედაქალაქს უწოდებდნენ.

**რომის ღირსშესანიშნაობები**

რატომ უყვართ ტურისტებს რომი?

აქ ყველა შენობას ისტორიული მნიშვნელობა აქვს. აქ ყველა აგურს და ქვას კულტურული მნიშვნელობა აქვს.

რომის პირველი საოცრება - ვატიკანია. ვატიკანი სახელმწიფოა, რომელიც ქალაქ რომშია მოქცეული. ვატიკანი მსოფლიოში ყველაზე პატარა სახელმწიფოა. აქ 800-ზე ოდნავ მეტი ადამიანი ცხოვრობს. ვატიკანში პაპის რეზიდენციაა. ვატიკანი მსოფლიოს კათოლიკე ქრისტიანების მთავარი ეპარქიაა.

წმინდა პავლეს ტაძარი რომის სიამაყეა. ის ვატიკანში მდებარეობს. სიდიდით და მნიშვნელობით წმინდა პავლეს ტაძარი პირველია ვატიკანში. იგი 130 მეტრის სიმაღლისაა. ტაძარში ფრესკები და ხატები არ არის, აქ კედლები და გუმბათი მოზაიკითაა მორთული. წმინდა პეტრეს ტაძარში 60000 ადამიანი ეტევა. მისი გუმბათი უდიდესი შემოქმედის - მიქელანჯელოს ნამუშევარია.

ტურისტები რომში აუცილებლად ნახულობენ კოლიზეუმს. კოლიზეუმი ძალიან ძველი შენობაა. ის ჩვენს წელთაღრიცხვამდე 80 წელს აიგო. კოლიზეუმი უზარმაზარია. მასში 60 000 ადამიანი ეტეოდა. ისინი ოვალური არენის გარშემო ისხდნენ. აქ გლადიატორების ბრძოლებს უყურებდნენ. გლადიატორებს ეძახდნენ მებრძოლებს ძველ რომში. გლადიატორები ერთმანეთს ან ცხოველებს ებრძოდნენ და ამით მაყურებლებს ართობდნენ.

რომში კიდევ ბევრი ღირსშესანიშნაობაა, რომლებიც ტურისტებისთვის დასათვალიერებელი ადგილების სიაშია შესული. რომის ფორუმი, დომუს აურეა, პანთეონი, ტრაიანეს სვეტი, ტრაიანეს ბაზარი, მაქსიმუსის ცირკი, კარაკალას აბანოები, ავგუსტინეს მავზოლეუმი, კონსტანტინეს თაღი, ცესტიუსის პირამიდა – ის ადგილებია, რომლებიც აუცილებლად უნდა ინახულოთ.

სეირნობით დაღლილი, აუცილებლად ჩამოსხედით ტრევის შადრევანთან. ლეგენდის თანახმად, თუ ტურისტი ამ შადრევანში ჩააგდებს რკინის ფულს, იგი აუცილებლად დაბრუნდება რომში. ყოველდღე შადრევანში დაახლოებით 3000 ევროს ყრიან ტურისტები. რომში დაბრუნება ყველას უნდა. რომი მართლაც ოცნების ქალაქია.

**ხანძარი რომში**

ერთ-ერთი ლეგენდა რომის ხანძრის შესახებ გვიამბობს. ეს 64 წელს მოხდა. რომი დიდი და განვითარებული ქალაქი იყო. მაშინ რომში ბევრი ბიბლიოთეკა, გალერეა და ბაზარი იყო. ეწყობოდა გლადიატორების გამოსვლები, საცირკო წარმოდგენები. მდიდრებისა და ღარიბების სახლები ძალიან განსხვავდებოდა. ღარიბების სახლები ხისგან იყო აშენებული. 19 ივლისს ძალიან ცხელოდა რომში. სიცხემ და სიმშრალემ ხანძარი გამოიწვია. ხანძარი ბაზარში დაიწყო და მერე სტადიონზე გადავიდა. ცოტა ხანში მთელი ქალაქი ხანძარში გაეხვია. რომის მოქალაქეები სახანძროებთან ერთად 9 დღე ებრძოდნენ ცეცხლს. ბევრ ადამიანს დაეწვა სახლები და საცხოვრებელი. დაღუპულთა რიცხვი უცნობია.

ლეგენდის თანახმად, ხანძარი იმპერატორმა ნერონმა გააჩინა. მას უნდოდა, რომ ძველი სახლების მაგივრად ახლები აეშენებინა. განახლებული რომით  იმპერატორი იამაყებდა.
მეორე ლეგენდის თანახმად, ნერონს პოემის შექმნა სურდა. მას უნდოდა, რომ პოემა საუკეთესოთა შორის საუკეთესო ყოფილიყო. ნერონი ფიქრობდა, რომ აალებული რომი პოემისთვის წარმოსახვას მისცემდა.  მან რომის გადაწვა ბრძანა.

დანამდვილებით არავინ იცის, რატომ დაიწყო ხანძარი. თუმცა, ხანძარმა რომის მაცხოვრებლები გააერთიანა.

## ცხვარი

ცხვარი არის წყნარი, მშვიდი და უწყინარი ცხოველი. საკუთარი თავის დაცვა საერთოდ არ შეუძლია. კბილები ძაღლივით მჭრელი არ აქვს, არც რქები აქვს ხარივით და ცხენივით ღონიერი ფლოქვიც არ აქვს... კურდღელივით მარდი სირბილიც არ იცის. ერთი სიტყვით, თავის დაცვა არაფრით არ შეუძლია. ამიტომ საბრალო ცხვარი მისი მტრისთვის იოლი ლუკმაა. სწორედ ამიტომ ეძახიან ცხვარს ისეთ ადამიანს, ვინც კი მეტად სუსტი ხასიათისაა და ადვილად ერევა მტერიც და მოყვარეც.

გარეგნობით ცხვარი ლამაზია. გრძელი, ხშირი და ფაფუკი მატყლი, კოხტა ტანი, მოგრძო თავი და წვრილი ფეხები ამშვენებს მას. მაგრამ სახეზე კი აშკარად ეტყობა უგუნურობა. მისი თვალები სულელურად სადღაც შორს იყურებიან. მცირე საფრთხეც კი საკმარისია, რომ ცხვარი ძალიან შეშინდეს. ხიფათის დროს გაშტერებული, სულელურად ჩერდება ერთს ადგილას, ანდა უაზროდ მირბის წინ და ღრმა ხევიც რომ შეხვდეს, შიგ გადავარდება. ღამე რომ ცეცხლი წაეკიდოს სახლს და ცხვარი გამოიყვანო და გადაარჩინო, თუ ხელიდან გაუშვი, ბრმასავით შევარდება ცეცხლში და დაიწვება... ცხვარი რომ მგელს დაინახავს, კი არ გაიქცევა, გაჩერდება ერთ ადგილას და სულელურად აბაკუნებს წინა ფეხებს მიწაზე, თითქოს ამით მგელს შეაშინებს. თავისი საკუთარი ნება ცხვარს საერთოდ არ აქვს. ის დადის მუდამ ერკემლის, ანუ ვაცის ნებაზე. ვაცს რომ შემთხვევით ფეხი დაუცდეს და წყალში ჩავარდეს, მთელი ფარა ცხვარი თან ჩაჰყვება და დაიხრჩობა, თუ პატრონი არ მიეშველა. მთელ თავის სიცოცხლეში ისე უგუნურად იქცევა, თითქოს თავში ტვინი საერთოდ არ ჰქონდეს. რაც უნდა ეცადო, ცხვარს ბევრს ვერაფერს ასწავლი. მაგრამ ადამიანისათვის მაინცდამაინც რა საჭიროა ცხვრის ჭკუა! მას უნდა ცხვრის მატყლი შალისა თუ წინდების მოსაქსოვად, მისი ქონი - სანთლისა და საპნისათვის, რძე - ყველისათვის, ტყავი - ჩასაცმელად და ხორცი - ბოზბაშად და სამწვადედ...

ჩვენს ხალხს ცხვარი იმდენად სასარგებლო ცხოველად მიაჩნია, რომ ფიქრობს, სადაც ცხვარი გაჩნდება და იმრავლებს, იქ სიღარიბე ქრებაო. ეს აზრი ჩვენს ხალხს, შემდეგ მოთხრობაში გამოუთქვამს:

## ცხვარი და სიღარიბე

(ხალხური)

ცხვარი შევიდა სახლში, დაინახა სიღარიბე, ფეხები დაუბაკუნა და დაუყვირა:

- ადე, სიღარიბევ, გამეცალე აქედანო!

- რატომ უნდა გაგეცალო? ეს ჩემი სახლიაო!

- შენი კი არა, ჩემია, ახლავე უნდა წახვიდეო!

რომ აღარ გაჩერდა ცხვარი, სიღარიბემ სთხოვა:

- სახლის ნახევარი მაინც დამითმეო.

- არა, არა, ვერ დაგითმობო.

ბოლოს სიღარიბე შეეხვეწა: ერთი კუთხე მაინც დამითმეო.

- ვერ დაგითმობ, მთელი სახლი მჭირდებაო!

- რად გინდაო?

- რატომ და - ერთ კუთხეში მე უნდა დავდგეო, მეორეში – ბატკანი უნდა დავაყენო, მესამეში მატყლს დავდებ და მეოთხეში - ყველსო.

ადგა სიღარიბე და გაეცალა. მთელი სახლი ცხვარს დარჩა.

## ცხენი

აგერ სათიბში ცხენი აბია საბელით და გემრიელად სძოვს ბალახს. მივიდეთ ახლოს და დავათვალიეროთ: გრძელი, ლამაზად მოყვანილი თავი ძირს აქვს დაღუნული და გრძელ კისერზე ხშირი ფაფარი აყრია, მისი ზემო ტუჩი სწრაფად მოძრაობს, და ასე იდებს პირში. წინა კბილებით შიგ ძირში მარდად გლეჯს ბალახს და უკანა კბილებით ღონივრად ღეჭავს. წამდაუწუმ ფრთხება, აჩერებს პირს, ცქვეტს წვეტიან ყურებს და რაღაც ხმას უგდებს ყურს. ეტყობა, რომ მგლისა დიდი შიში აქვს და ფრთხილად არის. თავისი დიდი თვალებით მეტად გონივრად იყურება. მისი მოგრძო ტანი, ლამაზად გამოყვანილი, ეყრდნობა ოთხ წვრილ და გრძელ ფეხს, რომლებშიც დიდი ღონე აქვს. ამ ფეხებს ქარივით სწრაფი სირბილი შეუძლიათ. ფეხებზე აბია მრგვალი და გაუყოფელი ჩლიქები. უკანა ფეხები დაკუნთული აქვს და დიდი ძალაც აქვს: ვაი იმ მგელს, რომელსაც მისი წიხლი მოხვდება!

აი, მოვიდა პატრონი, აუშვა ცხენი და წაიყვანა შინ. აქ იმან ჩაზნექილ ზურგზე დაადგა უნაგირი, გამოუნასკვა კუდი, გრძელი ძუით შემოსილი, ამოსდო პირში ლაგამი, მოაჯდა ზედ და გააჭენა. რასაც ფეხით ორ-სამ დღეს გაივლიდა, იმ მანძილს ეს დალოცვილი საქონელი ერთ დღეს გაატარებს თავის პატრონს, მიზანს მალევე მიაღწევს და საქმეს წინ წასწევს.

## ძაღლზე ზრუნვა

მოუარო და უპატრონო შენს ძაღლს - ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ძაღლს მოვლა სჭირდება ყოველდღე.

აქ მოცემულია რამდენიმე რჩევა, თუ როგორ შეიძლება მოუარო საკუთარ ძაღლს. ეს დაგეხმარებათ თქვენი ძაღლი იყოს ბედნიერი და ჯანმრთელი.

შენ უნდა გამოკვებო ძაღლი ყოველდღე. ისე უნდა კვებო ძაღლი, რომ ის იყოს ჯანმრთელი.

იმისათვის, რომ ძაღლი გამოკვებო, შენ დაგჭირდება:

- თასი საკვებისთვის;
- თასი წყლისთვის;
- ორცხობილა;
- დაკონსერვებული ძაღლის საკვები.

რა უნდა გააკეთო:

1. გახსენი ძაღლის საკვების თუნუქის ქილა და საკვები მოათავსე  თასში.
2. საკვებს დაადე თავზე ორცხობილა.
3. გაავსე მეორე თასი წყლით.
4. დადგი გამზადებული საკვები ძაღლისთვის გარეთ.

ძაღლმა უნდა დალიოს წყალი მაშინ, როცა მოწყურდება. შეამოწმე ხშირად,რომ წყალი მუდამ იყოს თასში.

ძაღლი ყოველთვის უნდა იყოს სუფთა. ხშირად უნდა დაბანო და დავარცხნო.

იმისათვის, რომ დაბანო ძაღლი, დაგჭირდებათ:

- წყლის შლანგი;
- ქსოვილი;
- ცხოველის შამპუნი;
- პირსახოცი;
- ჯაგრისი.

რა უნდა გავაკეთოთ:

1. დაასველეთ ძაღლი წყლით.
2. ძაღლს წაუსვით შამპონი. გახსოვდეთ! მოარიდეთ შამპუნი ძაღლის თვალებს.
3. ჩამორეცხეთ შამპუნი წყლით. დააკვირდით, შამპუნი არ დარჩეს ძაღლს ბეწვზე.
4. შემდეგ შეამშრალეთ ძაღლი.
5. შემდეგ დავარცხნეთ.

დაბანეთ ძაღლი წელიწადში ორჯერ, როცა ძალიან ჭუჭყიანი იქნება.

გახსოვდეთ! იყიდეთ ცხოველისთვის განკუთვნილი შამპუნი.

ძაღლს სჭირდება დასაძინებელი ადგილი. ეს ადგილი უნდა იყოს მშრალი და თბილი. ძაღლის ქოხი არის ყველაზე კარგი ადგილი ძაღლის დასაძინებლად.

ძაღლის ქოხის მოსაწყობად დაგჭირდებათ:

- ქოხი;
- ძველი ზეწრები.

1. დარწმუნდით, რომ ქოხის ზომა საკმარისია თქვენი ძაღლისთვის.
2. გახსოვდეთ, თუ თქვენი ძაღლი არის პატარა, ის სწრაფად იზრდება!
3. შეეცადეთ, ქოხი დადგათ მშრალ ადგილას.
4. დააფინეთ ზეწარი ქოხში.
5. ნება დართეთ თქვენს ძაღლს, შეამოწმოს თავისი ქოხი.

გახსოვდეთ! შეიძლება ძაღლს დასჭირდეს გარკვეული დრო, რომ შეეგუოს თავის ახალ ქოხს.

ძაღლს სჭირდება ვარჯიში, რათა ის იყოს ჯანმრთელად. ასეირნეთ ხშირად თქვენი ძაღლი.

იმისათვის რომ ასეირნოთ ძაღლი საჭიროა:

- ძაღლის სატარებელი თასმა;
- ცხოველის სატარებელი საყელო;
- მოქნილი ჩანთა.

რა არის საჭირო ამისთვის.

1. ძაღლს შეაბით ცხოველის სატარებელი თასმა.
2. ასეირნეთ ძაღლი მოკლე თასმით.

აუცილებელია, ძაღლები ათამაშოთ ხშირად. თამაში ძაღლებს აბედნიერებთ.

იმისათვის, რომ ძაღლი ათამაშოთ, თქვენ გჭირდებათ:

- ბურთი;
- სხვადასხვა სათამაშო.

რა უნდა გააკეთოთ:

1. ისროლეთ სათამაშო, რათა მოიტანოს ძაღლმა.
2. არბენინეთ თქვენი ძაღლი.
3. მოეფერეთ ხშირად თქვენს ძაღლს.

გახსოვდეთ! თუ თქვენს ძაღლს დართავთ ნებას ითამაშოს თქვენი ძველი ფეხსაცმლით, შესაძლოა მან დაღეჭოთ ეს ახალი ფეხსაცმელი.

# ურემი

## შესავალი

ურემს, ისევე, როგორც ავტომობილს, ხშირად ვერ შეხვდებით, მით უმეტეს, ქალაქის ქუჩებში.

ქალაქებში ურემი შეიძლება ეროვნულ დღესასწაულებზე ნახოთ, როცა ხალხური ნივთებია გამოფენილი. მაგრამ ურემს სხვა დანიშნულებაც აქვს, იგი სატრანსპორტო საშუალებაა.

სოფლებში ურმით გლეხი ეზიდება ტვირთს, ძირითადად მოსავლის აღების დროს. საქართველოში სხვადასხვანაირი ურმები არსებობს, მაგრამ ისინი ერთმანეთისგან ძალიან არ განსხვავდებიან. თუ თქვენ ერთხელ მაინც გინახავთ სადმე ურემი, მეორედ მისი გამოცნობა აღარ გაგიჭირდებათ.

## პირველი ურემი

ვინ გააკეთა პირველი ურემი საერთოდ არ ვიცით. არც მისი გამომგონებელი ადამიანია ცნობილი და არც პირველი ურმის ფოტო გვაქვს. ამის გამო ურემს ხალხურ ტრანსპორტს ეძახიან. საქართველოში ურემში შებმულია საქონელი და თავისი ძალით მიჰყავს იგი. ეს საქონელი შეიძლება იყოს ხარი ან ცხენი.

ურემში ზოგჯერ ორი ხარია შებმულია, მათ კისერზე ადგათ უღელი და ისე ეზიდებიან ურემს. ზოგჯერ ერთი ხარიც კი ეწევა ურემს, ასეთ ურემს „ცალუღელა“ ურემი ჰქვია.

საქართველოს გარდა, ურემი არსებობდა აგრეთვე საფრანგეთშიც, თუმცა მისი დანიშნულებაცა და აგებულებაც ძალიან განსხვავდებოდა ქართულისაგან. ფრანგული ურემი 1769 წელს გამოიგონა ნიკოლა კუნიომ და მას ახლაც კუნიოს ურემს ეძახიან. იგი ორთქლზე მუშაობდა და სამხედრო საქმიანობისთვის იყენებდნენ. ურმით ძირითადად იარაღს ეზიდებოდნენ.

## ურმის აღწერა

ურმის აგებულება საქართველოს სხვადასხვა კუთხის მიხედვით სხვადასხვანაირია. ზოგი ურემი საბარო ურემია, ზოგს ხელნა ურემი ჰქვია და ზოგს საძნე ურემი.

ამ ურმებს საერთო რაც აქვთ, ეს არის სამი ძირითადი ნაწილი: ურმის უბე, ღერძ-ბორბალი და უღელი. ურმის უბე არის ნაწილი, სადაც ტვირთი იდება და აქ ადამიანსც შეუძლია დაჯდეს. კაცს, რომელსაც ურემი მიჰყავს, მეურმე ჰქვია, ხოლო უბის წინა ნაწილს, სადაც ძირითადად მეურმე ზის, ურმის კოფო ეწოდება. ურმის უბეზე დამაგრებულია აგრეთვე სპეციალური ჯოხები, რომლებიც ერთმანეთთან შეერთებულია მაგარი თოკით. ეს საჭიროა ტვირთის დასამაგრებლად, გზაში რომ არ გადმოვარდეს და არ დაიკარგოს.

ურმის ბორბალი მრგვალი ფორმისაა და თითოეულ ურემს ორი სჭირდება. ისინი მოძრაობენ და ამით ხარებს შველიან გადაადგილებისას.

ურმის უღელი კი გრძელი, სქელი ხისგანაა დამზადებული, მასზე არის სამაგრები, რომლებიც კისერზე უკეთდება საქონელს და ამით მათ აიძულებს, ერთად იარონ და უღელში შებმული ურემი ატარონ.

**ბოლოსიტყვაობა**

როგორც ვნახეთ, ურემი რთული გასაკეთებელი არაა, არც ძალიან მძიმეა. იგი საქართველოში ძალიან პოპულარული გადასაზიდი საშუალება იყო, მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა ავტომობილი. თუმცა დიდი ხნის განმავლობაში იყენებდნენ ურმებს, მას შემდეგაც კი, როცა მანქანები გამოიგონეს. უფრო მეტიც, თქვენ დღესაც შეგიძლიათ საქართველოს ზოგ სოფელში ნახოთ ურემი და გაისეირნოთ ამ ძველი, ხალხური სატრანსპორტო საშუალებით.

## ავტომობილი

**შესავალი**

სიტყვა ავტომობილი ნიშნავს ისეთ რაიმეს, ისეთ ნივთს, რომელსაც შეუძლია თვითონ იაროს. ავტომობილს შეუძლია იაროს ძრავის საშუალებით და ატაროს თავისი მგზავრებიც. დღეს ყველა ბავშვმა იცის, როგორია ავტომობილი, თუმცა ადრე ის ზუსტად ასეთი არ ყოფილა. დღეს ძალიან ბევრი ავტომობილი დადის ქუჩებში, ზოგი დიდია, ზოგი - პატარა, ზოგი წითელი, ზოგიც - მწვანე, ერთი სიტყვით, ავტომობილები სხვადასხვანაირები და ფერად-ფერადები არიან.

ორი საუკუნის წინ ეს ასე არ იყო. ქუჩებში ამდენი ავტომობილი არ დადიოდა. თუ ვინ გამოიგონა პირველი ავტომობილი, ამაზე დღესაც ხშირად კამათობენ.

**პირველი ავტომობილი**

მთელ მსოფლიოში ცნობილია, რომ 1885 წელს გერმანიაში ერთმა ძალიან ნიჭიერმა ინჟინერმა ააწყო ავტომობილი, რომელსაც ჰქონდა ბენზინის ძრავი. ამ კაცს კარლ ბენცი ერქვა და ძალიან ცნობილი კაცი გახდა ამის შემდეგ.

მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ ავტომობილის გამოგონების იდეა კარლ ბენცამდე ძალიან ადრე არსებობდა. ეს იდეა ეკუთვნოდა მეთხუთმეტე საუკუნეში მცხოვრებ ცნობილ მხატვარს ლეონარდო და ვინჩის, რომელმაც დახატა ბორბლებიანი ტრანსპორტი, მაგრამ იგი არასოდეს აუწყვია.

უფრო მოგვიანებით 1879 წელს ფრანგმა ინჟინერმა გამოიგონა ორთქლის მანქანა, რომლსაც იყენებდნენ ომის დროს გადაადგილებისა და ტვირთის გადასატანად.

როგორც ვნახეთ კარლ ბენცის ავტომობილამდე კიდევ არსებობდა ავტომობილები, მაგრამ ისინი მუშაობდნენ მხოლოდ ორთქლზე. ბენცის ავტომანქანა კი ბენზინზე მუშაობდა და ამის გამო მას პირველ ავტომობილად მიიჩნევენ.

პირველ მანქანას მხოლოდ სამი ბორბალი ჰქონდა და დიდი ძრავი, დღეს მანქანებს ამხელა ძრავები აღარ აქვთ და უკვე ოთხ ბორბალზე დგანან.

**ავტომობილები დღეს**

ადრინდელი ავტომობილებისაგან განსხვავებით, დღეს მანქანები უფრო სწრაფები და უფრო ლამაზები არიან. ადრე ავტომობილში ძრავის ხმაური ისმოდა, ახლა ძრავის ხმა ადამიანს უკვე აღარ ესმის. შეგიძლია მუსიკა ჩართო და კომფორტულად იმგზავრო. უფრო მეტიც, დღევანდელ ავტომობილებს უკვე ნავიგაციის აპარატები გააჩნიათ, რაც მძღოლს სწორი გზის არჩევაში ეხმარება, გარდა ამისა, მანქანაში არის კონდიციონერიც იმისათვის, რომ მგზავრებს სასურველი ტემპერატურა ჰქონდეთ მგზავრობისას.

ერთი სიტყვით, ავტომობილის გამოგონება ძალიან სასარგებლო რამ არის ადამიანებისათვის, მან გაუადვილა ხალხს მგზავრობა და იგი გახადა უფრო სასიამოვნო და კომფორტული, ვიდრე აქამდე იყო.

## მატარებელი

**შესავალი**

მატარებელი ბავშვების საყვარელი ტრანსპორტია. ერთმანეთზე გადაბმული ვაგონები რიტმულად მისდევენ უკან თავის წინამძღოლს - ორთქლმავალს. ხომ იცით ორთქლმავალი რომელია? აი, რაც მატარებლის პირველი, წინა ნაწილია, საიდანაც ორთქლი და კვამლი ამოდის. აქ ზის მემანქანე და მიჰყავს მატარებელი. მას კიდევ უკან მისდევენ დამწკრივებული ვაგონები. ვაგონებს გზაში სიმღერა უყვართ. თქვენც ხომ იცით ეს სიმღერა? – „ჩუქ-ჩუქ-ჩუქ-ჩუქ“... ადრე სულ მაინტერესებდა, რატომ არ სცვიოდნენ ვაგონები ლიანდაგებიდან. ან ვინ იყო ის ადამიანი, ვინც ეს ტრანსპორტი გამოიგონა. ერთად ვნახოთ, როგორი იყო პირველი მატარებელი, ვინ გააკეთა ის, ან როგორ სჯობია ახლანდელი მატარებლები ადრინდელს.

**პირველი მატარებელი**

რკინიგზის გამოგონება ინგლისელებისა და შოტლანდიელების დამსახურებაა. მათ გამოიგონეს რკინის ლიანდაგები. ადრე რომშიც არსებობდა ლიანდაგები, მაგრამ ის ხის იყო და მალე ფუჭდებოდა, ინგლისში კი მე-18 საუკუნეში რკინის ლიანდაგები გამოიგონეს, რომლებიც ბევრად უფრო გამძლე იყო. ძირითადად ამ გზას ურიკების გადასაგორებლად იყენებდნენ. ამ ურიკებით ტვირთი გადაჰქონდათ და ხელით მიაგორებდნენ. ისინი ძალიან

შველოდათ, რკინის ლიანდაგებზე ურიკის ბორბლები კარგად მიცურავდა და ადამიანებს ტვირთის წაღება უადვილდებოდათ.

ინგლისელებმა გადაწყვიტეს ისეთი რამე მოეფიქრებინათ, რომ ტვირთი თვითონ წაეღო და მათი დახმარება აღარ ყოფილიყო საჭირო. 1797 წელს ინგლისელმა გამომგონებელმა რიჩარდ ტრევითიკმა გამოიგონა ორთქლის მანქანა, რომელიც ორთქლის ძალით დადიოდა. სწორედ ეს იყო პირველი მატარებელი, რომელმაც წარმატებით იმუშავა.

**თანამედროვე მატარებლები**

მას შემდეგ რაც პირველმა ორთქლმავალმა წარმატებით გაიარა რკინიგზა, დაიწყეს ფიქრი მის გაუმჯობესებაზე. მალე რკინიგზები გაიხსნა სამხრეთ ევროპასა და აზიაში, ამერიკაში. ერთ ორთქლმავალს უკან მოაბეს ვაგონები, იმიტომ, რომ ხალხს ძალიან მოეწონა მატარებლით მგზავრობა. ის უფრო სწრაფად მიდიოდა და უფრო ადვილად აღწევდნენ დანიშნულების ადგილს.

დღეს უკვე ძალიან კომფორტული მატარებლები არსებობს. ზოგ ადამიანს მანქანით მგზავრობას მატარებლით მგზავრობა ურჩევნია, მით უმეტეს, როდესაც შორს მიდის. არსებობენ აგრეთვე განსაკუთრებით სწრაფი მატარებლები, რომლებიც ჩვეულებრივ მატარებლებზე ბევრად სწრაფად მოძრაობენ. ყველაზე სწრაფი მატარებელი ჩინეთში გამოიგონეს და მას „ჰარმონიის ექსპრესი“ ჰქვია.

**ბოლოსიტყვაობა**

მატარებელი ძალიან სწრაფი და ძალიან მოსახერხებელი ტრანსპორტია, მასში არის ოთახები, სადაც ადამიანებს დაძინებაც კი შეუძლიათ. მე ძალიან მიყვარს, როცა მატარებლით ვმგზავრობ. იქნებ თქვენც სცადოთ, ძალიან სახალისოა.

## მეტრო

**შესავალი**

მეტრო ერთ-ერთი სატრანსპორტო საშუალებაა - ისევე, როგორც ავტობუსი ან მატარებელი. ის უფრო მატარებელია, რომელიც მიწის ქვეშ დადის, თუმცა, მიწის ზემოთაც უხდება ხოლმე ამოსვლა.

როცა ცხელა, მეტროთი მგზავრობა კარგია, მიწის ქვეშ ხომ ძალიან გრილა. სიცივისა და დიდი ყინვების დროსაც მეტრო უსაფრთხო და თბილი ტრანსპორტია. მანქანა შეიძლება ყინულზე დაცურდეს, მეტროს კი არაფერი დაემართება.

მას შეუძლია უსაფრთხოდ მიგვიყვანოს საჭირო ადგილამდე.

**პირველი მეტრო**

როცა ინგლისელებმა მატარებელი გამოიგონეს, გადაწყვიტეს, ეს მატარებელი მიწის ზედა ნაწილის გარდა, სხვაგანაც გამოეცადათ. მათ მიწის ქვეშ გააკეთეს პირველი მეტროს სადგური და ორთქლის მატარებლით პირველი მეტრო გაუშვეს 1863 წელს. ინგლისში ეს ტრანსპორტი ძალიან მოეწონათ, იფიქრეს, ასე უფრო სწრაფად და უსაფრთხოდ ვივლითო, რადგან მიწის ზემოთ მოძრაობა შემცირდა. 1890 წელს უკვე ელექტრო ორთქლმავლები გაუშვეს პირველად ლონდონის მეტროში. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ პირველი ელექტრომატარებლის გამოგონების იდეა გერმანელ ვერნერ სიმენსს ეკუთვნის, რომელმაც პატარა ელექტრომატარებელი ააშენა, რომელიც მიწის ზემოთ მოძრაობდა, ქუჩებს შორის დადიოდა ხალხი გადაყავდა. ეს ტრანსპორტიც ძალიან შეუყვარდათ ევროპელებს და დღესაც არის ის ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ. გერმანია, საფრანგეთი, და ა. შ).

მეტრო მალე ევროპის ყველა ქვეყანაში გახსნეს, შემდეგ აზია და ამერიკაც კი მოხიბლა მეტროს ლამაზმა ვაგონებმა და იქაც ააშენეს მეტროს სადგურები. არსებობს მეტროს ყველაზე მოკლე და ყველაზე გრძელი ხაზი. ყველაზე მოკლე ხაზი 2 კმ-იანია და იგი მდებარეობს ისრაელის ქალაქ ჰაუფაში, ხოლო ყველაზე გრძელი ხაზია - 1300 კმ ნიუ-იორკში.

**ბოლოსიტყვაობა**

თანდათან მეტროს მატარებლები და სადგურები უფრო ლამაზი ხდება და ბევრად უფრო კომფორტულია ხალხისთვის მეტროთი მგზავრობა. თბილისშიც არსებობს მეტრო. პირველად მეტრო 1966 წელს გაიხსნა თბილისში და დღესაც წარმატებით მუშაობს. როგორც სხვა მეტროსადგურები თბილისის მეტროც უფრო გალამაზდა და განახლდა.

## გემი

**შესავალი**

როდესმე ზღვაში გაგიცურავს? ზღვაში ცურვა მარტოსაც შეგიძლია და წყლის ტრანსპორტითაც. გემიც ერთ-ერთი ასეთი სატრანსპორტო საშუალებაა.

გემი ძალიან დიდია, ბევრ ადამიანს იტევს. გემით ცურვა მარტო ზღვაში კი არა, ოკეანეშიც შესაძლებელია. გემით მოგზაურობა ძალიან საინტერესოა, მაგრამ ყველას არ უყვარს, იმიტომ რომ დიდ ხანს უწევთ მოგზაურობის დროს წყალზე ყოფნა და ზოგს ამის ატანა არ შეუძლია.

გემი საკმაოდ ძვირადღირებული ტრანსპორტია. ის იმდენად დიდია, რომ მისი საშუალებით დიდი და მძიმე ტვირთის გადატანაც კი შესაძლებელია. გემი კონტინენტიდან კონტინენტზე მოხვედრის ყველაზე კარგი საშუალებაა.

**პირველი გემები**

პირველი გემი ძალიან ადრე, უხსოვარ დროში გააკეთეს. იმ ადამიანის სახელი ვინც პირველი გემი გამოიგონა ცნობილი არაა. მაგრამ ის კი ცნობილია, რომ პირველი გემი მომთაბარე ხალხს დასჭირდა და მათ გააკეთეს გარეული ცხოველის ტყავისაგან.

ასეთი ტიპის გემები უფრო მეტად ცენტრალურ ევროპაში იყო გავრცელებული, რადგან იქ ხეები არ არსებობდა. სამაგიეროდ, აფრიკისა და ინდოეთის კონტინენტებზე გავრცელებული იყო ერთი ხისაგან გამოთლილი ნავები. ასეთ ნავს კანოე ჰქვია, პირველი კანოე ეგვიპტელებმა გააკეთეს. ხოლო პირველი დიდი და გამართული გემი ფინიკიელებმა ააშენეს,რომლითაც მათ იმოგზაურეს ინგლისსა და საფრანგეთში. ფინიკიელების შემდეგ უკვე ბერძნებმა დაიწყეს საზღვაო მოგზაურობები და მათი გემები უფრო დიდი და გამძლე გახდა.

**თანამედროვე გემები**

ფინიკიელებისა და ბერძნების მიერ აგებული გემების შემდეგ გემების განვითარება დღემდე გრძელდება. დიდხანს ისინი ხის იყო და ადამიანის ძალის დახმარებით გადაადგილდებოდა. შემდეგ კი, როდესაც ინგლისში პირველი ორთქლის მანქანა გამოიგონეს, გადაწყვიტეს, რომ ამ ორთქლის ძალაზე გემის მოტორიც გაეკეთებინათ. მართლაც, ორთქლის მოტორმა გაამართლა და კარგად მუშაობდა. თუმცა მალევე შეიცვალა ორთქლის მოტორი ბენზინის მოტორით, ხოლო გემი კი რკინის მასალით იგებოდა ხის მასალის ნაცვლად.

ახლა გემები უფრო გამძლე იყო და დიდხანსაც რომ დარჩენილიყვნენ მეზღვაურები ზღვაში გემს არაფერი დაემართებოდა.

დღეს კი ძალიან ლამაზი, კომფორტული და კომპიუტერული სისტემებით აღჭურვილი გემები არსებობს. მათი მართვა ძირითადად კომპიუტერის (ნავიგაციის) საშუალებით ხდება. ნავიგაციის გამოგონება თანამედროვე სამყაროში ძალიან ეხმარება გემის კაპიტანს. გემისთვის ნავიგაციის შექმნაში კი წვლილი ჩინელებმა შეიტანეს, რაც ძალიან დიდ აღმოჩენად ითვლება თანამედროვე ტრანსპორტის გადაადგილებისათვის როგორც ზღვაში, ასევე ხმელეთზე.

**ბოლოსიტყვაობა**

გემი ძალიან ლამაზი და დიდია. მათი ნახვა ზღვის გარდა ნავსადგურებშიც შეგიძლიათ. აქ ისინი როცა შორეული მოგზაურობიდან ბრუნდებიან, ისვენებენ და მომავალი მგზავრობისთვის ძალებს იკრებენ. ნავსადგურებში გემები სპეციალური კაუჭებით, ღუზებით არიან დაბმული. მე ერთხელ უკვე ვიყავი ბათუმის ნავსადგურში და გემები დავათვალიერე. ეს შეიძლება თქვენთვისაც საინტერესო იყოს.

*ნოდარ დუმბაძე*

## უცხოეთის ცის ქვეშ

ჩემი ცოდნა ევროპის ქვეყნებისა და ქალაქების შესახებ ადრე მხოლოდ სასკოლო გეოგრაფიის სახელმძღვანელოთი იფარგლებოდა, ახლა კი, როდესაც ხელთა მაქვს ერთ-ერთი ქართველი ტურისტის უცხოური შთაბეჭდილებების ჩანაწერები მისი ევროპაში მოგზაურობის შესახებ, ჩემი ცოდნის ჰორიზონტი საგრძნობლად გაფართოვდა და, ასე ვთქვათ, გინდაც მე თვითონ ვყოფილვარ ევროპაში.

ნახეთ, რა წიგნია და როგორ იკითხება:

5/V. 57 წ. დღეს ჩვენი ტურისტული დელეგაცია ევროპაში მიემგზავრება. რამდენიმე ძლიერი ხელის ჩამორთმევა, ახლობლებთან გადახვევა და სკანდინავიის ავიაკომპანიის ოთხმოტორიანმა თვითმფრინავმა SAS № 198-მა ჰაერში აგვიტაცა. უკანასკნელად შევავლე თვალი სამშობლოს თვალუწვდენელ ბარაქიან ველებს.

– რამსიმაღლეზე ვართ! – იხუმრა დათიკომ. მე „გაფრინდი, შავო მერცხალო“ წამოვიწყე და ფიქრებით ალაზნის ველზე გავიჭერ. შემოვიდა სტიუარდესა, მოგვაწოდა შოკოლადი და მანეკენივით გაგვიღიმა. რამდენი სიცარიელეა ამ ღიმილში.

მაგონდება თბილისი. მახსოვს, დასიცხული რომ შევედი ლაღიძის წყლებში, რა ჯანსაღად გამიღიმა წყლის გამყიდველმა ქალმა... ეჰ, როგორ მენატრება თბილისი...

6/V. 57 წ. პარიზი (პარიზი საფრანგეთის დედაქალაქია). ეიფელის კოშკი. მაგონდება ფუნიკულიორი თავისი სატელევიზიო კოშკით, მახსოვს, იმ კოშკს რომ აკეთებდნენ, სულ მიკვირდა, ანტენა ვინ უნდა დადგას-მეთქი. კარგია ახლა იქ ყოფნა: ქვევით მტკვარი, ზევით – თბილისი, უფრო ზევით – კოჯორი, უფრო ზევით – მანგლისი და ასე შემდეგ.

პარიზში ფუნიკულიორი არ არის.

10/V. 57 წ. ჩვენი თვითმფრინავი თავზე რომს დასტრიალებს.

– რომი კარგი დასალევია, - არ იშლის ხუმრობას დათიკო. ყველანი ვიცინით. შუადღეზე გიდი (გიდი ჩვენებურ „ექსკურსავოდს“ ნიშნავს) გვიყვება ერთ-ერთი ისტორიული ძეგლის ისტორიას. უცებ მომიბრუნდა და მოულოდნელად მკითხა: - გეორგიანო?

– არა, მე ამბროსი ვარ, გიორგი ისაა, - ვუპასუხე გაოცებულმა.

იტალიელებს მაკარონი უყვართ.

13/V. 57 წ. ვენეციაში ვართ.

ჩვენს სოფელში ერთ ქალს ვენეცია ჰქვია. ჯერ კიდევ არიან ასეთი დაუდევარი მშობლები, რომლებიც ბავშვს ასეთ უცნაურ სახელებს არქმევენ.

15/V. 57 წ. მილანში ვიმყოფებით.

– ხომ არ ვნახოთ ლასკალა? – მეხუმრება დათიკო.

ეს კაცი რომ არ მახლდეს, ალბათ, დარდისგან მოვკვდებოდი.

18/V. 57 წ. ბერლინი.

20/V. 57 წ. ჟენევა.

21/V. 57 წ. სტოკჰოლმი.

22/V. 57 წ. ისევ თვითმფრინავში ვართ.

– ყურები ხომ არ დაგეგუბა? – მეკითხება დათიკო.

– კი!

– ნერწყვი გადაყლაპე და გაგივლის.

– ვუახლოვდებით პრაღას, – აცხადებს პილოტი.

– პრაღა იმას ჰქვია, „მალადოი სტალინეცში“ რომ დეტექტურ მოთხრობებს წერს? – ვეკითხები დათიკოს.

– ჩავალთ და ვნახავთ!

23/V. 57 წ. ისევ ჰაერში ვართ. რა არის ტექნიკა! ვინ იფიქრებდა 2000 წლის წინ, რომ ადამიანი იფრენდა. ახლა კი არავის არაფერი გვიკვირს. გზადაგზა თვალს ვატყუებ, ვკითხულობ ილია ჭავჭავაძის ლექსებს, რა კარგი პოეტი ყოფილა, კაცო?!

24/V. 57 წ. დღევანდელი დღე ყველაზე ბედნიერი დღეა ჩემს ცხოვრებაში. საგზურს ვადა გაუვიდა, სამშობლოში ვბრუნდებით.

ვჯდებით მშობლიურ „ტუ-104ში“. თვითმფრინავმა გეზი დედათბილისისკენ აიღო და ამაყად შეიჭრა სტრატოსფეროში.

ვეშვებით. მომცვივდნენ ნათესავები, მეგობრები, მოყვრები. რამდენიმე მძლავრი ხელის ჩამორთმევა, ხვევნა, კოცნა, უამრავი შეკითხვა.

– რა ჩამოიტანე?

– მაცალეთ სახლში მოსვლა!

– ივ მონტანი ნახე?

– არა!

– აბა, რა ნახე, შე უბედურო!

არავის ყურადღებას არ ვაქცევ, ჩემი ფიქრი და მზერა თბილისს ელოლიავება. თბილისი, ჩემი ვახტანგ გორგასლის აშენებული თბილისი, რა ლამაზია, თავი პარიზში მგონია. ახლა იგი 1500 წლის გახდა.

„გამარჯობა, ჩემო თბილის-ქალაქო! შენ ჩემო ლამაზო დედაქალაქო!“ – ძალაუნებურად აღმომხდა იეთიმ გურჯის სიტყვები.

მე მგონი, ადამიანი დამთხვეული უნდა იყოს, ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ ფული რომ გადაყაროს საგზურში, განცხადებების წერით შუათითი დაისიოს და მოიწყვიტოს ევროპის აეროდრომებზე ჰოტელების ბეჭდებით აჭრელებული ჩემოდნების თრევით. წაიკითხე წიგნი და მორჩა, მთელი ევროპა ხელისგულივით გაქვს.

არა თუ?

# თემა 10

## წერილის შედგენა

*გაკვეთილი 13*

**1. წაიკითხეთ ტექსტი:**

ალის დედა *ავადაა*, მამა კი *მივლინებაშია*. დედასთან ექიმი უნდა მოვიდეს. დედას ორი *გადაუდებელი საქმე* აქვს – ქალაქის სადგურში და *იურიდიულ კონსულტაციაში*.

უცხოეთიდან ნათესავი ჩამოდის და მას სადგურში უნდა დახვდნენ. გუშინ *დეპეშა* მიიღეს:

> **მატარებელი ცხრა საათზე იქნება სადგურში. დიდი ხანია, თქვენთან არ ვყოფილვარ. მენატრებით. იმედია, მალე გნახავთ.**
>
> **ანასტასია**

ალიმ *გადაწყვიტა*: ჯერ *იურისკონსულტთან*, მერე კი – სადგურში; მაგრამ ალიმ არ იცის, სად არის იურიდიული კონსულტაცია. დედამ ალის *წერილი* და გეგმა მისცა.

> **ბატონო დავით!**
>
> **უკაცრავად, მე ავად ვარ და თქვენთან მოსვლა არ შემიძლია.**
>
> **სურათი გამოატანეთ ალის. წინასწარ გიხდით მადლობას.**
>
> **თამარი**
>
> **15. 02. 2002**

**2. რა არის წერილი? წაიკითხეთ ყურადღებით:**

*წერილი ორგვარი არსებობს: პირადი* და *ოფიციალური.* პირადი წერილი *იწყება* იმ *პიროვნების* (და მისი ოჯახის) *მოკითხვით*, ვისაც ვწერთ. ძირითად *ნაწილში* მთავარი *სათქმელი* ანუ *თემაა*, ბოლოს კი ისევ მოკითხვით ან დამშვიდობების *ფრაზებით სრულდება. რა თქმა უნდა*, ეს *სავალდებულო სქემა* არ არის: პირადი წერილი მაინც ისე *იგება*, როგორც ეს მის *დამწერს სურს.* ოფიციალური წერილები კი ძირითადად *ორგანიზაციებში* იგზავნება, ამიტომ არსებობს *გარკვეული ფორმა – შაბლონი*, რომელიც მეტ-ნაკლებად ყველამ უნდა *დაიცვას.*

**3. უპასუხეთ კითხვებს:**

რამდენგვარი წერილი არსებობს?

რით უნდა დავიწყოთ პირადი წერილი?

რას ვწერთ ძირითად ნაწილში? რას ვუწოდებთ სხვაგვარად მთავარ სათქმელს?

რა უნდა დავიცვათ ოფიციალური წერილების წერის დროს?

**4. წაიკითხეთ ტექსტი:**

არტური ახალქალაქში ცხოვრობს, მაგრამ ახლა თბილისშია. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობს სამართალმცოდნეობის ანუ იურიდიულ სპეციალობაზე. მისი ნათესავები ამერიკაში ცხოვრობენ და ზაფხულში ახალქალაქში *ისვენებდნენ.*

ახლა არტური წერილს *სწერს* ჯორჯს:

გამარჯობა, ჯორჯ!

როგორ ხარ? შენი ოჯახი როგორაა?

ამ წერილს ახლა თბილისში ვწერ. ექვსი თვეა უკვე აქ ვარ, უნივერსიტეტში ვსწავლობ. ახალქალაქში დიდი ხანია, არ ვყოფილვარ. თბილისი ძალიან მომწონს, ლამაზი ქალაქია. ძველი თბილისი კი ულამაზესია. ალბათ ბევრი რამ გაინტერესებს ამ ქალაქის შესახებ.

თბილისი საქართველოს დედაქალაქია. ის უდიდესი ქალაქია საქართველოში. აქ მილიონ-ნახევარი ადამიანი ცხოვრობს. თბილისში მრავალი ისტორიული ადგილია. ქალაქში ბევრი პარკი და სკვერია, სადაც თბილისელები ისვენებენ.

თბილისის შესახებ ულამაზესი ლეგენდა არსებობს. ამ ქალაქის მშენებლობა ვახტანგ გორგასალმა დაიწყო მეხუთე საუკუნეში. ლეგენდა კი ასეთია: ვახტანგ გორგასალი ერთხელ მსახურებთან ერთად სანადიროდ წავიდა. ხოხობს ისარი ესროლეს. დაჭრილი ხოხობი დაიკარგა. ცოტა ხნის შემდეგ კი ცხელ წყაროში ჩაგდებული იპოვნეს. ვახტანგ გორგასალს ძალიან მოეწონა ეს ადგილი და აქ ქალაქის აშენება ბრძანა. სახელად თბილისი დაარქვეს, რაც ნიშნავს თბილი წყლის ადგილს. თბილისში ახლაცაა გოგირდის წყლის აბანოები,

რომელიც მსოფლიოშია განთქმული.

თბილისში ბევრი ძველი უბანია. აქაა ორსართულიანი ლამაზი ხის სახლები საერთო ეზოებით, ვიწრო ქუჩები, ეკლესიები.

თბილისში ახალი უბნებიცაა. აქ ძირითადად ერთნაირი მრავალსართულიანი სახლებია და თბილისის მოსახლეობის დიდი ნაწილი ცხოვრობს.

ახლა თბილისში ბევრი ახალი მაღაზია, კაფე, ბარი და რესტორანია. თბილისი უფრო და უფრო ლამაზდება.

კარგად იყავი, შენც მომწერე. მომიკითხე შენი ოჯახი.

ბაგრატი

თბილისი, 2011 წლის 4 აპრილი

**5. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით მისწერეთ პირადი წერილი მეგობარს:**

**6. გაეცანით ოფიციალურ წერილს:**

დავით გამრეკელს
მარნეულის რაიონის გამგებლობა
25 ნოემბერი, 2011 წ.

**სამშენებლო მასალების შეკვეთის შესახებ**

ბატონო დავით!

ვადასტურებთ, რომ თქვენი შეკვეთა (15/09, 10,11,08) სამშენებლო მასალებზე მიღებულია. თქვენთვის საინტერესო სამშენებლო მასალები მოგეწოდებათ 48 საათის განმავლობაში თანხის ნაწილობრივი გადახდის შემდეგ. სერვისში შედის ტვირთის ადგილზე მიტანა.

ვიმედოვნებთ, კმაყოფილი დარჩებით ჩვენი პროდუქციით, ისევე როგორც ჩვენი სხვა მომხმარებელი და მომავალშიც ითანამშრომლებთ ჩვენთან.

პატივისცემით

პაატა ხარბედია

**7. საქმიანი წერილი იქმნება საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტის მიხედვით, ამდენად, ნებისმიერი ტიპის წერილს, მიუხედავად მოცულობისა, აქვს მკაცრად გაწერილი სტრუქტურა. საქმიანი წერილი ყოველთვის უნდა შეიცავდეს შესავალს, ძირითად და დასკვნით ნაწილებს.**

**შესავალი ნაწილი**

**ადრესატის (ვისაც ვუგზავნით წერილს) მონაცემები:**

წერილის დასაწყისში მოცემულია ადრესატის სახელი და გვარი, აგრეთვე მისი კომპანიის ან ორგანიზაციის სახელწოდება, მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული

ფოსტა ან ვებგვერდის მისამართი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). რამდენჯერმე გადაამოწმეთ, თუ რამდენად სწორად დაწერეთ მიმღების სახელი და გვარი. გახსოვდეთ, რომ ადრესატის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

**მაგალითი:**

*გიორგი დანელიას*
*შპს „სტილი“*
ჭავჭავაძის გამზ. 15, 0128
ტელ./ფაქსი + 995 22 23 09
www.stilli.ge
danelia-giorgi@yahoo.com

**თარიღი**

ადრესატის მონაცემების მითითების შემდეგ უნდა დაისვას თარიღი. ეს საქმიანი წერილის გაფორმების მეორე ეტაპია. გახსოვდეთ, ყოველთვის დაათარიღეთ თქვენი წერილი. სასურველია თვე დაიწეროს სიტყვიერად.

**მაგალითი:**

6 იანვარი, 2008წ.

**მოკლე ინფორმაცია:**

ნებისმიერი საქმიანი წერილის გაფორმებისას ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტია წერილის მოკლე შინაარსის წარმოდგენა, რომელშიც აისახება თქვენი წერილის მიზანი. ამ ბლოკს ერთგვარად სათაურის ფუნქცია აქვს, – ინფორმაციას აწვდის ადრესატს, ამიტომ იგი გადმოცემული უნდა იყოს მხოლოდ ერთი წინადადებით, განსხვავებული შრიფტით და უნდა მოთავსდეს მარცხენა კუთხეში.

**მაგალითი:**

*ქსეროაპარატების შესყიდვის შესახებ*

**ძირითადი ნაწილი:**

საქმიანი წერილის ძირითადი ნაწილი იწყება პერსონალური მიმართვით. მიმართვის ფორმა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ურთიერთობა გაქვთ ადრესატთან. ოფიციალური მიმართვისას უნდა დაიწეროს: ბატონო გიორგი ან ქალბატონო დალი. გარკვეულ შემთხვევაში შესაძლოა გამოიყენოთ სიტყვა პატივცემულოც. მაგ.: პატივცემულო ბატონო გიორგი ან პატივცემულო ქალბატონო დალი. თუ თქვენს წერილს აქვს არაფორმალური ხასიათი, ადრესატს შეიძლება შემდეგნაირადაც მიმართოთ: ძვირფასო დავით. საქმიანი

წერილის ეტიკეტის თანახმად, სასურველია ყოველთვის მიუთითოთ კონკრეტული ადრესატის სახელი.

**მაგალითი:**

*ბატონო გიორგი,..*

ამის შემდეგ უნდა ჩამოაყალიბოთ ძირითადი ტექსტი. სასურველია, სათქმელი დაიწყოთ ადრესატთან დამყარებულ კონტაქტზე ან მომავალ თანამშრომლობაზე საუბრით:

**მაგალითი:**

*მადლობას მოგახსენებთ თქვენი წერილისათვის...*

*თქვენი წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ...*

*გუშინდელ შეხვედრასთან დაკავშირებით წერილობით მოგმართავთ...*

*გაწვდით ინფორმაციას მომავალი ხელშეკრულების შესახებ...*

ძირითადი ტექსტის ბოლოს შესაძლოა კიდევ უფრო დააკონკრეტოთ თქვენი მოთხოვნა, რათა გამოკვეთოთ სათქმელი და ადრესატისათვის უფრო ადვილად აღსაქმელი გახადოთ იგი.

**მაგალითი:**

*გთხოვთ გაითვალისწინოთ...*

*გთხოვთ მომელაპარაკოთ...*

*გთხოვთ მიიღოთ სათანადო ზომები...*

იმისათვის, რომ საქმიან წერილს ოფიციალური დოკუმენტის ძალა ჰქონდეს, მას ბოლოში უნდა დაუსვათ გამომგზავნის ხელმოწერა. მარცხენა მხარეს თავსდება გამომგზავნის მონაცემები, კერძოდ, თანამდებობა, მარჯვენა მხარეს – ხელმოწერა.

**მაგალითი:**

*არასამთავრობო ორგანიზაცია*

*„არჩევანის“ საზოგადოებასთან*

*ურთიერთობის კოორდინატორი /თ. გარდავაძე/*

**8. გამოიყენეთ ეს შაბლონი და შეადგინეთ ოფიციალური წერილები (წერილს წერს ყველა სტუდენტი):**

**9. წაიკითხეთ წერილი:**

ჩემო გოგონა,

ახლა დამეა. შობა დამე. ჩემს პატარა ციხესიმაგრეში ყველა უაბჯრო მეციხოვნემ ძილს მისცა თავი. სძინავს შენს და-ძმას. დედაშენსაც კი ჩაეძინა.

შენ ისე შორს ხარ ჩემგან  მაგრამ დაე, თვალისჩინი წამერთვას, თუ ახლაც, ამ წუთს, შენს სურათს არ ვუმზერდე. ის აქ არის, მაგიდაზე, ჩემს გულთან ახლოს. შენ კი სადა ხარ? შორს, ზღაპრულ პარიზში. ელისეს მინდვრების თეატრში. დიდებულ სცენაზე ცეკვავ.

ხომ კარგად ვიცი ეს, მაგრამ მაინც, წყნარი ღამის მდუმარებაში თითქოს ცხადად ჩამესმის შენი ნაბიჯების ხმა. ვხედავ შენს თვალებს, ზამთრის ცაზე გაბნეული ვარსკვლავებივით რომ კიაფობენ. ვიცი, ამ ლამაზ სპექტაკლში ხანისგან დატყვევებული სპარსელი მზეთუნახავის როლს ასრულებ. იყავი მზეთუნახავი და იცეკვე. იყავი ვარსკვლავი და იკაშკაშე.

მაგრამ თუკი მაყურებლის მადლობამ და აღტაცებამ დაგათროს, თუ მორთმეული ყვავილების სურნელებამ თავბრუ დაგასხას, განმარტოვდი სადმე კუთხეში და ჩემი წერილი წაიკითხე, ყური მიუგდე მამაშენის ხმას. მე მამაშენი ვარ ჯერალდინა! მე ჩარლი ჩაპლინი ვარ, ჩარლი ჩაპლინი!

იცი კი, რამდენჯერ დამთენებია შენს სასთუმალთან? სულ პაწია ზღაპრებს გიყვებიდი! ხან მძინარე მზეთუნახავისას, ხან ბოროტი გველეშაპისას. ხოლო როცა ჩემს ბებერ თვალებს ძილი წამოეპარებოდა, დავცინოდი მას და ასე ვეუბნებოდი: „გამშორდი“! მე ჩემი გოგოს ოცნებები მეზმანებიან! მე ვხედავდი შენს ოცნებებს, ჯერალდინა. ვხედავდი შენს მომავალს, შენს დღევანდელ დღეს! ვხედავდი სცენაზე მოცეკვავე ასულს, ცაზე მოფარფატე ფერიას. მესმოდა, როგორ ლაპარაკობდნენ ხალხში: „ხედავთ ამ გოგონას? ერთი ბებერი კლოუნის ქალიშვილია, არ გახსოვთ ჩარლის რომ ეძახდნენ?“ ჰო, მე ჩარლი ვარ! ბებერი მასხარა.

დღეს შენი ჯერია. იცეკვე! მე ფართხუნა, დაკონკილი შარვლით ვცეკვავდი, შენ პრინცესას აბრეშუმის სამოსი გმოსავს. ეგ ცეკვა და ტაშის გრიალი დროდადრო ცაში აგტყორცნის.

გაფრინდი, გაფრინდი იქით  მაგრამ ხანდახან მიწაზეც დაეშვი! შენ უნდა ნახო ხალხის ცხოვრება – ცხოვრება იმ ქუჩის მოცეკვავეებისა, შიმშილისგან დაოსებულნი, სიცივითა და სიღატაკით ათრთოლებულნი რომ როკავენ!

მათი ხვედრი მეც მიწვნევია, ჯერალდინა. იმ ჯადოსნურ ღამეებში, შენ რომ ჩემს ზღაპრებთან იძინებდი, მე არ მეძინა. დავყურებდი შენს საყვარელ სახეს, ვუსმენდი შენი გულისფეთქვას და ჩემს თავს ვეკითხებოდი: „ჩარლი, ნუთუ ეს ღლაპი შენ ოდესმე გაგიცნობს?“ შენ არ მიცნობ მე ჯერალდინა  იმ შორეულ ღამეებში უამრავ ზღაპარს გიყვებოდი, მაგრამ ჩემი ზღაპარი არასოდეს მიამბია  ისიც ძალიან საინტერესო ზღაპარია, ჯერალდინა. ზღაპარი მშიერი მასხარისა, ლონდონის ღატაკთა კვარტლებში რომ მღეროდა და ცეკვავდა, მერე კი  მოწყალებას აგროვებდა! აი, ჩემი ზღაპარი!

მე ვიცი, რა არის შიმშილი, ვიცი, რას ნიშნავს უსახლკარობა! ეგ კიდევ რაა, მე გამოვცადე დამამცირებელი ტკივილი მოხეტიალე მასხარისა, რომლის მკერდში მობობოქრე სიამაყის ოკეანე სამოწყალოდ გადაგდებულ მონეტებს უნდა დაეშრო. მაგრამ მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, ცოცხალი ვარ, ცოცხლებზე კი მუდამ ცოტას ლაპარაკობენ.

შენ ჩემი გვარისა ხარ – ჩაპლინი! ლამის ნახევარი საუკუნე ეს გვარი მთელს დედამიწას

აცინებდა. მაგრამ ის სიცილი რაა იმასთან, რაც მე მიტირია, ჯერალდინა. სამყარო სადაც შენ ცხოვრობ, მარტო ცეკვის და მუსიკის საუფლო როდია!

ჯერალდინა! შუადამისას იმ დიდებული დარბაზიდან რომ გამოხვალ, დაივიწყე შენი მდიდარი თაყვანისმცემლები, მაგრამ არ დაგავიწყდეს ტაქსის მძღოლს ცოლის ამბავი გამოჰკითხო. შეიძლება ცოლი ფეხმძიმედ ჰყავს და იმის ფულიც არა აქვთ რომ თავიანთი პირმშოსთვის სახვევები იყიდონ. თუ ასეა, ადექი და ჩაუდე ფული ჯიბეში.

მე ბანკში ნათქვამი მაქვს, რომ ეს ხარჯები გაგისტუმრონ. სხვას კი მუდამ ყველას ზუსტად გადაუხადე!

დროდადრო მეტროში ჩადი. ქალაქი დაათვალიერე, იარე ფეხით ან ავტობუსით. ხალხს დააკვირდი! ქვრივ-ობლებს შეხედე! და თუნდაც დღეში ერთხელ მაინც შენს თავს უთხარი: „მეც ერთ-ერთი ამათგანი ვარ!“ დიახ, შენ ერთ-ერთი იმათაგანი ხარ, ჩემო გოგონა.

ხელოვნება, სანამ ცაში ასაფრენად ფრთებს უბოძებდეს ადამიანს, ჯერ ფეხებში ურტყამს  როცა დადგება წამი და იგრძნობ, როგორ მაღლდები მაყურებელზე, მაშინვე გადი სცენიდან. პირველივე ტაქსი დაიჭირე და პარიზის გარეუბნებს მიაშურე. მე კარგად ვიცნობ ამ უბნებს. იქ იხილავ მოცეკვავე ქალიშვილებს – შენსავე მსგავსთ, შენზე უფრო გრაციოზულებს, შენზე ამაყებს. შენი თეატრის პროჟექტორების თვალისმომჭრელ ელვარებას იქ ვერსად ნახავ! მათი სცენის პროჟექტორი მთვარეა.დააკვირდი, აბა, კარგად დააკვირდი: შენზე უკეთ ხომ არ ცეკვავენ? გამოტყდი, ჩემო გოგონა. ცოტას როდი შეხვდები ისეთს, ვინც შენზე უკეთ ცეკვავს, ვინც შენზე კარგად თამაშობს. და ეს გახსოვდეს: ჩარლის ოჯახში არასოდეს ყოფილა ვინმე ისეთი ხეპრე, რომ მეეტლისთვის უკმეხი სიტყვა ეთქვას ან სენის სანაპიროზე მჯდარი მათხოვრისთვის დაეცინოს

ჩარლი წავა, ჯერალდინა, და შენ იცოცხლებ  მე არ მინდა, ოდესმე სიღატაკე გამოსცადო. ამ წერილთან ერთად გიგზავნი ჩეკის წიგნაკს – ხარჯე, რამდენსაც მოისურვებ, ოღონდ გახსოვდეს: ორ ფრანკს რომ დახარჯავ, შენს თავს უთხარი, მესამე მონეტა ჩემი არ არის-თქო. იგი ეკუთვნის ვინმე სხვას, უცნობს, ვისაც ის ერთი ფრანკიც სანატრელი აქვს. მისი პოვნა არ გაგიჭირდება. საკმარისია მოინდომო და ამ უცნობ ღატაკებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ნახავ. ფულზე იმიტომ გელაპარაკები, რომ კარგად ვიცი ამ დემონის მაცდური ძალა

ჯერალდინა, მე დიდხანს გამოვდიოდი ცირკში და მუდამ შიშით შევცქეროდი ბაგირზე ასულ ჯამბაზებს, მაგრამ აი, რა მინდა გითხრა, ჩემო გოგონა:  ადამიანს ძირს, მყარ მიწაზე უფრო ადვილად შეიძლება ფეხი დაუცდეს, ვიდრე ჯამბაზს იმ ვერაგ თოკზე.

შეიძლება ამ საღამოს თვალი მოგტაცოს რომელიმე ბრილიანტის ელვარებამ და მაშინ შენი დაცემა გარდაუვალია. შეიძლება დადგეს დღე და უცხო პრინცის მშვენიერმა სახემ დაგატყვევოს. იმ წუთიდან შენ უცადი მუშაითი ხარ, გამოუცდელებს კი ბაგირი მუდამ ღალატობს, ნუ გაყიდი შენს გულს ოქროსა და სამკაულისთვის. იცოდე, ყველაზე დიდი ბრილიანტი მზეა, ის კი, ჩვენდა საბედნიეროდ, ყველას ერთნაირად დაგვნათის.

ხოლო, როცა ჟამი დაჰკრავს და სიყვარული გეწვევა, გულით შეიყვარე შენი რჩეული

სამუშაო ძნელი გაქვს, ვიცი  სხეულს სიფრიფანა აბრეშუმის ნაჭერი გიფარავს.

ხელოვნების სახელით სცენაზე შეიძლება შიშველიც გამოხვიდე, მაგრამ იქიდან კიდევ უფრო უმწიკვლო და შემოსილი უნდა დაბრუნდე

მე ბებერი ვარ და ჩემი სიტყვები შეიძლება სასაცილოდ ჟღერს, მაგრამ მაინც, ასე მგონია, შენი შიშველი სხეული იმას უნდა ეკუთვნოდეს, ვინც შენს გაშიშვლებულ

რა ვუყოთ მერე, თუ ჩემი შეხედულება ამ საკითხზე მოძველებული გამოჩნდება, თუ ასე ჯერ კიდევ ათი წლის წინათ ფიქრობდნენ. ნუ გეშინია, ეგ ათი წელი ვერ დაგაბერებს ჯერალდინა, მე მინდა რომ შენ ამ შიშველთა კუნძულის უკანასკნელი ქვეშევრდომი იყო

მე ვიცი, მამებს და შვილებს ნიადაგ ბრძოლა აქვთ ერთმანეთში. მეომე ჩემო გოგონა, ჩემს აზრებს ეომე. მე არ მიყვარს მორჩილი შვილები. და ვიდრე ამ ბარათს ჩემი ცრემლი არ დასდენია, მინდა მჯეროდეს, რომ ეს შობადამე სასწაულების ღამეა. მინდა მოხდეს სასწაული და შენ მართლა გაიგო ყველაფერი, – ყველაფერი, რაც შენთვის მინდოდა მეთქვა.

ჩარლი დაბერდა, ჯერალდინა! ადრე თუ გვიან თეთრი სასცენო კაბის მაგიერ შავებში უნდა გამოეწყო და ჩემს საფლავზე მოხვიდე. ახლა არ მინდა გული გატკინო, მაგრამ ხანდახან სარკეში ჩაიხედე – იქ მე დამინახავ. შენს ძარღვებში ჩემი სისხლი ჩქეფს. მე მინდა, რომ მაშინაც კი, როცა ჩემს ძარღვებში სისხლი დინებას შეწყვეტს, არ დაივიწყო მამაშენი ჩარლი.

მე ანგელოზი არ ვყოფილვარ, მაგრამ მუდამ ვცდილობდი, ადამიანი ვყოფილიყავი. ეცადე შენც.

გკოცნი, ჯერალდინა

შენი ჩარლი

1965 წლის დეკემბერი

**10 გადმოეცით წერილობით, რას არიგებს ჩარლი ჩაპლინი თავის შვილს.**

**11. ივარჯიშეთ კითხვაში:**

**წერილები:**

გამარჯობა, ანა!

ამ წერილს გწერ პრაღიდან. უკვე მეორე დღეა პრაღაში ვართ. ჩამოვფრინდით გვიან ღამით და დავბინავდით სასტუმროში. დილით გავედით ქალაქში. პრაღა მართლაც ულამაზესი ქალაქია ევროპაში. მთელი დღე ქალაქში დავდიოდით. ულამაზესი სანახაობაა. ყველაფრის ნახვას ერთ დღეში ვერ მოასწრებ.

პრაღაში ჩვენ კიდევ ორი დღე ვრჩებით.

თქვენ როგორ ხართ? დეიდა ნატო როგორ არის? მადლობა გადაეცი დახმარებისათვის, მისი რჩევით ავიღე ეს ტურისტული საგზური და წამოვედი ევროპაში. ძალიან კმაყოფილი ვარ.

თბილისში ერთ კვირაში ჩამოვდივართ. ჩამოვალ და მოგიყვებით ჩემს შთაბეჭდილებებს. ვიცი, შენ თბილისში არ დამხვდები, ბათუმში  მიდიხარ. იმედი მაქვს, დიდხანს არ დარჩები ბათუმში და მალე შევხვდებით.

გკოცნი. მომიკითხე ყველა.

სიყვარულით,

შენი თამრიკო

გამარჯობათ, დეიდა ნატო, როგორ ბრძანდებით?

ახლა მე პრაღაში ვარ და საოცარი შთაბეჭდილებით ვარ სავსე.

გმადლობთ, დეიდა ნატო, პრაღაში წამოსვლა რომ მირჩიეთ. მართალი იყავით, საოცარი ქალაქია.

ჩვენ პრაღაში ორი დღე ვჩერდებით, ნანას ეშინია, რომ ვერ მოვასწრებთ ბევრი რამის დათვალიერებას. მთელი დღე გარეთ ვართ. სასტუმროში გვიან ღამით შევდივართ.

დღეს საღამოს მოიღრუბლა და წვიმას აპირებს. იმედი მაქვს, წვიმა არ გაგვიფუჭებს განწყობას.

ზეგ ბერლინში მივფრინავთ, ალბათ იქაც ასეთივე შთაბეჭდილებები გვექნება.

გკოცნით, მომიკითხეთ ყველა. ბერლინიდან ისევ შეგეხმიანებით.

სიყვარულით,

თამრიკო

ძვირფასო კოლეგებო,

შეგახსენებთ, რომ ხვალ ჩვენი სტუმრები ჩამოდიან უნგრეთიდან. აეროპორტში მე დავხვდები და სასტუმროში მივიყვან. 12 საათზე კი ჩვენს ოფისში მოვლენ. შეხვედრა ერთ საათს გაგრძელდება. პირველ საათზე რესტორანში ვისადილებთ. სადილის შემდეგ სტუმრები უნივერსიტეტში მიდიან. სტუდენტებსა და პროფესორებს ხვდებიან. უნივერსიტეტში 2 საათს დარჩებიან და მერე ქალაქის დათვალიერებას აპირებენ. როგორც შევთანხმდით, ქალაქის დათვალიერებისას მათთან ერთად ქალბატონი ლელა იქნება. საღამოს 9 საათზე დაგეგმილია ოფიციალური ვახშამი, რომელსაც დაესწრებიან სტუმრები და ჩვენი კომპანიის ხელმძღვანელები. ვახშამზე მიწვეულია რამდენიმე ეგვიპტელი კოლეგაც.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ხვალ ოფისში მთელი დღის განმავლობაში არ ვიქნები. ყველა კითხვაზე პასუხს ჩემი თანაშემწე გაგცემთ.

პატივისცემით

ლაშა დავლიანიძე

საგანმანათლებლო ცენტრ „ცოდნის“ დირექტორი

ქალაქ თბილისის მერიის  კეთილმოწყობის დეპარტამენტის
უფროსს, ბატონ დავით სვანიძეს.

ბატონო დავით,

მოგმართავთ თხოვნით ქალაქ თბილისის ქავთარაძის ქუჩის მაცხოვრებლები. ჩვენს ქუჩაზე მესამე და მეოთხე კორპუსს შორის არის დიდი ტერიტორია. ჩვენ გვსურს ამ ტერიტორიაზე გაშენდეს სკვერი დასასვენებელი სკამებითა და ბავშვთა სათამაშო მოედნით. გთხოვთ, გაითვალისწინოთ ჩვენი თხოვნა და ქალაქის მომავალი წლის ბიუჯეტში შეიტანოთ სკვერის გაშენებისთვის საჭირო თანხები.

პატივისცემით,

ქავთარაძის ქუჩის მაცხოვრებლები.

ლია და გიორგი, გამარჯობათ, რას შვებით, როგორ ხართ, როგორ ისვენებთ? ერთი სული მაქვს, როდის ჩამოვალ და მეც თქვენთან ერთად დავისვენებ თქვენს ლამაზ სოფელში. მაგრამ, სანამ ჩამოვალ, აქაური ამბები მინდა გიამბოთ. ყველაფერი ისეთი ლამაზი და საინტერესოა, რომ არ მომეწერა, არ შემეძლო...

თავიდან ვიფიქრე, ცალკე თოკოს მივწერ და ცალკე - პაკოს-მეთქი, მაგრამ, პრინციპში, ერთი და იმავე რაღაცის მოწერას ვაპირებდი და ამიტომ ერთად მოწერა გადავწყვიტე. მოკლედ, ძალიან კარგ დროს ვატარებ, ძალიან მომეწონა პარიზი, ორი დღეა პარიზის ღირსშესანიშნაობებს ვათვალიერებ. დღეს ლუვრში ვიყავი, ტრიუმფალური თაღი და ვერსალის სასახლეც ვნახე. პარიზის ღვთისმშობლის ტაძარშიც ვიყავით და ახლა ელისეის მინდვრებზე მივდივართ სავახშმოდ. ცოტა დრო მაქვს და გადავწყვიტე, სწრაფად მომეწერა.

დღეს დილით პირველად ლუვრში წავედით. 8 საათზე, უკვე ლუვრში ვიყავით. მსოფლიოში ცნობილი ლუვრის მუზეუმი პარიზშია. მუზეუმში დაახლოებით 35 ათასი ნახატი და ექსპოზიციაა, უძველესი დროიდან დაწყებული, თანამედროვე შედევრებით დამთავრებული.

ლუვრის სასახლეში, სადაც მუზეუმია განლაგებული, თავიდან ციხე-სიმაგრე იყო, ლუვრის სასახლე XII საუკუნეში ფილიპ II-ის დროს ააგეს. 1674 წელს ლუდოვიკო  XIV-მ ვერსალის სასახლე  აირჩია თავის რეზიდენციად. საფრანგეთის რევოლუციის დროს ლუვრი მუზეუმად გამოცხადდა და გამოიფინა საფრანგეთის ეროვნული შედევრები. მუზეუმი გაიხსნა 1793 წლის 10 აგვისტოს. სულ პირველად მხოლოდ 537 ტილო იყო გამოფენილი. ნაპოლეონის დროს კოლექცია მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ამ პერიოდში ლუვრს ნაპოლეონის მუზეუმი დაერქვა.

ლუვრში ამჟამად კოლექცია გაყოფილია რვა განყოფილებად: ძველი ეგვიპტე, ძველი ახლო აღმოსავლეთი, ძველი საბერძნეთი, ეტრუცია და რომი, ისლამური ხელოვნება, სკულპტურა, ფერწერა, ნახატები, გრავიურები. ყველა განყოფილება ძალიან საინტერესოა. ყველაფერი რომ კარგად დაათვალიერო, ძალიან დიდი დრო დაგჭირდება. ყველაფრის ნახვა ვერ მოვახერხე, მაგრამ რაც ვნახე, ძალიან ლამაზი და საინტერესო იყო.

ლუვრის შემდეგ პარიზის ღვთისმშობლის ტაძარის მოსანახულებლად წავედით. პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი ულამაზესია, ის პარიზის გულია. ეს ტაძარი ააშენეს პარიზის პირველი ქრისტიანული ტაძრის, წმიდა სტეფანეს ბაზილიკის ადგილას, რომელიც თავის დროზე აიგო იუპიტერის რომაული ტაძრის ადგილას. პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის სიმაღლე 35 მეტრია. ულამაზესი ფრესკები და კედლის მხატვრობაა ტაძარში, მართლა ულამაზესი, ასეთი არსად მინახავს! აღტაცებული დავრჩი. ტაძარში ტარდებოდა ხოლმე სხვადასხვა ცერემონია. აქ იწერდნენ ჯვარს საფრანგეთის მეფეები, აქ ტარდებოდა მეფედ კურთხევის ცერემონიაც, ეროვნული დაკრძალვები და ტრაგედიებიც ამ ტაძარში აღინიშნებოდა. კიდევ რაც გავიგე საინტერესო, საფრანგეთის პირველი პარლამენტი სწორედ პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში შეიკრიბა ჯერ კიდევ 1302 წელს.

პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის მერე ვერსალის სასახლე და ტრიუმფალური თაღიც მოვინახულე. მათ შესახებ და იქ მიღებულ შთაბეჭდილებებზე ხვალ აუცილებლად მოგწერთ, ახლა კი უნდა გავიქცე - დედა და მამა მელოდებიან. როგორც გითხარით, ელისეის მინდვრებზე მივდივართ სავახშმოდ... ელისეის მინდვრები - ეს არის მთავარი გამზირი პარიზში; ისევე, როგორც რუსთაველის გამზირი თბილისში, ელისეის მინდვრებიც პარიზის ერთ-ერთ მთავარი ღირშესანიშნაობაა და როგორც ფრანგები ამბობენ, მსოფლიოში ყველაზე ლამაზი გამზირია. ამ გამზირს სავაჭრო პროსპექტსაც ეძახიან, რადგან უამრავი მაღაზიაა, მათ შორის ცნობილი დიზაინერების მაღაზიები. ელისეის მინდვრების სახელწოდება ბერძნულ სიტყვიდან "ელიზიუმ" მოდის. ეს კუნძულის სახელია, სადაც, ბერძნული მითოლოგიის თანახმად, ცხოვრობდნენ გმირები. ამ კუნძულის გმირებმა უკვდავება დაიმსახურეს. მოკლედ, წავედი ახლა, სხვა ამბებს მერე მოგწერთ. წერილს თან ვურთავ რამდენიმე სურათს, რომელიც მე გადავიღე. იმედია, მოგეწონებათ. . .

ძალიან მომენატრეთ ორივე. ძალიან მალე გნახავთ!

თქვენი ბაგრატი

# ვაშინგტონი

ამერიკული რევოლუციის შემდეგ შეერთებულ შტატებში დაიწყეს ფიქრი იმაზე, თუ რომელი ქალაქი უნდა გამხდარიყო ქვეყნის დედაქალაქი. რამდენიმე ქალაქსა და ქვეყნის ნაწილს უნდოდა, გამხდარიყო დედაქალაქი. ამერიკის დედაქალაქი იმ პერიოდში ფილადელფია ყოფილა. ერთი წლის განმავლობაში ამერიკის დედაქალაქი ნიუ-იორკიც გამხდარა. მოკლედ, ფილადელფიასაც და ნიუ-იორკსაც დედაქალაქობა სურდათ. თუმცა გადაწყდა, რომ აშენებულიყო ახალი ქალაქი, 1790 წელს კონგრესმა გადაწყვიტა აშენებულიყო ახალი ქალაქი მდინარე პოტომაკის ნაპირზე, ამ ტერიტორიას ეწოდა კოლუმბიის ოლქი, ქრისტეფორე კოლუმბის საპატივცემულოდ, ხოლო თვითონ ქალაქს დაარქვეს ვაშინგტონი – ამერიკის შეერთებული შტატების პირველი პრეზიდენტის – ჯორჯ ვაშინგტონის პატივსაცემად. 1791 წელს სწორედ ჯორჯ ვაშინგტონმა შეარჩია ადგილი ქალაქისათვის. სწორედ ამ ადგილას აშენდა ქალაქი ვაშინგტონი. ამბობენ, ამ ადგილას მდინარე პოტომაკი ყველაზე ღრმაა და, შესაბამისად, მოხერხებულია ნაოსნობისთვის. ნაოსნობისთვის მოხერხებულობა გახდა სწორედ ამ ადგილის შერჩევის ერთ-ერთი საფუძველიც.

ადგილის შერჩევის შემდეგ პრეზიდენტმა ჯორჯ ვაშინგტონმა  მოიწვია ცნობილი ფრანგი ინჟინერი და არქიტექტორი, პიერ შარლ ლენფანი, რათა მას დაეგეგმა და აეშენებინა ახალი ქალაქი.

ქალაქის გეგმა პარიზის მსგავსი უნდა ყოფილიყო. იგი ითვალისწინებდა ფართო პროსპექტების გაკეთებას, გამწვანებას, სამთავრობო შენობების აშენებას, ცნობილი ადამიანების მონუმენტების დადგმას და ა. შ.

1800 წელს უკვე დასრულდა ამერიკის პრეზიდენტის სასახლის მშენებლობა. პრეზიდენტის სასახლეს თეთრი სახლი უწოდეს. ამ დროისთვის ააშენეს კაპიტოლიუმი. კაპიტოლიუმი ის შენობაა, სადაც ამერიკის კონგრესი, ანუ პარლამენტი მუშაობს. კაპიტოლიუმი ყველაზე მაღალი შენობაა ვაშინგტონში. კაპიტოლიუმზე მაღალი შენობის აშენება ამ ქალაქში იკრძალება.

სწორედ ამიტომაც არ ჰგავს ვაშინგტონი სხვა ამერიკულ ქალაქებს. სწორედ ამიტომ არ გვხვდება ვაშინგტონში ცათამბჯენები ჩიკაგოს, ნიუ-იორკის და სხვა დიდი ამერიკული ქალაქების მსგავსად. 1800 წელს პრეზიდენტი ჯონ ადამსი, მთავრობა და პარლამენტი ვაშინგტონში გადავიდნენ და იქ გააგრძელეს საქმიანობა.

# ილია ჭავჭავაძე

„დაბადებიდან 150 წლისთავზე ილია ჭავჭავაძე წმინდანად შერაცხეს და მას „წმინდა ილია მართალი ეწოდა.

**ილიას ბავშვობა და ახალგაზრდობა**

ილია ჭავჭავაძე დაიბადა 1837 წელს ყვარელში. ყვარელი კახეთის ნაწილია. ილიას ოჯახი ღარიბი იყო. ილია სულ ათი წლის იყო, როცა დედა გარდაეცვალა. თოთხმეტისას აღარც მამა ჰყავდა. ობლებს მშობლების ვალები დარჩათ, მათი მამული დაგირავებული აღმოჩნდა.

ილიას წერა-კითხვა სოფლის დიაკვანმა ასწავლა. თერთმეტი წლის ილია ნათესავებმა თბილისში ჩამოიყვანეს. თავიდან მან პანსიონში დაიწყო სწავლა, შემდეგ გიმნაზიაში გადავიდა. 20 წლის ილია პეტერბურგში, რუსეთის დედაქალაქში წავიდა სასწავლად.

**ენა, მამული, სარწმუნოება**

ილიას ეკუთვნის სიტყვები: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა მამა-პაპათაგან: ენა, მამული, სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?“ ილიამ მთელი ცხოვრება ენის, მამულისა და სარწმუნოების სამსახურში გაატარა.

ადამიანებისთვის მშობლიური ენა ძალიან ძვირფასია. ენა არის ადამიანის კულტურის, ყოფისა და მეობის ნაწილი. ამიტომ ანიჭებდა ილიაც ენას დიდ მნიშვნელობას.

ილია ხვდებოდა, რომ მამულის დაცვაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მას სურდა, რომ საქართველოში მამული (სამშობლო) სიყვარული და მნიშვნელობა ბავშვებსაც კი ესწავლათ. იმ დროს საქართველოში რუსები ბატონობდნენ. ილია ცდილობდა,დაჩაგრული ერი გამოეღვიძებინა. ილიას სურდა, საქართველო თავისუფალი ეხილა.

სარწმუნოებას ილია ჭავჭავაძე ძალიან ფაქიზად ეკიდებოდა. ილიას ფაქიზი დამოკიდებულება ჩვენთვისაც მისაბაძია: ჩვენ სარწმუნეობა ჩვენმა მამებმა და პაპებმა შეგვინახეს. ეს ჩვენი ტრადიციაა. ილიას ესმოდა, რომ სარწმუნოების დაცვა მამულის კეთილდღეობას ნიშნავდა.

**წერა-კითხვის გავრცელება**

ილიას დროს ხალხის უმეტესობამ წერა-კითხვა არ იცოდა. შვილების სკოლაში და უნივერსიტეტში გაგზავნა მხოლოდ მდიდარ ადამიანებს შეეძლოთ. იმ დროს სკოლაში და უნივერსიტეტში სწავლის ენა რუსული იყო.. ქართული სკოლები და უნივერსიტეტები არ არსებობდა. ილიამ და მისმა მეგობრებმა გადაწყვიტეს ხალხისთვის ქართული ენა ესწავლებინათ. მათ წერას წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება დაარსეს. ილია და საზოგადოების სხვა წევრები აარსებდნენ სკოლებს და ამ სკოლებში მოსახლეობას წერა-კითხვა ასწავლიდნენ. ხალხი ამ სკოლებში განათლებას იღებდა. ილია 6 წელი ამ

საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე იყო, 22 წელი კი თავმჯდომარე. ილიამ და მისმა მეგობრებმა ძალიან ბევრ ადამიანს ასწავლეს ქართული წერა-კითხვა. მათ  დიდი წვლილი შეიტანეს ქართველი ხალხის განათლებაში.

**ილიას ღირებულებები**

ილიას მთავარი ღირებულებები იყო თანასწორობა, ადამიანის უფლებები და ტოლერანტობა. ილია თავის წერილებში წერდა  ებრაელი ხალხის მუდმივად ჩაგვრასა და დევნაზე. ილიას აზრით, ებრაელებს მუდმივად სდევნიდნენ. ილია ფიქრობდა, რომ ებრაელი ხალხი ყველაზე მეტად იყო დაჩაგრული იგი ამბობდა: „ებრაელებს სდევნიდნენ ყველგან „აზიასა და ევროპაში, აფრიკასა და ამერიკაში“. ილია ხედავდა, რომ ავსტრიასა და გერმანიაში ებრაელებს საფრთხე ემუქრებოდათ. ილია ებრაელთა დევნას ეწინააღმდეგებოდა.

ილია ფიქრობდა, რომ ყველა ადამიანი თანასწორია. მას მიაჩნდა, რომ კანონი ყველასთვის ერთნაირია. იგი ამბობდა: „მოეთხოვება სამართლიანი მართებული ქცევა ყველგან და ყველას წინაშე, დიდი იქმნება თუ პატარა“ ილიას აზრით, კანონის წინაშე ყველა მოქალაქე თანასწორი უნდა იყოს, თორემ ძლიერი ყოველთვის დაჩაგრავს სუსტს.

**ილიას სიკვდილი**

1907 წლის 30 აგვისტოს ილია მოკლეს. ილიას სიკვდილი დიდი დარტყმა იყო საქართველოსთვის. „ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ, საქართველოსაც მოკლავდნენ!“ - ამბობდა ვაჟა-ფშაველა. „თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, შენც იმასთან ერთად უკვდავი ხარ!“ - წერდა აკაკი წერეთელი ილიას სიკვდილის შემდეგ.

## რიო დე ჟანეირო

**შესავალი**

რიოს შესახებ, ალბათ, გსმენია... რიო ხშირად ბრაზილიის დედაქალაქი ჰგონიათ. სინამდვილეში ბრაზილიის დედაქალაქი ბრაზილიაა. რიო კი ბრაზილიის ერთ-ერთი ქალაქია. ბრაზილიის ერთ-ერთ ქალაქი, მაგრამ არა რიგითი ქალაქი. რიო დე ჟანეირო ბრაზილიის ყველაზე ცნობილია ქალაქია. ყველას სმენია რიოს შესახებ. რადგან რიო მართლაც ცნობილი ქალაქია, ამიტომ ჰგონიათ ხშირად ის ბრაზილიის დედაქალაქი. საინტერესოა, რა იცი რიოს შესახებ? დარწმუნებული ვარ, გსმენია რიოს კარნავალის შესახებ. რიოს კარნავალზე მოხვედრა ხომ ყველა ბავშვისა და ყველა ადამიანის ოცნებაა. ფეხბურთი თუ გიყვარს, აუცილებლად გეცოდინება ფეხბურთის მეფე - პელე... პელე ხომ ბრაზილიელია! ფეხბურთი თუ გიყვარს, ისიც გეცოდინება, რომ მსოფლიოში ყველაზე დიდი სტადიონი რიოშია - მარაკანას ცნობილი სტადიონი. ქრისტეს ქანდაკების შესახებ თუ გსმენია?

კოპაკაბანას პლიაჟიც, ალბათ, გსმენია. ის ხომ მსოფლიოში ულამაზესი პლიაჟია და რიოს ყველაზე ცნობილი რაიონი. კოპაკაბანა ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ადგილიცაა მსოფლიოში. ქრისტეს ქანდაკება ერთ-ერთი ულამაზესია და თანამედროვე შვიდ საოცრებაშია შესული. მოკლედ, რიო დეჟანეიროსთან, შემოკლებით კი რიოსთან, ძალიან ბევრი საინტერესო რამ არის დაკავშირებული. მოდით, ჩვენც ნელ-ნელა მივყვეთ და კარგად გავიცნოთ რიო, მსოფლიოს ულამაზესი ქალაქი.

**რიოს შესახებ**

რიო უძველესი ქალაქია. ის ბრაზილიის ყველაზე მნიშვნელოვანი და ცნობილი ქალაქია. რიო დიდი ხნის განმავლობაში იყო ბრაზილიის დედაქალაქი. მხოლოდ 1960 წელს ბრაზილიის დედაქალაქის სტატუსი დაუთმო ახლად აშენებულ ქალაქ ბრაზილიას. სახელწოდება რიო დეჟანეირო „იანვრის მდინარეს“ ნიშნავს. ეს სახელწოდება მას ამერიგო ვესპუჩიმ დაარქვა. ამერიგო ვესპუჩიმ აღმოაჩინა ეს ადგილი 1502 წლის იანვარში. შესაბამისად, მას „იანვრის მდინარე“ უწოდა.

**რიოს კარნავალი**

რიოს კარნავალი ერთ ერთი ყველაზე ცნობილია მთელ მსოფლიოში. ათასობით სამბას მოცეკვავე ცეკვავს რიოს ქუჩებში. მოცეკვავეების გვერდით უამრავია ხალხი. ხალხი ტაკბება ულამაზესი ცეკვებით მოცეკვავეები გამოწყობილები არიან სპეციალურ კოსტიუმებში, რაც ძალზედ მომხიბვლელი სანახაობაა.

ბრაზილიის ცნობილი კარნავალი პორტუგალიური ზეიმისგან წარმოიშვა. ადრე პორტუგალიური ზეიმი „ენტრუდო“ აღინიშნებოდა. ენსტრუდოს დროს მონაწილეები ერთმანეთს ესროდნენ ტალახს, წყალსა და საჭმელს. ენტრუდო მალე გააზრებულმა და ლამაზმა კარნავალმა შეცვალა.

რიოს კარნავალი პირველად 1840 წელს ჩატარდა. თავდაპირველად ამ კარნავალზე სამბას არ ცეკვავდნენ... სამბა, იცი, რა არის? სამბა ცეკვაა, რომელსაც ყველა ცეკვავს სამბას კარნავალზე. სამბას ცეკვა რიოს კარნავალზე მოგვიანებით დაიწყეს, მხოლოდ 1917 წელს... სამბა სხვადასხვა ცეკვის ნაზავია: სამბა მოიცავს ანგლოთა სემბის, ევროპული პოლკას, აფრიკული ბატუკისა და კუბური ჰაბანერას ელემენტებს. ცეკვა სამბა გაჩნდა, როგორც სიმბოლო გადასახლებული ადამიანების სახლში დაბრუნების. სახლში დაბრუნებულ გადასახლებულ ადამიანებს ამ ცეკვით ეგებებოდნენ და ამ სადღესასწაულო დღეს ასრულებდნენ.

ამჟამად რიოს კარნავალი ტარდება სამბას სკოლის მიერ. რიოს კარნავალი ერთი კვირის განმავლობაში გრძელდება. კარნავალის პერიოდი დასვენების დღეებად ცხადდება.

კარნავალს თავის ჟიური ჰყავს. ჟიური სამბას მოცეკვავეების საუკეთესო გუნდს გამოავლენს და “კარნავალის მეფეს” ირჩევს. “მეფეს” ქალაქის მერი ქალაქის გასაღებს გადასცემს. “კარნავალის მეფე” ქალაქის მმართველი ხდება (ოთხი დღით) და ამ პერიოდის განმავლობაში ნებისმიერი კანონის გაუქმების ან შექმნის უფლება აქვს.

## ქრისტეს ქანდაკება

ქრისტეს ქანდაკება რიოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღირსშესანიშნაობაა. ქანდაკება თანამედროვე შვიდ საოცრებათა სიაშიი შეიყვანეს. რიო-დე-ჟანეიროს სანაპიროზე გრანდიოზული ქანდაკების დადგმის იდეა ბრაზილიის დამოუკიდებლობის 100 წლისთავისათვის საზეიმო ცერემონიალის მზადებისას გაჩნდა. ბრაზილიის დამოუკიდებლობის 100 წლისთავი 1922 წელს აღინიშნებოდა. ქანდაკება მოქანდაკე ეკტორ და სილვა კოსტას შეასრულა. მისი იდეა იყო, ისეთი ქანდაკება შეექმნა, რომელიც მთელ ქალაქს გულში ჩაიკრავდა.

ქანდაკება პარიზში დამზადდა და 1931 წლის 12 ნოემბერს გაიხსნა რიო-დე-ჟანეიროში, კონკოვადოს მთაზე. ქანდაკების სიმაღლე 32 მეტრია, ქანდაკების კვარცხლბეკი - 7 მეტრი, ქანდაკების თავი 35 ტონას იწონის, ქანდაკების ხელები კი 23 მეტრის სიგრძისაა. ქრისტეს ქანდაკება მართლაც საოცარი და ულამაზესი სანახავია. ის ტურისტების ერთ-ერთი საყვარელი ადგილია. რიოში ჩასული სტუმარი აუცილებლად სტუმრობს ამ ქანდაკებას.

## მარაკანას სტადიონი

ფეხბურთი თუ გიყვარს, ალბათ, მარაკანას სტადიონიც გაგიგია. მარაკანას სტადიონი ხომ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სტადიონია მსოფლიოში. მარაკანას სტადიონიც რიოშია. ერთ დროს ამ სტადიონზე 200 ათასი გულშემატკივარიც კი ეტეოდა და თამაშს 200 ათასი მაყურებელი დასწრებია. ეს რიცხვი რეკორდულია მსოფლიოში.

„მარაკანას" სტადიონი აშენდა 1950 წელს. ამ სტადიონზე იმავე წელს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი ჩატარდა. ბრაზილიის ნაკრები ურუგვაის ნაკრებს ეთამაშებოდა.

ფინალური შეხვედრა 1950 წლის 16 ივლისს შედგა. სტადიონზე 174 ათასი გულშემატკივარი მივიდა.

პირველი გოლი ბრაზილიელებმა გაიტანეს. მაყურებელმა ისე იყვირა სიხარულისგან, რომ სტადიონი კინაღამ დაინგრა. ბრაზილიელთა სამწუხაროდ, ურუგვაელებმა ორი გოლი გაუტანეს ბრაზილიელებს და უზარმაზარი „მარაკანა" დაადუმეს... ეს იყო ბრაზილიური ფეხბურთის ყველაზე ტრაგიკული მომენტი. მსოფლიო ჩემპიონი ურუგვაი გახდა... მარაკანას ახალი სტადიონი უიღბლო აღმოჩნდა ბრაზილიელთათვის იმ წელს.

„მარაკანა" მაინც განსაკუთრებულ ადგილად იქცა ბრაზილიელებისთვის, „მარაკანას" შესახებ მსოფლიოს ფეხბურთი მეფე, პელე, წერდა: „იქ გავიტანე ჩემი პირველი გოლი არგენტინის წინააღმდეგ. აქ გავიტანე ჩემი მე-1000 გოლი. ამ სტადიონზე უამრავ ფეხბურთელს უთამაშია. აქ სულ სხვა აურა და განწყობაა".

„მარაკანას" სტადიონზე მარტო ფეხბურთის მატჩები არ იმართება. ამ სტადიონზე გამართულა არაერთი ცნობილი ხელოვანის კონცერტი. ფრენკ სინატრას, როლინგ სტოუნზს, მადონას და სხვა მომღერლებს აქვთ ნამღერი „მარაკანას" ულამაზეს სტადიონზე.

ალბათ საინტერესოა, რატომ უწოდეს ამ ულამაზეს სტადიონს მარაკანა? .

მარაკანას სტადიონის ოფიციალური სახელია მარიო ფილიოს სახელობის სტადიონი. მარიო ფილიო ცნობილი სპორტული ჟურნალისტი იყო. სტადიონს „მარაკანა“ მდინარის სახელწოდებიდან გამომდინარე დაარქვეს. პატარა მდინარე „მარაკანა“ ჩამოედინება სტადიონის ახლოს. სტადიონის ახლოს მდებარე დასახელებსაც მარაკანას დასახლება შეარქვეს.

„მარაკანას“ სტადიონზე ამჟამად სარემონტო სამუშაოებია. მარაკანას სტადიონი მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიებებისთვის ემზადება. ამ სტადიონზე ჩატარდება 2013 წლის კონფედერაციის თასი, 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი ფეხბურთში და 2016 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშები. ეს შეჯიბრებები უკვე განახლებულ მარაკანაზე გაიმართება.

# თემა 11

## საქართველო

*გაკვეთილი 14-15*

**1. წაიკითხეთ ტექსტი:**

საქართველო ამიერკავკასიის ცენტრში და ევროპა-აზიის საზღვარზე მდებარეობს. იგი მთაგორიანი ქვეყანაა. ჩრდილოეთით კავკასიონის ქედია, დასავლეთით კი – შავი ზღვა. საქართველოში ბევრია საკურორტო ადგილი.

საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა. ამ ტერიტორიაზე ჩვენს წელთაღრიცხვამდე ორი დიდი სამეფო იყო – კოლხეთი და იბერია. კოლხეთის სამეფოს უკავშირდება მითი არგონავტებისა და ოქროს საწმისის შესახებ.

საქართველოს დედაქალაქია თბილისი. ქალაქებია: ბათუმი, სოხუმი, ქუთაისი, ფოთი, გორი, თელავი, სიღნაღი, ზესტაფონი, ახალციხე, ახალქალაქი, ნინოწმინდა, მესტია, ჭიათურა, საჩხერე, სამტრედია, ზუგდიდი, სენაკი, ოზურგეთი, მარტვილი, ცაგერი, ბოლნისი, დმანისი.

ფოთი საპორტო ქალაქია, სამტრედია – უდიდესი სარკინიგზო ცენტრია. რუსთავში სახელგანთქმული მეტალურგიული ქარხანაა.

საქართველო რესპუბლიკაა. მას ჰყავს პრეზიდენტი და პარლამენტი, აქვს საკუთარი ფული – ლარი.

საქართველოს სახელმწიფო ენა ქართულია.

ეროვნული დამოუკიდებლობის დღეა 26 მაისი.

**2. ამოიწერეთ ძირითადი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციები; შეავსეთ ცხრილი:**

| ძირითადი ინფორმაცია | არაძირითადი (მეორეხარისხოვანი) ინფორმაცია |
|---|---|
| | |
| | |
| | |
| | |
| | |

**3. მეორეხარისხოვან (არაძირითად ინფორმაციაში გამოყავით უფრო მნიშვნელოვანი და არსებითი; ჩამოწერეთ რიგითობით (უფრო მნიშვნელოვანი – წინ; ნაკლებად მნიშვნელოვანი – შემდეგ); პასუხი დაასაბუთეთ.**

I. _____

_____

II. _____

_____

III. _____

_____

IV. _____

_____

V. _____

_____

VI. _____

_____

VII. _____

_____

VIII. _____

_____

IX. _____

_____

X. _____

_____

**4. წაიკითხეთ ტექსტი:**

საქართველო მრავალეროვანი ქვეყანაა. აქ ცხოვრობენ ქართველები, სომხები, ებრაელები, აზერბაიჯანელები, ბერძნები, რუსები, ქურთები.

საქართველო სხვადასხვა *კუთხეებისგან* შედგება. ეს კუთხეებია:

| | |
|---|---|
| ქართლი | სვანეთი |
| კახეთი | ლეჩხუმი |
| მესხეთი | რაჭა |
| ჯავახეთი | მთიულეთი |
| იმერეთი | ხევი |
| გურია | ხევსურეთი |
| სამეგრელო | ფშავი |
| აჭარა | თუშეთი |
| აფხაზეთი | |

5. ამ კუთხეების წარმომადგენლებს შემდეგნაირად ეწოდებათ:

ქართლი – ქართლელი
კახეთი – კახელი
მესხეთი – მესხი
ჯავახეთი – ჯავახი
იმერეთი – იმერელი
გურია – გურული
სამეგრელო – მეგრელი
აჭარა – აჭარელი
სვანეთი – სვანი
ლეჩხუმი – ლეჩხუმელი
რაჭა – რაჭველი
მთიულეთი – მთიული
ხევი – მოხევე
ხევსურეთი - ხევსური
ფშავი – ფშაველი
თუშეთი – თუში
აფხაზეთი – აფხაზი
საინგილო – ინგილო
ფერეიდანი – ფერეიდნელი
ლაზეთი – ლაზი
იმერხევი – იმერხეველი

6. ამოიწერეთ მოცემული ინფორმაცია და დაიმახსოვრეთ.

7. შეავსეთ ცხრილი:

| | |
|---|---|
| ქართლი | |
| | კახელი |
| მესხეთი | |
| | ჯავახი |
| | იმერელი |
| გურია | |
| | მეგრელი |
| აჭარა | |
| | სვანი |
| ლეჩხუმი | |
| რაჭა | |
| | მთიული |
| ხევი | მოხევე |
| ხევსური | |
| ფშავი | |
| თუშეთი | |
| აფხაზეთი | აფხაზი |
| | ინგილო |
| ფერეიდანი | |
| | ლაზი |
| იმერხევი | |

**8. წაიკითხეთ დიალოგი:**

– გამარჯობა, გიორგი, როგორ ხარ?

– კარგად, გმადლობ.

– ეს დღეები სად იყავი?

– მოსკოვში სტუდენტთა *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია* იყო. სტუდენტები იყვნენ აზერბაიჯანიდან, თურქეთიდან, სომხეთიდან, საქართველოდან და სხვა რესპუბლიკებიდან.

– *საინტერესო* იყო?

– ძალიან საინტერესო იყო *მოხსენებებიც* და *შეხვედრებიც*.

– *ასეთი* კონფერენცია კიდევ იქნება?

– კი, გაისად ამიერკავკასიის რომელიმე რესპუბლიკის ქალაქში იქნება.

– ძალიან კარგი.

**9. ამოიწერეთ უცნობი სიტყვები და შეეცადეთ, გაიგოთ მათი მნიშვნელობა კონტექსტის მიხედვით.**

**10. გადმოეცით ტექსტი მესამე პირში (ჯგუფური მუშაობა).**

**11. წაიკითხეთ ტექსტი:**

**ახალციხის მხარე**

თრიალეთის მთის სამხრეთით ახალციხის მხარე და ჯავახეთი მდებარეობს.

ახალციხის მხარეს მეტად მაღალი მდებარეობა აქვს. ამის გამო აქ ძალიან გრილი ჰავაა. ზამთარი ცივი იცის და ხშირად სამ-ოთხ თვეს დედამიწა თოვლით არის დაფარული. ნოემბერში, როცა შემოდგომის მშვენიერი თბილი დღეებია ქართლსა და კახეთში, ახალციხის მხარეში თოვლი დევს და ცივი ზამთარია. სიგრილისა და სიცივის გამო ამ ქვეყანაში ქართლისა და კახეთის ბევრი ხილი სრულიად არ ხარობს. აქ ვერ ნახავ წაბლს, ლეღვსა და ბროწეულს; ყურძენი ვერ იტანს იქაურ ცივ ზამთარს და ვენახები აქ თითქმის სრულიად არ არის და ღვინოსაც, რასაკვირველია, აქაური მაცხოვრებლები მოკლებულნი არიან. ვაშლი და მსხალი კი ჩინებული მოდის.

აქაური ბაღები ვაზების მაგივრად სხვადასხვა ჩინებული ხეხილით არის სავსე; კაკალი მეტად დიდი იზრდება ბევრსაც ისხამს. შინაურ საქონელში აქ უფრო ხშირია ცხვრისა და ღორის ყოლა. ჭირნახულიდან თესავენ სიმინდს, შვრიას, ქერს და პურს.

ახალციხის მხარეში უდიდესი ქალაქია ახალციხე. ძველად ამ ქალაქს ლომისი ერქვა. ახლანდელი სახელი დაერქვა მეჩვიდმეტე საუკუნეში. როცა ოსმალებმა აიღეს ახალციხე, ძველი ციხე დააქციეს, ახალი ააშენეს და იწყეს აქ ბატონობა. ახალციხე გაშენებულია პატარა მდინარე ფოცხოვის ნაპირზე, რომელიც დასავლეთით ერთვის მტკვარს. ფოცხოვი

ქალაქს ორ ნაწილად ჰყოფს: სამხრეთის მხარეს ახალი ქალაქია გაშენებული, ჩრდილოეთის მხარეს – ძველი ქალაქი. ახალ ქალაქში უფრო სომხები ცხოვრობენ და აქ უფრო კარგი სახლებია, განიერი, სწორი და სუფთა ქუჩები, ვიდრე ძველ ქალაქში. ძველი ქალაქის მაცხოვრებლები ქართველები და ურიები არიან. ქართველებში ბევრი ფრანგია, ზოგი კი მართლმადიდებელი. ძველ ქალაქშივე არის სახელგანთქმული ციხე, მაღლა კლდეზე აშენებული, ზედ ფოცხოვის ნაპირზე.

ახალციხის მხარეში შემდეგი შესანიშნავი სოფლებია: აბასთუმანი, სადაც სამკურნალო წყლებია; რუსთავი, სადაც დაიბადა მთელი საქართველოს უწარჩინებულესი პოეტი შოთა რუსთაველი; ურაველი, შესანიშნავი რკინის წყლით, აწყური, თავის შესანიშნავი ძველი ციხით; ასპინძა, სადაც ერეკლე მეფემ ოსმალოს ჯარი საშინლად დაამარცხა, და სხვანი.

აქვე არის ორი დიდებული ნაშთი წარსულისა: ვარძია და საფარა. საზოგადოდ, ძველად ახალციხის მხარე მდიდარი იყო მონასტრებით. პირველ მონასტრად ითვლებოდა ვარძია, რომელიც მდებარეობს ახალციხის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ვარძიის აგება დაიწყო თამარის მამამ, გიორგი მეფემ, ხოლო დაამთავრა იგი თვით თამარ მეფემ. მანვე გამართა აქ ორი სამეფო სასახლე – ერთი საზაფხულო და ერთიც საზამთრო, რომლებიც კლდეში იყო გამოკვეთილი. აქ ხშირად უყვარდა დასვენება საქართველოს სამაგალითო დედოფალს. ეს დიდებული და მდიდარი მონასტერი მტრის ხარბ თვალს ძლიერ იზიდავდა, რის გამოც ვარძია რამდენჯერმე გაძარცვეს ურჯულოებმა. უკანასკნელად ვარძია სრულიად ააოხრა და ბერებიც ამოჟლიტა სპარსეთის ერთმა შაჰმა. ამის მერე ვარძია ვეღარ წამოდგა ფეხზე და ვეღარც მოღონიერდა. ბოლოს სრულიად დაცარიელდა, გაუქმდა ახალციხის მხარე, საქართველოს მოსწყდა და ოსმალოს ჩაუვარდა ხელში.

**12. ამოიწერეთ სიტყვები, რომლებიც თქვენთვის უცნობია და მასწავლებლის დახმარებით, შეეცადეთ, ამოიცნოთ მათი მნიშვნელობა კონტექსტის საშუალებით.**

(ვარჯიში სიტყვების მნიშვნელობის კონტექსტიდან ამოცნობაზე – ჯგუფური მუშაობა).

**13. გადმოეცით ტექსტის მოკლე შინაარსი.**

**14. წაიკითხეთ ტექსტი:**

---

ახალციხის აღმოსავლეთით მდებარეობს ჯავახეთი. ჯავახეთს უჭირავს ახალციხის მხარეზე კიდევ უფრო მაღლობი და ტიტველი მინდვრები, ამიტომ აქ კიდევ უფრო გრილი ზაფხული და ცივი ზამთარი იცის. თუმცა აქ ნიადაგი მეტად ნოყიერია, ტყე საერთოდ არ არის. ამიტომ მდინარეებიც ცოტაა. ამ მდინარეებში ძალიან გემრიელი კალმახი იცის.

ჯავახების უმთავრესი საქმე ხვნა-თესვაა. სახნავი ადგილები ბევრია და მოსავალიც ჩინებული იცის, განსაკუთრებით პური და ქერი. ჯავახი ყიდის პურს და ქერს და აღებული ფულით ყიდულობს, რაც სჭირდება. მართალია, ჯავახეთი ურწყავი ქვეყანაა, მაგრამ წვიმა ხშირად იცის. ხვნა-თესვის გარდა, ჯავახეთში შინაური ცხოველების მოშენებასაც მისდევენ. ბევრია ცხვარი. იალაღები ჩინებული აქვთ.

უტყეობა ძალიან აწუხებს ჯავახეთს. შეშის მაგივრად გასათბობად ხმარობენ წივას. ზამთარი ძალიან მკაცრია და ამის გამო დიდ ტანჯვას განიცდიან.

სიცივის გამო ჯავახეთში ყურძენი არ ხარობს, ამიტომ ვენახები აქ არ აქვთ. სახლებს ქვითა და ტალახით აშენებენ.

ჯავახეთში ბევრი ტბაა. მათ შორის ულამაზესია ფარავნის და ბარალეთის ტბები.

აღსანიშნავია, რომ ჯავახეთში ცხოვრობენ ბოშები, რომლებიც მხოლოდ ქართულ ენაზე ლაპარაკობენ. ეტყობა, უძველეს დროში მოსულან აქ.

ჯავახეთში ერთი პატარა ქალაქია – ახალქალაქი, რომელიც მაღლობ ადგილზე არის აშენებული ორ დიდ ხევს შუა. წინა საუკუნეებში ახალქალაქი წმინდა ქართული ქალაქი იყო. ახლა კი მცხოვრებლები აქ თითქმის სულ სომხები არიან, რიცხვით 1500 კომლი. ჯავახეთში შესანიშნავი სოფლებია: ხიზაბავრა, ბარალეთი, ტოლოში და სხვა.

**15. ამოიწერეთ სიტყვები, რომლებიც თქვენთვის უცნობია და მასწავლებლის დახმარებით, შეეცადეთ, ამოიცნოთ მათი მნიშვნელობა კონტექსტის საშუალებით.**

(ვარჯიში სიტყვების მნიშვნელობის კონტექსტიდან ამოცნობაზე – ჯგუფური მუშაობა).

**16. დაასათაურეთ ტექსტი.**

**17. გადმოეცით ტექსტის მოკლე შინაარსი.**

**18. წაიკითხეთ ტექსტი:**

**მარნეული**

მარნეული (1947 წლამდე ბორჩალო), ქალაქი აღმოსავლეთ საქართველოში, მარნეულის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი. მდებარეობს მარნეულის ვაკეზე, მდინარე ალგეთის ნაპირებზე. ქალაქად გამოცხადდა 1964 წელს. მოსახლეობა 19,9 ათასი] (2002 წ.). ქალაქში არის სამრეწველო საწარმოები, ჯანდაცვის, განათლებისა და კულტურის დაწესებულებები. მარნეულში არის რუსთავის ეპარქიის რეზიდენცია.

მარნეულში ზომიერად თბილი სტეპის ჰავაა. იცის ზომიერად ცივი ზამთარი და ცხელი ზაფხული. საშუალო წლიური ტემპერატურა 12°C, იანვარში 0°C, ივლისში 23,9°C. აბსოლუტური მინიმალური — 25°C, აბსოლუტური მაქსიმალური 40°C. ნალექები 500 მმ წელიწადში.

დიდ დასახლებად იქცა სოფლების: ლომთაგორა-მარნეულის, ეკლესიის, ჭანდარ-სანდარისა და სარვანის გაერთიანების შედეგად. უძველესი დასახლებაა ლომთაგორა (წყაროებში პირველად იხსენიება XIII საუკუნეში), რითაც ბოლოვდებოდა მეგალითური (ციკლოპური) ციხეების მწკრივი მდინარე ალგეთის მარჯვენა მხარეს. იყო მნიშვნელოვანი ციხესიმაგრე და საგზაო კვანძი. XII საუკუნეში ირანის შაჰმა აბას I-მა აქედან აყრილი მკვიდრი ქართული მოსახლეობის ნაცვლად ამ ადგილას ბორჩალუს თურქმანული ტომი დაასახლა, შემდგომში, დასახლებასაც ბორჩალო ეწოდა. 1947 წელს აღადგინეს ძველი ქართული სახელწოდება მარნეული. მარნეულის ტერიტორიაზე შემორჩენილია მეგალითური ხანის ციხის ნაშთები და ადრინდელი ფეოდალური ხანის ეკლესია.

**19. მოსმენისას მონიშნეთ და ამოიწერეთ სიტყვები, რომლებიც თქვენთვის უცნობია და მასწავლებლის დახმარებით, შეეცადეთ, ამოიცნოთ მათი მნიშვნელობა კონტექსტის საშუალებით.**

(ვარჯიში სიტყვების მნიშვნელობის კონტექსტიდან ამოცნობაზე – ჯგუფური მუშაობა).

**20. გადმოეცით ტექსტის მოკლე შინაარსი.**

**21. არეული თანამიმდევრობით მოცემულია რამდენიმე ნაწილად დაყოფილი ტექსტი. შეეცადეთ, დაალაგოთ სწორად. გამოიყენეთ ნიმუშად წინა ტექსტები:**

## ბოლნისი

მოსახლეობა 13,8 ათასი (2002 წ.). ბოლნისი მდებარეობს მდინარე მაშავერის შუა დინებაში, ზღვის დონიდან 550 მ სიმაღლეზე, თბილისიდან 64 კმ. რკინიგზის სადგური მარნეულ-კაზრეთის ხაზზე. ძირითადად გაშენებულია ვაკეზე, ჩრდილოეთი ნაწილი კი — გორაკ-ბორცვიან მთისწინეთზე.

საყურადღებოა აგრეთვე გვიანდელი ფეოდალური ხანის სატრედოს თაღოვანი ხიდი მდინარე მაშავერაზე; იგი ახლაც მკვიდრად დგას. ბოლნისში არის ბოლნისის ეპარქიის კათედრა და რეზიდენცია.

ბოლნისი ქალაქია საქართველოში, ქვემო ქართლის მხარეში, ბოლნისის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი.

XIX საუკუნის 50-იან წლებში სოფელ რატევნის მახლობლად გერმანელები ჩამოასახლეს. ამ დასახლებას ჯერ ეკატერინეფელდი ერქვა, 1921-1943 წლებში — ლუქსემბურგი. ამჟამად ბოლნისს უკავია ისტორიული სოფლების სატრედოს, ყორანთის და ველკეთილის ტერიტორიები.

საშუალო წლიური ტემპერატურა 12,0 °C; იანვარში — 0,3 °C, აგვისტოში — 23,3 °C, აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა — 24 °C, აბსოლუტური მაქსიმალური

ტემპერატურა 39 °C. ნალექები 572 მმ წელიწადში, მაქსიმუმი — მაისში (86 მმ), მინიმუმი — დეკემბერში (21 მმ).

ბოლნისი ქალაქს დაერქვა ამ მიდამოებში ძველთაგანვე არსებული მნიშვნელოვანი პუნქტების სახელწოდების მიხედვით. ქალაქში არის სამრეწველო საწარმოები, ჯანდაცვის, განათლებისა და კულტურის დაწესებულებები. ისტორიული ძეგლებიდან აღსანიშნავია ყორანთის ეკლესია (XIII-XIV სს.). გორა, რომელზედაც ეს ეკლესიაა აგებული, ენეოლითური ხანის ნასახლარის ნაშთებსაც შეიცავს.

**22. დაწერეთ ტექსტი სწორი თანამიმდევრობით.**

**23. ამოიწერეთ სიტყვები, რომლებიც თქვენთვის უცნობია და მასწავლებლის დახმარებით, შეეცადეთ, ამოიცნოთ მათი მნიშვნელობა კონტექსტის საშუალებით.**

(ვარჯიში სიტყვების მნიშვნელობის კონტექსტიდან ამოცნობაზე – ჯგუფური მუშაობა).

**24. გადმოეცით ტექსტის მოკლე შინაარსი.**

**25. ივარჯიშეთ კითხვაში:**

**დმანისი**

დმანისი — ქალაქი საქართველოში, დმანისის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი. მდებარეობს დმანისის ვულკანურ პლატოზე, მდინარე მაშავერის ორივე ნაპირზე, კაზრეთის რკინიგზის სადგურიდან 30 კმ მანძილზე. დმანისის ტერიტორიაზე VI-VIII საუკუნეებში მცირე დასახლება იყო, სადაც საეპისკოპოსო კათედრალი მდებარეობდა. როგორც ქალაქი, წყაროებში პირველად IX საუკუნეში იხსენიება, ამ დროს მას არაბები ფლობდნენ. XI ს-ის 80-იან წლებიდან სელჩუკთა ხელშია, 1123 წელს დავით IV აღმაშენებელმა გაათავისუფლა. დმანისი განსაკუთრებით დაწინაურდა XII-XIII სს-ში. XVI ს-დან ქალაქი დაცემის გზაზეა, მოიშალა ეკონომიური ცხოვრება, შემდეგ კი სულ გაპარტახდა და გაუკაცრიელდა. 1921-1947 წლებში მას ბაშკიჩეთი ეწოდებოდა. ოფიციალურად ქალაქად გამოცხადდა 1981 წელს. მოსახლეობა 3,4 ათასი (2002 წ.).

თანამედროვე დმანისის ახლოს არის ამავე სახელწოდების ქალაქი-სიმაგრის ნანგრევები (VI-XV სს.), სახლების, ქუჩების, ღვინის სარდაფების და სხვა ობიექტების ნაშთები. დმანისის არქეოლოგიური შესწავლა 1936 წლიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება. აქ აღმოჩენილია ევროპაში ყველაზე ძველი ადამიანის ნაკვალევი — თავის ქალა, რომლის ასაკი 1,6 მილიონი წლით განისაზღვრება. დმანისში არის ბოლნისისა და დმანისის ეპარქიის კათედრა და რეზიდენცია.

გათხრები დმანისის ნანგრევებში დაიწყო 1936 წელს და 1960-იან წლებამდე გრძელდებოდა. შუასაუკუნეების სარდაფებს ქვეშ არქეოლოგებმა იპოვეს ცხოველთა ძვლები,

რომელთა შორის ქართველმა პალეონტოლოგმა პროფ. ა. ვეკუამ ამოიცნო აწ გადაშენებული ჯიშები. 1984 წელს პირველი ქვის იარაღები იპოვეს. მას შემდეგ ქართველი მეცნიერები დმანისის პლეისტოცენური დეპოზიტების გათხრებს აწარმოებდნენ დმანისში, და 1991 წელს მათ შეუერთდნენ გერმანელი არქეოლოგები რომიშ-გერმანიშეს ცენტრალმუზეუმიდან. დმანისის სამუშაოები შემდეგ უფრო გაფართოვდა და საერთაშორისო კვლევის პროექტის ხასიათი მიიღო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობით, გერმანიის, აშშ-ის, საფრანგეთისა და ესპანეთის კოლეგების მონაწილეობით.

1999 და 2001 წელს დმანისის რეგიონში გათხრების შედეგად ნაპოვნი იქნა ჰომინიდთა თავის ქალები და ყბის ძვლები, რომელსაც მოგვიანებით ჰომო გეორგიკუს შეარქვეს. დღესდღეობით უკვე ხუთი თავის ქალაა აღმოჩენილი.

**26. მოსწავლეებს ურიგდებათ ტექსტი და ეძლევათ დავალება – მხოლოდ გადახედონ დასამუშავებელ ტექსტს და საკუთარ თავს დაუსვან შეკითხვა: რა ვიცი მე მოცემული ტექსტის შესახებ? მოსწავლეები მუშაობენ ინდივიდუალურად და აკეთებენ საკუთარი ინფორმაციისა და ვარაუდების ნუსხას.**

**გული**

მოკვდა.

დის ნაზ ხელს არ გაუსწორებია სასთუმალი; იდუმალი მწუხარებით არ შემოუხედავს ავადმყოფის ოთახში სატრფოს თვალებს; ნაცნობებს არ მოუკუთხავთ; უკანსაკნელ წამს შენდობა არ მიუღია იმ მშვიდი, წყნარი ადამიანისაგან, რომლის ძალა აღარ სწამდა, მაგრამ დამამშვიდებელი სიტყვების მისგან გაგონება მაინც უნდოდა; დედას არ დაუყრია ცხარე ცრემლები.

მოკვდა უცხოეთში.

– ათასი სნეულებით იყო ავად; არავითარმა წამალმა არ იმოქმედა, – იმართლებდა თავს ამხანაგთა წინაშე ექიმი.

ცხედარი გაჭრეს.

პროფესორმა ხელები ჩამოუშვა და გაკვირვებულმა წამოიძახა:

– შეხედეთ, ბატონებო, ეს რა ამაბავია?!

ერთმანეთს შესცქეროდნენ.

– ბატონებო, გული? გული სადღაა?

გულის მაგიერ ფერფლიღა დარჩენილიყო.

დეპეშით გაგებული უბედურებისაგან თავზარდაცემული დედა შევიდა საყვარელი შვილის ობლად დატოვებულ ოთახში. ქვითინებდა: – ასე გამომიტე ქვრივი ოხერი? სადაა შენი კარგი  გული, ამდენი ვაით და უით რომ ჩაგიდგი საგულეში?

კედლიდან პატარა რუკამ გასცა პასუხი:

– მე დავაჭკნე!

– მე დავწვი! – გახმაურდა სურათი მაგიდაზე.

სიტყვები არავის გაუგონია.

ნიკო ლორთქიფანიძე

27. როგორ ფიქრობთ, რატომ ვკითხულობთ ამ ტექსტს? რის სწავლა და გაგება მინდა ამ ტექსტით?

28. გაეცით პასუხები შემდეგ კითხვებს: რა? ვინ? სად? როდის? როგორ? რატომ?
(მოძიებული ინფორმაცია ჩაინიშნეთ წინასწარ სქემის პირველ გრაფაში).

29. ხელახლა გადაიკითხეთ ტექსტი და სქემის მეორე ნაწილში ჩაწერეთ საკუთარი ემოციები, შთაბეჭდილებები – თქვენი დამოკიდებულება ტექსტიდან ამა თუ იმ ფაქტისადმი.

30. შეავსეთ სქემა:

აქტიური კითხვის სქემა

| | პირველადი კომენტარი (ფაქტობრივი) | მეორადი კომენტარი (ემოციური და კრიტიკული) |
|---|---|---|
| რა ხდება? | | |
| ვინ არიან მოქმედი პირები? | | |
| სად ხდება მოქმედება? | | |
| როდის ხდება მოქმედება? | | |
| როგორ, რა ვიტარებაში ხდება მოქმედება? | | |
| რატომ, რა მიზეზით ხდება მოქმედება? | | |

31. რა იყო ისეთი, რაც ტექსტის წაკითხვამდე იცოდით?

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

32. რა აღმოჩნდა ისეთი, რაც ტექსტის წაკითხვამ გვასწავლა?

_____
_____

33. ივარჯიშეთ კითხვაში:

## იაკობ გოგებაშვილი –
## ცნობილი მოღვაწე, პედაგოგი, დედაენის ავტორი

იაკობ გოგებაშვილი დაიბადა ღარიბი მღვდლის ოჯახში. სწავლობდა ჯერ გორის, შემდეგ თბილისის სასულიერო სასწავლებელში. 1855 წელს შევიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, 1861 წელს კი — კიევის სასულიერო აკადემიაში. პარალელურად, უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო დისციპლინებში ისმენდა ლექციებს, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, 1863 წელს სამშობლოში ჩამოვიდა. 1864 წელს გოგებაშვილი თბილისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლად, ხოლო 1868 წელს მის ინსპექტორად მუშაობდა. ამავე დროს, იგი დაუმეგობრდა ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს. გოგებაშვილის პროგრესულმა პედაგოგიურმა მუშაობამ მეფის ხელისუფლების უკმაყოფილება გამოიწვია და 1874 წელს იგი წავიდა თანამდებობიდან. ამის შემდეგ გოგებაშვილი სახელმწიფო სამსახურში აღარ შესულა და მთელი სიცოცხლე საზოგადო მოღვაწეობას მიუძღვნა.

გოგებაშვილი დაუღალავად იბრძოდა სახალხო სკოლების შექმნისთვის საქართველოში.

იგი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი და ლიდერი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გოგებაშვილის სასკოლო სახელმძღვანელოები. „ქართული ენის ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“ (1865), „ბუნების კარი“ (1868), „დედა ენა“ (1876), „რუსკოე სლოვო“ (1887), დღესაც ქართული სკოლების დაწყებითი კლასებში მოქმედი ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელოები იაკობ გოგებაშვილის დედაენის პრინციპზეა შექმნილი.

იაკობ გოგებაშვილი ბევრს ფიქრობდა ბავშვებზე და ის იყო პირველი მწერალი, რომელმაც დაიწყო წერა სპეციალურად ბავშვებისათვის. ის თავის მოთხრობებში იყენებდა ქართულ ფოლკლორს, ანდაზებს. სწორედ ანდაზების საფუძველზეა შექმნილი მოთხრობები: “ქურდი და მამალი”, “მერცხალი და მეცხვარე”, “ცხვარი და მარტი” და სხვა. იაკობ გოგებაშვილის მოთხრობებში ბავშვისთვის ცოცხალი და ახლობელი ხდებოდა ბუნება,

ცხოველთა და ფრინველთა სამყარო. ამ თემატიკაზეა შექმნილი მოთხრობები: “დევნილი მეგობარი”, “ბეღურა”, “ლომი”, “მერცხალი”, “აქლემი”, “ორაგულის ცხოვრება”, “ნამი”, “ცისარტყელა” და სხვ. იაკობ გოგებაშვილის ცნობილი მოთხრობა „იავნანამ რა ჰქნა?“ მოზარდებს ასწავლის ჰუმანიზმს, პატრიოტიზმს, ხალხთა მეგობრობას.

იაკობ გოგებაშვილი იყო დიდი ქველმოქმედი. მატერიალურად ეხმარებოდა ღარიბ მოსწავლეებს, პოეტებს, მწერლებს და სხვებს, სისტემატურად უგზავნიდა ფულს რუსეთსა და საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ქართველ სტუდენტებს. სიკვდილის წინ მან მთელი თავისი ქონება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადასცა.

გოგებაშვილი გარდაიცვალა 1912 წლის 1 ივნისს. იაკობ გოგებაშვილის საფლავი არის მთაწმინდის პანთეონში.

1940 წელს აღინიშნა გოგებაშვილის დაბადების 100 წლის იუბილე. 1976 წელს ჩატარდა „დედა ენის“ 100 წლისთავის იუბილე.

## ექვთიმე თაყაიშვილი

### შესავალი

საფრანგეთში 1921- 1945 წლებში ცხოვრობდა ერთი ქართველი ადამიანი თავის სათნო მეუღლესთან ერთად. ეს ქართველი კაცი ყველაზე მდიდარი და ყველაზე ღარიბი იყო მთელ საფრანგეთში. იგი საქართველოს განძის პატრონი იყო და ამ განძს ძალიან უფრთხილდებოდა. ეს ადამიანი ძალიან ხშირად შიმშილობდა და უკანასკნელი ფულით საქართველოდან ევროპაში მოხვედრილ ისტორიულ ნივთებს ყიდულობდა. ეს ადამიანი ექვთიმე თაყაიშვილი იყო. მადლიერმა სამშობლომ და ქართულმა ეკლესიამ ექვთიმე თაყაიშვილი წმინდანად შერაცხა.

### ექვთიმე თაყაიშვილის ბავშვობა და ახალგაზრდობა

ექვთიმე თაყაიშვილი გურიის პატარა სოფელში, ლიხაურში დაიბადა. იგი სულ პატარა იყო, როდესაც მშობლები დაეხოცა. ექვთიმეს ბებია და მამიდა ზრდიდნენ. ექვთიმე ძალიან ცელქი, მაგრამ ბეჯითი და ნიჭიერი ბავშვი იყო. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მან სწავლა ქუთაისის გიმნაზიაში გააგრძელა. ქუთაისში სწავლის პერიოდში ექვთიმე მოწაფეებს ამზადებდა, თუმცა ეს შემოსავალი არ იყო საკმარისი ცხოვრებისათვის. ნიჭიერმა ექვთიმემ გიმნაზია წარმატებით დაამთავრა და ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა.

ექვთიმემ სწავლა რუსეთში, ქალაქ პეტერბურგის უნივერსიტეტში გააგრძელა. იგი ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე სწავლობდა. რუსეთში ცხოვრების პერიოდი ძალიან მნიშვნელოვანი იყო მომავალი მეცნიერისათვის. პეტერბურგის უნივერსიტეტში მან ღრმა ცოდნა და გამოცდილება დააგროვა.

საქართველოში დაბრუნებულმა ექვთიმემ მაშინვე დაიწყო აქტიური მოღვაწეობა. იგი დაუღალავად ეძებდა და აგროვებდა ისტორიულ და არქეოლოგიურ მასალებს. ექვთიმემ

უამრავი საეკლესიო წიგნი და სხვა ისტორიული მასალა შეაგროვა. ექვთიმე თაყაიშვილი საქართველოს ეკლესიის ისტორიის შედგენაზე ბევრს მუშაობდა.

ექვთიმე ძალიან ბევრს მოგზაურობდა საქართველოში და ისტორიულ მასალებს აგროვებდა. მან ბევრი მნიშვნელოვანი ხელნაწერი მოიძია. მათ შორის „ვეფხისტყაოსნის“ 17 უძველეს ხელნაწერს მიაგნო.

ექვთიმე თაყაიშვილი საქართველოს უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელია. იგი უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირველი პროფესორი გახდა. ამ პერიოდში ის აქტიურად იბრძოდა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

## გამგზავრება საფრანგეთში

1921 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება შემოიჭრა. საქართველოს მთავრობა ევროპაში გადაიხვეწა. მთავრობის წევრებმა საქართველოს ისტორიული განძი თან წაიღეს. ასე ცდილობდნენ ისინი საქართველოს ისტორიული საუნჯის გადარჩენას.

ექვთიმემ გადაწყვიტა, რომ განძის დასაცავად საფრანგეთში გამგზავრებულიყო. ის თავის მეუღლესთან ერთად პარიზში გადასახლდა.

საქართველოს განძის დაცვა და მოვლა ძალიან რთული აღმოჩნდა. ბევრი დიდი მუზეუმი ცდილობდა, რომ ქართული საუნჯე შეეძინა. მათ შორის იყო ბრიტანეთისა და ნიუ-იორკის მუზეუმებიც. გარდა ამისა, სამეგრელოს თავადი - სალომე დადიანი ზუგდიდის მუზეუმიდან გატანილი განძის მემკვიდრეობას იჩემებდა. მან სასამართლოშიც კი შეიტანა სარჩელი. ექვთიმე თაყაიშვილმა მოახერხა განძის ამ მნიშვნელოვანი ნაწილის შენარჩუნებაც.

მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელმა ფაშისტებმაც გაიგეს საქართველოს განძის შესახებ. მათ ექვთიმე თაყაიშვილის ბინა გაჩხრიკეს. ექვთიმემ ქართველ მეგობრებთან ერთად განძის გადამალვა მოახერხა. მოგვიანებით საფრანგეთის მთავრობამ გამოაცხადა, რომ განძი მას ეკუთვნოდა. ექვთიმე თაყაიშვილმა და სხვა პარტიოტმა ქართველებმა ამჯერადაც შეძლეს ქართული საუნჯის დაცვა. ისინი დაუღალავად იბრძოდნენ განძის შენარჩუნებისთვის.

ექვთიმე თაყაიშვილი და მისი მეუღლე უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობდნენ. ხშირად საკვების ფულიც არ გააჩნდათ და შიმშილობდნენ. ამ დროს ექვთიმესთან ხშირად მოდიოდნენ სხვადასხვა ქვეყნის მუზეუმიდან და მას ძალიან დიდ თანხას სთავაზობდნენ ისტორიული განძის საფასურად. ექვთიმე თაყაიშვილი ყველა ნივთს ძალიან უფრთხილდებოდა. საკუთარი თავისათვის ქართული განძის გაყიდვა ვერც კი წარმოედგინა. ამ პერიოდში ექვთიმეს მეუღლე გარდაიცვალა. ეს ძალიან დიდი დარტყმა იყო უკვე მოხუცი ექვთიმესთვის. მარტოდ დარჩენილი ექვთიმე შიმშილის, სიცივისა და ავადმყოფობისგან ბევრჯერ კინაღამ დაიღუპა. ყველაზე მძიმე პერიოდშიც კი იგი განძის დაცვაზე ფიქრობდა. მას თითქოს ეს მიზანი აძლევდა ძალას.

საქართველოს საუნჯეს საფრთხე სხვადასხვა მხრიდან ემუქრებოდა. დიდი შრომის შედეგად, 1944 წელს საფრანგეთის მთავრობა დათანხმდა, განძი საქართველოსთვის

დაებრუნებინა. 249 ყუთში მოთავსებული საგანძური ექვთიმეს თანხლებით საქართველოში დაბრუნდა.

**ცხოვრების ბოლო წლები**

82 წლის იყო ექვთიმე, როდესაც საქართველოში დაბრუნება შეძლო. მოხუცმა მწერალმა უნივერსიტეტში განაგრძო მოღვაწეობა. ექვთიმე თაყაიშვილი ბედნიერი იყო, რომ სამშობლოში იმყოფებოდა. მას უდიდეს პატივს სცემდა მთელი საქართველო.

ცხოვრების ბოლო წლებში ექვთიმე თაყაიშვილი ძალიან შეავიწროვა საბჭოთა ხელისუფლებამ. ის გაათავისუფლეს უნივერსიტეტიდან. მისი შვილობილი დააპატიმრეს. მეგობრებს და თანამშრომლებს ექვთიმეს ნახვას უკრძალავდნენ.

ექვთიმე თაყაიშვილი 90 წლის გარდაიცვალა. მის დაკრძალვას მხოლოდ ერთგული მეგობრები ესწრებოდნენ. დიდი ქართველი მთაწმინდის პანთეონშია დაკრძალული. ქართულმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა.

## ნიკო ფიროსმანი

ნიკო ფიროსმანი გამოჩენილი ქართველი მხატვარია. ნიკო თვითნასწავლი მხატვარი იყო. მისი ნამუშევრები უშუალობით, სიმართლით, მკაფიო ხასიათით, სისადავით, და სიუჟეტური მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

მიუხედავად იმისა, რომ მხატვარს არ უსწავლია, მისი შემოქმედება ქართული მხატვრობის ხასიათს იმეორებს.

დღეისათვის საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ნიკო ფიროსმანის 146 ნამუშევარია დაცული. 16 ტილო კი, სიღნაღის მუზეუმშია გამოფენილი. ფიროსმანის გამოფენა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მოეწყო და მას 350 000-ზე მეტი დამთვალიერებელი ჰყავდა.

**ბიოგრაფია**

ფიროსმანის შესახებ ინფორმაცია მეტწილად მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ მოიძებნა. მისი ნამდვილი სახელი ნიკო ფიროსმანიშვილი იყო. იგი დაიბადა კახეთში, სოფელ მირზაანში. მის მამას - ასლან ფიროსმანიშვილსა და დედას - თეკლას 3 შვილი ჰყოლიათ. ორი უფროსი ქალიშვილი და ვაჟი - ნიკალა, იგივე ნიკო. ნიკოს ზუსტი დაბადების თარიღი უცნობია. იგი 1862 ან 1863 წელს არის დაბადებული. ნიკოს ხატვის ნიჭი ბავშვობიდან გამოაჩნდა. იგი ბევრს ხატავდა. მხატვარი 8 წლის ასაკში დაობლდა და დედამ ბავშვი თბილისში გაგზავნა მდიდარ ოჯახში მსახურად. პატარა ნიკალას მდიდარ ოჯახში კარგად ექცეოდნენ. ბიჭუნა საკუთარი ნახატებით აჭრელებდა სახლის კედლებს. მოგვიანებით ნიკოს ოჯახის დატოვება მოუწია.

1880 წელს მან ფერწერის სახელოსნო გახსნა და მაღაზიებისა და დუქნებისათვის აბრებს ხატავდა. შემოსავალი იმდენად ცოტა იყო, რომ ნიკოს საარსებოდაც არ ჰყოფნიდა.

1883 წელს ნიკო რკინიგზის სადგურში მუშაობდა დარაჯად. სამსახურის დარაჯის ოთახში მუშაობის დროს ხატავდა კიდეც. ავადმყოფობის გამო ნიკოს დროებით სამსახურის დატოვება მოუხდა. მიუხედავად დიდი სურვილისა, გამოჯანმრთელების შემდეგ იგი სამსახურში აღარ დააბრუნეს.

ნიკო დაუღალავად შრომობდა და დიდი ინტერესით ეკიდებოდა საქმეს. სამხატვრო განათლებისათვის საკმარისი ფული მას მაინც არ გააჩნდა. მხატვარი იძულებული იყო, ხან ერთ მედუქნესთან შეეფარებინა თავი, ხან მეორესთან. ცხოვრების საფასურს ის ხშირად საკუთარი ნახატებით იხდიდა. ნიკო პურისა და ერთი ჭიქა ღვინის ფასად ხატავდა აბრებს და სურათებს. უბრალო ხალხს არ ესმოდა ფიროსმანის ნახატები, თუმცა ყველა გრძნობდა იმ ნიჭსა და სიძლიერეს, რაც ფიროსმანის ნახატებიდან მოდიოდა. აუტანელი ყოფისა და უკიდურესი სიღარიბის მიუხედავად, ფიროსმანი ძალიან ამაყი და დამოუკიდებელი ადამიანი იყო. ამ თვისებებისთვის მას მეტსახელად „გრაფსაც“ ეძახდნენ.

ფიროსმანი საკმაოდ განათლებული და ნაკითხი ადამიანი იყო. მისი სურათები მოწმობს, თუ რამდენად ნათელი წარმოდგენა ჰქონდა მხატვარს ქართული ისტორიისა და თანამედროვე ცხოვრების შესახებ. მას უამრავი სურათი აქვს დახატული ისტორიიდან: „თამარ მეფე,“ „ შოთა რუსთაველი,“ „წმინდა გიორგი,“ „გიორგი სააკაძე“. საქართველოს ისტორიის გარდა, ფიროსმანი იცნობდა მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენებსაც. მას იაპონიის ომის სცენაც აქვს დახატული.

ფიროსმანი 1918 წელს 56 წლის ასაკში გარდაიცვალა. სიკვდილის ბოლო დღეებშიც მხატვარი მარტოსული იყო. მას საკუთარი შვილები და ოჯახი არ ჰყოლია... ცხოვრებაში ერთადერთი ქალი უყვარდა. ეს ქალი ფრანგი მსახიობი მარგარიტა იყო. ნიკო ფიროსმანის ცნობილი სურათი „აკტრისა მარგარიტა“ სწორედ ამ მსახიობის პორტრეტია. ნიკალა და მსახიობი ქალი 1 წელი ხვდებოდნენ ერთმანეთს. შემდეგ კი მარგარიტამ გამოსამშვიდობებელი ბარათი დაუტოვა მხატვარს და სამუდამოდ წავიდა მისგან. ეს განშორება საბედისწერო აღმოჩნდა ფიროსმანისათვის. თავის ტკივილსა და მარტოობას ფიროსმანი ხატვით უმკლავდებოდა. ღატაკმა მხატვარმა ბნელ, მიტოვებულ სარდაფში დაასრულა სიცოცხლე. მისი სიკვდილის ზუსტი მიზეზი და თარიღი უცნობია. ასევე, არავინ იცის, ვინ და სად დაკრძალა მხატვარი.

მეგობრები და ნაცნობები ნიკალას უწყინარ, პატიოსან და ამაყ ადამიანად იხსენებდნენ.

**მხატვრის მემკვიდრეობა**

ფიროსმანი პირველად ფრანგმა მხატვარმა აღმოაჩინა. იგი საქართველოში მოგზაურობდა და შემთხვევით ფიროსმანის ნახატები ნახა. ფრანგს თან წაუღია ფიროსმანის რამდენიმე სურათი. მოგვიანებით ნიკო ფიროსმანის ნიჭით ძმები ილია და კირილ ზდანევიჩებიც დაინტერესდნენ და მისი ბიოგრაფიისა და შემოქმედების შესწავლისათვის დიდი შრომა გასწიეს. მოგვიანებით, მისი სურათების შეგროვება ქართველმა მხატვრებმა იკისრეს.

შესანიშნავმა მწერალმა - გიორგი ლეონიძემ კი მნიშვნელოვანი ცნობები მოიძია მისი ცხოვრებიდან.

ფიროსმანაშვილის ნამუშევრები პირველად 1918 წელს იყო წარმოდგენილი თბილისში ქართველ მხატვართა პირველ დიდ გამოფენაზე .

მხატვრის გარდაცვალების შემდეგ, 20-იან წლებში იბეჭდებოდა წერილები პრესაში და კრებული გამოიცა მისი შემოქმედების შესახებ. განსაკუთრებული ინტერესი ფიროსმანის მხატვრობისადმი 50-იან წლებში იგრძნობოდა. მის შესახებ არაერთი წიგნი გამოიცა საქართველოსა და უცხოეთში. ასევე, შეიქმნა ფილმი, დაიწერა პიესები, მუსიკალური ნაწარმოებები; ფიროსმანის სურათების გამოფენა მოეწყო ევროპის მრავალ ქვეყანაში.

70-იან წლებში თბილისში დაიდგა ფიროსმანის ძეგლი; მხატვრის მშობლიურ სოფელში – მირზაანში კი გაიხსნა ფიროსმანის მუზეუმი. მხატვრის ნამუშევრების დიდი ნაწილი ამჟამადაც ინახება საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმსა და საზღვარგარეთ - მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში.

**ფიროსმანის შემოქმედება**

ფიროსმანის შემოქმედება ძალიან მდიდარია. მის მხატვრობაში დიდი ადგილი უჭირავს სუფრის სცენებს, რომლებიც თბილისელი ვაჭრების, ხელოსნების, ზოგჯერ კი თავადების ჯგუფურ პორტრეტებს წარმოადგენს. მაგ., "ხუთი თავადის ქეიფი". სუფრის სცენებს მხატვარი ხანდახან ბუნების ფონზე გამოხატავდა.

ფიროსმანს ძალიან აინტერესებდა სოფლის ბუნება და ცხოვრებაც. მისი მრავალი ნახატი სოფლის ცხოვრებას ასახავს. მხატვარი უფრო იშვიათად ქალაქურ პეიზაჟებსაც ხატავდა. განსაკუთრებით ლამაზი და პოეტური ფიროსმანის დახატული ღამის სცენებია.

ფიროსმანი ასევე ხშირად ხატავდა თბილისის მაცხოვრებლებს და სხვადასხვა პროფესიისა და ხელობის წარმომადგენლებს: ხელოსნებს, მედუქნეებს, კინტოებს, მოცეკვავეებს და სხვა. მის ნახატებში ძალიან კარგად ჩანს გმირების ხასიათი და განწყობა.

ფიროსმანაშვილის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს ცხოველებს. მხატვარი ცხოველთა გამოსახულებებში ხშირად სიმბოლურ აზრს აქსოვდა. განსაკუთრებით შთამბეჭდავია "ირემი", "ჟირაფი", "თეთრი ღორი გოჭებით" და მისი სხვა ნახატები. .

ფიროსმანს ასევე იზიდავდა ისტორიული თემები და პერსონაჟები. მისი სურათები ქართული თეატრის წარმოდგენებითაც არის შთაგონებული.

**მოგონებები**

ფიროსმანის ცხოვრებას, პიროვნულ თვისებებსა და შემოქმედებაზე საინტერესო მოგონებები მხატვარ ლადო გუდიაშვილს ეკუთვნის:

1916 წელს მხატვარი ფიროსმანს სახლში ესტუმრა. ნიკოს სახლის პოვნა ძალიან გაუჭირდა და ბოლოს იგი ნახევრად ბნელ სარდაფში აღმოაჩინა. მხატვარი სახატავ მასალად ნავთის ნამწვავს აგროვებდა. თვითონაც მთელი ტანსაცმელი გაშავებული ჰქონდა

ნამწვავით. გუდიაშვილს ფიროსმანისთვის სტუმრობის მიზეზი უთქვამს. დიდ ფიროსმანს მხატვართა კავშირის შეკრებაზე ეძახდნენ. ამაყ ფიროსმანს ტანსაცმელზე დაუხედავს და ამგვარი ფორმით ხალხში გამოჩენაზე უარი უთქვამს. „ჩემი თავი უკანასკნელ კაცად მიმაჩნიაო“ - უთქვამს მხატვარს გუდიაშვილისთვის.

გუდიაშვილის შემდეგი მოგონება კიდევ უფრო მძიმე მოსასმენია:

მხატვართა კავშირს ერთ-ერთ კრებას გადაუწყვეტია ნიკო ფიროსმანისთვის 200 მანეთი დახმარება გაეწიათ. „ფულის გადაცემა მე მომანდეს“ - იხსენებს ლადო გუდიაშვილი. “დავიწყე ფიროსმანის ძებნა. არ ვიცოდი, სად ცხოვრობდა. ბევრი ვიარე, ბევრ ეზოში შევყავი თავი და გამოვიკითხე, მაგრამ სულ ტყუილად. დაღონებული ვბრუნდებოდი, როცა ერთი ეზოდან მომესმა საშინელი ყვირილი, ბავშვების ჟივილ–ხივილი. სანახაობა მეტად სასტიკი აღმოჩნდა. ბავშვები ქვებს ესროდნენ ერთი ოთახის კარებს, სადაც ცხოვრობდა აბუჩად აგდებული კაცი. ეს, ჩემი აზრით, ნიკო ფიროსმანი უნდა ყოფილიყო. კარზე დავაკაკუნე. ნიკომ კარი გააღო.

ნიკო ფიროსმანი იყო მაღალი ტანისა, შეჭაღარავებული და უკან გადავარცხნილი თმით. ეცვა ნაცრისფერი პიჯაკი და საღებავიანი ჭუჭყიანი შარვალი. ერთი სიტყვით, ჩემ წინ იდგა ლოთური ცხოვრებით გატეხილი და დაბეჩავებული უბნის მცხოვრები.

ამოვიღე ფული და გადავეცი. ნიკო შეჩერდა და გაქვავდა. ხმა ვერ ამოიღო. არ იცოდა, როგორ გადაეხადა მადლობა.“

ლადო გუდიაშვილი იხსენებს, რომ დიდ მხატვარს ერთი სურვილი ჰქონდა: იგი ოცნებობდა უზარმაზარ სახლზე, სადაც უამრავ ხალხს დაპატიჟებდა და ფინჯან ჩაისთან ხელოვნებაზე და საკუთარ ცხოვრებაზე ილაპარაკებდნენ.

**მეეზოვე**

ფიროსმანის ნახატი „მეეზოვე“ ფიროსმანის შემოქმედების საინტერესო მაგალითია.

ნიკალამ უბანში კარგად ცნობილი წვერგაბურძგნული, კეთილი ქურთი მეეზოვე დაგვიხატა. გადმოცემით, მეეზოვეს დიდი ამაგი ჰქონდა ნიკალაზე. მაშინ, როდესაც ფიროსმანმა მარგარიტა დაკარგა, მის ცხოვრებას თითქოს აზრი დაეკარგა. სწორედ მაშინ შეიფარა კეთილმა მეეზოვემ ნიკალა თავის პატარა საცხოვრებელში. კიბის ქვეშ მდებარე სათავსოში შეყუჟული ფიროსმანი დარდს ებრძოდა და მთელ დღეებს ხატვაში ატარებდა. კეთილი მეეზოვე ყველანაირად ცდილობდა, მისთვის დარდი შეემსუბუქებინა და დახმარებოდა მხატვარს. იგი შვილივით უვლიდა ფიროსმანს და ყოველდღე საჭმელიც მოჰქონდა მისთვის. ნიკალას ცხოვრებისადმი ინტერესი ნელ-ნელა უბრუნდებოდა. ერთ დღესაც, როდესაც მეეზოვემ ნიკოს საჭმელი შეუტანა, მხატვარმა მას სურათი დაახვედრა. მეეზოვე აღტაცებული დარჩა თავისი პორტრეტით. თურმე გულში იკრავდა და გაიძახოდა, „ნახეთ, როგორ მგავსო“.

მეეზოვეს უკბილო, ჩაცვენილი ლოყები აქვს. ყურები თითქოს ლოყებთან აქვს გაერთიანებული. მსხვილი, ჩამოშვებული ცხვირი და ხშირი, წითური წვერი აქვს. ტუჩები თითქმის არ უჩანს. მეეზოვის ქუდიდან უწესრიგო და დაუვარცხნელი თმები გადმოჰყრია.

მეეზოვეს უხეში, სქელი მაუდის შავი ლაბადა აცვია. ხელთათმანები კი არ უკეთია. ალბათ ხელთათმანები არ შედიოდა მეეზოვის ფორმაში ან მოუხერხებელი იყო მუშაობისთვის. მეეზოვე თავისი ასაკის გამო მსხვილ ჯოხს ეყრდნობა. ფეხზე რეზინის ყელიანი ფეხსაცმელი - ბოტები აცვია. ფორმის ქუდის ყვითელ ზოლზე კი გარკვევით აწერია „მეეზოვე“ და მისი ნომერი - 1035.

სურათის ფონი ძალიან სადაა და ამიტომ ვერ მივხვდებით, წელიწადის რომელი დრო არის მასზე გამოსახული. თუმცა მეეზოვის ხელები თითქოს შეკუმშულია სიცივისგან. სახის რუხი ფერიც სიცივეზე მიუთითებს.

მეეზოვის ფეხებქვეშ ერთი მუჭა რუხი მიწაა დაყრილი. თუ კარგად დავაკვირდებით, ფიცრის იატაკი შეიძლება დავინახოთ, რომელზედაც დგას მეეზოვე. ხოლო მეეზოვის უკან თეთრი ფონი – კედელია.

მეეზოვის პორტრეტი ერთი შეხედვით სასაცილოც კია თავის სიუშნოვითა და უბრალო გამომეტყველებით. მაგრამ, ამასთან, მისი სახე სიკეთეს, პატიოსნებასა და ერთგულებას ასხივებს. სწორედ ამ ემოციური განწყობის და სისადავის გამოა ფიროსმანის მხატვრობა „მეეზოვე“ ძალიან პოპულარული. მეეზოვე დღემდე აღფრთოვანებას იმსახურებს.

## გურული ცხენოსნები ამერიკაში

ცოტა ხნის წინ თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმში უნიკალური გამოფენა გაიმართა. აქ წარმოდგენილი იყო ამერიკაში გურული ცხენოსნების მოგზაურობისა და წარმატებების ამსახველი მასალები. მასალებთან ერთად, გამოფენაზე გურულ ცხენოსნებზე ბევრი საინტერესო ისტორიაც მოვისმინეთ. ეს ამბავი თქვენც მოგეწონებათ.

### გურულები ამერიკაში

გურული ცხენოსნების ნიჭი და შემოქმედება ამერიკასა და ევროპაში მე-19 საუკუნის ბოლოს გახდა ცნობილი.

1892 წელს ამერიკის შეერთებული შტატები სახელმწიფოს დაარსების მეასე წლისთავს ზეიმობდა. ამ მნიშვნელოვანი თარიღის აღსანიშნავად ქვეყანაში უამრავი საინტერესო ღონისძიება და სანახაობა ეწყობოდა. ცხენზე ჯირითი სანახაობებს შორის განსაკუთრებით პოპულარული იყო, ამიტომ განთქმული ცხენოსნები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოდიოდნენ და წარმოდგენებს მართავდნენ. სწორედ ამ დროს, გურული მხედრების ჯირითი საქართველოში ამერიკიდან ჩამოსულმა წარმომადგენელმა ნახა და ისე მოიხიბლა, რომ 10-კაციანი ჯგუფი ამერიკაში მიიწვია. მხედრების ჯგუფს „ჩოხაგრძელა“ ერქვა. გურულები ჯერ იტალიაში ჩავიდნენ და თავიანთი ხელოვნება წარმოადგინეს, შემდეგ საფრანგეთში და ბოლოს გემით ამერიკასაც მიაღწიეს. ყველა ქვეყანაში მაყურებელი

მოხიბლული იყო ქართველი მხედრების ოსტატური ჯირითით, ცეკვითა და სიმღერით. „ჩოხაგრძელას“ ამერიკულ-ევროპული ტურნე 4 წელიწადს გაგრძელდა.

შემდეგი წარმატება ამერიკის აღმოჩენის 400 წლისთავის აღსანიშნავ ზეიმს უკავშირდება. ამ ზეიმზე გურულ ცხენოსანთა ახალი ჯგუფი გაემგზავრა ამერიკაში. ცხენოსანთა ჯგუფს გამოცდილი მხედარი ლუკა ჩხარტიშვილი ხელმძღვანელობდა. გურულ ვაჟკაცებს არც ქალბატონები უდებდნენ ტოლს ცხენოსნობაში. ისინი დიდი ოსტატობით გამოირჩეოდნენ და განსაკუთრებულ ლაზათს ჰმატებდნენ გურულ მხედართა წარმოდგენებს.

**ბაფალოს შოუ**

გურული მხედრების წარმატება ამერიკასა და ევროპაში ბაფალოს შოუს უკავშირდება. ბაფალოს შოუს დამაარსებელი უილიამ ქოუდი იყო. ქოუდის უფრო ბაფალო ბილის სახელით იცნობდნენ. ბაფალო (ბუფფალო) ინგლისური სიტყვაა და ბიზონს ანუ გარეულ ხარს ნიშნავს. ბაფალო ბილი შოუს დაარსებამდე ბიზონის ხორცით ვაჭრობდა. ამიტომაც დაარქვეს ეს მეტსახელი. იგი ამერიკის რკინიგზის მშენებლობაზე მუშებსა და ხელოსნებს ამარაგებდა ხორცით და წელიწადნახევრის განმავლობაში 4 300-ზე მეტი ბიზონი მოინადირა. ბაფალო ჭკვიანი კაცი აღმოჩნდა და მალე მიხვდა, რომ წარმოდგენების გამართვა უფრო მომგებიანი იყო, ვიდრე ნადირობა და ხორცით ვაჭრობა. 1883 წელს მან საფუძველი ჩაუყარა ბაფალო შოუს, რომელიც სულ მალე მთელ ამერიკასა და ევროპაში გახდა ცნობილი. ბაფალოს შოუს ერთი წარმოდგენა 10-12 ათას მაყურებელს იტევდა. წარმოდგენები კი ცოცხალ გამოფენას ჰგავდა. აქ სხვადასხვა ეროვნების ხალხი ტრადიციული ტანსაცმლით გამოდიოდა და მაყურებელს თავისი ქვეყნის ტრადიციებს წარმოუდგენდა. რის ნახვა არ შეიძლებოდა ბაფალო შოუში! ხან ომის, ხან ნადირობის სცენები უამრავი ხალხის მონაწილეობით იმართებოდა. წარმოდგენები ინდიელების თავდასხმებს, ყაჩაღების ძარცვის სცენებს, ბიზონებზე ნადირობის, ჯირითში შეჯიბრების, მიზანში სროლისა და სხვა საინტერესო სცენებისგან შედგებოდა და 3 საათზე მეტ ხანს გრძელდებოდა.

ქართველი ცხენოსნები ბაფალოს შოუს 1893 წელს შეუერთდნენ ინგლისში მოგზაურობის დროს და მაშინვე წარმოდგენის მთავარ გმირებად იქცნენ. 1893 წელს ბაფალო ბილის შოუს ექვსი მილიონი ადამიანი დაესწრო. ასეთი წარმატება მას არასოდეს აღარ უნახავს.

ბაფალოს შოუ 30 წლის განმავლობაში მთელ მსოფლიოში მოგზაურობდა და მის წარმოდგენებს დაახლოებით 50 მილიონი ადამიანი დაესწრო.

**გურულ ცხენოსანთა წარმატებები**

ქართველი ცხენოსნების გამოსვლა ამერიკული წარმოდგენების ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა. ამ გამოსვლებში მრავალი ქვეყნის წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას, მაგრამ მაყურებლის ინტერესი გურული მოჯირითეების ხელოვნებისადმი მხოლოდ ინდიელებისა და კოვბოებისას თუ შეედრებოდა. გურულები 30 წელიწადზე მეტ ხანს გამოდიოდნენ ამერიკულ და ევროპულ სცენებზე. მათ თითქმის მთელი მსოფლიო

მოიარეს და საყოველთაო აღიარება მოიპოვეს. გურულების ჯირითმა დიდი გავლენა მოახდინა კოვბოების საცხენოსნო ხელოვნებაზე. მოგვიანებით მსგავსი ილეთები, „თავზეხელაღებული“ ჯირითი და ჰაერში ტრიალი კოვბოების საცხენოსნო ილეთებშიც აისახა.

გურული მხედრების ხელოვნება იმდენად ცნობილი გახდა ევროპაში, რომ ინგლისში ისინი დედოფალმა ვიქტორიამ სასახლეში მიიწვია. დედოფალი იმდენად ნასიამოვნები დარჩა ამ სანახაობით, რომ გურულებს საკუთარი ხელით გადასცა მათივე ფოტოსურათებით სავსე მოოქროვილი ალბომი. ინგლისურმა პრესამ კი უამრავი სტატია დაწერა მხედრების ხელოვნებაზე და მადლობის წერილები გამოაქვეყნა. ასევე წარმატებით იასპარეზეს გურულმა ცხენოსნებმა საფრანგეთშიც.

გურული ცხენოსნების გამოსვლებს ამერიკაში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტები - უილსონი და თეოდორ რუზველტიც დაესწრნენ. რუზველტი ისე აღფრთოვანდა მოჯირითე გიორგი ჩხაიძის ოსტატობით, რომ მას სამახსოვროდ ოქროს ბეჭედი და ლანგარი გადასცა, რომელზეც ცხენზე ამხედრებული პრეზიდენტი იყო გამოსახული..

მიუხედავად იმისა, რომ გურული ცხენოსნების მოგზაურობის შესახებ ბევრი მასალა განადგურებულია, დღემდე არსებობს 1905 წლის აფიშა. აფიშაზე მხედარი და ჯგუფის მეთაური - ლუკა ჩხარტიშვილია გამოსახული

**გურული მხედრების ცხოვრება ამერიკაში**

გურული მხედრები შოუს სხვა მონაწილეებთან მეგობრობდნენ. განსაკუთრებით ინდიელებთან ჰქონდათ თბილი ურთიერთობა. გურულები და ინდიელები ხშირად ეხმარებოდნენ ერთმანეთს. აი, რა სწერია ერთი უცნობი გურული მოჯირითის წერილში: "ფილადელფიაში ჩავედით მეორეჯერ. იქ ბევრი ნაცნობი ვნახეთ. ერთი იტალიელი გადამეკიდა და ჩხუბი გამიმართა. ჩხუბში სხვა იტალიელებიც ჩაერთვნენ. ბედად, იქვე შოუს მონაწილე ორი მექსიკელი და ინდიელი აღმოჩნდნენ. ისინიც ჩაერთვნენ ჩხუბში. დავჩაგრეთ იტალიელები. ერთმანეთს ძლივს მოგვაშორეს.“

ამერიკული გაზეთი კი 1901 წელს წერდა: "პრინც ლუკას ბრწყინვალე ჯირითი ბაფალო შოუს მთავარი სანახაობაა. პრინცი ჩამოვიდა ბათუმიდან. იგი შოუს 9 წლის წინ შეუერთდა. ლუკამ გვითხრა, რომ პრინცი მას მეგობრებმა შეარქვეს, ისევე, როგორც ინდიელები არქმევენ თავიანთ ბელადებს უცნაურ სახელებს. მთელ შოუში არ მოიძებნება პრინც ლუკაზე უფრო ამაყი ადამიანი. მისი ყველაზე დიდი მეგობარი კი ინდიელთა ბელადი „შავი მელია“ არის“.

ამერიკულ გაზეთებში გურულებისა და ინდიელების მადის შესახებაც წერდნენ. ბაფალო ბილის შოუს მზარეული ერთ საგაზეთო ინტერვიუში ამბობდა: "ჩვენ ყოველდღე ვამზადებთ 1000-მდე კატლეტს... ო, ეს მხედრები კი კატლეტის ნამდვილი მტრები არიან! მათ ხორცი დღეში სამჯერ უნდათ, თუმცა კიდევაც იმსახურებენ!“"

გურულების შესახებ კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია დაბეჭდა ამერიკულმა გაზეთმა: „თავისუფალ დროს მოჯირითეები ინდიელებთან ერთად თამაშობდნენ ბანქოს, მაგიდის ჩოგბურთს და, რა თქმა უნდა, სვამდნენ. ამერიკაში დაარსდა ყველაზე უცნაური გოლფ-კლუბი, სადაც გაერთიანებული იყო ბაფალო შოუს 9 წევრი: ინდიელები, იაპონელები, მექსიკელები და ამერიკელი კოვბოები. კლუბის პრეზიდენტად კი არჩეულია პრინცი ლუკა. ასე რომ, გურულები სპორტის ამ სახეობასაც მშვენივრად ფლობენ."

ამერიკასა და ევროპაში გურული მხედრების წარმოდგენები 1917 წლამდე გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში 150-ზე მეტი ადამიანი გამოვიდა მაყურებლის წინაშე. რამდენიმე გურული მხედარი ამერიკაშია დაკრძალული.

## საკითხავი ტექსტები:

### მუქთი ლუკმა

(ბელორუსული ზღაპარი)

დაღლილი მთიბავი ისვენებდა, პურს ჭამდა. მგელს პურის სუნი ეცა, ტყიდან გამოვიდა და მთიბავს სთხოვა, პური გამასინჯეო.

მოეწონა მგელს პური:

– მასწავლე, პური როგორ ვიშოვოო?

– ჯერ მიწა უნდა მოხნაო, – დაიწყო მთიბავმა.

– და პური მექნებაო?

– არა, მერე უნდა დაფარცხოო.

– და პურს შევჭამო?

– არა, მერე უნდა დათესოო.

– და პურიც დამზადდებაო?

– არა, ჯერ ხორბალი ამოვა, მერე დამწიფდება...

– მერე მე შევჭამო?

– ჯერ კიდევ არა, მერე უნდა მომკა, გალეწო, ტომრებში ჩაყარო, წისქვილში წაიღო, დაფქვა...

– და ვჭამო?

– არა, ფქვილი მოზილო, გააფუო, ამოაგუნდავო და ღუმელში შედო...

– და პური მზად იქნება?

– მზად იქნება, როცა გამოცხვება.

მგელს მთიბავის ნათქვამი სულაც არ მოეწონა.

– ამდენს რა მალოდინებს, არც ამდენი შრომა შემიძლია, მუქთი ლუკმა მირჩევნიაო.

– აბა, რა გითხრა, მგელო, ვისაც მუქთი ლუკმა უნდა, ის გემრიელ პურს ვერ მიირთმევსო, – უპასუხა მთიბავმა.

*ანა დისკოჩილოვა*

## ნიუტონის ვაშლი

ვაშლებს ძირითადად კომპოტის ან ნამცხვრისთვის იყენებენ. მაგრამ არსებობს ერთადერთი და განუმეორებელი ვაშლიც, ჯადოსნური ვაშლი. ასეთი ჯადოსნური ვაშლები თითქმის ყველა ზღაპარშია.

ვაშლი, რომელზედაც მოგითხრობთ, სულაც არ არის ჯადოსნური. . .

პატარა ინგლისურ სოფელ ვულსდორფში, წითელ სახლში, ბატონ ნიუტონს შეეძინა ვაჟი ისააკი. ბიჭი სუსტი და ავადმყოფი იყო. მშობლებმა ძლივს გადაარჩინეს.

ოჯახს ძლიერი, ღონიერი ვაჟკაცი სჭირდებოდა. ის ოჯახს ცხვრების მწყემსვასა და ყანის დამუშავებში უნდა დახმარებოდა. ისააკი კი სულ წიგნებს კითხულობდა.

– სკოლაში უნდა გავგზავნოთ, – თქვა ბიძია იაკობმა.

ასეც მოხდა. ისააკი სკოლაში საოცარ წარმატებებს აღწევდა. ოცდაორი წლისა ის ისევ სუსტი და ავადმყოფი იყო. სამაგიეროდ, ყველაფერი იცოდა.

ერთხელ, არდადეგებზე, სახლში წავიდა დასასვენებლად. იგი ვაშლის ხის ქვეშ წამოწვა. სწორედ ამ დროს ხიდან ვაშლი ჩამოვარდა და ცხვირზე დაეცა.

– ცოტა იქით ვერ ჩამოვარდებოდი? – წამოიძახა ნიუტონმა. მერე უცებ მიხვდა: ყველაფერი ვარდება უმოკლესი მანძილის გავლით. ეს იყო დიდი აღმოჩენა – ნიუტონმა დედამიწის მიზიდულობის კანონი აღმოაჩინა. იგი ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მეცნიერი გახდა. სუსტმა და ავადმყოფმა 88 წელი იცოცხლა.

ძალიან კარგია, როცა ვაშლმა იცის, რომელ ცხვირს უნდა დაეცეს.

## დავითი და გოლიათი

ერთ ქალაქში ცხოვრობდა ერთი მოხუცი კაცი იესე. მას ბევრი შვილი ჰყავდა. ყველაზე უმცროსს დავითი ერქვა. იგი მამას ცხვარში ჰყავდა გაგზავნილი მწყემსად.

ერთხელ ის ხალხის დაუძინებელ მტერს - გოლიათს შეებრძოლა.

ეს ამბავი ასე მოხდა: მამამ დავითი უფროსი შვილების ამბის გასაგებად გაგზავნა. ისინი ჯარში იყვნენ. გოლიათი შიშის ზარს სცემდა მთელ ჯარს. მასთან პირისპირ შებმას კი ვერც ერთი ვაჟკაცი ვერ ბედავდა. გოლიათი დასცინოდა და არცხვენდა მათ. ეს რომ დავითმა გაიგო, თქვა: მე შევებრძოლებიო. მეფემ დაიბარა და, რომ შეხედა დავითს, უთხრა: შენ როგორ შეძლებ ამ გოლიათთან ბრძოლას, შენ ჯერ ბავშვი ხარ, ის კი ომში გამოცდილი გმირიო.

დავითმა მოახსენა: მე, ჩემო ბატონო, მეცხვარე ვარ. როცა ლომი ან დათვი მომტაცებს ხოლმე ცხვარს, დავეწევი და პირიდან გამოვტაცებ. ღმერთი მეხმარება ხოლმე... ასევე, ღმერთი დამეხმარება გოლიათის დამარცხებაშიო.

მეფემ მსახურებს უბრძანა, დავითისთვის რკინის ქუდი დაეხურებინათ, ჯაჭვის პერანგი ჩაეცმიათ და ხმალი მიეცათ ხელში. დავითმა გაიარ-გამოიარა და თქვა: ასე მე ვერ ვიბრძოლებო – გაიხადა საომარი ტანისამოსი, ჩაიცვა თავისი, გაავსო პარკი ქვებით, დაიჭირა შურდული და გავიდა გოლიათთან საბრძოლველად.

გოლიათმა რომ დაინახა უიარაღოდ გამოსული პატარა მოწინააღმდეგე, დაუძახა: ქვებით და ჯოხით მოდიხარ ჩემთან?! ძაღლი ხომ არ ვარ, რომ მაგით შემაშინო?! მოდი ახლოს და მე შენს თავს დღესვე შევაჭმევინებ მინდვრის ნადირსა და ცის ფრინველსო.

დავითმა უპასუხა: შენ მოდიხარ ჩემზე ხმლითა და ფარით, მე კი მოვდივარ ღვთის ძალით შეიარაღებული. ყველა ცხადად დაინახავს, რომ უფალი ეხმარება კაცს.

როცა გოლიათი მიუახლოვდა დავითს, მან ისე მძლავრად ესროლა ქვა შურდულით, რომ შუბლი გაუტეხა და გოლიათი მიწაზე დაეცა. დავითმა მიირბინა და მისივე ხმლით გოლიათს თავი მოაჭრა.

ამის შემდეგ მეფე საულმა დავითი ჯარის უფროსად დანიშნა.

## მახინჯი იხვის ჭუკი

*ჰანს ქრისტიან ანდერსენის მიხედვით*

სოფლის ერთ ეზოში მახინჯი იხვის ჭუკი გამოიჩეკა. დედა იხვი შეწუხებული იყო. სხვა ჭუკები ყვითლები, ფუმფულები და ლამაზები იყვნენ, ამას რაღა დაემართა, ასეთი მახინჯი რატომ დაიბადაო!

საბრალო ჭუკი! ეზოს ბინადრებმა დაჩაგრეს. მამალმა თავს დაჰყივლა და დეზი ჰკრა. ინდაურმა დაიბლუყუნა და მწარედ ჩაუნისკარტა. კრუხმა კაკანი მორთო, - ეს რა სიმახინჯეა, ეს რა საშინელებააო!

ფრინველებმა აღარც საქათმეში შეუშვეს, აღარც საბატეში, ბოლოს სულაც გააძევეს ეზოდან.

დამწუხრებულმა ჭუკმა ერთი ტბის ნაპირას ბუჩქებს შეაფარა თავი. იქ მარტო ცხოვრობდა.

ერთხელ ტბასთან მშვენიერი თეთრი გედები მოფრინდნენ. წყალში მოსრიალე გედებს იხვის ჭუკი თვალს ბუჩქებიდან ადევნებდა. ძალიან უნდოდა, თვითონაც გედივით მშვენიერი ყოფილიყო.

დრო გადიოდა. მახინჯი იხვის ჭუკი იზრდებოდა. ერთხელ მან ტბაში ცურვის დროს საოცარი რამ აღმოაჩინა: წყლის ანარეკლში დაინახა, რომ იხვის ჭუჭული კი არა, ულამაზესი თეთრი გედი ყოფილა.

მაინც როგორ მოხდა ეს ამბავი? თურმე პატრონს იხვისთვის გამოსაჩეკად გედის კვერცხი შეუპარებია. ფრინველებმა მახინჯ ჭუჭულში გედი ვერ ამოიცნეს.

მშვენიერმა გედმა თეთრი ფრთები გაშალა და ცაში აფრინდა. მან იმ ეზოსაც გადაუფრინა, სადაც დაიბადა. აღტაცებული ფრინველები ზღაპრულ არსებას თვალს ვერ აშორებდნენ.

## ფუტკრები საშოვარზე

*იაკობ გოგებაშვილის მიხედვით*

გაზაფხულის მზემ თოვლი სულ გააქრო. ბუნება იღვიძებდა. მცენარეებს ნორჩი, მწვანე ყლორტები უჩნდებოდა, ხეების ტოტებზე კოკრები და ფოთლები იშლებოდა.

ნათელმა, თბილმა მზემ ფუტკრებიც გამოაღვიძა. გამოძვრნენ სკებიდან და ზუზუნით გაფრინდნენ ვაშლის ხესთან:

– ვაშლის ხევ, საწყალი ფუტკრებისთვის არაფერი გაქვს? მთელი ზამთარი ვშიმშილობდით, ძალიან გვშია!

– ჯერ არა, – უპასუხა მათ ვაშლის ხემ, – ჩემი ყვავილები ჯერ კიდევ კოკრებშია დამალული.

ფუტკრები ბალთან მიფრინდნენ:

– საყვარელო ბალო, ფუტკრებისთვის ყვავილი ხომ არ გექნება?

– ხვალ იკითხეთ, – დაიშრიალა ბალმა, – დღეს არც ერთი ყვავილი არა მაქვს გაშლილი.

ფუტკრები ტიტასთან წავიდნენ, მაგრამ ის სურნელსაც მოკლებული იყო და ტკბილ წვენსაც.

დაღონებული, დამშეული ფუტკრები შინ დაბრუნებას აპირებდნენ, მაგრამ ამ დროს ბუჩქის ქვეშ ნაზი ყვავილი დაინახეს. ეს ია იყო. იამ ფუტკრებს გადაუშალა თავისი ყვავილი, რომელიც საამურ სურნელს აფრქვევდა და ტკბილი წვენით იყო სავსე.

სვეს, ჭამეს ჩვენმა ფუტკრებმა და გახარებულები დაბრუნდნენ სახლში.

## ქრისტეფორე კოლუმბი

იტალიაში, ქალაქ გენუაში, ღარიბი კაცი ცხოვრობდა. მას ორი ვაჟი ჰყავდა. უმცროსის შესახებ არავინ არაფერი იცის. უფროს ვაჟს კი ქრისტეფორე ერქვა. იგი ცნობილი მეზღვაური გახდა. ქრისტეფორე კოლუმბმა ამერიკა აღმოაჩინა. მაშინ კოლუმბმა ეს არ იცოდა. კოლუმბს უნდოდა, რომ ინდოეთში ჩასულიყო. ევროპაში ფიქრობდნენ, რომ ინდოეთში ბევრი ოქრო იშოვებოდა. ოქროსგან ევროპაში მონეტებს აკეთებდნენ. ოქროს მონეტით ევროპაში ძალიან ბევრი რამის ყიდვა შეიძლებოდა.

ესპანეთის დედოფალმა იზაბელამ ქრისტეფორეს მოგზაურობისათვის სამი ხომალდი მისცა: “სანტა მარია”, “პინტა” და “ნინია”.

1492 წლის 3 აგვისტოს ქრისტეფორე კოლუმბმა დატოვა ესპანეთი და ატლანტის ოკეანეში გაცურა. იგი ინდოეთისაკენ მიმავალ საზღვაო გზას ეძებდა.

მოგზაურობა ძალიან რთული და ხანგრძლივი აღმოჩნდა. დრო გადიოდა. ინდოეთის სანაპირო არ ჩანდა. ბევრი მეზღვაური ავად გახდა. ბოლოს ერთ ხომალდზე გაისმა შეძახილი: “მიწა!” ორ თვეზე მეტი ხნის მოგზაურობის შემდეგ კოლუმბი მიადგა ამერიკას.

ახალი კონტინენტიდან კოლუმბმა გემებით ევროპაში შეიტანა კარტოფილი, სიმინდი, პამიდორი, კაკაო, თამბაქო. ამ პროდუქტებს ევროპაში არ იცნობდნენ. ეს პროდუქტები ევროპაში არ იშოვებოდა. ევროპაში კარტოფილი, სიმინდი, პამიდორი, კაკაო და თამბაქო ძალიან ძვირი ღირდა. ეს პროდუქტები ოქროსავით მნიშვნელოვანი იყო. ამ პროდუქტებს ჩვენ დღესაც ვიყენებთ.

## სულეიმან მეფე და ბრძენი წერო

(ინდური ზღაპარი)

ამბობენ, რომ სულეიმან მეფეს, რომელიც მარტო ადამიანებზე კი არა, ცხოველებზეც მბრძანებლობდა, ერთხელ ერთმა ბრძენმა უკვდავების წყლით სავსე თასი მიართვა და ასე უთხრა:

— იცოდე, ამ წყალს თუ არ დალევ, სიცოცხლეს მალე გამოეთხოვები, ხოლო თუ დალევ, უკვდავებას მოიპოვებ! ახლა შენ იცი, როგორც გულმა გითხრას, ისე მოიქეციო.

ჩაფიქრდა მეფე სულეიმანი და ბოლოს გადაწყვიტა, ბრძენებისთვის ეკითხა რჩევა.

მის ნება-სურვილს, აბა, წინ ვინ აღუდგებოდა! რაც კი დედამიწის ზურგზე ბრძენი იყო, ადამიანიცა და ცხოველიც, ყველამ მის სასახლეში მოიყარა თავი. მეფემ მათ თავისი გასაჭირი უამბო და შეეკითხა, როგორ მოქცეულიყო.

ყველამ ერთხმად შეაქო ამქვეყნიური ცხოვრება და მის სიტკბოებას ხოტბა შეასხა.

— სიცოცხლე უპირველესი სიმდიდრეა, სიცოცხლეზე ძვირფასი ამქვეყნად არაფერი არისო, — ერთხმად ამბობდნენ ისინი.

ერთი სიტყვით, ყველამ გადაწყვიტა, რომ სულეიმანს უკვდავების წყალი უნდა დაელია. მაშინ სულეიმანმა იკითხა:

— ბრძენებს შორის ხომ არავინ დარჩა ისეთი, ვინც აქ არ გამოცხადებულაო?

აღმოჩნდა, რომ ბრძენთა უბრძნესი წერო არ იყო ამ თათბირზე.

მეფემ მაშინვე კაცი გაგზავნა მის მოსაწვევად.

და, აი, წეროც გამოცხადდა მეფის სასახლეში. სულეიმანმა უამბო ყველაფერი და რჩევა სთხოვა.

მაშინ წერომ სულეიმანს ჰკითხა:

— უკვდავების წყალს მხოლოდ შენ დალევ თუ შენს მეგობრებსა და მახლობლებსაც დაალევინებო?

— წყალი მარტო ჩემთვისაა მოტანილი და სხვებს ნება არა აქვთ დალიონო.

— მაშ, რად გინდა სიცოცხლე, თუკი უმეგობროდ და უთვისტომოდ დარჩები? შენ ახლა მსოფლიოს განაგებ, მარტოდმარტო კი რას იზამო? — მიუგო წერომ.

სულეიმანმა შეაქო წერო და უკვდავების წყალი აღარ დალია.

## წერო

წერო ძალიან ლამაზი, წყალთან ახლოს მობინადრე ფრინველია. ის წეროსებრთა ოჯახს ეკუთვნის. თვითონ წეროს სახეობებიც მრავალნაირია, ესენია: იაპონური წერო, გვირგვინოსანი წერო, ციმბირული წერო და მყვირალა წერო.

იაპონური წერო - სახელწოდებიდან გამომდინარე, იაპონიაშია გავრცლებული. ის აქ ბედნიერების სიმბოლოდ ითვლება. იაპონური წერო ხმამაღალ, საყვირის მსგავს ხმას გამოსცემს.

ციმბირული წერო - წეროების ყველაზე იშვიათად გავრცელებული სახეობაა. ის თოვლივით ქათქათაა და ამიტომ ხშირად თოვლის წეროსაც კი ეძახიან. ყველა წერო წყლის ფრინველია, მაგრამ თოვლის წეროს განსაკუთრებით უყვარს წყალი. ის წყლიდან თითქმის არ ამოდის, სანამ გადაფრენის დროს არ მოუვა. გადაფრენისას ძალიან დარდობს, რადგან არ უნდა მიჩვეული ადგილიდან წასვლა და ბინის დატოვება. ამ წეროს ყველაზე მგრძნობიარე სახეობად მიიჩნევენ. მას გრძელი და წვეტიანი ნისკარტი აქვს, რითაც ღრმა წყლიდანაც კი შეუძლია საკვების ამოღება. ის გემრიელად მიირთმევს წყლის მცენარეებს და წყალში მყოფ პატარა ჭიებსა და თევზებს.

მყვირალა წერო - გავრცელებულია ძირითადად ცენტრალურ კანადაში, თუმცა გამოსაზამთრებლად მიფრინავს ტეხასში. ადრე მყვირალა წერო ჩრდილოეთ ამერიკაშიც ბინადრობდა, მაგრამ გადაშენდა და დღესაც გადაშენების საფრთხე ემუქრება. წეროს ეს სახეობა ყველაზე მცირე რაოდენობითაა გავრცელებული და მხოლოდ კანადაში გვხვდება.

გვირგვინოსანი წერო - წეროების ოჯახის წარმომადგენელია; მას სამხრეთაფრიკულ გვირგვინოსან წეროსაც უწოდებენ, რადგან ძირითადად სამხრეთ აფრიკაშია გავრცელებული. გვირგვინოსანი წერო უგანდის სახელმწიფო ემბლემაცაა, რადგან აფრიკელები მას ძალიან დიდი პატივს სცემენ და ბედნიერების სიმბოლოდ აღიქვამენ, ისევე, როგორც იაპონიაში. სხვა წეროებისაგან განსხვავებით, ის ერთი ფერის ბუმბულით არაა შემოსილი, უფრო მეტად აჭრელებულია ღია და მუქ -ნაცრისფერ, თეთრ და ყავისფერ ფერებში. თავზე კი, გვირგვინის მსგავსად, ბუმბული აქვს ამოზრდილი. სწორედ ამის გამო ეძახიან მას გვირგვინოსან წეროს.

**როგორ ცხოვრობენ წეროები?**

წეროები დედამიწის თითქმის ყველა კონტინენტზეა გავრცელებული, ანტარქტიდისა და სამხრეთ ამერიკის გარდა. ამ ადგილებში ისინი არ ბინადრობენ.

წეროები ძალიან აქტიური ფრინველები არიან მთელი დღის განმავლობაში, მაგრამ ღამით იძინებენ, ზოგი ხეზე იძინებს,ზოგი კი მიწაზე. წეროები იკვებებიან როგორც მცენარეული (ფოთლები, ფესვები, ღეროები), ასევე ცხოველური საკვებით - ჭიებით, მწერებით, ბაყაყებითა და პატარა თევზებით.

წეროები მთელ დღეს მხოლოდ საკვების მოპოვებაში არ ატარებენ. მათ ძალიან უყვართ ცეკვა. ძალიან ლამაზია, როცა წეროები ცეკვავენ. ეს მეორე წეროსათვის თავის მოწონების ერთ-ერთი ხერხია.

საერთოდ, წეროები ძალიან ერთგული ფრინველები არიან და მხოლოდ ერთ პარტნიორთან ცხოვრობენ, სანამ არ მოკვდებიან. ბუდესაც ერთად იშენებენ დედალი და მამალი წეროები. როცა კვერცხის დადებისა და პატარა წეროს ბარტყის გამოჩეკის დრო მოვა, დედალი წერო დებს ერთ კვერცხს ბუდეში და ჯდება მასზე, რომ გაათბოს. ერთზე მეტ კვერცხ წერო არ დებს. მამალი წერო კი დედალს ართობს, რათა ბუდეში ჯდომის დროს არ მოიწყინოს. როცა პატარა ბარტყი გამოიჩეკება, ორივეს მოაქვს მისთვის საკვები, მერე კი ერთად ასწავლიან ფრენასა და ცეკვას.

**ბოლოსიტყვაობა**

წერო სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა ზღაპარში განსხვავებულად გვხვდება, ის კარგის მომტანიცაა და ცუდისაც, ბავშვის დაბადების სიმბოლოცაა და სიკვდილის მოსვლის შესახებაც მიგვანიშნებს... წერო სინამდვილეში ძალიან უწყინარი ფრინველია, არავის არაფერს ერჩის, განსაკუთრებით - ადამიანს. მათი რაოდენობა დღეს უკვე ძალიან შემცირდა და ამიტომაც ბუნების დამცველები ცდილობენ, ისინი გადაშენებისაგან გადაარჩინონ. ყველა ჩვენგანი უნდა გაუფრთხილდეს ფრინველებისა და ცხოველების სიცოცხლეს, თორემ ასეთი ლამაზი და მრავალფეროვანი დედამიწა აღარ გვექნება.

## ჯიხვი

ჯიხვი დიდი ზომის თხაა, რომელიც მიეკუთვნება თხების გვარს. ცნობილია ჯიხვის ორი სახეობა: დასავლეთ კავკასიური და აღმოსავლეთ კავკასიური. იგი მხოლოდ კავკასიონის ქედის მაღალმთიანეთში და მსგავსი ჯიში მსოფლიოში არსად არ მოიპოვება. იგი ძირითადად გავრცელებულია აღმოსავლეთ კავკასიის, რუსეთის, საქართველოს და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. საქართველოში, კერძოდ, კახეთში, სვანეთსა და აფხაზეთის მთიან კავკასიონზე ბინადრობს.

ჯიხვი ძნელად მისადგომი, მაღალი კლდეების ბინადარია. იგი საკმაოდ მარდი და ფრთხილი ცხოველია. რის გამოც მასზე ნადირობა მხოლოდ გამოცდილ მონადირეებს შეიძლიათ.

ჯიხვი ლამაზი და მოხდენილი ცხოველია, გრძელი დაგრეხილი რქებითა და ლამაზი აგებულებით. მდედრ ჯიხვს შედარებით პატარა ზომის და უფრო წვრილი რქები აქვს, მაშინ როცა მამრების დიდი დახვეული რქები თითქმის ერთ მეტრს აღწევს.

ჯიხვის სხეულის სიგრძე საშუალოდ 130-150 სმ-ია, სიმაღლე 79-98 სმ, წონა 55-100 კგ. მდედრები შედარებით მცირე ტანისები არიან და მათი საშუალო წონა შეადგენს 45-55კგ-ს.

ჯიხვი ზამთრობით ძირითადად ტყეში ბინადრობს და ფოთლებით იკვებება. ზოგადად კი მის ძირითად რაციონს წარმოადგენს სხვადასხვა სახის მცენარეები და ალპური ბალახი. საკვების მოსაპოვებლად ჯიხვი საშუალოდ დღეში 15-20 კილომეტრს გადის. უმეტესწილად ჯიხვები 10-12 ინდივიდისგან შექმნილ ჯგუფებს ქმნიან.

მდედრი ჯიხვი ძირითადად ერთ ან იშვიათად ორ ნაშიერს შობს, რომელიც დაბადებიდან ერთ დღეში კლდეზე ცოცვას სწავლობს და ერთ თვეში ბალახით კვებას იწყებს, ისინი აგრეთვე იკვებებიან პირველი სამი თვის განმავლობაში რძითაც.

კავკასიური ჯიხვის რაოდენობა თანდათანობით მცირდება, რის გამოც ის წითელ წიგნშია შეტანილი და მასზე ნადირობა აკრძალულია.

## ზვიგენები

ზვიგენი ყველაზე დიდი თევზის სახეობაა. ისინი ზღვებსა და ოკეანეებში ბინადრობენ. ყველაზე დიდი რაოდენობით კი ოკეანეებში გვხვდებიან. ზვიგენის დააახლოებით 500-მდე სახეობა არსებობს, ზოგი მათგანის სახელები ვიცით, თუმცა ყველას შესწავლა შეუძლებელია.

საინტერესო ფაქტები ზვიგენებზე

თურმე ზვიგენს კბილები მუდმივად ეცვლება. ერთმა ზვიგენმა სიცოცხლის განმავლობაში შეიძლება მოიცვალოს 30 000 კბილი. ზვიგენის კბილები რამდენიმე მწკრივადაა განლაგებული. როცა წინა კბილი ზიანდება, მას ქვემოდან ახლად ამოზრდილი კბილი ცვლის.

ზვიგენი მაკო, რომელიც საათში 32 კმ სიჩქარით მიცურავს, მსოფლიოში ყველაზე სწრაფ ზვიგენად ითვლება. ამ ზვიგენმა 37 დღეში 2120 კმ გაცურა და ამით რეკორდი მოხსნა.

### თეთრი ზვიგენი

თეთრი ზვიგენი ყველაზე ცნობილი ზვიგენია. მის შესახებ ფილმებიც კი გადაიღეს, სადაც ისინი ძალიან საშიშები და აგრესიულები ჩანან. მეცნიერები ამბობენ, რომ ისინი არც ისე აგრესიულები არიან, როგორც ეს ფილმებიდან ჩანს. უფრო მეტიც, თურმე

ზვიგენები ძალიან გონიერი და ცნობისმოყვარე არსებები არიან. მათ ყველაფერი აინტერესებთ და ცნობისმოყვარეობის გამო ყველაფერს ეხებიან. შეხება კი მხოლოდ კბილებით შეუძლიათ, რაც ძალიან მტკივნეული და შეიძლება დამღუპველიც კი აღმოჩნდეს ცოცხალი არსებისათვის. საერთოდ, ზვიგენები მხოლოდ მაშინ ესხმიან თავს ადამიანებს, როცა ძალიან შიათ. მათ ორი-სამი თვე შეუძლიათ შიმშილის ატანა, მაგრამ მერე უკვე ვეღარ უძლებენ და ძალიან აგრესიულები და დაუნდობლები ხდებიან. თეთრი ზვიგენი ყველა ოკეანეში ცხოვრობს, გარდა ჩრდილო-ყინულოვანი ოკეანისა. ისევე, როგორც დანარჩენი ზვიგენები, ისინი, ძირითადად, სელაპებითა და თევზებით იკბვებებიან. როგორც უკვე გითხარით, მშივრები ძალიან საშიშები არიან, მაგალითად, ხმელთაშუა ზღვაში იყო შემთხვევები, როცა ზვიგენებმა ნავები და კანოეებიც კი შეჭამეს.

**შავი ზღვის ზვიგენი**

იცოდით, რომ შავ ზღვაშიც ბინადრობს ნამდვილი ზვიგენი? ნუ შეშინდებით, ეს ზვიგენი საშიში არაა ადამიანისათვის! მას არც ძალიან ბასრი კბილები აქვს და არც დიდი ზომებით გამოირჩევა. ამ ზვიგენს კატრანი ჰქვია. ყველაზე დიდი ზომის კატრანი 15 კილოგრამიანია. კატრანს მუქი ლურჯი ზურგი და თეთრი მუცელი აქვს. იკვებება მხოლოდ შემდეგი ჯიშის თევზებით: ქაფშია, ქაშაყი და სტავრიდა.

ეს ზვიგენი იშვიათად ამოდის ზღვიდან და მისი დაჭერაც იქაა შესაძლებელი, სადაც მისი საყვარელი საკვები თევზები მოიპოვებიან. კატრანი ამ თევზებს, სადაც წავლენ, თან მიჰყვება და ხშირად მათ გამო მახეშიც ებმება. კატრანს თავის დასაცავად ზურგის ფარფლის ქვეშ აქვს ერთი დიდი და შხამიანი ეკალი. თუ ის ადამიანს შეესო, იღუპება, ამის გამო კატრანს დიდი სიფრთხილით იჭერენ.

**მეგალოდონი-გამონაგონი თუ რეალობა?**

1,5 მილიონი წლის წინათ არსებობდა უზარმაზარი წყლის მტაცებელი ზვიგენი, რომელსაც მეცნიერებმა მეგალოდონი უწოდეს. მეგალოდონზე უამრავი ფილმია გადაღებული. მისი სხეული იმდენად დიდია, რომ ადამიანს აოცებს. ცოტა ხნის წინ, მისი არსებობის შესახებ ადამიანებს ეჭვიც კი ეპარებოდათ, თუმცა მეცნიერებმა მისი კბილები აღმოაჩინეს და ამ ზვიგენის ცხოვრების წლებიც ივარაუდეს.

მეგალოდონი ყველაზე დაუნდობელ მტაცებლად ითვლება მთელ სამყაროში.

მეგალოდონის სახელი უზარმაზარი კბილის გამო უწოდეს. „მეგა“- დიდს ნიშნავს, „ოდონი“ კი კბილს. მისი კბილის სიგრძე 18 სანტიმეტრს აღწევდა. დიდი თეთრი ზვიგენის კბილის სიგრძეს რომ შევადაროთ, მეგალოდონის კბილი 2-ჯერ მეტია მასზე. თეთრი ზვიგენის კბილის სიგრძე 8 სმ-ს აღწევს. მეცნიერები, მისი კბილებისა და სხეულის სხვა ნაწილების მიხედვით ვარაუდობენ, რომ მეგალოდონის სიგრძე 12-დან 30 მეტრამდე უნდა ყოფილიყო.

მიუხედავად იმისა, რომ ლურჯი ვეშაპი მეგალოდონზე დიდი არსებაა, მეგალოდონი მას ნაკუწებად აქცევდა და მიირთმევდა ხოლმე. იგი ძირითადად ვეშაპებს ჭამდა.

მეგალოდონი იყო უზარმაზარი, შეუბრალებელი არსება, მაგრამ მან ერთ დღეს სიცოცხლე შეწყვიტა. რას უნდა შეეშალა ასეთი ძლიერი  არსების სიცოცხლისთვის ხელი? მეცნიერებმა ამ კითხვაზე ზუსტი პასუხი არ იციან, თუმცა ფიქრობენ, რომ ამის მიზეზი შესაძლოა დედამიწაზე დიდი გამყინვარება ყოფილიყო, რასაც  მეგალოდონმა ვერ გაუძლო.

## ნიანგი

### ნიანგის სახეობები

ნიანგი ქვეწარმავალია და მისი სამი ძირითადი სახეობაა გავრცელებული. ეს სახეობებია: ნამდვილი ნიანგები, ალიგატორები და გავიალები. ნიანგი მტაცებელი და ძალიან საშიში ქვეწარმავალია, მას ადამიანის შეჭმაც კი შეუძლია. მაგრამ ძირითადად წყლის პატარა თევზებითა და ფრინველებით იკვებება. ნიანგის სამივე სახეობა საინტერესოა და ერთმანეთისაგან განსხვავებული. ამიტომ  სამივეს შესახებ მოგიყვებით თქვენთვის საინტერესო ამბებს.

### ნამდვილი ნიანგი

ნამდვილ  ნიანგებში ორი ნიანგია ძირითადად ჩვენთვის ცნობილი: ავსტრალიური მლაშე წყლის ნიანგი და ნილოსის ნიანგი.

### ავსტრალიური ნიანგი

მამალი ავსტრალიური ნიანგები დედლებთან შედარებით უფრო დიდები იზრდებიან, დაახლოებით 6-7 მეტრს აღწევენ. ნიანგის ეს ჯიში ყველაზე ფართოდაა გავრცელებული. გარდა ავსტრალიისა, ისინი ცხოვრობენ ინდონეზიასა და პაპუა-ახალ გვინეაშიც. ბოლო დროს ავსტრალიური ნიანგი იაპონიაშიც კი აღმოაჩინეს. მეცნიერებმა ეს იმით ახსნეს, რომ ნიანგს შეუძლია დიდ მანძილზე ცურვა, ადვილად არ იღლება. ავსტრალიური ნიანგები უმეტესად ფრინველებს, კუებს და კრაბებს ჭამენ, თუმცა დიდი ნიანგები თავს ესხმიან ანტილოპებსა და კამეჩებსაც კი. იმდენად ძლიერი ყბები და კბილები აქვთ ამ ნიანგებს, რომ თავისუფლად მიირთმევენ ასეთი  დიდი ზომის ცხოველებს.

### ნილოსის ნიანგი

ნილოსის ნიანგი ავსტრალიური ნიანგის შემდეგ ყველაზე დიდი ზომისაა. მას კაციჭამია ნიანგსაც კი ეძახიან. ძველად ამ ნიანგს ეგვიპტელები აღმერთებდნენ კიდეც და მას ძალიან დიდ პატივს სცემდნენ. ამ ნიანგს მოკლე ფეხები აქვს, მაგრამ ძალიან სწრაფი და ძლიერია, ფეხების დახმარებით ნიანგს სწრაფად სირბილი შეუძლია. მისი კანი განსაკუთრებულია, ადვილად არ იჭრება და არ იხვრიტება, ამიტომ ნიანგის მოკვლა ადვილი საქმე არაა. ნილოსის ნიანგს, ისევე, როგორც სხვა ნიანგებს, თითებს შორის საცურაო აპკი აქვთ და ცურვა სირბილზე უფრო სწრაფადაც კი შეუძლიათ. ნიანგებს, საერთოდ, წყლის ქვეშ ყოფნა

არ უყვართ. ისინი ზედაპირზე ამოყოფენ ხოლმე თავებს და ჰაერს სუნთქავენ, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, ნიანგები წყლის ქვეშ 2 საათსაც კი სძლებენ.

ნილოსის ნიანგები 5 მეტრამდე იზრდებიან და დაახლოებით 500 კილოგრამს იწონიან. ნილოსის ნიანგი, ისევე, როგორც ავსტრალიური, იკვებება ფრინველებით და ცხოველებით, მაგრამ ადამიანებსაც ხშირად მიირთმევს. მაგალითად, 2005 წელს უგანდაში მოკლეს დიდი ნილოსის ნიანგი, რომელსაც 20 წლის განმავლობაში შეუჭამია 83 ადამიანი.

ნილოსის ნიანგის კანისგან იშვიათ ჩანთებსა და ძვირფას ნივთებს ამზადებენ. ეს ნივთები ძალიან ძვირი ღირს. მისი ტყავის მოსაპოვებლად ძალიან ბევრი ნილოსის ნიანგი გაწყვიტეს და მათი რაოდენობაც ძალიან შემცირდა. დღეს ნილოსის ნიანგი წითელ წიგნშია შეყვანილი.

**ალიგატორი**

ალიგატორი ნამდვილი ნიანგებისგან გარეგნობით განსხვავდება. როცა მას პირი დახურული აქვს, მაშინ ზედა ყბის კბილები იმალება და მხოლოდ ქვედა ყბის კბილები ჩანს. ნიანგებს კი ორივე,ზედა და ქვედა კბილები უჩანთ პირის დახურვის დროს. ნიანგსა და ალიგატორს თავის ფორმაც სხვადასხვანაირი აქვთ, ნამდვილი ნიანგის თავი წაგრძელებული და წვეტიანია, ალიგატორის თავი უფრო მომრგვალებული და ბლაგვია. ის ინგლისურ „უ“ ასოს მოგაგონებთ.

ორი სახის ალიგატორი არსებობს: ამერიკული და ჩინური, მათი გავრცელების ადგილების მიხედვით. ორივე ალიგატორი მუქი ფერისაა, მუქი რუხი, ზოგჯერ შავიც კი. ალიგატორები ძირითადად ცხოველებითა და ფრინველებით იკვებებიან.

**ინდური გავიალი**

გავიალი ნიანგების განსაკუთრებული სახეობაა. ეს ჯიში ძირითადად ინდოეთში არის გავრცელებული. გარეგნობითა და თვისებებით ინდური გავიალი ძალიან განსხვავდება ნიანგების დანარჩენი ორი სახეობისგან. მისი თავი წაწვეტებული და წვრილია. აქვს გრძელი და ძალიან ვიწრო პირი, რითაც თევზებს იჭერს. მამალ გავიალებს უჩნდებათ ხახაზე პატარა წანაზარდი, რომელიც მათ ხმას უცვლის და უწვრილებს. დაწვრილებული ხმა კი დედალი გავიალებისათვის თავის მოწონებაში ეხმარებათ.

გავიალები დიდი ზომის ნიანგები არიან, საშუალოდ 6-6,5 მეტრს აღწევენ, მაგრამ ისინი ადამიანისათვის საფრთხეს არ წარმოადგენენ. რადგან ნაპირზე ყოფნისას ძალიან ნელა მოძრაობენ. თუმცა წყალში ინდური გავიალი ყველა ნიანგზე სწრაფად დაცურავს.

**გიგანტური ნიანგის ამბავი**

გიგანტური ნიანგი, რომელსაც ლულუნის ეძახიან გინესის რეკორდების წიგნში შევიდა, რადგან ის თავისუფლებაში გაზრდილი ყველაზე დიდი ნიანგია. იგი 6,7 მეტრი სიგრძისაა და 1075 კილოგრამს იწონის. მან ავსტრალიის ბინადარი 5-მეტრიანი ნიანგის რეკორდი მოხსნა.

ლულუნი 2010 წლის სექტემბერში ფილიპინების ქალაქ ბუნავანში სამდღიანი ნადირობის შედეგად იპოვეს. მისი ძებნა 2009 წელს ადგილობრივი მეთევზის გაუჩინარებისა და მცირეწლოვანი ბავშვის დაღუპვის შემდეგ დაიწყეს. ორივე შემთხვევაში „დამნაშავედ“ ახლა უკვე რეკორდსმენი ნიანგი ითვლება.

კაციჭამია ლულუნის დაჭერაში 100 ადამიანი მონაწილეობდა. ლულუნის დაჭერა არც ისე მარტივი აღმოჩნდა; პირველი ოთხი მცდელობა იმით დამთავრდა, რომ ნიანგმა მახე დაგლიჯა. საბოლოოდ, მონადირეებმა მისი დაჭერა ფოლადის ბაგირებიანი ხაფანგით შეძლეს.

ლილუნი ადგილობრივ ზოოპარკში მოათავსეს, სადაც მის სანახავად ბევრი ადამიანი მიდის.

## საავიაციო კატასტროფები

### შესავალი

თვითმფრინავი ყველაზე სწრაფი და კომფორტული ტრანსპორტია, მაგრამ თვითმფრინავით ფრენა ყოველთვის უსაფრთხო არ არის. ზოგჯერ თვითმფრინავი ფრენას წყვეტს და მიწაზე ეშვება. ასეთი დაშვება სახიფათოა და ხშირად მისი დაღუპვით მთავრდება ხოლმე. ასეთ შემთხვევას საავიაციო კატასტროფა ეწოდება.

საავიაციო კატასტროფები ძირითადად შეუმოწმებელ თვითმფრინავებს მოსდით, ან იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც მფრინავი შეცდომას უშვებს ფრენის დროს. ძალიან რთული საქმეა თვითმფრინავის მიწაზე დასმა. შეიძლება მან ძალიან კარგად იფრინოს ჰაერში, მაგრამ მიწაზე დაჯდომის დროს მოხდეს ავარია. ასეთ დროს აუცილებელია, რომ ხმელეთიდან მიღებული მითითებები, თუ სად და როგორ დაჯდეს თვითმფრინავი, ზუსტი იყოს და ეს მითითებები მფრინავმაც ზუსტად შეასრულოს.

### ყველაზე ცნობილი საავიაციო კატასტროფები

1. ტენერიფას ტრაგედია - მოხდა 1977 წლის მარტში, კანარის კუნძულზე, ტენერიფაზე. ამერიკის საბრძოლო თვითმფრინავი და დანიის სამგზავრო თვითმფრინავი ერთმანეთს შეეჯახნენ. ამ შეჯახებისას 583 ადამიანი დაიღუპა და ეს ტრაგედია ყველაზე დიდ საავიაციო ტრაგედიად ითვლება.

2. იაპონური ბოინგის ტრაგედია - 1985 წელს მოხდა ტოკიოში. თვითმფრინავი ტექნიკურად კარგად არ იყო შემოწმებული და აფრენისთანავე იგი ჰაერში აფეთქდა. ამ აფეთქების შედეგად 520 ადამიანი დაიღუპა.

3. შეჯახება ნიუ-დელიში-ნიუ-დელის აეროპორტთან ახლოს ჰაერში ერთმანეთს შეეჯახა ყაზახეთისა და საუდის არაბეთის თვითმფრინავები. შეჯახების მიზეზი იყო დელიდან

მოსული თვითმფრინავის დასმისათვის საჭირო არაზუსტი ინფორმაცია. ასევე, ყაზახი მფრინავების ინგლისური ენის არცოდნა. მათ კარგად ვერ გაიგეს ის მითითებები, რომლებსაც ღებულობდნენ ხმელეთიდან. ყაზახეთის თვითმფრინავიდან არც ერთი მგზავრი არ გადარჩენილა, ხოლო საუდის არაბეთის თვითმფრინავიდან მხოლოდ 2 ადამიანი გადაურჩა სიკვდილს. სულ ამ კატასტროფის დროს 349 ადამიანი დაიღუპა.

4. კატასტროფა პარიზთან ახლოს - 1974 წელს პარიზის მახლობლად, ტყეში ჩამოვარდა თურქული ავიახაზების თვითმფრინავი. მიზეზი კი ფრენის დროს ღიად დარჩენილი ასაწევი ბორტი იყო. თვითმფრინავის ყველა მგზავრი, სულ 346 ადამიანი დაიღუპა.

5. ინდოეთის თვითმფრინავის აფეთქება - 1985 წელს, როდესაც ინდოეთის ავიახაზების თვითმფრინავი ატლანტიკის ოკეანის თავზე მიფრინავდა, ჰაერში აფეთქდა. ამის მიზეზი იყო ტერორისტების მიერ დამონტაჟებული ბომბი რადიოში. როგორც კი ბომბი აფეთქდა, თვითმფრინავი ჩამოვარდა. ყველა მგზავრი - სულ 329 ადამიანი - მაშინვე დაიღუპა.

6. ცეცხლი თვითმფრინავის შიგნით - 1980 წელს საუდის არაბეთის თვითმფრინავში ცეცხლი გაჩნდა. ცეცხლი მოედო თვითმფრინავის სალონს და მფრინავის კაბინას. თვითმფრინავი მთლიანად დაიწვა და მგზავრების ჩამოყვანაც ვერ მოახერხეს მაშველებმა. ამ კატასტროფის დროს 301 ადამიანი დაიღუპა. ცეცხლის გაჩენის მიზეზი დღესაც უცნობია.

7. ამერიკელების შეცდომა - 1988 წელს ირანის სამგზავრო თვითმფრინავს ამერიკის საბრძოლო თვითმფრინავმა ესროლა და ჩამოაგდო. სინამდვილეში მათი სამიზნე ეს თვითმფრინავი არ ყოფილა, მათ შეეშალათ თვითმფრინავი და საბრძოლო ბოინგის ნაცვლად, სამგზავრო თვითმფრინავი ჩამოაგდეს. ამ ტრაგედიის დროს სულ 290 ადამიანი დაიღუპა.

**ბოლოსიტყვაობა**

საავიაციო კატასტროფები ხშირად არ ხდება, მაგრამ როცა თვითმფრინავი ვარდება, იქ ძალიან ცოტა ადამიანი გადარჩება ხოლმე. ამის გამო ძალიან საშიშია თვითმფრინავის ჩამოვარდნა. თუ თვითმფრინავი შემოწმებულია და მფრინავიც ყურადღებით მართავს თვითმფრინავს, მაშინ საჰაერო მგზავრობა მოხერხებული და უსაფრთხოა.

## ფირფიტების საკრავი

**შესავალი**

ადრე, სანამ CD-ფლეიერს გამოიგონებდნენ, არსებობდა სხვა ელექტრო მუსიკალური საკრავებიც. ასეთი იყო ფირფიტების საკრავი და პატეფონი. ფირფიტების საკრავი, როგორც სახელიდან ჩანს, ფირფიტაზე ჩაწერილ მუსიკას უკრავდა. პატეფონიც ფირფიტებს უკრავდა, მაგრამ მათ შორის იყო განსხვავება გარეგნულად და ტექნიკურად. პატეფონს აქვს ყვავილის მსგავსი მიკროფონი დამაგრებული, რაც ხმის გაძლიერების საშუალებაა. დღეს თითქმის ყველა ადამიანი ფლეიერს და მუსიკალურ ცენტრს იყენებს მუსიკის მოსასმენად, თუმცა

ფირფიტების საკრავები მაინც არსებობს. ზოგიერთ მუსიკის მოყვარულს ფიფრიტაზე ჩაწერილი მუსიკა ურჩევნია და პატეფონს უსმენს.

აგრეთვე ასეთი ძველი მუსიკალური საკრავების ნახვა მუზეუმებსა და ანტიკვარების მაღაზიებშიცაა შესაძლებელი.

**ვინ გამოიგონა ფირფიტების საკრავი და პატეფონი?**

პირველად ფირფიტების საკრავი 1887 წელს შექმნა გერმანელმა გამომგონებელმა ემილ ბერლინერმა. იგი 1881 წლიდან ამერიკაში ცხოვრობდა და აქვე შექმნა პირველი გრამაფონი და ფონოგრაფი, რომლებიც ასევე ელექტრო ხმის ჩამწერი აპარატებია. გრამაფონი მუსიკას უკრავს. ფონოგრაფს კი ხმის ჩაწერა შეუძლია, ჩაწერილი ხმა შეგიძლიათ შემდეგ ფონოგრაფითვე მოისმინოთ.

ფირფიტების საკრავს მუშაობისათვის ელექტრო ენერგია სჭირდება, ფირფიტების თეფში ეწოდება იმ ადგილს სადაც იდება ფირფიტა. ფირფიტის დადების შემდეგ საჭიროა მას შეეხოს სპეციალური მოხრილი ნემსი, რომელიც ფირფიტის კიდეს ბრუნვის დროს ედება. სხვა შემთხვევაში საკრავი ხმას არ გამოსცემს.

ფირფიტა ძალიან სწრაფად ბრუნავს და მუსიკას უკრავს. ერთი მუსიკა ჩაწერილია ერთ ფირფიტაზე. თუ გინდათ მეორე ფირფიტის მოსმენაც, ეს ფირფიტა უნდა აიღო და მეორე დადო ფირფიტების თეფშზე. გარკვეული ხნის შედეგ გამოიგონეს ისეთი საკრავი, რომელიც რამდენიმე ფირფიტას ერთდროულად უკრავდა. ამ საკრავს უფრო მაღალი ღერძი ჰქონდა და ზედ ემაგრებოდა ფირფიტები, როცა ერთი მორჩებოდა დაკვრას, მეორე ფირფიტა მოძვრებოდა ღერძიდან და ეცემოდა ფირფიტების თეფშზე. მაგრამ ამ გამოგონებას ცუდი მხარეც ჰქონდა. დაცემისგან ფირფიტები იკაწრებოდა და ხშირად ფუჭდებოდა.

რაც შეეხება პატეფონს იგი ისევე მუშაობს, როგორც ფირფიტების საკრავი, მაგრამ ზოგიერთ პატეფონს გაცილებით უკთესი და უფრო ძლიერი ხმა აქვს.

როგორც უკვე გითხარით, ფირფიტას ედება მოხრილი ნემსი, რომელიც დამზადებულია მეტალის, საფირონის ან ბრილიანტისაგან. თუმცა 1990 წელს იაპონელებმა უკვე ლაზერული ფირფიტები გამოიგონეს და ამ ნემსით ფირფიტის დაფიქსირება საჭირო აღარ იყო, ამ საქმეს ლაზერის სხივი აკეთებდა. მას შემდეგ რაც მაგნიტოფონები და ფლეიერები შემოვიდა ბაზარზე, ფირფიტების საკრავებისა და პატეფონების გაყიდვამ იკლო, ცოტა ხნის შემდეგ კი საერთოდ აღარ გაყიდულა. ამის შემდეგ მათი გაკეთება შეწყვიტეს.

**ბოლოსიტყვაობა**

ფირფიტების საკრავი ისევე, როგორც პატეფონი ძველებური, ძალიან ლამაზი მუსიკალური საკრავია. ისინი არაჩვეულებრივ ხმა გამოსცემენ და ამავე დროს მუსიკალური საკრავების ისტორიის ნაწილს შეადგენენ. ამიტომ ისინი ძალიან ძვირფასია დღესაც.

# ბინოკლი

## შესავალი

თქვენ იცით რა არის ბინოკლი? ან როგორ გამოიყურება ის? ის ისეთი საინტერესო საგანია, რომ ერთნაირად აინტერესებს ბიჭსაც და გოგონასაც, დიდსაც და პატარასაც. ის სათამაშოდაც გამოდგება და სერიოზული მიზნებისთვისაც.

ბინოკლი ხშირად გამოიყენება ნადირობის დროს, ან ტურისტული მოგზაურობის დროს... ადრე, როცა ადამიანები ხშირად ებრძოდნენ ერთმანეთს, ბინოკლს იყენებდნენ ხოლმე.

და მაინც: როგორ შეიძლება ბინოკლის გამოყენება? ის პატარა ნივთია, მოგრძო ფორმისაა და აუცილებლად ყველა ბინოკლს აქვს სპეციალური მინა. რომელსაც შეუძლია საგნების გადიდება, შორს მდებარე საგნის ახლოს დანახვა.

პირველად სამხედროებმა მეორე მსოფლიო ომის დროს გამოიყენეს ბინოკლი და მათ ეს ძალიან დაეხმარათ შორს დამალული მტრის ახლოდან დანახვაში.

ჩვენ შეგვიძლია გავეცნოთ ბინოკლის გამოგონების მოკლე ისტორიას.

## პირველი ბინოკლი

პირველი ბინოკლი მეცხრამეტე საუკუნეში გამოიგონა იგნაციო ფორომ იტალიაში. მაგრამ მისი გამოგონება არ ყოფილა სრულიად ახალი. უფრო ადრე, 1600-იან წლებში, უკვე გალილეო გალილეიმ შექმნა ბინოკლის ტიპის ხელსაწყო, რომელსაც ტელესკოპი ერქვა. მაგრამ გალილეის ტელესკოპი ძალიან მარტივი იყო, რაც შემდეგ იგნაციო ფორომ გააუმჯობესა და უწოდა ბინოკლი.

მალე ბინოკლები გამოჩნდა ამერიკასა და გერმანიაშიც. უფრო მეტიც, გერმანიაში ფოროს ბინოკლი კიდევ უფრო გააუმჯობესეს და ახლა მსოფლიოში საუკეთესო ბინოკლად ითვლება ცაისის (ძეისს) ბინოკლი.

იაპონელებიც დაინტერესდნენ ბინოკლით, მათ ბინოკლები ამერიკიდან შემოიტანეს და დღესაც მრავალმხრივ იყენებენ.

## ბოლოსიტყვაობა

როგორც ვნახეთ ბინოკლი ძალიან საინტერესო საგანია, მისი ყიდვა დღეს პრობლემას არ წარმოადგენს. ბინოკლს შეხვდებით მონადირის მაღაზიაში ან ტექნიკის მაღაზიებში.

მთავარია, ბინოკლის გამოყენება იცოდეთ, ამისთვის კი საჭიროა, კარგად იცნობდეთ მის ინსტრუქციას და თქვენ ბინოკლში გახედვის შემდეგ საოცრებას დაინახავთ...

# კომბაინი

## შესავალი

როდისმე გინახავთ, როგორ იღებენ სოფელში პურის მოსავალს? როდესაც პურის თავთავები ზრდას დაასრულებენ, მას მწიფე თავთავებს ეძახიან. ამ დროს უკვე პურის ასაღებად ფერმერები იყენებენ დიდი ზომის მანქანას, რომელსაც კომბაინი ჰქვია.

კომბაინის გამოგონებამ ხალხს ძალიან გაუადვილა შრომა. ისინი უფრო ნაკლებად იღლებოდნენ მოსავლის აღების დროს, უფრო სწრაფად რჩებოდნენ საქმეს და კიდევ ერთხელ ასწრებდნენ პურის დათესვას.

ადრე კომბაინი ძალიან დიდი იყო და მის გადაადგილებას 16 ცხენი სჭირდებოდა. საინტერესოა, ვინ გამოიგონა ასეთი კომბაინი, ან როგორ შეეძლო ამ მანქანას პურის აღება და მისი თავთავების გამორჩევა.

## პირველი კომბაინი

პირველად კომბაინი, როგორც უკვე გითხარით, ძალიან დიდი იყო და იგი გამოიგონა ერთმა ამერიკელმა კაცმა - ჰირემ მურმა 1838 წელს.

კომბაინი შედგებოდა ორი ძირითადი ნაწილისაგან: ეს იყო საჭრელი მანქანა, რომელიც ჭრიდა მცენარეს. მეორე ნაწილი იყო სალეწი მანქანა, რომელსაც მოჭრილი პურის თავთავი მიეწოდებოდა და იგი არჩევდა მას. მარცვლებს ცალკე ყრიდა, ხოლო თავთავისგან დარჩენილ ნაწილს, ანუ ბზეს კი - ცალკე აგროვებდა.

საჭრელი მანქანა ძალიან ბასრია, მას ნამგალივით პირი აქვს, რომელიც ერთდროულად რამდენიმე მცენარეს ხვდება და ძირს ზემოთ ჭრის მას. ხოლო სალეწი მანქანა იყო დიდი ვაგონის ფორმის მოწყობილობა, რომელიც მანამ ბრუნავდა და ლეწდა ხორბალს, სანამ მას მარცველები არ გასცვივდებოდა... გამორჩეული მარცვლები ცალკე ყუთში იყრებოდა, ხოლო ის თავთავები, რომლებსაც მარცვლები არ გასცვივდათ, ისევ უკან ბრუნდებოდნენ სალეწ მანქანაში და მათ კომბაინი წვრილად აქუცმაცებდა. ეს დაქუცმაცებული მასაა ბზე, სადაც ერთმანეთში არეულია ქატო და ნამჯა.

მართალია, ადრინდელი კომბაინები ძალიან აადვილებდნენ ადამიანების მუშაობას, მაგრამ მათ მაინც სჭირდებოდათ დახმარება. ერთ კომბაინთან თავიდან 36 ადამიანი მუშაობდა, მერე ეს რიცხვი 30 მდე შემცირდა.

## თანამედროვე კომბაინები

წლების განმავლობაში კომბაინები საგრძნობლად გააუმჯობესეს. ის ახლა მაინც საკმაოდ დიდი, მაგრამ უკვე კომფორტული მანქანაა, სადაც აღარც მტვერი შემოდის და არც მზისგან იწვება ადამიანი. უფრო მეტიც, დღეს კომბაინები სტერეოსისტემაზეა აწყობილი, მათ ასევე აქვთ კონდიციონერი და რადიო იმისათვის, რომ მუშაობა არ იყოს ძალიან დამღლელი და მოსაწყენი.

**ბოლოსიტყვაობა**

მე-19 საუკუნეში გამოგონებულმა ამ საინტერესო მანქანამ მთლიანად შეცვალა ფერმერების ცხოვრება: შეამსუბუქა მათი შრომა და მათი შემოსავალიც გაზარდა. ადრე კომბაინები ძალიან ძვირი ღირდა, მაგრამ შემდეგ იგი შედარებით გაიაფდა, თუმცა დღესაც მისი ღირებულება სხვა მანქანებზე ბევრად მეტია. მე მინახავს კომბაინის მუშაობა, თუ თქვენც გაინტერესებთ ამის ნახვა, შეგიძლიათ მოსავლის აღების დროს ესტუმროთ სოფელს და უყუროთ, როგორ ამუშავებს პურის თავთავებს კომბაინი.

## მიწისძვრა

**შესავალი**

თქვენ ალბათ უკვე გსმენიათ მიწისძვრის შესახებ მშობლებისაგან ან სულაც ტელევიზორის საშუალებით. ხშირად, როცა მიწისძვრები ხდება, ამას ტელევიზიით გადმოსცემენ ხოლმე.

მიწისძვრა ბუნებრივი მოვლენაა, ისევე, როგორც ქარი და წვიმა. ბევრ ადამიანს ეშინია მიწისძვრის და მიიჩნევენ, რომ იგი ძალიან საშიში და დამღუპველიც კია. მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ არის.

ერთი შეხედვით უწყინარი ჟუჟუნა წვიმაც კი შეიძლება საშიშ წყალდიდობად იქცეს, ასევეა მიწისძვრაც. ჩვენ ვერც კი ვგრძნობთ, წამში რამდენჯერ შეიძლება მოხდეს მიწისძვრა, მაგრამ თუკი როდისმე სპეციალურ სადგურში (ამ სადგურს სეისმოლოგიური სადგური ეწოდება) მოხვდებით, სადაც მიწისძვრებს აკვირდებიან, მაშინ ნახავთ, რომ თურმე ძალიან ხშირად ხდება მსუბუქი მიწისძვრები.

ასეთი მიწისძვრა საშიშია არაა. მაგრამ ჩვენ ვიცით ისეთი მიწისძვრების შესახებაც, რომლებმაც გამოიწვიეს სახლების ნგრევა, მიწის ჩამოშლა, ადამიანების დაღუპვა და ა.შ.

**რატომ ხდება მიწისძვრა?**

ყველას გვაინტერესებს, რატომ ხდება მიწისძვრა. დედამიწის სიღრმეში არსებობს ბევრი ქანი, ისინი ერთმანეთზეა დაწყობილი და თავისი ენერგია გააჩნია. დროთა განმავლობაში, ქანებს შორის ენერგია იზრდება და დიდი სიმხურვალე ჩნდება. დედამიწას ესაჭიროება ენერგეტიკული განმუხტვა. მიწისძვრა სწორედ ეს ენერგეტიკული განმუხტვაა, ამ დროს ქანები სცილდება ერთმანეთს და ჩნდება დიდი ძალა, რომელიც არხევს მიწას. ხშირად მიწისძვრას ხმაური და გუგუნიც ახლავს. ეს ხმაც მიწის სიღრმიდან ამოდის.

რაც უფრო მაღალია დედამიწის ენერგეტიკული ძალა, მით უფრო ძლიერია მიწისძვრა. ზოგ ადგილას ეს ძალა არც ისე მაღალია, სწორედ ამიტომაა, რომ ადამიანები ვერც კი

გრძნობენ ხოლმე დედამიწის მსუბუქ რხევას, მაგრამ ზოგან ენერგეტიკული ძალა ძალიან დიდია, ასეთ დროს მიწისძვრას ნგრევაც შეიძლება მოჰყვეს.

მიწისძვრის სიძლიერეს ზომავენ სპეციალური საზომი საშუალებით. ამ საზომს რიხტერის შკალა ეწოდება, ხოლო საზომ ერთეულს - ბალი.

**როგორ უნდა მოვიქცეთ მიწისძვრისას?**

მიწისძვრის შესახებ წინასწარ არავინ იცის. მეცნიერებიც კი ვერაფერს გვეუბნებიან, თუმცა ისინი ცდილობენ, სპეციალურ ლაბორატორიებში დააკვირდნენ ბუნებრივ მოვლენებს.

არც მიწისძვრის თავიდან არიდება შეუძლია ვინმეს! მთავარია, შენობების შენების დროს გათვალისწინებული იყოს მისი სიძლიერე, რომ მიწისძვრის დროს არ ჩამოინგრეს.

გარდა ამისა, მიწისძვრისას მთავარია არ შეგეშინდეთ და არ დაიბნეთ! კიბეზე არ უნდა ჩახვიდეთ, თუ ამ დროს შენობაში ხართ! ასევე, მოერიდეთ ლიფტს. გარდა ამისა, უკეთესია, მოერიდოთ მაღალი შენობების გვერდით დგომას, ისინი შეიძლება ჩამოინგრეს! ამ დროს ყველაზე კარგია, მოძებნოთ ისეთი ადგილი, რომელიც ადვილად არ ჩამოინგრევა, მაგალითად, შენობის ძირითადი კედელი.

მთავარია, გახსოვდეთ, რომ მიწისძვრა დიდხანს არ გრძელდება, ის მალევე გადაივლის!

## ვულკანი

**შესავალი**

ვულკანი ბუნებრივი მოვლენაა. იგი დედამიწის ქერქიდან ამოსული ცხელი მასაა, რომელიც ძალიან სწრაფად გადაადგილდება. იგი ძალიან საშიშია და წინ ვერაფერი ეღობება.

ცხელი მასა გადაადგილდება და მერე ცივდება, ასე წარმოიქმნება ვულკანური მთები. აგრეთვე არსებობენ მოქმედი და ჩამქრალი ვულკანები. მოქმედი ვულკანიდან ყოველთვისაა კიდევ ამოფრქვევის საშიშროება, ხოლო ჩამქრალი ვულკანი უკვე საშიში აღარაა.

გარდა იმისა, რომ ვულკანებს კატასტროფა, ნგრევა და სიკვდილი მოაქვთ, ამოფრქვევის შემთხვევაში, მათ ასევე შეუძლიათ სარგებლობის მოტანაც. ამოფრქვევის შედეგ ვულკანური მასა ტოვებს ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების საბადოებს. გარდა ამისა, ვულკანური ფერფლი შეიცავს სასარგებლო მინერალებს. ამიტომაცაა, რომ ვულკანების მიმდებარე ტერიტორიები ძალიან ნაყოფიერი და მინერალებით მდიდარია.

**როგორ ჩნდება ვულკანი?**

ვულკანის ამოფრქვევას დედამიწის ზედაპირზე ვხედავთ, მაგრამ იგი უფრო ღრმად, დედამიწის ქერქში მზადდება. ვულკანს გააჩნია კონუსი და კრატერია, ეს მისი ნაწილებია და ჰგავს წრიული ფორმის ჩაღრმავებას ვულკანის ზედაპირზე, ხოლო მის სიღრმეში

ვულკანის კერაა და აქ მზადდება ლავა, ანუ ცხელი მასა, რომელსაც ყელის საშუალებით ამოისვრის ვულკანის კონუსისაკენ.

ვულკანი სამი სახის მასას ამოისვრის: ლავას, ანუ თხევადი მასას, ვულკანურ ფერფლს, ანუ მყარ მასას და წყლის თხევად მასას - ორთქლს.

ვულკანების უმეტესობა წყლის ქვეშაა, ძირითადად წყნარ ოკეანეში. ხოლო ხმელეთზე ყველაზე დიდი რაოდენობით ვულკანებია ინდონეზიის კუნძულებზე. ცნობილია აქ ამოფრქვეული ვულკანი კრაკატაუ, რომელიც 1883 წელს ამოიფრქვა. ეს ვულკანი დღესაც მოქმედი ვულკანია და მას კრაკატაუს შვილსაც ეძახიან.

ვულკანის ამოფრქვევის შესახებ მეცნიერებს არაფრის თქმა არ შეუძლიათ. ხშირად ხდება, ხოლმე, როცა მიწისძვრა და ვულკანის ამოფრქვევა ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ვულკანის ამოფრქვევას წინ არაფერი უსწრებს.

მიწისძვრას კიდევ შეიძლება გაერიდოს ადამიანი, მაგრამ ვულკანისაგან თავის დაცვა თითქმის შეუძლებელია.

## ბულბული

ბულბული არის პატარა, წყნარი, ფრთხილი და გულკეთილი ფრინველი: ბეღურას ჰგავს, თუმცა უფრო წვრილი და ლამაზი ტანისაა. გუგულივით მიუკარებელი არ არის და ადამიანს ადვილად ენდობა თავის საუბედუროდ. ამის გამო ბულბულის დაჭერა ადვილია. ხეზე ჯდომა მაღლა არ იცის; კაცის სიმაღლეზე ზის და ჩამოშვებული აქვს ფრთები, ბოლო კი აწეული აქვს. მიწაზე სწორად დგომა ეხერხება და მარდადაც დახტის. ბულბული ჭამს სხვადასხვა ჭია-ღუას, რომლებსაც მიწაში ქექვით ეძებს და პოულობს. მისი საყვარელი საჭმელი კი ჭაინჭველის კვერცხებია. არც მწიფე მარწყვსა და მაყვალს იწუნებს. წყლის სმა მალ-მალე იცის; ჭამის შემდეგ ყოველთვის წყალს სვამს. როცა თბილა, ყოველდღე წყალში ბანაობს. ბულბული ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ ზაფხულობით მოფრინდება ხოლმე, სხვა დროს თბილ ქვეყნებშია. გაზაფხულზე ბულბული რომ მოვა, თავის ძველ ადგილს მოძებნის და ამ ადგილს სხვას არასოდეს არ დაუთმობს. მაგრამ ერთი წლის ბულბულები ბევრს წვალებას გამოივლიან ხოლმე: მოუსვენრად ეძებენ მოხერხებულ ადგილს საცხოვრებლად და ბუდის გასაკეთებლად. ბუდის გაკეთება ბულბულს წყლის ახლოს უყვარს, ხშირ ბუჩქებში, უფრო კი – კუნელის ბუჩქებში. მაისის დასაწყისში დედალი ბულბული დებს ოთხ ან ხუთ კვერცხს; მამალი ბულბული ეხმარება შვილების გამოჩეკასა და გაზრდაში. სამი კვირის შემდეგ ბარტყები ფრენას შეძლებენ ხოლმე და ამის შემდეგ დედ-მამა ცდილობს, თავის პატარა ბარტყებს გალობა კარგად ასწავლოს. კარგი საყურებელია, როცა ბუჩქზე ან ხეზე დედალ-მამალი ბულბული შვილებს გარშემო შემოისხამს და გალობას ასწავლის.

ბულბულის გალობა ყველა სხვა ფრინველის გალობას სჯობს. ასაკოვანი მამალი ბულბულები უფრო კარგად გალობენ, ვიდრე ახალგაზრდები. მაგრამ ბულბული, რაც არ

უნდა ცუდად გალობდეს, სხვა ფრინველებს გალობაში მაინც ბევრად სჯობს. ეს ყველა ფრინველმა კარგად იცის და ზოგიერთს სურს, მიბაძოს ბულბულს და ისეთივე გალობა ისწავლოს, მაგრამ ტყუილად წვალობენ ხოლმე: ბულბულისებური გალობა მხოლოდ ბულბულს შეუძლია.

ბულბულს გალობა უფრო დილას და საღამოს უყვარს. მამალი ბულბული ზოგჯერ ღამეც გალობს და ბუდეში მჯდომ დედალს მშვენიერი ხმით აწონებს თავს. ძალიან კარგი მოსასმენია ბულბულის გალობა წყნარსა და ნათელ ღამეს. მაღლიდან სავსე მთვარე ბუჩქებსა და ხეებს ზემოდან ანათებს, ფრინველებს სძინავთ, გარშემო ყველა ცხოველი ჩუმადაა და ამ დროს ბულბული ნაზი ხმით ათასნაირად უსტვენს და სიჩუმეს არღვევს. ბულბულები უფრო აქტიურად გაზაფხულზე გალობენ: მაისში, როცა ახალი მოფრენილები არიან სამშობლოში. ყველა ბულბულს საყვარელ სამშობლოში მოსვლა უხარია და თავის სიხარულსა და კმაყოფილებას გალობით გამოხატავს, მაგრამ ამ გალობას სხვა მიზეზიც აქვს: თბილი ქვეყნებიდან ჯერ მამალი ბულბულები მოვლენ ხოლმე და მერე – დედლები. ყველა მამალი ბულბული განუწყვეტლივ გალობს, რომ დედალმა მოსვლის შემდეგ ხმაზე იცნოს, იპოვოს და სხვა მამალს არ დაუმეგობრდეს...

რადგანაც ბულბულების გალობა ადამიანისათვის ძალიან სასიამოვნოა, ამიტომ ამ ფრინველს ბევრგან იჭერენ და გალიაში ჰყავთ. მაგრამ ეს ჩვეულება მოსაწონი არ არის: ბულბულები ფრთხებიან და ასეთ ადგილებს აღარ ეკარებიან. ზოგიერთს ქვეყანაში ისეთი უგუნური ხალხია, რომ ამ მშვენიერ, პატარა ფრინველებს საჭმელად ხოცავს. თუ ბულბულები სახლების ახლოს, ხეებზე სხდებიან, მაშინ მათი პირველი მეტრი კატაა. როცა ხეზე ბულბულები გალობენ, თვალები დახუჭული აქვთ, ამიტომ ეშმაკი კატა ადვილად ეპარება და იჭერს. ბულბულს ბუც ემტერება. პატარა ბიჭებიც ბუდეს მოუშლიან ხოლმე. აგვისტოს ბოლოს ბულბული თავის ბარტყებით თბილ ქვეყანაში მიფრინავს.

ბულბული სასარგებლო ფრინველია, რადგანაც მარცვლეულის ჭამა მას არ შეუძლია, ის იკვებება მხოლოდ წვრილი მატლებით, ჭიებით და მათი კვერცხებით, რითაც ძლიერ ხელს უწყობს მოსავალს.

ასეთივე სასარგებლონი არიან სხვა მგალობელი ფრინველებიც, მაგალითად: შაშვი, ტოროლა, ჭინჭრაქა, ანუ ღობემძვრალა, ნიბლია და სხვანი.

## ლომი

ლომს ნადირთა მეფეს ეძახიან. ერთი შეხედვაც კი კაცს დაარწმუნებს, რომ მეფის სახელი ტყუილად არ დაურქმევიათ. გარეგნობითა და გაბედულობით ლომს ვერც ერთი ნადირი ვერ შეედრება. სილამაზე, სიძლიერე, სხეულის კარგი მოყვანილობა და განიერი მკერდი ლომს მშვენიერ სანახავ მხეცად ხდის. საოცარია მისი ღირსებით სავსე მიხვრა-მოხვრა, მისი საშინელი ღონე, დიდი სიმამაცე. ლომი ამაყია, თანაც სულგრძელი და კეთილი თვისებების მქონე.

ის მხოლოდ მაშინ მტაცებლობს, როდესაც მშიერია; მხოლოდ მაშინ იბრძვის, როდესაც თავის საკადრისსა და დაუნდობელ მტერს შეხვდება. ლომი უმიზეზოდ არავის დაჩაგვრას არ მოინდომებს. მისი თვალები ბნელს ღამეში ცეცხლივით ელვარებს. მისი კბილები სწორედ ალმასივითაა. გრძელი ფაფარი თავსა და ბეჭებზე ლომს სქლად აყრია და დიდებულ სახეს აძლევს. გრძელი და წვეტიანი ბრჭყალები კატასავით თითებში აქვს დამალული და, როცა დადის, ბრჭყალების წვერებს დედამიწას არ აკარებს. მისი ბრჭყალები ძალიან წვეტიანია. კუდი გრძელი და ღონიერი აქვს და მისი ბოლო ხარის კუდსა ჰგავს.

ლომი კატის ჯიშისა არის და ცხელ ქვეყნებში ცხოვრობს. მარტოდ ცხოვრება ძალიან უყვარს. როცა ის ბრდღვინავს, მთელი ტყე ხმას აძლევს, თითქოს ქუხსო. არაბები მის ხმას რომ გაიგონებენ, იტყვიან ხოლმე: „ლომს ქუხილი გააქვსო“.

ლომს საცხოვრებლად მოსწონს დაბურული, ტყიანი, წყლის ახლოს მდებარე ადგილები. მთიან ადგილას ცხოვრება აგრე რიგად არ უყვარს. თუ ლომმა იპოვა ძალიან მივარდნილი ადგილი, სადაც კაცის ფეხი არ დადგმულა, იქ კარგა ხანს დაბინავდება და მარტო ცხოვრობს. ის იკვებება სხვადასხვა ცხოველის ხორცით. როდესაც ერთ ადგილას საჭმელი შემოაკლდება, მაშინ საცხოვრებელს იცვლის, სხვაგან გადადის. ლომი მხოლოდ ღამე ნადირობს. როცა თენდება, ბუჩქნარებში იმალება და მთელი დღე ისვენებს, სძინავს... მაგრამ როგორც კი მზე ჩავა და ცაზე ვარსკვლავები გამოჩნდებიან, ლომი სანადიროდ გამოდის და თავისი ღრიალით ყველას აცნობებს, აღარა მძინავსო. მაშინ ყველა ცხოველი, მისი საშინელი ხმის გამგონე, კანკალებს, ჩუმდება და იმალება, მაგრამ მის გამჭრიახ თვალებს რა გამოეპარება ან ვინ გაექცევა მის წვეტიანსა და ბასრს ბრჭყალებს!

ლომი ბევრ შინაურს ცხოველს ღუპავს. ცხვარი, ძროხა, თხა, ცხენი და აქლემი ლომის საყვარელი საჭმელია. აი, დაღამდა... არაბმა თავისი საქონელი შერეკა ბაკში, რომელსაც მაღალი ღობე აქვს შემორტყმული. ლომი, შიმშილისაგან გამგელებული, აქეთ-იქით დადის. მიუახლოვდა ბაკს და ღობეზე გადახტა. საქონელი დაფრთხა და საცოდავი ბღავილი დაიწყო, თითქოს ლომს შებრალებას ეხვეწებაო. შეშინებული ძაღლები თავის პატრონთან მიცვივდნენ და ყეფის მაგივრად საცოდავი წკმუტუნი დაიწყეს. საწყალი მწყემსიც შეშინებულია და იმალება. ან კი რა უნდა ქნას? ლომს როგორ მოერევა? მწყემს შუბი აქვს, მაგრამ ლომს შუბზე უფრო მჭრელი კბილები აქვს: შუბის მოქნევას არც კი დააცდის, უცებ მივარდება და მოკლავს... მწყემსი იმალება, რომ თავისი თავი მაინც გადაარჩინოს, თუ საქონელს ვერაფრით უშველის. ლომი თანდათან საქონელს მიუახლოვდება, აირჩევს რომელიმე ცხოველს, თავს დაესხმება და ერთ წამში მოკლავს; მერე თავის ბასრს კბილებს ჩაუყრის და ღობეს გარეთ გადააგდებს, ბოლოს თვითონაც ბაკიდან უკანვე გადახტება, დაავლებს პირს თავის მსხვერპლს და ბუნაგში მიაქვს ისე ადვილად, თითქოს პატარა ჩიტი მიაქვსო. ლომმა შინაური ცხოველის დაგლეჯა არ იცის. ტყუილად საქონლის დასახიჩრებას ლომი არ კადრულობს.

ლომი გარეულ ცხოველებზე სხვანაირად ნადირობს: ნადირის დაჭერა ისეთი ადვილი არ არის, როგორც შინაური საქონლისა: ზოგი ნადირი შორს ხედავს; ზოგი კი ისეთი სწრაფია, რომ ლომი ვერ ეწევა. ამ შემთხვევაში ლომი კარგი მონადირესავით იქცევა: იგი

მოძებნის ხოლმე წყლის ახლოს მოხერხებულ ადგილს, ბუჩქებში უსაფრდება და ნადირს უთვალთვალებს. აი, დაღამდა და ცაზე ვარსკვლავები გამოჩნდა. უცებ სიბნელეში გამოჩნდა მშვენიერი ირემი. მას უკან სხვა ირმებიც მოსდევენ. ირმის ყურს არ გამოეპარება ფოთლის შრიალიც კი და, თუ რამე საეჭვო დაინახა, სწრაფად ბრუნდება უკან და ისარივით მიქრის. ირმები მდინარეს მიუახლოვდნენ და წყალს სმა დაუწყეს. ამ დროს ბუჩქიდან ლომი უცებგადმოხტა და ერთ ირემს სწრაფად ზედ დაახტა. სხვა ირმები გაიფანტნენ, მაგრამ ერთი კი ბრჭყალებში ჩაიგდო და ლომს მეტი არც უნდოდა...

-2-

ძალიან გამბედავი მონადირე უნდა იყოს, რომ ლომზე ინადიროს. მონადირე იშვიათად გაბედავს ლომთან პირდაპირ ბრძოლას და, თუ მაინც გაბედა და მოკლა კიდეც - მაშინ სახელი შორს გაუვარდება და ხალხიც გმირს დაუძახებს. ბევრს მონადირეს უნდა, რომ ხალხში ლომის მძლეველის სახელი გაიგდოს, მაგრამ ამ სურვილის შესრულება ადვილი არ არის...

ზოგჯერ ისე ხდება, რომ ერთი ლომი გააქცევს ხოლმე ასზე მეტს არაბს. ლომმა ბრძოლიდან გაქცევა არ იცის. იგი ან კვდება მტრის ხელით, ან გამარჯვებული გამოდის ბრძოლიდან. ერთხელ ერთმა ლომმა ორასი კარგად შეიარაღებული არაბი დაიფრინა, ერთი კაცი მოკლა და ექვსი დაგლიჯა.

გაზაფხულზე, როცა ლომის ლეკვების დაყრის დრო მოვა, მოშორებით, წყლის ახლოსმოძებნის რამე ადგილს და იქ ბინავდება, აქ დაყრის სამ ან ოთხ ლეკვს, რომელთაც მაშინვე თვალები ახილული აქვთ. ექვს ლეკვზე მეტი კი ლომს არასოდეს არ ეყოლება. ახლად დაბადებული ლეკვები კატის ტოლები არიან. ხვადი ლომი ძუ ლომს საჭმლის შოვნაში ეხმარება. ძუ ლომს ძალიან უყვარს თავისი პატარა ლეკვები და სიამოვნებით უყურებს იმათ ცელქურ თამაშს. ორი თვის შემდეგ ლეკვები სიარულში იმართებიან. პირველად კატის კნუტივით კნავიან, მერმე თანდათან ხმა ეცვლებათ, უდიდდებათ და სიმარდეც ემატებათ. დედა ზრდის ექვს თვეს, მერმე ლეკვები იმას უკან გაჰყვებიან სანადიროდ და საჭმლის საშოვრად.

ლომს სიკეთის საოცარი გადახდა შეუძლია. აი ამის ერთი მაგალითი:

ძველ დროში რომის ერთი მებატონის მონამ, სახელად ანდროკლემ, დანაშაული ჩაიდინა. სასჯელის შეეშინდა და აფრიკაში გაიქცა, სადაც ბევრი ლომი იყო. რადგანაც ანდროკლეს დაჭერისა ეშინოდა, ამიტომ უდაბნოში გავიდა და იქ იმალებოდა. დიდი სიცხის დროს თავი შეაფარა ერთ დიდს გამოქვაბულში, მაგრამ იმავე გამოქვაბულში თურმეერთი უზარმაზარი ლომი ცხოვრობდა. როცა ლომმა ანდროკლე დაინახა თავის ბუნაგში, მშვიდობიანად მიუახლოვდა და მუხლზე დაადო თავისი დაჭრილი ფეხი, რომელიც სისხლში ჰქონდა მოსვრილი. ანდროკლე მიხვდა, რომლომის დახმარებას სთხოვდა: გაუსინჯა დაჭრილი ფეხი და ამოუღო იქიდან გრძელი და წვეტიანი ეკალი. ლომმა მადლობის ნიშნად ანდროკლეს ლოკვა დაუწყო. ამის მერე, როცა ნანადირევი მოჰქონდა, ანდროკლესაც აძლევდა. ასე იცხოვრა ორმა მეგობარმა მთელი სამი თვე.

ბოლოს ანდროკლეს გამოქვაბულში მოსწყინდა მარტოდმარტო ცხოვრება, გამოვიდა გარეთ და რომაელებმა დაიჭირეს. იგი რომში გაგზავნეს.

ანდროკლეს, როგორც დამნაშავე მონას, მიუსაჯეს ლომებთან ბრძოლა. ეს ბრძოლა, როგორც წესი, ადამიანის დაგლეჯითა და სიკვდილით თავდებოდა. დანიშნულ დროს ანდროკლე გაიყვანეს ბრძოლის არენაზე და გამოუშვეს ლომებიც. ყველაზე დიდი და საშინელი ლომი მიუახლოვდა ანდროკლეს, მაგრამ მისი დაგლეჯის მაგივრად, დასუნა, გარშემო შემოუარა და ფეხქვეშ გაუგორდა, თან ლოკვა დაუწყო. ეს ის ლომი იყო, რომელთანაც ანდროკლე ცხოვრობდა გამოქვაბულში... თურმე რომაელებს ისიც დაეჭირათ და სანახაობისთვის ჩამოეყვანათ რომში.

ყველა მაყურებელს გული აუჩუყდა და ანდროკლეს დანაშაული აპატიეს. ეს ლომიც საჩუქრად მისცეს. ანდროკლეს ცხოველთა მეფე დაჰყავდა რომის ქუჩებში და ხალხს აჩვენებდა. ხალხიც ფულს უხვად აძლევდა მას და, დიდი პატივისცემის ნიშნად, ლომსაც ყვავილებს აყრიდა.

## არწივი

-1-

არწივი ყველა ფრინველის მეფედ ითვლება და ღირსიც არის ამ დიდებული სახელისა. იგი მძლავრი, გულადი და ამპარტავანი ფრინველია. ტანი მოშავო ფერისა აქვს, მხოლოდ კისერზე აქვს ოქროსფერი ზოლი; ნისკარტი აქვს მოკაუჭებული და ძალიან მაგარი, ბრჭყალები – ბასრი და ღონიერი. მისი უზარმაზარი თვალებიდან ძალა და სიმამაცე ჩანს. ფრთები აქვს გრძელი, მოყვანილი და ღონიერი, ბრჭყალებამდე თეთრი ბუმბულით დაფარული; არწივს საცხოვრებლად მაღალი მთიანი ადგილები უყვარს. სადაც ერთხელ დაბინავდება, იქ ზამთარ-ზაფხულ ცხოვრობს; ადგილის გამოცვლა ხშირად არ იცის.

ყოველ მოძრაობაში არწივი ძალიან სწრაფია. ფრინავს მშვენივრად, მიწაზე სიარული უშნოდ იცის. ჯდომაც ლამაზი აქვს; ზის სწორად, კაცივით ამართული, ფრთებაკრეფილი და ამაყად იცქირება აქეთ-იქით. ამიტომ მშვენიერი სანახავია მჯდომარე არწივი. გამოჩნდება თუ არა რომელიმე ადგილას არწივი, ყველა ფრინველსა და წვრილ ცხოველებს შიშის ზარი ეცემათ. როგორც კი ფრინველები და ცხოველები გაიგონებენ არწივის ხმას, მაშინვე აქეთ-იქით გულგახეთქილები იფანტებიან. მაგრამ არწივის დიდ თვალებს რა დაემალება! ფრინველების მეფე დინჯად და ამაყად ტრიალებს მაღლა ცაში, თუმცა მისი გამჭრიახი თვალი დაკვირვებით გასცქერის ქვემოთ მთელ მინდორს და როგორც კი თავის მსხვერპლს დაინახავს ქვემოთ, ფრთებს შეჰკუმშავს და ისარივით სწრაფად დაეშვება. ამ დროს საშინელი ძალით და სიჩქარით მოდის და ჰაერში შხუილი გააქვს. ბასრი ბრჭყალები გაშლილი აქვს, რომ საჩქაროდ გაუყაროს საწყალს მსხვერპლს, რომელიც თავის ლუკმად ამოირჩია. არწივი დააცხრება ხოლმე ყველა არსებას, რომლის მორევა და წაღებაც კი შეუძლია. არ შეიცოდებს არც მოთამაშე პატარა ბავშვს, არც ცელქ მელიას, თუმცა მელია ხანდახან ბევრს ანანებს ხოლმე: ჰაერში ატანილი მელია ზოგჯერ არწივს შიგ ყელში

მარდად მისწვდება და ყელს გამოღადრის ხოლმე. შველი, გარეული გოჭები, ციკნები, ბატკნები, კურდღლის ბაჭია და კატა სისხლით დაიცლება ხოლმე ამ საშინელი მონადირის ბრჭყალებში. ფრინველებიდან არწივი იტაცებს ბატს, იხვს, წეროს, გარეულს ქათამს და ყველა შინაურს ფრინველს. არწივის საყვარელი საჭმელი ცხოველის სისხლია; ამიტომაც წყალს ეს ფრინველი ზოგჯერ მთელი კვირის განმავლობაში არ სვამს.

-2-

ადვილი წარმოსადგენია, რა საშიშია არწივი ცხოველებისთვის მაშინ, როცა ბარტყებს ზრდის. როდესაც მხოლოდ თავისი თავი აქვს შესანახი, მაშინაც წვრილ ცხოველებს მოსვენებას არ აძლევს და ახლა ხომ სულ სისხლს უშრობს! მარტშივე დაიწყებს ხოლმე დედალ-მამალი ახალი ბუდის კეთებას, ან ძველის ბუდის გასუფთავებას. თუ არწივი მთებში ცხოვრობს, თავის ბუდეს მაღალსა და მიუვალ კლდეებში აკეთებს: თუ ბინა ვაკე ტყეში აქვს, მაშინ ბუდეს მაღალსა და მიუდგომელ ხეებზე იშენებს. არწივები აწყობენ ჯერ დიდ გამხმარ ხის ტოტებს, მერე წვრილს, ღრმა ბუდეს აკეთებენ. შიგ მატყლსა და ჩალას აგებენ. ბუდე ლამაზი არ არის, მაგრამ დიდია და ისეთი მაგარი, რომ ადამიანსაც კი გაუძლებს. ბუდის მასალა ორივე არწივს მოაქვს. როცა მუშაობით იღლებიან, დედალ-მამალი ზევით ჰაერში მიდის დასასვენებლად და ერთმანეთს ლამაზი ფრენით ასიამოვნებენ. ასეთი ფრენით მამალი ართობს დედალს, როდესაც ის კვერცხებზე ზის. როგორც წესი, დედალი ბუდეში დებს ორ-სამ კვერცხს. კვერცხები წაბლისფერია. ახალი გამოჩეკილი ბარტყები უფრო მატყლის გორგალს ჰგვანან, ვიდრე ფრინველს... მთელი ტანი დაფარული აქვთ ხშირი თეთრი ბუმბულით. მშობლები კარგად უვლიან, აჭმევენ ხორცს, რომელსაც ჯერ თავისი პირით კარგად ღეჭავენ და მერე ბარტყებს უდებენ პირში, ვიდრე ესენი პატარები არიან. ბარტყები სანამ კარგად არ დაიზრდებიან, ბუდეს არ სცილდებიან. ფრთები რომ ამოუვათ, დედ-მამა ჯერ ფრენას ასწავლის, მერე კი – ნადირობას. ამ დროს არწივები ძალიან ავდებიან, გულადობა და შეუპოვრობა ემატებათ. არც ფრინველს, არც პატარა ცხოველს მოსვენებას აღარ აძლევენ. კარგად გამოცდილი და გამბედავი მონადირე უნდა, რომ არწივს ბარტყები მოჰპაროს და ცოცხალი გადარჩეს. ხან არწივები კაცს სასიკვდილოდ დასჭრიან და დაამახინჯებენ ხოლმე. აი ერთი უცნაური მოთხრობა არწივებთან ბრძოლის შესახებ:

ერთმა მონადირემ მაღალ კლდეზე არწივის ბუდე შეამჩნია და იქიდან ბარტყების ამოყვანა მოინდომა. რადგანაც ქვემოდან ბუდეს ვერ მიწვდებოდა, შეეცადა, როგორმე ზემოდან ჩასულიყო. მონადირემ რამდენიმე ახალგაზრდასთან ერთად წავიდა, თან კანაფის მსხვილი თოკი წაიღო. როცა კლდეზე ავიდნენ, ახალგაზრდებმა მონადირეს თოკი შემოარტყეს, იღლიებში ამოსდეს და ნელ-ნელა ძირს, ბუდისკენ ჩაუშვეს. გამბედავ მონადირეს ხმალი ერტყა, რომ არწივები მოეშორებინა, თუკი უცებ გამოჩნდებოდნენ. როცა ბუდემდე ჩავიდა, ორი ბარტყი ამოიყვანა, პარკში ჩაისვა და თავის ამხანაგებს ანიშნა, რომ თოკი ზემოთ აეწიათ. კლდის წვერთან უკვე ახლოს იყო, როცა დედალ-მამალი არწივი გამოჩნდა და მონადირეს საშინელი ყვირილით მიესივნენ. მონადირე ხმალს ხან აქეთ იქნევდა, ხან იქით და ერთი არწივიმოკლა კიდეც, მაგრამ მეორე არწივმა უფრო საშინელი

ბრძოლა დაუწყო. გულად მონადირეს იმედი ჰქონდა, ამასაც მოვკლავო; მაგრამ ამ დროს დაინახა, რომ თოკი ხმლით გადაუჭრია და მხოლოდ მის მეოთხედზე ჰკიდია საშინელი უძირო ხრამის თავზე... შიშით გული წაუვიდა. ხმალი ხელიდან გაუვარდა და ამხანაგებმაც ცოცხალ-მკვდარი ზემოთ აიტანეს. მონადირე ძლივსღა იცნეს, რადგანაც შიშის გამო თმა უცებ სრულიად გასთეთრებოდა...

არწივზე ნადირობა ძალიან ძნელია. ძალიან ფრთხილი ფრინველია და მიუდგომელ ადგილზე ჯდება; იშვიათად მოხდება, რომ მონადირე სასროლ მანძილზე მიეპაროს. ცოცხლის დაჭერა კიდევ უფრო ძნელია. ზოგან არწივს ხაფანგით იჭერენ. არწივის მოშინაურება ძნელი არ არის. გაშინაურებულ არწივს ნადირობას ასწავლიან: აჭერინებენ კურდღელს, მელას და მგლის ლეკვებსაც კი. არწივი დიდხანს ცოცხლობს. ერთ ქვეყანაში მოშინაურებული ჰყავდათ არწივი, რომელმაც ას ოთხი წელიწადი იცოცხლა. ტყესა და მინდორში თავისუფლად რომ ყოფილიყო, რასაკვირველია, უფრო დიდხანს იცოცხლებდა.

## შემოდგომა თბილისში

(შემოკლებით)

შემოდგომას სულ პირველად
რუსთაველზე გაიგებ,
ქარი ფოთლებს, ჭადრის ფოთლებს
გაშლის, ფეხქვეშ გაიგებს.

მოვარდება კახეთიდან
ვით ფეხმარდი მოამბე,
ღვინისა და ხილის სურნელს
თბილისშიაც მოაფენს.

შეჩერდება მოქალაქე,
მოსდის ელეთმელეთი.
იტყვის: ალბათ ღვინის სუნით
სუნთქავს მთელი ხმელეთი.

და მახლობელ ბაზრის კარებს
შეხსნის ფიქრით გართული,
რომ იხილოს თავის თვალით
შემოდგომა ქართული.

არიგებულ, ჩარიგებულ
დახლებსა და ყაფანზე,
ყველა თავის შრომის ნაყოფს
და მოსავალს აფასებს.

შემოსულა შემოდგომის
დოვლათი და ბარაქა,
მოილხინოს, გაიხაროს,
მთელმა თბილის ქალაქმა.

მარცხნივ ბზინავს ფორთოხალი,
მარჯვნივ ვაშლის მთებია
და ტიკები ლოთებივით,
ბოძებს მიჰყუდებიან.

იქ კი, სადაც ყვითელ კომშებს
და ჩურჩხელებს ჰყიდიან,
ალაზნის პირს დახოცილი
დურაჯები ჰკიდია.

– ჩემი ღვინო სხვას არ სჯობდეს,
მაშ შემირცხვეს სახელი!–
კარდანახულ ღვინოს აქებს
ბიჭი კარდანახელი.

იმერელი ცდილობს შენს გულს
ტკბილად დაეპატრონოს:
–ნუ იყიდი, მარტო გემო
ნახე, ჩემო ბატონო!

სულგუნს აქებს ზუგდიდელ,
წითელ ატამს – ატენი.
ირგვლივ ხილი, შეძახილი,
ქების კორიანტელი.

შემოსულა შემოდგომის
დოვლათი და ბარაქა,
მოილხინოს, გაიხაროს
მთელმა თბილის ქალაქმა.

## ვიკინგები

### შესავალი

ვიკინგები – სკანდინავიელი, ნორმანი მეზღვაური მეომრები იყვნენ. ისინი VIII – XI საუკუნეებში თავს ესხმოდნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყანას და აარსებდნენ კოლონიებს. ვიკინგების სამშობლო დღევანდელი შვედეთის, ნორვეგიისა და დანიის ტერიტორიაზე მდებარეობდა. ვიკინგები ოჯახში დაბადებული მეორე და მომდევნო ვაჟები იყვნენ. ტრადიციის მიხედვით, მათ მამის მემკვიდრეობა არ ერგებოდათ. მოსახლეობის ზრდასთან ერთად, ვიკინგებს მიწები შემოაკლდათ. ისინი ზღვაში ყაჩაღობით ირჩენდნენ თავს. ვიკინგებს შორის იყვნენ მოგზაურები და ვაჭრები. თუმცა, სიტყვა ვიკინგი მეკობრეს ნიშნავდა. არსებობს მოსაზრება, რომ ვიკინგები ქრისტეფორე კოლუმბამდე ბევრად ადრე მივიდნენ ამერიკის კონტინენტამდე. ინდიელთა წინააღმდეგობის გამო მათ ამერიკაში დასახლება ვერ მოახერხეს.

ვიკინგები უბადლო მხედრები და მეომრები იყვნენ. ისინი 300 წლის განმავლობაში შიშის ზარს სცემდნენ ევროპელებს. ულმობელ და სასტიკ ვიკინგებს სწრაფი გემები ჰყავდათ. ხმელეთზე ისინი ბრძოლით იკაფავდნენ გზას. ვიკინგები სასტიკად არბევდნენ ქალაქებსა და სოფლებს. მათ ბრიტანეთის, ირლანდიის, საფრანგეთისა და იტალიის დიდი ნაწილი დაარბიეს. მოგვიანებით ბევრი მათგანი ამ მიწებზე დასახლდა. ვიკინგების ბრძოლა და ყაჩაღობა დაახლოებით 1100 წელს შეწყდა. ამ დროისთვის მრავალმა ვიკინგმა ქრისტიანობა მიიღო. მსოფლიოში სისასტიკემ იკლო.

სისასტიკის მიუხედავად, ვიკინგებს ერთი უცნაურობა სჭირდათ. მათ ეშინოდათ ზღვაში ღრმად შესვლის. ვიკინგებს ეგონათ, რომ ღრმა ზღვაში ისინი დედამიწის კიდეს მიაღწევდნენ და იქიდან გადაცვივდებოდნენ.

ვიკინგები იყვნენ ისლანდიის და გრენლანდიის პირველი მოსახლეები. ზოგი ცნობით, ისინი იყვნენ კანადისა და ნიუფაუნდლენდის პირველი ევროპელი მოსახლეებიც.

**ვიკინგების მშვიდობიანი ცხოვრება**

მშვიდობიანი ცხოვრების დროს ვიკინგები სოფლის მეურნეობას მისდევდნენ. ვიკინგების დიდი ნაწილი გლეხი იყო, მათ მოჰყავდათ მარცვლეული და ბოსტნეული, აშენებდნენ ხარ–ძროხას, ღორებს, ქათმებსა და თხებს. ვიკინგები გარეულ ცხოველებზე ნადირობდნენ. ისინი კარგი მჭედლები და მეტალურგები იყვნენ. ვიკინგები ამზადებდნენ ბრწყინვალე იარაღსა და სამკაულებს. დიდ, გრძელ სახლებში ვიკინგთა ბელადები ცხოვრობდნენ. ვინც ბელადს ემსახურებოდა, მასთან ერთად დიდ სახლში ცხოვრობდა.

**საცხოვრებელი**

ვიკინგების გლეხური საცხოვრებელი იყო ქოხი. ქოხები დაწნული წნელებისგან იყო აშენებული. შეძლებული გლეხი ვიკინგები დიდ, ოთკუთხედ სახლში ცხოვრობდნენ თავიანთ მრავალრიცხოვან ოჯახებთან ერთად. სკანდინავიის ქვეყნებში ვიკინგები ხის სახლებში ცხოვრობდნენ. ესპანეთსა და ირლანდიაში ხე სამშენებლო მასალად არ გამოდგებოდა. ვიკინგები აქ ძირითადად ქვის სახლებს აშენებდნენ. სახლის მთავარი ოთახი დიდი და ბნელი იყო. შუაში ცეცხლის ადგილი იყო მოწყობილი. აქ საჭმელი მზადდებოდა. მთავარი ოთახი საცხოვრებელი და საძინებელი იყო. სახლის შიგნით ხშირად სპეციალური ბოძები იდგა, რომელიც სახურავს იჭერდა. ხანდახან ამ ბოძების უკან იყო მოწყობილი საძინებლები.

ვიკინგების სოფლები სიდიდით არ გამოირჩეოდა. მათ სავაჭრო და სახელოსნო ცენტრები აკავშირებდა. ასეთი ცენტრები აღმოჩენილია ნორვეგიის, დანიის, შვედეთის ტერიტორიებზე. თავად სახლები სავაჭრო ცენტრებიდან და სანაპიროდან მოშორებით იდგა. ასე ვიკინგები შორიდან ამჩნევდნენ მტრის ხომალდებს და მეტი დრო რჩებოდათ მომზადებისთვის.

**სამოსი**

გლეხი ვიკინგების სამოსი უბრალო იყო. ისინი შალის გრძელ პერანგებს ატარებდნენ, რომლებიც ტომარასავით შარვლებზე ჰქონდათ გადაცმული. ზემოდათ სწორი მოსაცმელი ეცვათ. შეძლებული ვიკინგების სამოსი უფრო თვალშისაცემი იყო. მათ გრძელი შარვლები და წინდები ეცვათ. მოსასხამი სხვადასხვა, ნათელი ფერისა იყო. ვიკინგებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა შალის ქუდები და ხელთათმანები. ისინი მოიხმარდნენ ბეწვისა და ქეჩის ქუდებსაც.

განსაკუთრებით მომხიბლავი იყო ქალი ვიკინგების სამოსი. ის ვიწრო ზედატანისა და გრძელი, გაშლილი ქვედაბოლოსგან შედგებოდა. სამოსზე მიმაგრებული იყო წვრილი ჯაჭვები, რომლებზეც მაგრდებოდა პატარა დანები, სანემსეები, მაკრატლები და სხვა წვრილი ნივთები. გათხოვილ ქალებს თავზე ტილოს ქსოვილის კონუსის ფორმის თეთრი ქუდები ეხურათ. ქალიშვილებს კი თმები თასმით ჰქონდათ დამაგრებული. ვიკინგებს ლითონის ნაკეთობების ტარებაც უყვარდათ. პოპულარული იყო ბალთიანი ქამრები, გულსაბნევები.

**ვიკინგი ქალები**

ვიკინგი ქალები აქტიურად იყვნენ ჩართულები საოჯახო საქმეში. განსაკუთარებით დიდი როლი ეჭირა ოჯახის უფროსის მეუღლეს. იგი ზრუნავდა დიდი ოჯახის კვებაზე. ვიკინგების ოჯახები მრავალსულიანი იყო. ოჯახის დიასახლისი დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, რომ ზამთრისთვის საკმარისი მარაგი ჰქონდათ მოგროვილი. ქალები ამზადებდნენ ზამთრისთვის ყველსა და კარაქს, შებოლილ ხორცსა და თევზს. ქალები კარგად ერკვეოდნენ მცენარეებშიც. მათ შეეძლოთ ისეთი ბალახების შეგროვება, რომლებიც წამლად გამოდგებოდა ავადმყოფობის პერიოდში. ქალები უვლიდნენ პირუტყვსაც, როდესაც მამაკაცები სანადიროდ ან სათევზაოდ მიდიოდნენ. ოჯახის დიასახლისს წელზე საკუჭნაოს გასაღები ეკეთა. მამაკაცების არყოფნის დროს ის იყო ოჯახზე პასუხისმგებელი.

ვიკინგი ქალები 12-15 წლის ასაკში თხოვდებოდნენ. ამ ასაკში ისინი უკვე მზად იყვნენ, რომ საოჯახო და სამეურნეო საქმე შეესრულებინათ. მათ ოჯახის უფროსი ქალები ეხმარებოდნენ. ქორწილი ოჯახებს შორის თანხმდებოდა და წარმოშობდა კავშირს, რომელიც ერთმანეთის გატანასა და დახმარებას გულისხმობდა. გოგონას აზრს არ ეკითხებოდნენ.

გოგონებს მზითევსაც ატანდნენ. მას შალისა და მიტკლის ტანსაცმელი, სართავი ბორბალი, საქსოვი მოწყობილობა მიჰქონდა ქმრის ოჯახში. შეძლებული ოჯახებიდან გოგონებს სამკაულებს, შინაურ ცხოველებს, ფერმას, ხანდახან კი მთელ სახლსაც კი ჩუქნიდნენ. ყველაფერი, რასაც გოგონა მიიტანდა, მისი საკუთრება იყო. შვილები დედის ქონების მემკვიდრეები ხდებოდნენ.

გოგონა გათხოვების შემდეგ ქმრის ოჯახის ნაწილი ხდებოდა, თუმცა, საკუთარ ოჯახსაც წარმოადგენდა. თუ ქმარი მას ცუდად ექცეოდა, ზარმაცობდა და ოჯახს ვერ არჩენდა, გოგონა მას გასცილდებოდა. ამისათვის სპეციალური რიტუალი ტარდებოდა, რომლის შემდეგაც გოგონა თავს ქმრისგან გაცილებულად აცხადებდა. პატარა შვილები გაცილების შემდეგ დედასთან რჩებოდნენ. უფროსი ბავშვები ოჯახებს შორის ნაწილდებოდნენ. თუმცა ოჯახის კეთილდღეობა განაწილებისას განსაკუთრებულ როლს თამაშობდა. ვიკინგი ქალები, ევროპელი ქალებისგან განსხვავებით, ბევრად ნაკლებად იყვნენ დამოკიდებულები ქმრისა და საზოგადოების განწყობაზე. ისინი  საკუთარ შეხედულებებს იცავდნენ და თავისუფლებით გამოირჩეოდნენ.

**იარაღი**

ვიკინგები ძლიერი და ამტანი მეომრები იყვნენ. ისინი საოცარი ფიზიკური ძალითა და სიმამაცით გამოირჩეოდნენ. ისინი კარგად იცნობდნენ ბრძოლის ხელოვნებას და იმ პერიოდის საუკეთესო მეომრები იყვნენ პლანეტაზე. ვიკინგებს 3 მძლავრი სასიკვდილო იარაღი ჰქონდათ:  ხმალი, ნაჯახი და შუბი.

მეომრისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ხმალი. ხმალი მეომრის სტატუსს გამოხატავდა. რაც უფრო კარგი მებრძოლი იყო ვიკინგი, მით უფრო უკეთესი ხმალი ჰქონდა

მას. ხმალი ლამაზადაც იყო გაფორმებული. მას ჰქონდა მდიდრულად მოპირკეთებული ტარი და ორმაგი პირი. ვიკინგები ხმალს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ხმლებს სახელებსაც კი არქმევდნენ.

ვიკინგების ფარი იყო მრგვალი. ძირითად მასალად ხეს იყენებდნენ. ფარი შემოკრული იყო რკინით. შუაგული ასევე სქელი მეტალით იყო დაფარული. ფარის დიამეტრი იყო 1 მეტრი და იგი ფარავდა მეომარს მხრიდან მენჯამდე. ფარი ხშირად იყო მოხატული სხვადასხვა ფერში.

არანაკლებ საშიში იყო შუბი ვიკინგების ხელში. ვიკინგების შუბს 50 სანტიმეტრი სიგრძის მახვილი თავი ჰქონდა, რომელიც დამაგრებული იყო გრძელ ხის ჯოხზე. შუბს ვიკინგები შორიდან ესროდნენ მტერს.

ვიკინგები იმოსებოდნენ თხელი აბჯრით, რომელზეც დამაგრებული იყო ცხოველის სქელი ბეწვი. ბეწვი მათ სიცივისგან იცავდა. ლეგენდის მიხედვით, ვიკინგების მუზარადს დიდი რქები ჰქონდა დამაგრებული. რქების დანახვა მოწინააღმდეგეს თავზარს სცემდა. თუმცა, ეს მხოლოდ ლეგენდაა. სინამდვილეში ვიკინგები რქებდადგმულ მუზარადს მხოლოდ განსაკუთრებულ, სარიტუალო შემთხვევებში ხმარობდნენ.

**თავლეი**

თავლეი საინტე-რესო სტრატეგიუ-ლი თამაშია. ის ვიკინგებისგან იღებს სათავეს. ეს თამაში ბევრად უფრო ადრე გაჩნდა ევროპაში, ვიდრე ჭადრაკი. სკანდინავიაში მას მე-3 საუკუნეში თამაშობდნენ. ვიკინგებმა თავლეი მთელ ევროპაში გაიტანეს. მას გატაცებით თამაშობდნენ გრელანდიაში, ისლანდიაში, ბრიტანეთსა და უკრაინაშიც კი. ნახატებზე კარგად ჩანს, რომ თავლეის ჭადრაკივით კვადრატებად დაყოფილ დაფაზე თამაშობენ. ჭადრაკის მსგავსად, თავლეის ფიგურებს შორის არის „მეფე“. თამაშის დასაწყისში „მეფე“ დაფის შუაში, „ტახტზე“ იდგმებოდა. თავლეიშიც თეთრი და შავი ფიგურები იბრძოდნენ. ოღონდ, ჭადრაკისგან განსხვავებით, თავლეიში თამაშს შავი ფიგურები იწყებენ. თუ მოწინააღმდეგის რომელიმე ფიგურა ორ ფიგურას შორის აღმოჩნდებოდა, მაშინ მოთამაშე ფიგურას კარგავდა.

**ვიკინგები საქართველოში**

ვიკინგები თურმე საქართველოშიც იბრძოდნენ. ისინი მეფე ბაგრატ IV-მ დაიქირავა მეამბოხე ფეოდალთან - ლიპარიტთან ბრძოლისათვის. ამ ბრძოლაში 700 ვიკინგი მონაწილეობდა. ბაგრატ IV დამარცხდა. ლიპარიტმა ბაგრატ IV და დაქირავებული ვიკინგების ჯარი სასტიკად დაამარცხა. ეს ბრძოლა სასირეთის ბრძოლის სახელითაა ცნობილი. ასევე ცნობილია, რომ ბრძოლაში ვიკინგების მეთაურმა ორი ძმა დაკარგა.

ამ ბრძოლის შესახებ ცნობები შემონახულია სკანდინავიაშიც. ნაპოვნ წერილში საუბარია აღმოსავლეთის ბრწყინვალე სამეფოზე და მის დედაქალაქ ქუთაპოლისზე (ქუთაისი). ქართული მონეტები აღმოჩენილია ასევე სკანდინავიისა და ბალტიის ზღვის მიდამოებში.

**მითოლოგია**

ვიკინგების მითოლოგია ძალიან საინტერესოა. მასთან ბევრი საინტერესო ტრადიცია არის დაკავშირებული. ვიკინგების მთავარი ღმერთი იყო ოდინი. ოდინი ომის მფარველი ღმერთი იყო. ლეგენდის მიხედვით, ოდინი ცალთვალა და ლურჯმოსასხამიანი მოხუცია. იგი რვაფეხა ცხენზე არის ამხედრებული.

ვიკინგებს სჯეროდათ, რომ, თუ ბრძოლაში დაიღუპებოდნენ, ისინი ღმერთ ოდინთან ერთად განაგრძობდნენ ცხოვრებას.

ვიკინგებს სჯეროდათ, რომ გმირულად დაღუპული მეომრები ნადიმობდნენ ზღაპრულ მხარეში ღმერთის, ოდინის სასახლეში. მშვენიერი ქალები, ვალკირიები მეომრებს ემსახურებოდნენ. თავად ვიკინგები ხმაურიან ნადიმებს მართავდნენ ბრძოლებში გამარჯვების შემდეგ. ასეთ ნადიმებზე მუსიკოსები სხვადასხვა საკრავზე უკრავდნენ. ვიკინგი პოეტები - სკალდები, გრძელ ლექსებს წერდნენ და კითხულობდნენ მამაცი მეომრების შესახებ.

## ბერმუდის სამკუთხედი

ბერმუდის სამკუთხედი ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე ამოუცნობი საიდუმლოა. ამ ადგილს ხან „სიკვდილის სამკუთხედს", ხან "ავბედით ზღვას" უწოდებენ, ხან კი "ატლანტიკის სასაფლაოდ" მოიხსენიებენ. ეს დედამიწაზე ყველაზე გასაოცარი და საიდუმლო რაიონი ატლანტიკის ოკეანეში მდებარეობს და შემოსაზღვრულია ფლორიდიდან ბერმუდის კუნძულებამდე, შემდგომ პუერტო-რიკომდე და უკან – ფლორიდამდე, ბაჰამების გავლით. 1945 წლის შემდეგ, "ეშმაკის სამკუთხედში" 100-ზე მეტი თვითმფრინავი და გემი (მათ შორის, წყალქვეშა ნავები) გაქრა, ხოლო ათასზე მეტი ადამიანი უგზოუკვლოდ დაიკარგა.

საოცარი ისაა, რომ ყველა უბედური შემთხვევა ერთმანეთს ჰგავს; გაუჩინარებული ხომალდები სამუდამოდ ქრება, ხოლო თვითმფრინავების შემთხვევაში საწვავის კვალიც კი არ რჩება ოკეანეზე, რაც, ავარიების შემთხვევაში, ჩვეულებრივ, მთავარი მანიშნებელია უბედური მოვლენის ადგილის ამოსაცნობად. ადამიანები ცდილობენ, სხვადასხვაგვარი ახსნა მოუძებნონ ამ უცნაურ შემთხვევებს. დროთა განმავლობაში ამ ავარიების ასახსნელად რამდენიმე განსხვავებული თეორია შეიქმნა:

ერთ-ერთი მათგანია მეკობრეთა თავდასხმები. ამ თეორიის მიხედვით, მიზეზი, რის გამოც უამრავი გემი უჩინარდება, ისაა, რომ აქ მეკობრეები განსაკუთრებით აქტიურები არიან. ეს თეორია იმ სკეპტიკოსთა არგუმენტია, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ბერმუდის სამკუთხედის რეგიონი არაფრით გამოირჩევა სხვა დანარჩენი ადგილებისგან და უბედური შემთხვევებიც სწორედ ისევე ხდება, როგორც სხვაგან. წარსულში მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას მეკობრეთა მიზეზით მრავალი გემი დაზიანებულა ან გამქრალა. ამიტომ ამ თეორიის

მომხრეები მიიჩნევენ, რომ ერთ-ერთი მიზეზი ასევე შეიძლება იყოს საბრძოლო ხომალდის მხრიდან თავდასხმა და სამგზავრო გემების განადგურება.

კიდევ ერთი თეორია ბერმუდის სამკუთხედის რეგიონში არსებულ ძლიერ მაგნიტურ ველს უკავშირდება. ამ თეორიის მიხედვით, ბერმუდის სამკუთხედი დედამიწის სპეციფიკურ ნაწილებს მიეკუთვნება, სადაც  დედამიწის მაგნიტური ველი განსაკუთრებით ძლიერია. ჯერ კიდევ ქრისტეფორე კოლუმბი აღწერდა 1492 წელს, თუ როგორ ადევნებდა თვალყურს გემ "სანტა-მარიას" შეშფოთებულ ეკიპაჟთან ერთად მოძრავ ცეცხლოვან ისარს ცაზე. კოლუმბი ასევე აღწერს ბაჰამის კუნძულებთან უჩვეულო თეთრი სინათლით განათებულ ზღვის ტალღებსაც.  მოგზაურის ჩანაწერების მიხედვით, ამ შემთხვევის შემდეგ კომპასი უჩვეულო და გაურკვეველ პარამეტრებს აჩვენებდა. არაერთი დაკვირვება მოწმობს, რომ  ბერმუდის ტერიტორიაზე კომპასის ისრები მართლაც სწრაფად რხევას იწყებენ, ხოლო სანავიგაციო მოწყობილობები ნორმალურად ფუნქციონირებას წყვეტენ. ამის მიზეზი ისაა, რომ ბერმუდის სამკუთხედი ის ერთ-ერთი იშვიათი რეგიონია, სადაც გეოგრაფიული ჩრდილოეთი და მაგნიტური ჩრდილოეთი ერთმანეთს ემთხვევა. რეგიონის ძლიერი მაგნიტური ეფექტები შეიძლება ასევე იყოს მრავალი ადამიანის  უკვალოდ გაქრობის მიზეზი.

ერთ-ერთი თეორიის მიხედვით, ბერმუდის სამკუთხედი „კომეტის ეფექტის" ქვეშ იმყოფება. არსებობს აზრი, რომ ათასობით წლის წინ სწორედ ამ რეგიონში ღია კოსმოსიდან შემოჭრილი კომეტა ჩამოვარდა. ამ თეორიის მომხრეებს სჯერათ, რომ სადღაც ოკეანის სიღრმეებში კომეტის ნარჩენები კიდევ არსებობს და სწორედ მისგან გამოწვეული ელექტრომაგნიტური მიზიდულობა იწვევს კატასტროფებსა და ხომალდიდან წამოსული სიგნალების ჩახშობას ბერმუდის სამკუთხედში.

კიდევ ერთი თეორიის მიხედვით, ბერმუდის მოვლენების გამომწვევი მიზეზი ჭარბი რაოდენობის მეთანის აირია. ეს იმას ნიშნავს, რომ ის ძალა, რომელიც სხეულების ტივტივს უზრუნველყოფს, მცირდება. ამ მიზეზის გამო დიდი ხომალდები ვეღარ ახერხებენ წყალზე გაჩერებას და უკვალოდ იძირებიან.

კიდევ ერთი მოსაზრება ატლანტიდას უკავშირდება. ლეგენდის თანახმად, ჩაძირული მიწა, სახელად ატლანტიდა, ერთ დროს ბაჰამის კუნძულების სიახლოვეს მდებარეობდა ატლანტიკის ოკეანეში. ადამიანებს სჯერათ, რომ მისტიკური ქალაქი ატლანტიდა ამჟამად ოკეანეში განისვენებს. ლეგენდა გვიამბობს, რომ ატლანტიდაზე ენერგიით მომარაგების წყარო მძლავრი კრისტალები იყო. სწორედ ეს კრისტალები იწვევენ მოწყობილობების არევასა და წყობიდან გამოსვლას.

დროის გამრუდების თეორია ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია, მიუხედავად იმისა, რომ არანაირი ფაქტი არ არსებობს მის მხარდასაჭერად. დროის გამრუდების თეორიის მომხრეები მიიჩნევენ, რომ ამდენი ხომალდის გაუჩინარების მიზეზი დროში მოგზაურობაა. ამას ემატება ისიც, რომ ადამიანები ამტკიცებენ, თითქოს ბერმუდის სამკუთხედის რეგიონში იხილეს უზარმაზარი, გვირაბის ფორმის ღრუბელი, რაც, სავარაუდოდ, დროში გასასვლელი კარიბჭე იყო.

არც თუ მცირერიცხოვანი სკეპტიკოსთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მისტიკური ამ კატასტროფებში არაფერია და ყველაფერი პილოტთა და გემის კაპიტანთა მიზეზით ხდება. მეტიც, სკეპტიკოსთა აზრით, ბერმუდის სამკუთხედის გარშემო არსებულ კუნძულთა რიგები, რომლებიც ძალიან წააგავს ერთმანეთს, გზის გაგნებას აძნელებს. ცუდი ამინდი, ამ თეორიის მიხედვით, ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ახსნაა, რომელიც ხსნის ბერმუდის სამკუთხედის უცნაურობებს. ატლანტიკის რეგიონი ცნობილია შტორმებით, ქარიშხლებითა და საშინელი ამინდით. მძვინვარე შტორმების მეშვეობით ხშირად წარმოიქმნება ტალღები, რომელთა სიმაღლე 25 მეტრს და მეტსაც აღწევს ხოლმე. ამას ემატება ოკეანის მძლავრი დინებაც და იქმნება პირობები, რომელთაგანაც თავის დაღწევა ძალიან ძნელია. ოკეანის სიღრმეში კიდევ ერთი საფრთხე იმალება: აქვე არის ატლანტიკის ოკეანის ყველაზე ღრმა ადგილი – პუერტო-რიკოს ღრმული, რომელიც 8605 მეტრს აღწევს. ასე რომ, თუკი გემი ან თვითმფრინავი ჩაიძირება, სრულიად შესაძლებელია, უკვალოდ გაუჩინარდეს.

თეორიებისა და მითების გარდა, რომლებიც ბერმუდის სამკუთხედის შესახებ არსებობს, ბევრი უტყუარი ფაქტიცაა, რომელთა ახსნა შეუძლებელია და ახალ-ახალ კითხვებს ჰბადებს: აი რამდენიმე ამგვარი ფაქტი:

1945 წლის 5 დეკემბერს ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ძალების 5 ბომბდამშენი ხომალდი ბერმუდის სამკუთხედის რაიონში გაუჩინარდა. ხომალდები ისე გაქრნენ, რომ მათი ნამსხვრევები და ნაკვალევი ვერსად იპოვეს. ხომალდებიდან ბოლოს მიღებულ რადიოგადალაპარაკებებში პილოტები მოწყობილობების გაფუჭებასა და ოკეანის უჩვეულო მდგომარეობაზე ლაპარაკობენ. “ჩვენ თეთრ წყალში ვეშვებით” - ისმის ბოლო ჩანაწერში.

1948 წლის 30 იანვრის ადრეულ დილას, გემ “სტარ ტაიგერის” კაპიტანმა მაკმილანმა ბერმუდებზე შეატყობინა იქაურ დისპეტჩერებს ცნობები თავისი ადგილმდებარეობის შესახებ. მან დაადასტურა, რომ გემზე ყველაფერი წესრიგში იყო და რომ გემი ზუსტად მიჰყვებოდა განრიგს. ეს უკანასკნელი ცნობა იყო, რომელიც გემისგან მიიღეს. 10 გემი და 30-მდე თვითმფრინავი ეძებდა დაკარგულ გემს ოკეანის მთელ რაიონში მისი მარშრუტის მიხედვით. ძებნამ შედეგი არ გამოიღო: ვერც ზეთის ლაქა წყლის ზედაპირზე, ვერც გემის ნამსხვრევი ვერ აღმოაჩინეს.

ასევე გახმაურებული შემთხვევა 1951 წელს სატვირთო გემის “სანდრას” გაუჩინარებას უკავშირდება. გემი შტორმის შედეგად უკვალოდ გაქრა. კიდევ უფრო უცნაური კი ისაა, რომ მის მოსაძებნად გამგზავრებული სამაშველო გემიც მეორე დღეს დაიკარგა.

1970-იან წლებში მაიამის აეროპორტის უშუალო სიახლოვეს, ხმელეთის თავზე, რამდენიმე თვითმფრინავმა განიცადა მარცხი. ავიაკატასტროფას ახსნა ვერ უპოვეს. ერთ-ერთი თვითმფრინავი, რომელზეც იმყოფებოდა 100-ზე მეტი ადამიანი, უბრალოდ, გაქრა 1972 წლის 29 დეკემბერს. ცნობილია მხოლოდ, რომ ეს თვითმფრინავი ფრენის უკანასკნელი 7-8 წამის განმავლობაში ქვევით ისეთი სიჩქარით ეშვებოდა, რომ მისი დაფიქსირება ხელსაწყოებმაც კი ვერ შეძლო. დაშვების ამხელა სიჩქარეს არანაირი ახსნა არ აქვს. მეცნიერები მხოლოდ ვარაუდობენ, რომ ვარდნის მიზეზი ატმოსფერულ მოვლენებთან უნდა იყოს დაკავშირებული.

# ვეფხვი

## ყველაზე დიდი კატა

ვეფხვის შესახებ მეტის გაგება  მას შემდეგ მომინდა, რაც მისი უზარმაზარი ფოტო ვნახე საგამოფენო დარბაზში. იგი მედიდურად, მშვიდად იყურებოდა და ამ სიმშვიდეში თითქოს მისი ძლიერება იმალებოდა. ამიტომ, ინტერნეტში საინტერესო გვერდები მოვიძიე და ახლა მინდა, ჩემ მიერ მოგროვილი ინფორმაცია თქვენც გაგიზიაროთ.

## ვეფხვის გარეგნობა

ვეფხვი კატისებრთა ოჯახის წარმომადგენელია.  სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვეფხვი ყველაზე დიდი კატაა მსოფლიოში, რომლის ზოლებად მოხატული წითური/ყავისფერი და ყვითელი სხეული იმდენად თვალმომჭრელია, რომ არანაირ ცხოველში არ აგერევა. მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით ყველა ვეფხვის ქურქი ერთმანეთს ჰგავს,  თურმე არც ერთი მათგანის ქურქზე ზოლები არ მეორდება და ყველა განსხვავებულია. გამოდის, რომ ვეფხვის ქურქი ისევეა, როგორც ადამიანის თითის ანაბეჭდი. ვეფხვი სხვადასხვა სახეობის ყოფილა და ყველა მათგანს განსხვავებული ზომა, შეფერილობა და ჩვეულებებიც კი ჰქონია. ვეფხვები ძირითადად თბილ მხარეში ცხოვრობენ. მაგალითად, აფრიკის კონტინენტზე, ინდოეთსა და სამხრეთ აზიის ზოგიერთ რეგიონში. თუმცა, არსებობს ვეფხვის სახეობებიც, რომელიც ძალიან ცივ ადგილებში ბინადრობს. მაგალითად, ჩრდილოეთ კორეაში ან რუსეთში. ცივ ქვეყნებში მობინადრე ვეფხვები ზომით უფრო დიდები და მძიმეები არიან. კატისებრთა ოჯახის სხვა ცხოველებისგან  განსხვავებით, ვეფხვებს ძალიან უყვართ წყალი. ისინი კარგად ცურავენ და ხშირად მიეშურებიან მდინარისაკენ, რომ გაგრილდნენ. ვეფხვი იშვიათად ღრიალებს. თუმცა, თუ დაიღრიალა, მისი ხმა რამდენიმე კილომეტრზე ისმის.  ვეფხვი რბილად დადის და მჭრელ კლანჭებს სიარულის დროს მთლიანად თათებში მალავს. ეს მას ნადირობის დროს ცხოველთან მიპარვაში ეხმარება.

## ვეფხვის ოჯახი

ვეფხვი ყოველთვის მარტო ცხოვრობს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი დედაა ან ჯერ ძალიან ახალგაზრდა. მამალ ვეფხვს მამობრივი გრძნობები დიდად არ გააჩნია და თუ ბოკვრების დედა ახლომახლო არ არის, შეიძლება პატარები შეჭამოს კიდეც. თუმცა არსებობს გამონაკლისებიც. ინდოეთის ნაკრძალში დაობლებულ ბოკვრებზე მზრუნავი მამალი ვეფხვი შეამჩნიეს, რომელიც მათი მამა შეიძლება ყოფილიყო.

დედალ ვეფხვს ერთ ჯერზე 1-დან 6 ბოკვერი შეიძლება ჰყავდეს, თუმცა, უფრო ხშირად 2 ან 3 ბოკვერს აჩენს. ვეფხვის ბოკვრები 6 თვიდან ტოვებენ ბუნაგს და დედას სანადიროდ მიჰყვებიან. 1 წლის ბოკვერს შეუძლია უკვე დამოუკიდებლად ინადიროს, თუმცა ისინი დედასთან ძირითადად 2 წლის განმავლობაში რჩებიან.

**კვება**

ვეფხვი მტაცებელი ცხოველია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი სხვადასხვა, მასზე სუსტ ცხოველებს მოინადირებს. ვეფხვი ძირითადად ჩლიქოსანი ცხოველებით იკვებება.

ვეფხვის ნადავლი ხშირად ირემი, ტახი, კამეჩი ან ხარირემი ხდება. ნადავლის სახეობა იმის მიხედვით იცვლება, თუ სად ბინადრობს ვეფხვი. მიუხედავად გემოვნებისა და პრიორიტეტებისა, პერიოდულად ვეფხვი სხვა, მისთვის არატიპურ ცხოველებსაც გაჰკრავს პირს. მაგალითად, მაიმუნს, ხოხობს ან კურდღელს. ხანდახან ვეფხვი თევზსაც კი მიირთმევს. ზრდასრული ვეფხვი წელიწადში საშუალოდ 50-70 მსხვილფეხა ჩლიქოსანს მოინადირებს.

ვეფხვი ხანდახან ძლიერი მეტოქის მონადირებასაც ცდილობს ხოლმე. მაგალითად, იგი შეიძლება ყავისფერ დათვს შეერკინოს. თუმცა დათვი და ვეფხვი ერთმანეთისათვის საკმაოდ სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენენ. მალაიური ლომი, რომელიც ცნობილია თავისი აგრესიულობით, ხანდახან ვეფხვს აფრთხობს. ამიტომ ამ მხარეში ვეფხვები მიზანდასახულად ესხმიან თავს დათვებს, თუმცა დიდ დათვთან განმკლავება მხოლოდ დიდ მამალ ვეფხვს შეუძლია. ინდური სპილო მიუწვდომელი ლუკმაა ვეფხვებისათვის. ამიტომ ისინი ცდილობენ, რომ თავი აარიდონ ამ უზარმაზარ და უწყინარ ცხოველს. თუმცა, იშვიათად, ვეფხვი თავს ესხმის ახალგაზრდა სპილოს და კიდევაც მოინადირებს ხოლმე მას. უცნაურია, მაგრამ ვეფხვის კვებით რაციონში თურმე მცენარეებიც შედის. ზაფხულობით ვეფხვი თხილს, ბალახს და ხილსაც შეექცევა.

ვეფხვი თავის სამფლობელოში ყველაზე ძლიერი ცხოველია და კონკურენციას ნადირობისას არ გრძნობს. ერთადერთი, ვინც შეიძლება მას პრობლემა შეუქმნას ხანდახან, მგლების ხროვაა, რომელიც დიდი რაოდენობით ცხოველებს აერთიანებს. ვეფხვი ერთ ჯერზე 30-40 კილოგრამ ხორცს მიირთმევს. მშიერ მამალ ვეფხვს კი 50 კილოგრამი ხორცის შეჭმაც კი შეუძლია.

ვეფხვები მხოლოდ ღამე ნადირობენ. მათ ძალიან კარგი მხედველობა აქვთ. ვეფხვის ზოგიერთი სახეობა კი ფერებსაც არჩევს.

**ნადირობა ვეფხვებზე**

ვეფხვებზე ნადირობა ძველი დროიდან გავრცელებულია და საამაყოდ ითვლებოდა. გარდა იმისა, რომ მასზე ნადირობა ძალიან რთულია, ვეფხვი განსაკუთრებით პოპულარული მისი ულამაზესი ბეწვის გამო არის. ამასთან, ვეფხვის სხეულის ნაწილები მედიცინაშიც გამოიყენება სხვადასხვა წამლის დასამზადებლად.

ამ დროისთვის ყველა სახეობის ვეფხვი იმდენად შემცირებულია, რომ მათზე ნადირობა აკრძალულია. თუმცა, ზოგ ქვეყანაში ბრაკონიერობა ვეფხვებზე მაინც ყვავის.

**ადამიანზე მონადირე ვეფხვი**

ლომების მსგავსად, ადამიანზე მონადირე ვეფხვებიც არსებობენ. ამგვარად ძირითადად ბებერი და დასუსტებული ცხოველები იქცევიან, რომლებსაც კლანჭები არ გააჩნიათ და რქოსან ცხოველზე ნადირობა არ შეუძლიათ. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და საშინელი შემთხვევა 1925-30 წლებში დაფიქსირდა, როდესაც ერთმა ვეფხვმა 64 ადამიანი შეჭამა.

**მითები, ლეგენდები და სიმბოლოები**

ვეფხვი მრავალი ერის მითების პერსონაჟია. განსაკუთრებით, აზიის იმ რეგიონებში, სადაც ვეფხვი ბინადრობს. ვეფხვი ბევრი ქვეყანაში საბრძოლო სიმბოლოდ არის აღქმული. იაპონიაში  იგი ვაჟკაცობისა და ომის გმირთა ჩაცმულობის აუცილებელ ელემენტს შეადგენდა. ჩინეთში ვეფხვი სიძლიერისა და ჯანმრთელობის სიმბოლოა. ითვლებოდა, რომ იგი ბოროტ ძალებს განდევნიდა და ადამიანს ავადმყოფობისგან იცავდა. ვეფხვი აღმოსავლური ჰოროსკოპების ერთ-ერთი ძლიერი ნიშანიცაა. ვეფხვის ტყავის იმიტაცია კი მოდის პოპულარული სტილია.

**სოსო**

**(ნაწყვეტი აკა მორჩილაძის რომანიდან „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“)**

გარაჟთან ვიდექით. იმან, ჰო, გოჩამ, ცეცხლი დაანთო და თან ვთბებოდით, თან ვეწეოდით. ზაზამ რომ გამოიარა, უკვე ბნელოდა და ციოდა კიდეც. ვფიქრობდი, დროა უკვე-მეთქი, მაგრამ ესენი რაღაცას აკეთებდნენ და გოჩა ამბობდა, სანამ სინათლე არ წასულა, უნდა მოვითავოო. ერთი სომეხი იყო მოსული, ლოვიკა, და რაღაც მავთულებს ალაგებდნენ მანქანაში. მე მანქანის არაფერი გამეგება, არც რიგლის (რიგლი ჩვენი უბნელია, ბავშვობაში „ჟუვაჩკა“ ერქვა, ახლა რიგლის ვეძახით), ისე ვიდექი ცეცხლთან.

– ვთბებით? – ცეცხლთან ჩაიმუხლა ზაზამ.

– ვბერდებით, – თქვა რიგლიმ.

– რა ხდება უბანში?

– არაფერი არ ხდება.

– ახლა გამოგვრთავენ, თხუთმეტ წუთში.

– როდის ჩაგვრთავენ?

– არასოდეს არ ჩაგვრთავენ, – სულ ეგრე ვიქნებით გამორთულები.

ინდიელებივით შემოვუსხედით ცეცხლს, ვხითხითებდით და შიგნიდან ღიღინი გვესმოდა.

– ასვლა უნდა და აღარ გამოგვრთავენ. ან ასვლა უნდა და ჩაგვრთავენ, - აღნიშნა რიგლიმ.

– შენი ფიდერი უნდა იცოდე. ფალიაშვილზე ეგრე აკეთებენ. ფულს აკრეფენ და ადიან. ან სასმელი მიაქვთ.

– ჰო, მაგრამ მაგათ ტრანსფორმატორი დაეწვათ და ახლა იმის ფულს აგროვებენ.

– ჩვენ ყველას დაგვეწვა ტრანსფორმატორი, – თქვა ისევ რიგლიმ.

– მისმინე, – უთხრა ზაზამ, – ეს ფაზები რა პონტია, აი, სხვა ფაზაზე გადასვლა?

– რეზერვია, რა, ქობულეთის ქუჩის ხაზს შემოიყვანენ და თუ აქ წავა და იქ იქნება, გადართავ და შენ გექნება.

– ქობულეთს?

– ქობულეთსაც.

– თუ კაიფობ, რაებზე ვბაზრობთ, – ძალიან ცუდ ხასიათზე დავდექი.

– ჯერ სადა ხარ, – გაეხარდა ზაზას – დაგვახევენ ყურებს. გაისად სურათი გადავიღოთ, ანეკდოტი იცი?

– არა...

– ვინც წელს გადავრჩებით, გაისად სურათი გადავიღოთ და „საქართველო“ დავაწეროთ...

– ბიჭო, სოსო, მომეხმარე, რა? – გადმომძახა გოჩამ.

– რა უნდა? – მკითხა რიგლიმ.

– რა ვიცი, – წამოვდექი და გარაჟში შევედი.

– გოჩა, – დაიძახა ზაზამ, – გოჩა, როგორა ხარ, გოჩა?

– ... – მაზუთიანი ხელები დაანახა იმან.

– რათა, ძმაო, შუქი გაქვს და მანქანა.

– მანქანა! მამაჩემის ნაქონია და ვერ ვყიდი, თორემ ეს რა გარაჟში შემოსასვლელია, – თქვა გოჩამ, – დედაჩემს გულიც გაუსკდება, რომ გავყიდო.

– შენა, რიგლი, – როგორ უნდა გავაკეთო ეს ფაზა?

– ქობულეთიდან უნდა გადმოჭიმო მავთული.

– რა, რობინ ჰუდი ვარ? სხვანაირად არ გამოვა?

– სხვანაირად... ჩვენი სახლის სხვა ფაზაზე უნდა გადახვიდე... სადარბაზოში რომ ყუთია, შენს სართულზე, ის უნდა გახსნა და...

– სტოპ, სტოპ, სტოპ, ხელახლა, – ხელები გაშალა ზაზამ, – ვერ დავიმახსოვრებ!

– სადარბაზოში... – დაიწყო ისევ რიგლიმ.

– არ მინდა, მაინც ვერ გავაკეთე, სოსო! საათი არა გაქვს?

– რვა, – ვთქვი და დაბარებულივით:

წკაპ! - გამოგვირთეს.

– ფუი, შენი! – შეიგინა გოჩამ.

– ტუტ, რებიატა, ვარიანტი არ არის, – თქვა ლოვიკამ, – ტუტ, ნახე, ყველა გამორთეს. უნდა გაყიდო ყველაფერი და ვ ლოს ანჟელეს!

– ნიცაში, ნიცაში სჯობს! – გამოცოცხლდა ზაზა.

– არა, ლოს ანჟელეს!

– ამას იქ ბიძა ეყოლება, – ვთქვი მე.

– როდსტვენნიკი იესწ?

– სომხები ბევრნი არიან.

– სიგარეტი არა გაქვთ? გამითავდა, – ითხოვა ზაზამ.

მივეცი და გოჩამაც თქვა:

– ვსო, ვკეტავ!

– მასწავლეთ, რა, ფაზა? – ითხოვა ისევ ზაზამ.

– შენით მაინც ვერ გააკეთებ! – უთხრა გოჩამ, – დამირეკე და გადმოვალ, ან, აგე, რიგლის დაურეკე, ოღონდ სინათლე რომ იქნება, მაშინ.

– არაყი ჩემზეა, – გაუხარდა ზაზას.

არც გაახსენდებოდა ეს ფაზა ათი წუთის შემდეგ.

– სად წაიღე ეს ბოქლომი?

– წავალ, ჯანგოს ჩამოვიყვან, ისეირნოს, – თქვა რიგლიმ.

– სიბნელეში რატომ გამოგყავს, შეგვიანებული მგზავრებით რომ გააძღო? – ჰკითხა ზაზამ და ყველამ გავიცინეთ.

ძალიან ბნელოდა, ნაკვერჩხლებს გავკარი ფეხი და სახლში წავედი. არც მინახავს ასეთი შავი ცა. ნაღდი შავი, არც მთვარე, არც ცოტათი მაინც განსხვავებული ტონები. შავი. ერთი ფერის იყო ცა და მიწა. არაფერი არ ჩანდა.

## ნობელის პრემია და ნობელიანტები

### შესავალი

ჩვენ ხშირად გვესმის ტელევიზორში და ვკითხულობთ გაზეთებსა და ჟურნალებში ადამიანების შესახებ, რომლებიც ნობელის პრემიის მფლობელები არიან. ამ ადამიანებს ნობელიანტებს უწოდებენ. რა  გააკეთეს ამ ადამიანებმა განსაკუთრებული? რატომ არის ეს პრემია ძალიან მნიშვნელოვანი?  ვინ იყო ნობელი? რატომ დააწესა მან პრემია? ამ კითხვებზე პასუხი ყველას არ გვაქვს. მოდით, ყველაფერი თავიდან დავიწყოთ:

### ნობელის ოჯახი

ალფრედ ნობელი შვედი ინჟინერი, ქიმიკოსი და გამომგონებელი იყო. იგი 1833 წელს დაიბადა ცნობილი მეწარმის ოჯახში. ნობელის მშობლები დიდი ყურადღებით ზრდიდნენ შვილს და მის აღზრდასა და განათლებაზე თანაბრად ზრუნავდნენ. ალფრედ ნობელის მამა თავად იყო ინჟინერი. მან წყალქვეშა ნაღმები გამოიგონა. იგი პოპულარული ადამიანი იყო სტოკჰოლმში და შეძლებულადაც ცხოვრობდა. ნობელის დედა 4 ვაჟის აღზრდით იყო დაკავებული. შვილების აღზრდას იგი დიდ ყურადღებას უთმობდა.

**ნობელის საქმიანობა**

ალფრედ ნობელმა დიდი წვლილი შეიტანა მეცნიერებაში. იგი მრავალი სამეცნიერო კვლევის ავტორი და 355 პატენტის მფლობელი იყო. მიუხედავად ამხელა დამსახურებისა, ალფრედ ნობელი ცნობილია, როგორც დინამიტის გამომგონებელი. დინამიტის გამოგონებით და წარმოებით ნობელი ძალიან გამდიდრდა, მაგრამ მისი საქმიანობა ტრაგიკული აღმოჩნდა. ნობელის უმცროსი ძმა და რამდენიმე თანამშრომელი დაიღუპა ქარხანაში საცდელი აფეთქების დროს.

ალფრედ ნობელს ხშირად საყვედურობდნენ, რომ მან უზარმაზარი სიმდიდრე სიკვდილის იარაღის გამოგონებითა და წარმოებით დააგროვა. ნობელი კრიტიკოსებს პასუხობდა: "მე პაციფისტი ვარ. მე ადამიანებს მივეცი გამანადგურებელი იარაღი. ასე ადამიანები დარწმუნდებიან, რომ ბრძოლა უაზრობაა. ომის შემთხვევაში ორივე მხარე დაიღუპება".

ერთხელ ერთმა უცნაურმა შეცდომამ ნობელის ცხოვრება შეცვალა. 1888 წელს ფრანგულმა გაზეთმა შეცდომით გამოაქვეყნა ცნობა ნობელის სიკვდილის შესახებ. ცნობაში მას დინამიტის გამოგონებისთვის სასტიკად კიცხავდნენ. სწორედ ამ ფაქტის შემდეგ გადაწყვიტა ნობელმა თავისი ქონების საზოგადოებისათვის დატოვება.

**ნობელის ანდერძი**

„მე, ალფრედ ბერნჰარდ ნობელი, ვაცხადებ ჩემს საბოლოო ანდერძს. მთელი ჩემი ქონებისგან დააარსეთ ფონდი. ამ ფონდიდან მიღებული პროცენტები გაანაწილეთ პრემიების სახით. პრემიებს მიიღებენ ის ადამიანები, რომლებმაც ყველაზე დიდი წვლილი შეიტანეს ადამიანებისათვის სასარგებლო საქმეში. პრემია უნდა გაიყოს ხუთ ტოლ ნაწილად. ერთი ნაწილი მიეკუთვნება მას, ვინც ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩენა გააკეთა ან გამოიგონა ფიზიკის დარგში; მეორე ნაწილი – მას, ვინც განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ქიმიის დარგში; მესამე ნაწილი ეკუთვნის მას, ვინც ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა ფიზიოლოგიის ან მედიცინის დარგში; მეოთხე ნაწილი ეკუთვნის ყველაზე მნიშვნელოვანი ლიტერატურული ნაწარმოების ავტორს. მეხუთე ნაწილი კი, მშვიდობის ხელშეწყობისათვის გაიცემა.

დაბეჯითებით ვითხოვ, რომ პრემიები ყველაზე ღირსეულმა მიიღოს. არ აქვს მნიშვნელობა, რა ეროვნებისაა ადამიანი. ეს ანდერძი საბოლოოა და აუქმებს ყველა წინა ანდერძს, თუ რომელიმე გამოჩნდება სიკვდილის შემდეგ".

ალფრედ ბერნჰარდ ნობელი

პარიზი, 27 ნოემბერი, 1895 წ

**ნობელის პრემია**

ნობელის პრემია შედგება ოქროს მედლისაგან, რომელზეც გამოსახულია ნობელი. ჯილდოს ნაწილია ასევე დიპლომი და პრემიის თანხა. ნობელის პრემიით 1901 წლიდან

მოყოლებული, სხვადასხვა ეროვნების ადამიანები ჯილდოვდებიან. ამ ადამიანებს ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ფიზიკის, ქიმიის, მედიცინის, ლიტერატურისა და მშვიდობის ხელშეწყობის საქმეში. ნობელის პრემია 1895 წელს ალფრედ ნობელის ანდერძის მიხედვით დაწესდა. ნობელმა თავისი სოლიდური ქონება ნათესავებს არ დაუტოვა. მან გადაწყვიტა, რომ ყველაფერი საზოგადოებრივი საქმიანობისათვის გაეღო. მშვიდობის დარგში პრემია გაიცემა ერების დამეგობრების, მონობის მოსპობის, არმიების შემცირების ხელშეწყობისთვის. ნობელი მშვიდობის დამყარებისთვის წვლილის შეტანად სამშვიდობო კონფერენციებსაც მიიჩნევდა.

ნობელის პრემიის გადაცემის საზეიმო ცერემონიალი იმართება ყოველი წლის 10 დეკემბერს. ამ დღეს ნობელი გარდაიცვალა. ეს დღე გამოცხადებულია ნობელის დღედ.
ნობელმა გაითვალისწინა, რომ მიღწევების შეფასება რთული იყო. მან თავის ანდერძში ყველა დარგისთვის განსაკუთრებული კომისია დაასახელა. ფიზიკოსებსა და ქიმიკოსებს პრემიას ანიჭებს შვედეთის მეცნიერებათა აკადემია. მედიცინაში პრემიას ანიჭებს კაროლინის ინსტიტუტი. ლიტერატურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის პრემიას სტოკჰოლმის აკადემია ანიჭებს. მშვიდობისათვის ბრძოლაში განსაკუთრებული წვლილის შეტანისათვის პრემიას კომიტეტი ანიჭებს. ეს კომიტეტი ხუთი ადამიანისგან შედგება. კომიტეტს ნორვეგიის პარლამენტი ირჩევს.

**ნობელიანტები**

ნობელის სურვილის მიხედვით, პრიზის ნომინანტი ხუთ კატეგორიაში უნდა გამოვლინდეს. თუ რომელიმე წელს არც ერთი ნაშრომი და მიღწევა არ დაიმსახურებს ნობელის პრემიას, მაშინ განკუთვნილი ფულადი ჯილდო შემდეგ წელიწადზე გადადის. ნობელი არც პრემიის გაცემის რაოდენობას ზღუდავს. ნებისმიერ დარგში შეიძლება, რომ ორი და მეტი ნობელიანტი გამოვლინდეს.

ნობელიანტთა შორისაა ისეთი ცნობილი სახელები, როგორებიცაა: ფიზიკოსები და ქიმიკოსები - პლანკი, აინშტაინი, ლანდაუ და ა.შ. მედიცინის დარგში - რობერტ კოხი და პავლოვი. ლიტერატურის დარგში - რომენ როლანი, თომას მანი და ა.შ.

**ნობელიანტი ქალები**

მიუხედავად ნობელის 300-ზე მეტი გაცემული ჯილდოსი, 1901 წლიდან 2011 წლამდე მხოლოდ 43 ქალი გახდა ნობელის პრემიის მფლობელი. აქედან ერთ-ერთი - მარი კიური - ორჯერ დაჯილდოვდა ნობელის პრემიით. 1903 წელს მან ფიზიკაში შეტანილი წვლილისათვის მიიღო ნობელის პრემია. 1911 წელს კი - ქიმიაში.
საინტერესოა, რომ ყველაზე მეტი ნობელიანტი ქალი მშვიდობის ხელშეწყობის საქმეშია.
მათ შორის გამორჩეულია დედა ტერეზა, რომელიც 1979 წელს გახდა ნობელიანტი.

# ინდიელები

## შესავალი

ინდიელები ამერიკის მოსახლეობის საერთო სახელია. გამონაკლისს მხოლოდ ესკიმოსები და ალეუტები წარმოადგენენ. ინდიელთა ეს სახელი ევროპიდან გავრცელებულა.

შენ ალბათ გახსოვს, რომ ქრისტეფორე კოლუმბი ინდოეთის ძებნაში ამერიკის კონტინენტის სანაპიროს მიადგა. ეს მე-15 საუკუნის ბოლოს მოხდა. სწორედ ამ დროიდან უწოდებენ ამერიკის კონტინენტის მაცხოვრებლებს ინდიელებს. დღეს ინდიელთა რასის წარმომადგენელი დაახლოებით 30 მილიონი ადამიანი ცხოვრობს მსოფლიოში. მე-19 საუკუნეში მათი რიცხვი 60 მილიონზე მეტი იყო. ინდიელთა რასა დაახლოებით 100 ეროვნებას აერთიანებს. მე-15 საუკუნეში კი, როდესაც ევროპელები ამერიკას მიადგნენ, 200-ზე მეტი ეროვნება არსებობდა.

ინდიელთა ისტორია

მეცნიერების აზრით, ინდიელი ხალხი ამერიკაში ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიიდან გადმოსახლდა. ისინი ამერიკაში „ბერინგის ხიდის“ საშუალებით გადმოვიდნენ. მილიონი წლის წინ ბერინგის სრუტე არ არსებობდა. ბერინგის სრუტის ადგილას ხმელეთი იყო. ზუსტად სახმელეთო გზით გადავიდა ხალხი აზიიდან ამერიკაში. ეს ძალიან დიდი ხნის წინ მოხდა. ინდიელების ჩასახლება მთელ კონტინენტზე მრავალი ათასწლეულის განმავლობაში გრძელდებოდა. ინდიელთა სამშობლოდ ალტაის რეგიონი ითვლება.

## ინდიელთა ენა

ჩრდილოეთ ამერიკაში ინდიელთა დაახლოებით 400 ტომი ბინადრობდა. ისინი სხვადასხვა ენაზე საუბრობდნენ. ინდიელებს დამწერლობა არ გააჩნდათ. თუმცა, მე-19 საუკუნეში ერთ-ერთი ტომის ბელადმა - სეკვოიამ შექმნა ანბანი „ჩეროკი“. ორი წლის შემდეგ მან ამ ენაზე პირველი გაზეთი „ჩეროკი ფინიქსი“ გამოუშვა. ზოგიერთი ტომი სიგნალების ენაზე საუბრობდა. ინდიელები მთავარ სიგნალებს ფეხით სიარულის ან მგზავრობის დროს შეთანხმებული მოძრაობებით გადმოსცემდნენ. ხანდახან ურთიერობისთვის ინდიელები სხვადასხვა ნივთსაც იყენებდნენ, მაგალითად, სარკეს.

## ინდიელთა საცხოვრებელი და მეურნეობა

ინდიელთა საცხოვრებელი ძალიან განსხვავებული იყო. ისინი ცხოვრობდნენ ქოხებში, მიწურებში, ფანჩატურებში, კარვებში. ინდიელთა ზოგი ტომი გრძელ საერთო სახლებში ცხოვრობდა. ასეთი სახლები სხვადასხვა მასალისგან - ქვების, თიხის, ხის ტოტებისა და ფოთლებისგან, ხანდახან კი, ფიცრებისგან იყო აშენებული.

ინდიელების მეურნეობა ასევე ძალიან განსხვავდებოდა. მათს მეურნეობაზე გავლენას ახდენდა ადგილმდებარეობა. ტრადიციები ასევე ახდენდა გავლენას ინდიელთა

საქმიანობაზე. მთავარი საქმიანობა მონადირეობა იყო. ინდიელები ასევე კრეფდნენ და აგროვებდნენ ტყის ნობათს. ინდიელების ზოგიერთი ტომი მიწათმოქმედებას მისდევდა. თევზი მნიშვნელოვანი პროდუქტი იყო ინდიელებისათვის. მეთევზეობა კი - პოპულარული საქმიანობა.

ევროპელების შემოსვლის შემდეგ ინდიელებმა ცხენის გამოყენება დაიწყეს. ასევე, ისწავლეს ცეცხლსასროლი იარაღის ხმარებაც. ინდიელებისთვის გარეულ ხარებზე - ბიზონებზე ნადირობა უფრო ადვილი გახდა.

ინდიელებს კარგად განვითარებული სოფლის მეურნეობა ჰქონდათ. განსაკუთრებით განვითარებული იყო სოფლის მეურნეობა მექსიკასა და სამხრეთ ამერიკაში. აქ ინდიელებს მრავალი მცენარეული კულტურა მოჰყავდათ. ინდიელებს დიდი რაოდენობით შინაური საქონელი და ფრინველიც ჰყავდათ.

საჭმლის გაკეთებით მხოლოდ ქალები იყვნენ დაკავებულები. ინდიელების გავრცელებული საკვები იყო პემიკანი. პემიკანი პატარა და ძალიან ნოყიერი საკვებია. იგი შედგება გამხმარი ბიზონის ხორცისა და სხვადასხვა გამხმარი ბოსტნეულისგან. პემიკანი ძალიან პოპულარული გახდა მოგზაურებში. მოგზაურები დაინტერესებულები იყვნენ პატარა წონის საკვებით, რომელიც მათ დიდი ხნით დაანაყრებდა.

**კერამიკა**

ინდიელებმა კერამიკის დამუშავება ევროპელების ჩამოსვლამდე ბევრად ადრე იცოდნენ. ადგილობრივი კერამიკა დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. განსხვავებული იყო კერამიკის დამუშავების წესიც. ინდიელებმა არ იცოდნენ ბორბლის კეთება და არც კერამიკის დასამუშავებელი დაზგები ჰქონდათ. ისინი კერამიკას ხელით ამუშავებდნენ. კერამიკის გარდა, ინდიელები ასევე მოიხმარდნენ თიხას. თიხას იყენებდნენ ნიღბების და სხვა სარიტუალო საგნების გასაკეთებლად.

ხელოვნება

ცენტრალურ ამერიკაში, ანდების მთების ტერიტორიაზე, ევროპელების შემოსვლამდე ძალიან განვითარებული იყო კულტურის დარგები. ბევრი ძველი ნივთია აღმოჩენილი დღევანდელი ქვეყნების: მექსიკის, გვატემალას, ჰონდურასის, პანამას, კოლუმბიის, პერუს, ბოლივიის და სხვა ტერიტორიებზე.

ძალიან მიმზიდველი და საინტერესოა ინდიელთა ხალხის კულტურა. მათ კულტურაში ასახულია მონადირეების, მეთევზეების, გლეხების წარმოდგენები სამყაროზე. ეს ნამუშევრები ლამაზადაა გაფორმებული. მითოლოგიური არსებები დიდ გავლენას ახდენდნენ ინდიელთა კულტურაზე.

ძალიან ლამაზია ინდიელთა ხეზე კვეთის ხელოვნება. ხეზე კვეთის ხელოვნება რიტუალებისთვის გამოიყენებოდა. ინდიელები ასევე გამოირჩეოდნენ ქსოვით და ქარგვით. ისინი ძალიან კარგი ფეიქრებიც იყვნენ. ნამუშევრები ხშირად ბუმბულებით, ქვებითა და კერამიკით იყო გაფორმებული. ინდიელთა ნამუშევრები ხშირად ასახავდა ბრძოლის ან ნადირობის სცენებს.

სამწუხაროდ, ბევრ დღევანდელ ქვეყანაში, მაგალითად ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, არგენტინაში და სხვა, ინდიელთა კულტურა ნელ-ნელა მივიწყებას მიეცა. სამაგიეროდ, სხვა ქვეყნებში: მექსიკაში, გვატემალაში, პერუში, ბოლივიაში - ხალხური ხელოვნება ინდიელთა ხელოვნებაზეა დაფუძნებული.

მითოლოგია

ინდიელ ხალხთა ცხოვრებაზე დიდ გავლენას ახდენდა მითოლოგია. მითოლოგიაში ასახულია ცეცხლის გაჩენის, ადამიანებისა და ცხოველების წარმოშობის ისტორიები. მოგვიანებით გაჩნდა ახალი მითი კაიმანზე. კაიმანი საკვების ღმერთი და მცენარეების კეთილი სული იყო. ინდიელების მითოლოგია სამყაროს გაჩენის შესახებ ძალიან მდიდარია.

ინდიელებს ძალიან ლამაზი ქალღმერთი მაისა ჰყავდათ. მაისა ინდიელების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საკვები მცენარე იყო. მითის მიხედვით, ქალღმერთი მაისა მცენარეებს მფარველობდა. იგი ძალიან ლამაზი იყო და გრძელი ნაწნავები ჰქონდა. ეს ქალღმერთი ყველა ინდიელი ტომისათვის ერთნაირად მნიშვნელოვანი იყო. „ნაწნავებიანი ქალღმერთი“ მიწისა და ცის, სიცოცხლისა და სიკვდილის სიმბოლოს წარმოადგენდა.

შეიძლება გაგიგონია ინდიელი შამანების შესახებ. შამანები ბევრ უნარს და ცოდნას ფლობდნენ. ინდიელები მიიჩნევდნენ, რომ შეეძლოთ ავადმყოფის განკურნება, ბუნების ძალების მართვა, ცხოველებსა და ფრინველებთან ურთიერთობა, სულებთან კონტაქტი. შამანების შესახებ ბევრი ლეგენდა დღემდე არსებობს და ძალიან პოპულარულია.

ინდიელები და ცივილიზაციის განვითარება

ინდიელების მიერ მოყვანილმა საკვებმა დიდი გავლენა მოახდინა მსოფლიოზე. საკვები პროდუქტები - სიმინდი, კარტოფილი, პომიდორი, მზესუმზირა, კაკაო, თამბაქო, პილპილი, ლობიო, არაქისი, ყაბაყი და ბევრი სხვა სწორედ ინდიელ ხალხს უკავშირდება. ევროპაში კარტოფილის გავრცელებამ მნიშვნელოვნად შეამცირა შიმშილი. სიმინდი კი ადამიანის საკვებიცაა და გამოიყენება საქონლის გამოსაკვებად.

ინდიელებისგან მოდის სხვადასხვა შინაური ფრინველისა და ცხოველის კულტურაც. მაგალითად, ინდაური ინდიელ ტომებში ძალიან იყო გავრცელებული. ინდიელებმა მოაშინაურეს ასევე ცხვრის სხვადასხვა სახეობა. ინდიელები ცხოველის მატყლს ფართოდ იყენებდნენ. ძაღლების თანამედროვე ჯიშებს შორის ბევრია ისეთი, რომლის ფესვები სათავეს ამერიკელი ინდიელების მიერ მოშინაურებული ჯიშებისგან იღებს.

ბოლოთქმა

ალბათ გინახავთ კინოფილმები ინდიელებისა და მათი გმირობის შესახებ. შეიძლება მაინ რიდის ან ჯეიმს კუპერის რომანები წაგიკითხავთ ინდიელების შესახებ. ამ წიგნებისა და კინოხელოვნების წყალობით გახდა ცნობილი და საინტერესო ინდიელთა ისტორია, მითოლოგია და კულტურა. ეს არაა უცნაური. ინდიელი ხალხი ძალიან თვითმყოფადია.

# უდაბნო

## შესავალი

უდაბნო  დედამიწის ყველაზე ცხელ და მშრალ ადგილებს ჰქვია. იქ თითქმის არასოდეს წვიმს. ზოგ ადგილას წვიმა 400 წელზე მეტია, არ მოსულა. დღისით უდაბნოში ძალიან ცხელა. ხშირად ტემპერატურა 60 გრადუსზე მაღლა ადის. ანუ ორჯერ უფრო მეტად ცხელა, ვიდრე ჩვენთან ყველაზე ცხელ ზაფხულის დღეს. ღამით კი საშინლად ცივა. იქ ქვიშის გროვები ათასობით კილომეტრზეა გადაჭიმული. უდაბნოში გზის გაგნება ძალიან ძნელია. შეიძლება რამდენიმე დღე ისე იარო, რომ მხოლოდ ქვიშის გროვები შეგხვდეს და არც ერთი ცოცხალი არსება! უდაბნოს სიჩუმეს მხოლოდ ქარის ხმა არღვევს. მოგზაურებს აქ სიცხე, ყინვა და ქვიშის ქარიშხლები ხვდება. ამიტომ უდაბნოში მარტო სიარული ძალიან საშიშია.  ადამიანები იქ დიდ ჯგუფებად გროვდებიან და ისე მოგზაურობენ. უდაბნოები თითქმის დაუსახლებელია. მათ ხშირად დედამიწის მკვდარ ადგილებსაც უწოდებენ.

დედამიწაზე უდაბნო გვხვდება ყველა კონტინენტზე, გარდა ანტარქტიდისა. ეს არის დიდ ფართობზე გადაჭიმული ყვითელი ან თეთრი ქვიშის გროვები. უდაბნოს ბუნება მუდმივად იცვლის ფორმას ქვიშის ქარიშხლების გამო. უდაბნოში ცხოვრება ძნელია. ამიტომ იქ ძალიან იშვიათია ქალაქები.  ქვიშის გროვებში ძალიან ცოტა ცხოველი  ცხოვრობს. ისინი სიცხეს ადვილად ვერ ეგუებიან. უდაბნოს მცენარეებს თავისზე ოცჯერ გრძელი ფესვები აქვს. ისინი ასე იწოვენ წყალს მიწიდან. ზოგჯერ კი წყალს გამსხვილებულ ღეროში ინახავენ და სიცხის დროს იყენებენ.

## სიცოცხლე უდაბნოში, ოაზისები

ქვიშის ამ უზარმაზარ, უსიცოცხლო ზღვაში ალაგ–ალაგ გვხვდება გამწვანებული ადგილები, ოაზისები. ოაზისებში მიწიდან ამოდის წყალი, ამიტომ იქ ცხოვრება შესაძლებელია. როცა მიწისქვეშა წყალი შრება, ოაზისში სიცოცხლე კვდება. იქ მცხოვრებლები კი ახალი ოაზისის საძებნელად მიდიან.

## ბედუინები

საჰარას უდაბნოში მწყემსები, ბედუინები ცხოვრობენ. ისინი ხშირად მოგზაურობენ, რადგან ოაზისებში ზოგჯერ წყალი შრება. ბედუინებს არ აქვთ სახლები. ისინი კარვებში ცხოვრობენ. თუ წასვლა მოუწევთ, კარვის დაშლა და სხვა ადგილას გადატანა ძალიან ადვილია. თუ მგზავრობისას შემოადამდებათ, ბედუინები კოცონს ანთებენ.

ბედუინებს ღია ფერის ტანსაცმელი აცვიათ. სიცხეში ეს მათ გადახურებისგან იცავს. სახეც ხშირად დაბურული აქვთ, რომ მზემ არ დასწვას.

ბედუინებს ბარგი აქლემებით გადააქვთ. აქლემი უდაბნოს უდიდესი ცხოველია. ის ძალიან ღონიერია და სწრაფად დარბის. გარდა ამისა, მას უდაბნოში საკვების და წყლის

გარეშე ერთი თვე შეუძლია გაძლება. აქლემი საჭმლის და წყლის მარაგს კუზში ინახავს, მერე ნელ–ნელა ხარჯავს.

გამგზავრების წინ ბედუინები ერთად იკრიბებიან. ბარგს აქლემებს აჰკიდებენ, ყელზე პატარა ზარებს შეაბამენ და გაუდგებიან გზას. ზარების ხმა უდაბნოში შორს ისმის. ეს სხვებს ატყობინებს, რომ ქარავანი მოდის.

აქლემის გარდა, უდაბნოში ბინადრობს უდაბნოს კურდღელი, დიდყურება მელა, გველი, ეკლებიანი თაგვი... ყველა მათგანი ცხელ ადგილას ცხოვრებას თავისებურად ეგუება. მცენარეებიდან გავრცელებულია კაქტუსი, ბაობაბი, პალმა.

**კაქტუსი**

კაქტუსი უცნაური ფორმის მცენარეა. მას მსხვილი ღერო, ეკლები და ძალიან ლამაზი ყვავილი აქვს. კაქტუსი ღეროში წყალს იგროვებს და ასე უძლებს სიცხეს. მისი ჩხვლეტია ეკლებისა ძალიან ბევრ ცხოველს ეშინია.

**ბაობაბი**

ბაობაბი აფრიკაში იზრდება. ის უზარმაზარი მცენარეა. ზოგჯერ მისი სისქე 12 მეტრსაც კი აღწევს. ის ათასობით წელს ცოცხლობს.გ არსებობს ბაობაბი, რომელიც 5000 წლისაა. ეს უცნაური მცენარე წვიმის დროს ფესვებით იმდენ წყალს იწოვს, რომ „სუქდება“. წყლით გაჟღენთილი ბაობაბი ღრუბელივით რბილია. სიცხის დროს კი ისევ „ხდება“. ბაობაბი ცხრა თვეს უფოთლებოდ ატარებს. ის წელიწადში ერთხელ ყვავის. მისი ყვავილი შუაღამისას იშლება. ბაობაბის ქერქისგან ისეთ მაგარ თოკს აკეთებენ, რომ სპილოც კი ვერ წყვეტს. ამბობენ, თუ ბაობაბის ქვეშ დადგები და სურვილს ჩაიფიქრებ, აუცილებლად აგიხდებაო!

**გამორჩეული უდაბნოები, ანუ ყველაზე ყველაზე...**

მსოფლიოში უდიდესია უდაბნო საჰარა. ის მდებარეობს აფრიკის კონტინენტზე. საჰარის უდაბნო ტერიტორიით თითქმის ავსტრალიის ხელაა. სიდიდის გამო მას ქვიშის ზღვასაც კი უწოდებენ. მისი ფართობი დღითიდღე იზრდება.

**უდაბნო საჰარა**

საჰარაში ძალიან იშვიათად წვიმს. იქ ისე ცხელა, რომ წვიმის წვეთები მიწამდე ვერ აღწევს და ჰაერშივე ორთქლდება. კლდეები დღისით ხშირად 100 გრადუსამდეა გახურებული. ამ დროს იქ თუ შეძლებ და ჭურჭლით წყალს დადგამ, ის ადუღდება. ღამით კი საშინელი ყინვა იცის. მგზავრები კარავს შლიან და კოცონს ანთებენ გასათბობად.

საჰარაში ხშირია ქვიშის ქარიშხალი. ის ძალიან სწრაფად ჩნდება და ხშირად მთელ ქალაქებს ფარავს. ცხელი ქვიშიანი ქარიშხლის შემდეგ საჰარაში ჰაერი ელექტროვდება: რკინის ნივთები, ტანსაცმელი, თმა ნაპერწკლებს ყრის.

**ყველაზე მშრალი უდაბნო**

მსოფლიოში ყველაზე მშრალია ატაკამას უდაბნო. ის ამერიკის კონტინენტზე მდებარეობს. ატაკამას უდაბნოში 400 წელია წვიმა არ მოსულა.

**თეთრი და შავი უდაბნო**

უდაბნოში ქვიშა ძირითადად ყვითელი ფერისაა, თუმცა ეგვიპტეში არის თეთრი და შავი უდაბნოები. ორივე ძალიან ლამაზია.

ასეთ შავ შეფერილობას  უდაბნოს იქ გავრცელებული მცენარეები აძლევს. ისინი გახმობის შემდეგ ასე შავდებიან და ქვიშასაც აშავებენ.

**უდაბნოს იდუმალი მოვლენა**

უდაბნოს ყველაზე უცნაური მოვლენა არის მირაჟი*: შუადღისას, როცა ძალიან ცხელა, მგზავრები შორს, ჰორიზონტზე ხშირად ხედავენ ქალაქებს, ზღვას, ოაზისს... სიცხით გაწამებული ბევრი მოგზაური რჩება მოტყუებული. ეს გამოსახულებები ხომ სინამდვილეში არ არსებობს! სიცხით გავარვარებული ჰაერი და მტვერი ქმნიან ამ უცნაურ სურათებს. ამას მირაჟი ეწოდება. მირაჟი ხშირადაა ატაკამას და საჰარის უდაბნოებში.